საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge
-16 თებერ... * №6 (685) * ფასი 1,50 ლარი



როგორ გადაიზარდა ლაშა ონიანისა და მისი მომავალი მეუღლის საქმიანი ურთიერთობა ცოლქმრობაში და რატომ არ უნდა შეზღუდოს არავინ მისი თავისუფლება

გვ. 23

გვ. 14

რა ბიზნესი წამოიწყო ნანიკო ხაზარაძემ ვაკეში და რატომ ცხოვრობს ის ასკეტურად

გვ. 2

როგორ გამართა თინათინ ჯაფარიძემ ბროდვეიზე საკუთარი ცხოვრების მიხედვით დადგმული საჩვენებელი სპექტაკლი და რატომ გადაწყვიტა ცნობილმა გამოცემამ მისი სიმღერების ჩაწერა



გვ. 18

რამ დააბრუნა გია კრიალაშვილის შვილი წარსულში და ვინ გადაატანინა მას ყველაზე მძიმე დღეები



გვ. 70

ვინ მოიტაცა რომის „ფეშენ-ვიქიდან“ ნუკა ყარალაშვილი და როგორ მოხვდა მისი ფოტოები იტალიური „ვოგისა“ და „ელ ოფისიელის“ ოფიციალურ გვერდებზე



რატომ არ უშლის ხელს ანა ალექსიშვილის სიყვარულს დისტანცია და ვინ აქცია ის ჯადოქრად

გვ. 22



გვ. 75

როგორ ახერხებს რვა ადგილას მუშაობას ზურა გორგაძე და როდის „აწვება“ ის ცხოვრებას რქებით



როგორ „ეცემა“ მარინა ხორავას მეუღლისგან თავზე „ესემესების ზღვა“ 17 წლის შემდეგაც და რატომ არის ის განსხვავებული ტიპის ცოლი

გვ. 15



გვ. 19

როგორ გახდა ირაკლი აფაქიძე ბაქოელი ოლიგარქი და ვინ გადმოიბირა მან ევროპიდან თბილისში

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

**„ამ სამყაროში მიიჩნევა, რომ მაინც ახალგაზრდა და ახალი ვარ. თუმცა, არ მახსოვს, იმ მართლაც ლეგენდებმა, ვისთანაც დღეს მუშაობისა და მეგობრობის პატივი მაქვს, მაგრძნობინონ: შენ ჩემთან შედარებით ახალი დაწყებული გაქვს ეს საქმეო. მეც, რა თქმა უნდა, ამას ძალიან ვაფასებ. საშუალება მაქვს, ამ ხალხთან თავი კომფორტულად ვიგრძნო და რაც მთავარია, არავინ გაგრძნობინებს, რომ შენ ჩამოსული ან ახალი ხარ მათთვის. ბედნიერი ვარ, რომ ამ სამყაროში ვცხოვრობ,“ – ეს სიტყვები ნიჭიერ კომპოზიტორს, მომღერალ თინათინ ჯაფარიძეს ეკუთვნის, რომლის ცხოვრების მიხედვით დადგმული სპექტაკლის პირველი ნაწილი 27 იანვარს უკვე ნახა ბროდვეის საზოგადოებამ.**

# როგორ გამართა თინათინ ჯაფარიძემ ბროდვეიზე საკუთარი ცხოვრების მიხედვით დადგმული საჩვენებელი სპექტაკლი და რატომ გადაწყვიტა ცნობილმა გამოცემამ მისი სიმღერების ჩაწერა

**თინათინ ჯაფარიძე:** ამას იშვიათად ვამბობ, მაგრამ ახლა შემიძლია ვთქვა, ჩვენი საჩვენებელი საღამო ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე მეგონა, რომ გამოვიდოდა. დაახლოებით, ნახევარი წლისთვის დავიმატეთ ახალი მსახიობები. ბროდვეისთვის დასი იყო საჭირო, სპექტაკლი უფრო მასშტაბური რომ გამოსულიყო. მსახიობები ითამაშებდნენ ჩემი ცხოვრებიდან სხვადასხვა ეტაპს – ეს მაყურებლის უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევდა, რადგან ერთდროულად იქნებოდა ჩართული ყურიც, თვალიც. შესაბამისად, დავამატეთ ჩემი ცხოვრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟები. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან რთული იყო. თუმცა, ერთი რამ ნამდვილად ვიცოდი: დედა და მამა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, არა მხოლოდ ჩემს ცხოვრებაში, არამედ სპექტაკლშიც, არ მინდოდა, ყოფილიყვნენ. ეს ჩემთვის ცოტა ყალბი იქნებოდა – ნათამაშები, შეთხზულივით, განსაკუთრებით, იმიტომ რომ, ეს ყველაფერი ინგლისურად უნდა მომეყოლა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ის სცენები, სადაც მშობლები არიან, ეკრანზე ასახულიყო ფოტოვიდეოსკოლაჟით. თუმცა, კარგი იქნებოდა, დედას და მამას ეთამაშათ, ეს რეჟისორმაც მითხრა ხუმრობით. მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ არ დათანხმდებოდნენ. რაც შეეხება დეივ გრუზინს, მას ჩემს ცხოვრებაში ისეთი დიდი ადგილი უჭირავს, დღეს იმდენად ახლობელია ჩემთვის, რომ არ მინდოდა, მსახიობს ეთამაშა მისი როლი. მინდოდა, ხელუხლებელი ყოფილიყო ეს პერსონაჟი. ან დეივის ხმას უნდა მივამსგავსოთ მსახიობის ხმა, ან დეივის უნდა ვთხოვოთ, რომ მან წაიკითხოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ციტატა. დღესდღეობით მსახიობი კითხულობს მის ციტატებს. ჯერ დეივი არ მინახავს და აუცილებლად ვკითხავ, თუ არის ეს შესაძლებელი. რაც შეეხება დანარჩენ პერსონაჟებს, მათ, ვინც ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, მათი როლის შესასრულებლად დაგვჭირდა მსახიობების მოძებნა. თავიდან, მე უნდა მემღერა 18 სიმღერა, ჩემს თანაავტორთან, თიმოთისთან ერთად, რომელიც სპექტაკლში თავის თავს თამაშობს. მაგრამ, ბოლოს გადავწყვიტეთ, ორი სიმღერა მსახიობებს შეესრულებინათ. ამ პროექტზე იმდენად სერიოზული ხალხი მუშაობს, რომ ბევრი ადამიანი დაინტერესდა. დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში შევარჩიეთ დასი. თუმცა, 27 იანვრის საჩვენებელ სპექტაკლში ყველას არ მიუღია მონაწილეობა, რადგან მხოლოდ პირველი აქტი ვაჩვენეთ. მეორე აქტში უფრო მეტი მსახიობი მონაწილეობს. მე, პირველი აქტისგან განსხვავებით, სადაც სულ სცენაზე ვარ, მეორე აქტში ასე ხშირად არ გამოვდივარ, მსახიობებიც ბევრს თამაშობენ, უფრო დინამიკურად მიდის ყველაფერი. თითო აქტი ერთ საათს გრძელდება.

**– სად ჩატარდა საჩვენებელი სპექტაკლი?**

– 27 იანვრის საღამო მოაწყო „მსახიობების ფონდმა“, რომელშიც გაწევრიანებულები არიან რეჟისორები, მსახიობები, სცენარისტები, ისინი, ვინც წლების განმავლობაში მუშაობდნენ ბროდვეიზე, თან, ძალიან წარმატებულად. როდესაც პენსიაზე გადიან, ამ ფონდში იწყებენ მუშაობას. ძალიან აქტუალურია ეს ფონდი, თუნდაც შენობა, რომელიც 57-ე ქუჩაზე მდებარეობს და ყველამ იცის, სად არის. ბოლო პერიოდშიც, რეპეტიციებს სწორედ მათ ოფისში გავდიოდით. რომ ნახეს, ძალიან მოეწონათ სპექტაკლი და ჩათვალეს, რომ ძალიან საინტერესო იქნებოდა როგორც ბროდვეისთვის, ასევე ამერიკისთვის, რადგან დაკავშირებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირთან, საქართველოსთან, რუსეთთან. ეს ფონდი არა მხოლოდ ბროდვეის სამყაროსთან მუშაობს, არამედ ბროდვეის ახალ თეატრებთანაც. შესაბამისად, ჩვენთვის დიდი პატივი იყო მათთან მუშაობა. მათ უნდოდათ, ეჩვენებინათ ექსკლუზიურად ახალი სპექტაკლი, რომელიც, მათი აზრით, შეიძლება, ძალიან წარმატებული გახდეს. ასე რომ, მათ 27 იანვარს მოაწყეს ეს საღამო. თუმცა, ჩვენც მოგვცეს უფლება, რომ 12 ადამიანი დაგვეპატიჟებინა. ანუ, ის ადამიანები, რომლებიც ამ პროექტს კიდევ უფრო წინ წაწევდნენ. ამიტომ, დავპატიჟეთ ჩვენი ადვოკატები და გამომცემლობა, რომლებიც ჩვენი სიმღერების უფლებებით, გაყიდვებითაა დაკავებული. ყველაზე მეტად მაინტერესებდა, რას იტყოდა ჩვენი გამომცემლობა, რადგან მათ რამდენიმე ახალი სიმღერა არ ჰქონდათ მოსმენილი. სპექტაკლი რომ დამთავრდა, მეორე დღესვე გვითხრეს: 3 მარტს ალბომზე, სპექტაკლის საუნდ ჩეკზე ვიწყებთ მუშაობასო. დასაწყისში, დაახლოებით ექვს სიმღერას ჩავწერთ და შემდეგ დანარჩენ თორმეტსაც დავამატებთ. ეს გამომცემლობა მუშაობს თითქმის ყველა ცნობილ მომღერალთან ბროდვეის შოუებზე. ბროდვეის სამყაროს ძალიან კარგად იცნობენ. გამოცდილები არიან როგორც პოპის, ასევე თეატრის სამყაროში. სიმართლე რომ გითხრათ, სპექტაკლის ალბომის ჩაწერაზე არ ვფიქრობდით, რადგან წესია: ჯერ იდგმება ბროდვეის სპექტაკლი და შემდეგ, როცა ნახავენ, რომ ხალხს მოეწონა, კარგად მიიღეს სიმღერები, მერე წერენ ალბომს. ჩვენს შემთხვევაში, პირიქით უნდათ, რომ დროზე ადრე ჩავწეროთ ალბომი და დავასწროთ შოუს. ალბათ, უნდათ, რომ სხვა კომპანიებს დაასწრონ. ორ დღეში უნდა ჩავწეროთ ექვსი სიმღერა.



**ყველაზე მთავარი ის არის, რომ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ჩემი ორი ადვოკატი ჩემს მშობლებთან მივიდა და ჰკითხეს: ეს ყველაფერი, რასაც სპექტაკლში ყვებიან, მართალიაო**

**– როგორი იყო მაყურებლის ემოცია?**

– იმ თორმეტი სტუმრის გარდა, დანარჩენი მაყურებელი თვითონ ფონდმა დაპატიჟა. მაინც მათთვის ჩატარდა ეს საღამო, მათი რეაქცია აინტერესებდათ ჩვენს ადვოკატებს, გამომცემლებს. ძალიან კარგად მიიღეს სპექტაკლი, იმ საღამოსვე რამდენიმე მსახიობმა „ფეისბუქზეც“ მომწერა. თავიდან რამდენიმე ისტორია ამოვიღეთ, რომელიც წიგნში აუცილებლად დარჩება, რადგან არ გვინდოდა, მაყურებლის გადატვირთვა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ჩემი ორი ადვოკატი ჩემს მშობლებთან მივიდა და ჰკითხეს: ეს ყველაფერი, რასაც სპექტაკლში ყვებიან, მართალიაო? ძალიან კარგად არის ისტორიები აკინძული და შერწყმული რეჟისორის, დრამატურგის, თიმოთის მიერ – ორი წელი მოვუნდით ამ სცენარზე მუშაობას. ისე საინტერესოდ დამთავრდა პირველი აქტი, რომ უკვე აინტერესებთ, რა იქნება მეორე აქტში. გაზაფხულის ბოლოს უნდა დავდგათ პირველი და მეორე აქტი უკვე შერწყმულად.

**– შენს სპექტაკლს „მატრიოშკა“ ჰქვია. როგორ მიიღო ეს მაყურებელმა, სწორად აღიქვა ყველაფერი?**

– ამან ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ყველამ იცის ეს თოჯინა ვიზუალურად. თუმცა, არავინ იცის, რა ჰქვია მას და შიგნით თუ სხვა თოჯინებია მოთავსებული. რაც მთავარია, „მატრიოშკა“ ძალიან საინტერესოდ, კონცეპტუალურად გვყავს გამოყენებული და მაქსიმალურად შევეცადეთ, ყოფილიყო გამართლებული: რატომ ჰქვია სპექტაკლს „მატრიოშკა“. ამაზე ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, „მატრიოშკა“ მე ხომ არ ვარ, ის ცალკე პერსონაჟია. თან, ხომ უნდა ყოფილიყო გამართლებული: რატომ დგას ამხელა ზომის თოჯინა სცენაზე. რაღაცით მე მგავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის სხვაა. სხვათა შორის, ანა ჰქვია და ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: სპექტაკლის დასაწყისში „მატრიოშკაში“ ვარ მე და უცებ ამოვდივარ იქიდან. რაც მთავარია, მაყურებელმა კარგად გაიგო აზრი და მიხვდნენ: რატომ გამოვიყენეთ „მატრიოშკა“, როგორც იდეა. ის ჩვენს სპექტაკლში მეტაფორაა და ყველამ გაიგო ეს მეტაფორა რასთანაცაა დაკავშირებული. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა სახელი ანა. როცა მინდა, სხვა ამპლუაში, როლში გამოვცადო ჩემი თავი, როცა არავინ არ მიცნობს, ვამბობ, რომ ანა ვარ. როცა მინდა, ვიყო ანა, არ მინდა, რომ ვიყო თინათინი. ამიტომაც ჰქვია „მატრიოშკას“ ანა.

**– რა გეგმები გაქვს ამ სპექტაკლის გარდა?**

– მალე ჩამოვა ლათინურ სამყაროში ძალიან ცნობილი კომპოზიტორი, რომელსაც ლათინური „გრემი“ რამდენჯერმე აქვს მოგებული და მასთან ერთად ორი მომღერლისთვის ვწერ სიმღერას. ერთია ჯენიფერ ლოპესის ყოფილი ქმარი, მარკ ენტონი, მეორის სახელს ვერ ვიტყვი, რადგან ჯერ არ გვაქვს დასტური. ისიც ცნობილია ლათინურ, იტალიურ სამყაროში. გარდა ამისა, რიკ ალისონთან ერთად ვმუშაობ ახალ პროქტზე, რომელიც დაკავშირებულია ევროპასთან. ეს არის მრავალმასშტაბიანი პროექტი, რომელზეც მე და რიკმა რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ ფიქრი, უბრალოდ, ორივე დაკავებულები ვიყავით და 13 თებერვლიდან ვაპირებთ გაგრძელებას.

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ შეიქმნა რუსეთში ჯავახეთის დიასპორა და რა მოთხოვნები და შეთავაზებები აქვს მის პრეზიდენტს, აგასი არაბიანს, საქართველოს ხელისუფლებისადმი .................................... 6

რატომ არის მოსალოდნელი ლარის კურსის ვარდნა თებერვალში და რატომ ეძებენ ჩინეთის მოქალაქეები იაფფასიან სამუშაოს საქართველოში ........................... 8

ვინ შეუძინა გივი თარგამაძის მეუღლეს 60 000 აშშ დოლარიანი ავტომანქანა .............. 9

რატომ უკრძალავენ საქართველოში ქალებს დედობის უფლებას, რა მექანიზმებით აიძულებენ მამებს მამობის აღიარებას და როგორ ემალებიან მართლმსაჯულებას მამები ........................ 10

რომელი დაავადებების მკურნალობისას გამოიყენება ოზონოთერაპია და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას ადამიანის ჯანმრთელობისთვის .................................. 11

როგორია დუდა სანაძის ამერიკული ცხოვრება და რა შეფასებას აკეთებს ქართველ კალათბურთელზე სანდიეგოს გუნდის მწვრთნელი .................................. 12

რა ბიზნესი წამოიწყო ნანიკო ხაზარაძემ ვაკეში და რატომ ცხოვრობს ის ასკეტურად .................................................. 14

როგორ „ეცემა" 17 წლის შემდეგაც მარინა ხორავას მეუღლისგან თავზე „ესემესების ზღვა" და რატომ არის ის განსხვავებული ტიპის ცოლი .................................................. 15

რამ დააბრუნა გია კრიალაშვილის შვილი წარსულში და ვინ გადაატანინა მას ყველაზე მძიმე დღეები ............................. 18

როგორ გახდა ირაკლი აფაქიძე ბაქოელი ოლიგარქი და ვინ გადმოიბირა მან ევროპიდან თბილისში .................................. 19

რა არ მოსწონს მამაკაცს ქორწინებაში და კლავს თუ არა სიყვარულს ოფიციალური ურთიერთობა ......................... 20

როგორ იპოვა დეიდაშვილმა ნათესავი აფხაზეთში და რატომ ეძებდა მას წყალტუბოში ............................................. 21

რატომ არ უშლის ხელს ანა ალექსიშვილის სიყვარულს დისტანცია და ვინ აქცია ის ჯადოქრად ............................................. 22

როგორ გადაიზარდა ლაშა ონიანისა და მისი მომავალი მეუღლის საქმიანი ურთიერთობა ცოლქმრობაში და რატომ არ უნდა შეზღუდოს არავინ მისი თავისუფლება ............................................. 23

როგორ უნდა იტვირთოს ქრისტიანმა საკუთართან ერთად სხვისი ტვირთიც და როდის იმყოფება ადამიანი ეკლესიაში მოჩვენებით მდგომარეობაში ..................... 24

ჟანლუიჯი ბუფონი – მსოფლიოს უძვირესი მეკარე და სკანდალების გმირი 26

არიელ შარონის კავშირი თბილისთან და ტრაგიზმით სავსე ცხოვრება .................... 27

სანდრა ბალოკი – 2014 წლის „ოსკარის" ფავორიტი მსახიობი .................................. 27

ვისთან ერთად შექმნა არაოფიციალური მინი-ბორდელი გივი სიხარულიძემ ამერიკაში ............................................. 30

როგორ ადამიანებს ვერ აყენებს ზიანს გარშემო მყოფთა ავი მზერა და რა სახის კორექტივები უნდა შეიტანოთ ცხოვრებაში, რომ გათვალვა აიცილოთ თავიდან .......... 32

კოსმეტოლოგის რჩევები .......................... 34

როგორ დაახოცინა სტალინმა კავკასიაში მოღვაწე ბანდებს ერთმანეთი .................... 35

შეკითხვა ასტროლოგს .............................. 36

რაში გვეხმარება პირადი რიცხვების მაგია და რისი გამოსწორებაა შესაძლებელი მათი დახმარებით .................................................. 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი .......... 45

როგორ გახდა მკლავჭიდში საქართველოს ორგზის ჩემპიონი გიგა ტაბიძე კომიკური პერსონაჟი და რატომ არ ღიზიანდება ის ქუჩაში „ჭამე, ნოდარის" დაძახებაზე ...... 47

როგორ აღმოჩნდნენ ნარკორეალიზატორების მფარველები მილიციის მაღალჩინოსნები და რატომ ყიდდნენ თბილისში „მიშიაკით" გამდიდრებულ წამალს ............................. 48

რატომ აუპატიურებდა მოძალადე მამაკაცი მუნჯ ახალგაზრდას და რით აშანტაჟებდა მას ............................................................ 49

ვეტერინარის რჩევები ............................ 50

ფლორის სამყაროში .................................. 50

ადვოკატი გირჩევთ .................................. 51

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ....... 51

ქურდული ცხოვრება ................................. 64

როგორ მივხვდეთ, რა მისია გვაკისრია დედამიწაზე, რომ ცხოვრებაში მეტ წარმატებას მივაღწიოთ და ბედნიერი ოჯახი დავეგემოთ ......................................... 68

რამ ჩააგდო გია სურამელაშვილი დეპრესიაში და ვინ შეუზღუდა მისი თავისუფლება 4 თვით ............................. 69

ვინ მოიტაცა რომის „ფეშენ-ვიქიდან" ნუკა ყარალაშვილი და როგორ მოხვდა მისი ფოტოები იტალიური „ვოგისა" და „ელ ოფისიელის" ოფიციალურ გვერდებზე .... 70

რატომ არ ენდობოდა დიდ მოურავს შაჰ-აბასი და რის გამო გაექცა გიორგი სააკაძე მასთან თავის სიძეს – ლუარსაბ მეფეს .... 72





# ყავის სერვიზის როლი გაძლომაში

## „გიტარა და ჩქარი ტაში“

მართალია, ჩვენებურ **სამომხმარებლო კალათაში სურსათის კალორიულობა მეტ-ნაკლებად მისაღებია**, თუმცა, ის, **ძირითადად, პურის, კარტოფილისა და შაქრის რაოდენობის გაზრდითაა მიღწეული**, რადგან, **ამ ჩვენს ქვეყანაში, დღიდან დამოუკიდებლობისა, მიიჩნეოდა,** რომ **პირის გემო მხოლოდ იქ, ზემოთ, მყოფებს აქვთ.**

თუმცა, **2014 წელს** სამომხმარებლო კალათაში, **პირველადი მოხმარების პროდუქტებთან ერთად, გიტარა და ყავის სერვიზიც მოხვდა** (მართლაცდა, **რა ჯობია სერვიზის ჭიქით ყავის სმას გიტარის ჰანგების ფონზე**?!).



საერთო ჯამში, **ჩვენს სამომხმარებლო კალათას 11 საქონელი დაემატა** (ზოგიც – **საჭმელი**, ზოგიც – **ნივთი და მომსახურება**): **ვერმიშელი, საქონლის ხორცის ფარში, შებოლილი ხორცი, შებოლილი თევზი, ტყემლის საწებელი, ყავის სერვიზი, ქაღალდის ხელსახოცი, საავადმყოფოს მომსახურება, ავტომობილის სათადარიგო ნაწილები, გიტარა და ხელჩანთა**. მეორე მხრივ, 4 გამოაკლდა.

როგორც **საქსტატი იუწყება** თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, **სამომხმარებლო კალათას 11 საქონელი შინამეურნეობების ხარჯების კვლევის შედეგად დაემატა**. შესაბამისად, **გამოდის, რომ საქართველოს მოქალაქეებს გიტარის გარეშე ცხოვრება რთულად თუ წარმოუდგენიათ.**

როგორც პოეტი იტყოდა: **„მე სიყვარულზე ავატირებ გიტარის სიმებს“.** ბუნებრივია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „სიყვარულში“ კეთილდღეობა იგულისხმება.

# უფასო ინტერნეტი – დედამიწისთვის

## სპეცსამსახურების ხაფანგში

მართალია, **დედამიწის მოსახლეობა,** ის ნაწილი, ვისაც ინტერნეტთან წვდომა აქვს, **დიდი სიამოვნებით მოიხმარს ტექნიკური პროგრესის ამ შესანიშნავ საშუალებას**, მაგრამ, მეორე მხრივ, **ისიც ფაქტია, რომ დედამიწელებში ეგზომ პოპულარული სოციალური ქსელები** თუ **ინტერნეტკომუნიკაციის სხვა საშუალებები მეტად უმარტივებს საქმეს დაინტერესებულ სპეცსამსახურებსა** და, **ხშირად – უბრალოდ ცნობისმოყვარე რიგითებს**. უმარტივებს, რადგან, **ადამიანები სრულიად უშურველად და დიდი მონდომებით გასცემენ ინფორმაციას საკუთარ თავზე** (რასაკვირველია, მეც, მათ შორის).



უფრო მეტიც, სულ ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ნიუ-იორკში მდებარე **ორგანიზაცია Media Development Investment Fund აპირებს**, რომ **უფასო ინტერნეტი დედამიწის ყველა მცხოვრებს მიაწოდოს**. პროექტის **განხორციელება 2015 წელს იგეგმება შემდეგნაირი სქემით: ორბიტაში ათასობით სატელიტის გაშვებით.**

შესაბამისად, **ინტერნეტით ისარგებლებენ ის ქვეყნებიც, რომლებშიც ინტერნეტზე შეზღუდვაა** (ირანი, ჩრდილოეთ კორეა და მისთანანი). იმავე ინფორმაციით, **კომპანიაში,** თურმე, **იმედოვნებენ, რომ პროექტის განსახორციელებლად, შემოწირულობის სახით, რამდენიმე მილიონ დოლარს მაინც შეაგროვებენ**. სავსებით ბუნებრივია, რომ **ტელეკომების ოპერატორები ცდილობენ პროექტის დახურვას, თუმცა,** როგორც გვაცნობებენ, **პროექტის ავტორი ასე იოლად დანებებას არ აპირებს**.

ან კი **როგორ დანებდება, როდესაც, აწ უკვე დედამიწის თითქმის ყველა მკვიდრის გაკონტროლების შესაძლებლობა იქმნება**?! ერთი სიტყვით, **სპეცსამსახურებს საქმე უიოლდებათ და უიოლდებათ**, ხოლო **დედამიწელებს ის მაინც ეცოდონებათ, რომ მარტო ველარასდროს დარჩებიან**. თუმცა, ისიცაა, **რაკი თავს ზემოთ ძალა არაა, მოვდუნდეთ და უფასო ინტერნეტით ვისიამოვნოთ**.

# კორუფცია ევროკავშირულად

## ანუ ჩემი კორუფცია შენსას სჯობია

**ევროკავშირმა ევროკავშირისავე 28 ქვეყანაში კორუფციის შესახებ კვლევა ჩაატარა** და **არცთუ სახარბიელო რამ დაადგინა**. კერძოდ, ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით, **კორუფცია გავრცელებული ყოფილა ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში** და **წლიურად ამის გამო ამ ქვეყნების ეკონომიკა 161 მილიარდ ევროს კარგავს**.



მსგავსი **კვლევა პირველია, თუმცა, ციფრი თავისთავად მოწმობს, რომ ეს მავნე ჩვევა არახალია ევროკავშირის ქვეყნებისთვის**. როგორც კვლევაშია ნათქვამი, **განსაკუთრებული პრობლემები ჰქონიათ რუმინეთსა და ბულგარეთს** (სისტემური ხასიათის კორუფცია). თუმცა, **არანაკლებ შემაშფოთებლად გამოიყურება,** რასაკვირველია, კორუფციისკენ ჩინოვნიკ-პოლიტიკოსთა მიდრეკილება, **იტალიაში, საბერძნეთში, ჩეხეთსა და ხორვატიაში**.

ამის გათვალისწინებით, **ადვილი წარმოსადგენია, კორუფციის რა მასშტაბებია ნაკლებად და არადემოკრატიულ ქვეყნებში**.

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ევროკავშირელი პოლიტიკოსები ფრიად გულგრილად შეხვდნენ ამ ჩვენს ყოფილ მაღალჩინოსანთა დაპატიმრებებსა** და **მათ წინააღმდეგ საქმის აღძვრას საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის გამო** და, ამ ფაქტს მაინცდამაინც პოლიტიკურ დევნას უკავშირებდნენ (თუმცა ამ ბოლო დროს, პოლიტიკური დევნის გამო შენიშვნები აშკარად შესუსტდა), **ამ კვლევამ მათ გულგრილობას ნათელი მოჰფინა**: ელიტურ **კორუფციასთან მწყრალად არც თავად ყოფილან.**


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com;
tbiliselebi2001@yahoo.com

# ძველი სცენარი

## „ჩვენ ორნი ვართ... ასოცირებაში“

ისე მოხდა, რომ **ევროკავშირთან აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამას ორნიღა შემორჩით**: ჩვენ და მოლდოვა. რაკი ამასობაში **არც რფ-ს სძინავს, საბაჟო კავშირის იდეას გაცხოველებით ასხამს ხორცს**: ბელორუსია და ყაზახეთი ისედაც ჰყავდა დაბევებული; **უკრაინასთან ჭიდაობს**, **სომხეთი უკვე დაითანხმა,** ხოლო **აზერბაიჯანის პრეზიდენტმა** სულ ახლახან დავოსის ფორუმზე **განაცხადა, რომ, არც საბაჟო კავშირში გაწევრიანება სურს და არც ევროკავშირთან ასოცირება**, ორივესთან **ყოველგვარი ხელმოწერების გარეშეც მშვენივრად ითანამშრომლებს.**




ამ ყოველივეს მოლდოვასა და საქართველოსთვის, წესით, ფორა უნდა მიეცა, თუმცა, **ევროკავშირმა ხელმოწერის ვადა მხოლოდ ორიოდე თვით გადმოსწია**, აგვისტომდე კი, შესაძლოა, სულაც, მეორედ მოსვლა დაიწყოს.

მით უფრო, რომ **მოლდოვისთვის ის თითქმის დაწყებულია**. თითქოს **დნესტრისპირეთის თვითაღიარებული ავტონომია არ ეყოფოდა**, გასულ კვირას მის **კიდევ ერთ ავტონომიურ წარმონაქმნში** – გაგაუზიაში – **რეფერენდუმი ჩატარდა. მისმა მონაწილეებმა** (გაგაუზიის ამომრჩეველთა 70-მა პროცენტმა) **მხარი ავტონომიის საბაჟო კავშირში გაწევრიანებას დაუჭირეს**. სახელდობრ, ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: **98,47 პროცენტს გული მოსკოვისკენ მიუწევს** და **მხოლოდ დანარჩენს – ბრიუსელისკენ**.

უფრო მეტიც, **რეფერენდუმში მონაწილეთა 98,09 პროცენტმა მხარი დაუჭირა მოსაზრებას**, რომ მოლდოვას მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემთხვევაში, **გამოიყენონ თვითგამორკვევის უფლება**. ბუნებრივია, **მოლდოვას ცენტრალური ხელისუფლება რეფერენდუმსა და მის შედეგებსაც უკანონოდ მიიჩნევს**, თუმცა, ბოლო 20-წლიანი ისტორიის გათვალისწინებით, **პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეებმა ვიცით, რით მთავრდება ხოლმე ავტონომიების ასეთი თვითნებობა და ვისი იმედით.**

მეორე მხრივ, აშკარაა, რომ **რფ სცენარებს არ ცვლის** (ვითომ, გონებაჩლუნგები ვგონივართ? ან, იქნებ, ვართ?!). შესაბამისად, **უდავოა, პრ. პუტინს „ზაგატოვკები“ ჩვენთვისაც ექნება გამზადებული.** საკითხავი მხოლოდ ისაა, არის **თუ არა მზად პრევენციისთვის ჩვენი პოლიტიკურ-სამთავრობო სპექტრი?!**

# გასასაღებელი მომწიფებულები

## მწიფე ხილი „ნატოსია“?!

შესაძლოა, რაკი, **თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდება**, იმასაც მოვესწარით, რომ **მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის გამსვლა „ნაცმოძრაობამ“ უკიდურესად უარყოფითად შეაფასა**, ხოლო **საქართველოში აშშ-ს ელჩმა ნორლანდმა – უკიდურესად დადებითად.**



უფრო მეტიც, ამ ჩვენს **პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე „ნატოს“ გენმდივანმა განაცხადა**, რომ, ჯერ ერთი, „**საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა**“ და, მეორე – „ჩვენ **ვხედავთ უფრო მეტად მომწიფებულ დემოკრატიას საქართველოში** თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.“

ბუნებრივია, ბ-ნმა **რასმუსენმა ჩვენ მიერ ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში შეტანილი წვლილიც ახსენა** და ისიც, რომ **მას 2015 წლიდანაც შევიტანთ „ნატოს“ სწრაფი რეაგირების ძალებში.**

მოკლედ რომ ვთქვა, **დაგვაიმედა, რომ ჩვენ გვერდით დგანან** და **ყველანაირად დაგვეხმარებიან „ნატოს“ სტანდარტების მიღწევაში,** ოღონდ, **განა „ნატოში“ გასაწევრიანებლად,** „რათა ისინი (ანუ, საქართველოს შეიარაღებული ძალები) **შესაბამისად მომზადებული შეხვდნენ თქვენი ქვეყნის წინაშე არსებულ ნებისმიერ შესაძლო საფრთხეს.**“

მე არ ვიცი, **კონკრეტულად რა საფრთხის განეიტრალება იგულისხმა** ბ-ნმა **რასმუსენმა ზემომოყვანილ ციტატაში**, თუმცა, თუ მის **იმ გამონათქვამს გავიხსენებთ, ჩვენი დემოკრატიის უფრო მომწიფებულობის შესახებ**, თუ დროზე არ მიგვიღეს, შესაძლოა, **ისე გადავმწიფდეთ, რომ ვერც გავსაღდეთ?!**

**გვერდები მოამზადა ნინო ხაჩიძემ**

# განგაშისა და რისხვის დამზანზარებელნი

## ხმამაღლა დაწერილი რჩევები

ბევრი სჯა-ბაასის მიუხედავად, ქართველი სპორტსმენები უკვე სოჭის ოლიმპიადაზე არიან და, ისიც ცნობილია, რომ **საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ოლიმპიადას არ ესწრება**. თუმცა, ბ-ნმა **ნორლანდმა**, ყოველი შემთხვევისთვის, **შეგვახსენა, რომ აშშ თავის სამთავრობო დელეგაციას გზავნის**, რასაც **ჩვენ გაგებით მოვეკიდეთ**: რფ-ს **არა აშშ-ს, არამედ, ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული.**



თუმცა, **„ნაცმოძრაოელებმა“ სოციალურ ქსელებში ნამდვილი ქარიშხალი დაატრიალეს**: აქეთ – ქ-ნი **ჩიორა თაქთაქიშვილი არისხებდა განგაშისა და აღშფოთების ზარებს**, იქით – ქ-ნი **მარიამ ჯანაშია გამოსცემდა იმავე ტონალობის ექოს.**

სახელდობრ, ქ-ნი **თაქთაქიშვილის რისხვა ისეთ სიმაღლეებს მისწვდა**, რომ, საერთოდაც, **უარი თქვა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილე სპორტსმენებზე** (მომყავს ციტატა: **„ჩემთვის აღარ არსებობენ ეს სპოტსმენები, როგორც საქართველოს მოქალაქეები. არ მაინტერესებს პოლიტკორექტულობა!**“ არ აინტერესებს და მოკალი – **ამ ეტაპზე მისთვის პოლიტიკოსის მხოლოდ ხელფასი და პრივილეგიებია**, ალბათ, **საკმარისი**).

იქვე **შეგონებებსაც არ იშურებს:** „შეეძლოთ, ერთი, **პრინციპული გადაწყვეტილებით, ისტორიაში ღირსეული სახელების გვერდით შესულიყვნენ და არა მოღალატეების** (მართალია, ეს სტრიქონები **ცოტა ხმამაღლაა დაწერილი,** რადგან, ქ-ნი თაქთაქიშვილს გარანტირებული აქვს ისტორიაში მოხვედრა, თუნდაც, მხოლოდ ეგრეთ წოდებული გორის კადრებისა და ერთი საქართველოს ტერიტორიაზე სამი პრეზიდენტის გახერხების წყალობით).“

მეორე მხრივ, ქ-ნი **საჯაია** ქ-ნი **თაქთაქიშვილის მიერ მოღალატეებად შერაცხილებს რეცეპტსაც სთავაზობს:** „საქართველოს ოლიმპიური ნაკრები პროტესტით უნდა წამოსულიყო ოლიმპიადიდან... თუკი ოდნავ მაინც გვინდა ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყანა, ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადავდგათ!“ – ამბობს გულმხურვალედ **დეპუტატისხელფასშენარჩუნებული** და **ოკეანისგაღმა სასწავლებლად წასული ხალხის რჩეული მარიამ საჯაია,** რომლის გამოც **ყოფილმა პრეზიდენტმა კანონიც კი შეცვალა, რათა 21 წლის** ქ-ნი **საჯაია კანონშემოქმედებით ორგანოში მოეხვედრებინა.**



თუ გავითვალისწინებთ, რომ **სპორტსმენთა შემოსავლის წყარო სწორედ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება**, ფრიად **დამაჯერებელი იქნებოდა,** თუ **ზემომოყვანილი ქალბატონები** (როგორც ლიტერატურის მოყვარული კაცი იტყოდა, **იერით – „გავძეხი“), რჩევებს სხვა რამესაც გამოაყოლებდნენ.**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**რუსეთში ჯავახეთის დიასპორის პრეზიდენტმა აბასი არაბიანმა სულ ახლახან სომხურ ინტერნეტგამოცემას ინტერვიუ მისცა (სტატიის სათაურია: „ქართული ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია ღალატი“), რომელშიც არ დაუმალავს საკუთარი უკმაყოფილება საქართველოს არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკით. ინფორმაციის პირველწყაროდან მიღების მიზნით, დავუკავშირდით აგასი არაბიანს, რომ უშუალოდ მისგან მოგვესმინა მისი პრეტენზიებიც და ამ პრეტენზიების საფუძვლიანობაც. მანამდე კი გეტყვით, რომ აგასი არაბიანი ქალაქ ახალციხეში დაიბადა, თუმცა უმაღლესი სასწავლებელი ერევანში დაამთავრა, როგორც თავად გვითხრა, იმ უბრალო მიზეზით, რომ მისთვის სასურველ სპეციალობას თბილისის არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ ასწავლიდნენ.**

# რატომ შეიქმნა რუსეთში ჯავახეთის დიასპორა და რა მოთხოვნები და შეთავაზებები აქვს მის პრეზიდენტს, აგასი არაბიანს, საქართველოს ხელისუფლებისადმი

**– საქართველოდან წახვედით საცხოვრებლად რუსეთში. რატომ არ წახვედით სომხეთში?**

– სომხეთში ჩემს ნათესავებს არ ჰქონდათ შესაფერისი პირობები. ნათესავებთან კი, რომლებიც ცხოვრობდნენ როსტოვში, იყო პირობები, სადაც შემეძლო ცხოვრება. ჩემი საკუთრება გროშებად გავყიდე ახალციხეში, ზოგი გავაჩუქე და რუსეთში ჩამოვედი საცხოვრებლად, მაგრამ მე იმიტომ არ ვეწევი საზოგადოებრივ აქტივობას, რომ ნაწყენი ვარ საქართველოზე.

**– თუმცა თქვენი ინტერვიუებით მე ვერ ვიტყოდი, რომ თქვენ არ ხართ ნაწყენი ჩვენზე. თქვენს ორგანიზაციას აქვს უცნაური სახელწოდება – „ჯავახეთის დიასპორა რუსეთში“. რუსეთი რა შუაშია ჯავახეთთან?**

– აგიხსნით. ჩვენ ვართ ჯავახეთიდან.

**– მე მგონია, რომ თქვენ საქართველოდან ხართ წარმოშობით.**

– ყველამ იცის, რომ სამცხე-ჯავახეთი საქართველოა და ჩვენ ამას არ ვმალავთ. ტერიტორიულად ამ მხარეს ჰქვია ჯავახეთი და, რადგან ვცხოვრობთ ჯავახეთის, საქართველოს გარეთ, ესე იგი, ჯავახეთის დიასპორაა და, იმიტომ რუსეთი, რომ ვართ რუსეთში.



იმისთვის, რომ დაგვემშვიდებინა ჯავახელები საქართველოს დასავლური არჩევნის გამო, მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, განეხილა ჩვენი მხარისთვის ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭება

**– მხოლოდ ეთნიკური სომხები არიან თქვენი ორგანიზაციის წევრები?**

– არა, ჩვენს ორგანიზაციაში გვყავს ქართველებიც, ბერძნებიც, ებრაელებიც, რომლებიც წარმოშობით სამცხე-ჯავახეთიდან არიან.

**– რა არის თქვენი ორგანიზაციის მიზანი და ფუნქცია?**

– ჩვენ გვაქვს წესდება, რომელშიც ჩამოწერილია ჩვენი მიზნები. ორგანიზაცია კი 2008 წელს შეიქმნა, როდესაც დაიწყო რეპრესიები სამცხე-ჯავახეთში და ყველა სომეხი აქტივისტის დაჭერები.

**– თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ ყველა ეთნიკურ სომეხს დაერივნენ საქართველოში 2008 წელს, რაშიც ვერ დაგეთანხმებით, ამიტომ ვაზუსტებ: ვისი, თქვენი აქტივისტების?**

– საქართველოში იყო პოლიციურ-ავტორიტარული რეჟიმი და როდესაც დაიწყეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სომეხი აქტივისტების დაჭერა, ადამიანები მოგვმართავდნენ დახმარების თხოვნით, იმიტომ რომ, საქართველოს ხელისუფლება თავხედურად იქცეოდა. მაგალითად, ახალციხეში დააპატიმრეს შარლ აზნავურის სახელობის საქველმოქმედო ორგანიზაციის თავმჯდომარე და სომხეთის ახალგაზრდულ ცენტ „ახალციხის“ ხელმძღვანელი. 4-5 თვე ჰყავდათ დაკავებული, როგორც რუსეთის აგენტი.

**– ძალიან ბევრი საქართველოს მოქალაქე იჯდა რუსეთის აგენტობის ბრალდებით და არა მხოლოდ ეთნიკური სომხები.**

– დაიწყეს ნაცუმცირესობების ლიდერების მასობრივი დაჭერები. საქართველოში არ იყო სამართალი და ადამიანებს იჭერდნენ ნაციონალური ნიშნით.

**– სამართლიანობა რომ არ იყო, გეთანხმებით, მაგრამ ნაციონალობის გამო დაჭერებზე – ვერა. ძალიან ბევრი ქართველი დაიჭირეს იმ წლებში.**

– მაშინაც რუსეთის „დუმაში“ ვმუშაობდი, ახლაც მრჩეველი ვარ და არ ვმალავ, მქონდა და მაქვს ბერკეტები, გამოვიყენე ჩემი შესაძლებლობები და ეს საკითხები დავაყენე ადამიანის უფლებების ევროკომისრებთან; მივმართეთ უფლებადამცველ ორგანიზაციებს და შევძელით უკანონოდ დაპატიმრებული ორი ახალციხელის გამოშვება. მაგრამ ისინი გამოუშვეს ხელწერილით, რომ არავისთვის არაფერი ეთქვათ. მათ ციხეში აჩვენეს სიცოცხლე და სიკვდილი.

**– ახალს არაფერს ამბობთ: ციხეებს შეეწირა, ფაქტობრივად, ძველი ხელისუფლება. იმ ციხეში ძალადობისას ადამიანებს არ ასხვავებდნენ ეთნიკური ნიშნით.**

– ჩვენი ორგანიზაციის შექმნის პირველი მიზეზი იყო ის, რომ დაიწყო ჩვენი ეროვნების ხალხის რეპრესიები. მეორე ტალღა დაიწყო ომის შემდეგ – საქართველოს ხელისუფლებამ გაავრცელა ხმები, რომ სომხეთიდან აფრენილი თვითმფრინავებით იბომბებოდა საქართველოს ტერიტორია, არადა, ჯავახელმა სომხებმა მიიღეს და ყველანაირად შეუწყვეს ხელი ქართველ დევნილებს.

**– რა თქმა უნდა, ჩვენ ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ.**

– მესამე მიზეზია ის, რომ ვხედავთ, როგორი სიძულვილით ლაპარაკობენ ახალგაზრდები სომხებზე. მონიტორინგს ვატარებთ და ვიცით, როგორი უარყოფითი დამოკიდებულებაა, სომხებთან კონტაქტი არ ჰქონიათ და მაინც სძულთ.

**– საქართველოში არსებობს, ვითომ, ისეთი ქართველი, სომეხი რომ არ უნახავს? მე არ შემიმჩნევია ქართველი ახალგაზრდებისთვის ეს სიძულვილი.**

– მიაქციეთ ყურადღება, რომ ჯავახელი სომხებისგან კეთილი და თბილი სიტყვების გარდა არაფერი ისმის.

**– მე წავიკითხე თქვენი ინტერვიუ, რომელშიც წერთ: ქართული ხელისუფლებები ყველას ღალატობს, საქართველოში ყველაფერს წყვეტს ფული, ბიძინა ივანიშვილმა ფულით იყიდა ქართველები. არ ფიქრობთ, რომ ამით შეურაცხყოფას აყენებთ საქართველოს ამომრჩეველს? მან ძალიან გარისკა პირველი ოქტომბრის არჩევნებში, თქვენ კი მათ „ფულზე გაყიდულებს” უწოდებთ.**

– ჩემი აზრით, ივანიშვილი არ არის საქართველოს პოლიტიკური ლიდერი. მილიარდერი რომ არ ყოფილიყო, მას ხალხი არ გაჰყვებოდა. მას არასდროს მიუღია მონაწილეობა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაშინ, როდესაც არიან ლიდერები, რომლებმაც თავი შესწირეს პატრიოტულ მოძრაობას. ისინი ნამდვილი ლიდერები არიან, ივანიშვილი კი არ არის ლიდერი, მას უბრალოდ, აქვს ფული.

**– ვის გულისხმობთ თავგანწირულ ქართველ ლიდერებში, რომლებიც, თქვენი აზრით, იმსახურებენ ქვეყნის პირველ პირობას?**

– ეს გადაწყვიტოს ქართველმა ხალხმა.

**– ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა და თქვენ არ მოგწონთ მისი არჩევანი.**

– მე ჩემს აზრს გეტყვით: დღევანდელ დღეზე არ შემიძლია თქმა, ვინ არის ლიდერი, ის საქართველოს მოსახლეობამ უნდა აირჩიოს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს ნამდვილად დემოკრატიული ღირებულებები. გავიმ-


## მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

*კოლხი ნათია ბავშვობიდან ხალხური მედიცინით კურნავს ხალხს. მას შეუძლია გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა, დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების გაცემა. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე და არაერთხელ.*

*ქალბატონი ნათია ხალხური მედიცინით ებრძვის ნაოჭებს. გარდა ამისა, სხეულის გაჯანსაღება და გაახალგაზრდავებაც შეუძლია ყოველგვარი წამლის გარეშე.*



**ელენე თორდია** *(47 წლის, თბილისი):* ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვერ ვთხოვდებოდი, მას შემდეგ, რაც დაქალმა მიმიყვანა ნათიასთან, მან წამიკითხა ლოცვები, აურა გამისუფთავა, ბედიც გამეხსნა და ერთ წელიწადში გავთხოვდი. გამიკეთა დამცავი თილისმა, რომელიც მუდმივია. ახლა 2 შვილის დედა ვარ. ულრმესი მადლობა მას.

**ოთარ ნ-ძე** *(62 წლის, მცხეთა):* 3 წლის წინ დავქვრივდი, დარდმა ბოლო მომიღო, ჩამივარდა აწყობილი ბიზნესი. შვილები ამერიკაში მყავს. შემთხვევით „თბილისელებში“ ვნახე კოლხი ნათიას სტატია და მაშინვე მოვედი. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ნელ-ნელა მისი ლოცვის შემდეგ ფეხზე წამოვდექი, ჩემს ასაკში ცოლი შევირთე, ბიზნესიც ავაწყვე... დიდ მადლობას ვუხდი მას.

**ირმა შ-შვილი** *(31 წლის, თბილისი):* ნაღველი მაწუხებდა, ჯანმრთელობის პრობლემას ოჯახურიც დაემატა, ქმარმა მიმატოვა – 20 წლის გოგონას გამო. დავრჩი 2 შვილით უმუშევარი, ცარიელ-ტარიელი. დაქალმა მიმიყვანა კოლხ ნათიასთან და როგორც კი თილისმა გამიკეთა, მას მერე დაიწყო პრობლემებმა მოგვარება, ქმარიც მალევე დამიბრუნდა ***(იცინის).*** ახლა ნიუ-იორკში ვარ და აქედან ვუკავშირდები ხოლმე ნათიას, როცა დახმარება მჭირდება.

***ანონიმურობა დაცულია.***

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

ეორებ: ივანიშვილი რომ მდიდარი არ ყოფილიყო, ვერ გაიმარჯვებდა; მეორე მომენტი – რომელიმე ქვეყანაში გინახავთ, მდიდარ კაცს ეთქვას, ეს იქნება პრეზიდენტი და ხალხსაც მიეცა ხმა?! ეს მხოლოდ ბანანის რესპუბლიკაში თუ მოხდება.

**– რუსეთში არის დემოკრატია, როდესაც პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი ცვლიან პერიოდულად სავარძლებს? თქვენი აზრით, ასეთია ნამდვილი დემოკრატია?**

– რუსეთზე არ ვლაპარაკობთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ის, რაც მოხდა საქართველოში, არის სამარცხვინო. დღეს საქართველოში არ არის ნამდვილი პრემიერი და პრეზიდენტი, მე იმიტომ არ ვამბობ, რომ მიხარია. პირიქით, გული მტკივა.

**– ისევ თქვენს გამონათქვამებს დავუბრუნდები: თქვენ ამბობთ, რომ ახალქალაქიდან რუსეთის ბაზის გაყვანამ ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ იმ ბაზის იქ ყოფნა ეწინაამღეგებოდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესს. არ ფიქრობთ, რომ რუსულ სამხედრო ბაზაზე აპელირება ქართული პოლიტიკის საწინააღმდეგოა?**

– ჩემი გამონათქვამი სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს გაგებული. იმ ბაზაზე მუშაობდა 1 000-ზე მეტი ადგილობრივი ეთნიკური სომეხი. მეტიც, ბაზისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ყიდულობდნენ ადგილობრივებისგან.

**– რუსეთის ბაზა ხომ წარმოუდგენელია დაბრუნდეს ჯავახეთში, რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები. ამაზე ლაპარაკი მისაღებია?**

– ჩემს ინტერვიუში მე ეკონომიკურ საკითხზე ვლაპარაკობდი, თქვენ რატომ იღებთ პოლიტიკურ მხარეს?!

**– იმიტომ, რომ საქართველოსთვის ახალქალაქის რუსულ ბაზას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა.**

– მე კი ვამბობ იმას, რომ იმ ბაზის გაყვანის შემდეგ ადამიანებს არ აქვთ სამუშაო, ამიტომ, იძულებულები არიან, დატოვონ ჯავახეთი. როდესაც ბაზა გადიოდა, იმდროინდელი პრეზიდენტი, მისი გვარის ხსენებაც არ მინდა, დაჰპირდა ჯავახელებს, რომ შეუქმნიდა სამუშაო ადგილებს და ქართული ჯარისთვის შეისყიდიდა მათგან სოფლის მეურნეობის პროდუქციას, მაგრამ, არაფერი გაუკეთებია. თურქეთიდან დაიწყეს პროდუქციის შესყიდვა და ჯავახეთის მოსახლეობა უფრო ღარიბი გახდა.

**– სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქციის გასაღება მხოლოდ ჯავახელების პრობლემა არ არის, ეს მთელი საქართველოს პრობლემაა.**

– მე მინდა, რომ ჩემმა ხალხმაც ისე იცხოვროს სამცხე-ჯავახეთში, როგორც ცხოვრობს ქართველი ხალხი.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში ქართველი და სომეხი მოქალაქეების ცხოვრების დონე განსხვავდება?**

– ერთ მაგალითს მოგიტანთ: სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე წელია, გამოდის ორენოვანი გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“, რომელიც აშუქებს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს ქართულად და სომხურად, მაგრამ ახლახან გაზეთის სომხური ნაწილი დაიხურა და დარჩა მხოლოდ ქართული.

**– ვინ დახურა?**

– დაიხურა ფინანსების არარსებობის გამო.

**– ვინ აფინანსებდა?**

– როგორც ჩემთვისაა ცნობილი, უცხოეთიდან ფინანსდებოდა. რატომ დაიხურა სომხური ნაწილი?

**– დამფინანსებელს უნდა ვკითხოთ, რატომ შეამცირა დაფინანსება.**

– საქართველო დასავლეთისკენ მიდის და ეს საქართველოს არჩევანია, თუმცა, მეორე მხრივ, უბრალო ქართველი ხალხი სხვადასხვა ევროპულ ღირებულებებს მტკივნეულად აღიქვამს, იქნება ეს ერთსქესიანი ქორწინებები, სექტები და ასე შემდეგ. მაგრამ ვინ მისცემს გარანტიას ჩვენს ხალხს, რომ ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ თვითმყოფადობას?!

**– ევროპა ის ადგილია, სადაც გარანტირებულია ადამიანის უფლებები.**

– ბოლომდე ვიტყვი: ჩვენ ვიცით საქართველოს ხელისუფლების განწყობები, მათ სურთ „ნატოში“…

**– არა მარტო მათ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანია ასეთი და ეს მათი პრობლემაა.**

– ჩვენ ვიცით ხალხის განწყობაც, რომლებიც შეშფოთებულები არიან იმით, რომ ევროპა მოითხოვს იმ ღირებულებების გადახედვას, რაც ჩვენს მენტალიტეტში არ არის. იმისთვის, რომ დაგვემშვიდებინა ხალხი, მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, განეხილა ჩვენი მხარისთვის ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭება. ეს არ ნიშნავს ტერიტორიულ გამოყოფას, ეს ეხება კულტურასა და ენას. ვერც კი მოვასწარით ამ წინადადებით გამოსვლა, რომ თავს დაგვესხნენ ქართული და აზერბაიჯანული მედია-საშუალებები, რომ ვართ სეპარატისტები და გვინდა საქართველოსგან გამოყოფა.

**– როგორც მივხვდით, კულტურულ ავტონომიას ითხოვთ, რომ თქვენს მენტალიტეტთან შეუთავსებელი ღირებულებებისგან დაიცვათ თავი, თუკი საქართველო მიდის ევროკავშირისა და „ნატოსკენ“. თუ არ მიდის, ძალაში რჩება კულტურული ავტონომიის მოთხოვნა?**

**თბილისში არ არის სომეხი, რომელმაც არ იცის ქართული; იგივე შემიძლია, ვთქვა ახალციხეზეც. მაშინ რატომ არ არიან სომხები მინისტრები?! პარლამენტში სულ სამი სომეხია, ისიც გაურკვეველია, საიდან**

– დიახ, ძალაში რჩება. მინდა, აქცენტები სწორად დასვათ: ჩვენ არ ვითხოვთ, ჩვენ ვთხოვთ. აქ ლაპარაკია იმ ნაციონალური უმცირესობის უფლებების დაცვაზე, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე. ნინო, ძალიან მინდა, რომ საქართველოს მთავრობამდე მიიტანოთ ჩემი აზრი: ჩვენი გაერთიანების მიზანი არ არის საქართველოს დაშლა, ნაციონალური კონფლიქტი; მეორე, ჩვენ, როგორც დიდ ორგანიზაციას, დღეს რუსეთში არანაკლებ 35 000 ჯავახელი სომეხი ცხოვრობს, გვაქვს გარკვეული გავლენა და გვინდა, რომ ანგარიში გაგვიწიონ. ვცდილობდით, მოგვეძებნა კონსენსუსი, შევხვედროდით ერთმანეთს სომხეთში, რუსეთში და მრგვალ მაგიდასთან გვემსჯელა მწვავე საკითხებზე, რაც არსებობს სამცხე-ჯავახეთში.

**– სომხური გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობთ, რომ საქართველოში დასაქმების საშუალება აქვს მხოლოდ ტიტულოვან ნაციას, ქართველს. სომხებს ეთნიკური ნიშნით არ ნიშნავენ და სახელმწიფო ენის არცოდნა მოგონილი მიზეზიაო. ენა იციან და არ ნიშნავენ თუ ფიქრობთ, რომ მოქალაქემ არ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა?**

– იმისთვის, რომ ჩემი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდეთ, ადით ჯავახეთში და ნახავთ, რომ, მაგალითად, პატრულში სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ქართველები არიან, ერთი სომეხი თუ იქნება.

**– მე სხვა რამეს გეკითხებით. თქვენ ხომ მოსკოვში ცხოვრობთ, შეძლებდით სახელმწიფო სამსახურში დასაქმებას, რუსული ენა რომ არ გცოდნოდათ?**

– რა თქმა უნდა, არა. თბილისში არ არის სომეხი, რომელმაც არ იცის ქართული, იგივე შემიძლია, ვთქვა ახალციხეზეც; მაშინ რატომ არ არიან სომხები მინისტრები?! პარლამენტი სულ სამი სომეხია.

**– რამდენ რაიონშიც არის უმეტესობა ეთნიკურად სომეხი ამომრჩეველი, ისინი მაჟორიტარად ირჩევენ ეთნიკურად სომეხ დეპუტატს. ეს ლოგიკურია.**

– რატომ არის მხოლოდ სამი ადამიანი?! სტატისტიკით, სომხური მოსახლეობა 5 პროცენტზე მეტია, ესე იგი, 7-8 ადამიანი მაინც უნდა იყოს პარლამენტში. სამცხე-ჯავახეთში სომეხი მოსახლეობის 52 პროცენტია სომეხი და რატომ არის გუბერნატორი ქართველი?!

**– მე თუ მომისჯიან, თორემ არც მინისტრობა მინდა, არც გუბერნატორობა და არც პარლამენტარობა. შეიძლება, ისინიც ჩემსავით ფიქრობენ?**

– პროკურორებიც სულ ქართველები არიან, მოსამართლეებიც და მათი დიდი ნაწილი არ არის ადგილობრივი ქართველი. ჩამოჰყავთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან.

**– მე არ ვიცი, არის თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები: მოსამართლესა და პროკურორს სათანადო ცოდნა სჭირდებათ. უნდა ინახოს, საქართველოს ეროვნებით სომეხი რამდენი მოქალაქე ამთავრებს, თუნდაც, იურიდიულ ფაკულტეტს. კვოტები ხომ არ იქნება გამოყოფილი, როგორც საბჭოთა დროს იყო. თორემ, რა თქმა უნდა, ცუდია, თუ ვინმე იჩაგრება.**

– წელიწად-ნახევრის წინათ შევხვდი 5 მილიონერს, წარმოშობით სამცხე-ჯავახეთიდან. მითხრეს, ჩვენ მზად ვართ, ჩავდოთ ინვესტიციები ჯავახეთშიო. სწორედ ამ დროს მოვიდა ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი. სომხეთის საელჩოში ახლობლები მყავს, მათ ვთხოვე, მოეწყოთ შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა მისი ერევანში ვიზიტის დროს, სულ 5-10 წუთი მჭირდებოდა, მაგრამ შეხვედრა ვერ შედგა. ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, იცოდეთ, რომ მე ყოველთვის ვეძებ გზებს.

**ნინო ხაჩიძე**

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“
2 364485, www.cancer.ge

**რაკი სავალუტო ჯიხურებსა თუ ბანკებში ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში საქართველოს მოქალაქეებს გულს საკმაოდ უშფოთებს, ერთი მხრივ, დამშვიდების, მეორე მხრივ კი, ვითარების ობიექტურად შესაფასებლად, ეროვნული ბანკის საიტს ვეწვიეთ და გავარკვიეთ, რომ ჩვენს ლარს ამაზე უარესებიც გადაუტანია. მაგალითად, 2010 წლის თებერვალში ერთი აშშ დოლარი, საშუალოდ, 1,7255 ლარი ღირდა, მაისში – 1,78, ხოლო ივნისში, საერთოდაც – 1,85, თუმცა, 2010 წლისავე ოქტომბერში 1,7935-მდე ჩამოქვეითებულა. 2011 წლის იანვარში 1 დოლარი 1,7959 ლარი დაგიჯდებოდათ, ხოლო თებერვალში – 1, 776. საგულისხმოა, რომ 2011 წლის აპრილიდან ლარი დოლართან მიმართებაში გამყარდა და ამ მიმართებას 2013 წლის ოქტომბრის ჩათვლით ინარჩუნებდა. რა ფაქტორებმა გამოიწვია ლარის გაუფასურება, ვისი ინტერესი შეიძლებოდა ყოფილიყო ეროვნული ვალუტის დაცემა და რატომ არ ჩაერია ეროვნული ბანკი ჩვეულებისამებრ აქტიურად ამ პროცესის დასარეგულირებლად? – თემას ემზარ ჯგერენაიასთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ არის მოსალოდნელი ლარის კურსის ვარდნა თებერვალში და რატომ ეძებენ ჩინეთის მოქალაქეები იაფფასიან სამუშაოს საქართველოში



იმის კლასიკური მაგალითი, ვალები ბევრი ჰქონდეს და ეკონომიკა ვითარდებოდეს, არის ევროპის ბევრი ქვეყანა, იაპონია. ეს შესაძლებელია, გააჩნია, როგორ მართავ

**– ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ, რომ გასულ წელს ორჯერ მეტი ლარი გამოუშვა მიმოქცევაში ეროვნულმა ბანკმა, თუმცა, ინფლაციით ერთგვარად იხეირა საქართველოს ბიუჯეტმა, რადგან, ლარის გაუფასურებამ მისი გარღვევა შეამცირა. ვინ არიან ლარის გაუფასურებით მოგებული მხარეები?**

– პირველი ძირითადი მიზეზი, რამაც გამოიწვია ლარის კურსის ცვალებადობა, არის ლარის დიდი რაოდენობით გამოსვლა ბაზარზე. 2013 წელს, პირველი 9 თვის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტრო იღებდა უფრო მეტს ეკონომიკიდან, ვიდრე ხარჯავდა, ხოლო ბოლო ორ თვეს, ნოემბერიდან, დაიწყო ეკონომიკის წახალისება და 7 პროცენტამდე ავიდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. რა თქმა უნდა, ამან მეტი ფულის მასის გამოსვლა გამოიწვია მიმოქცევაში, რამაც გავლენა მოახდინა ლარის კურსზე.

**– წინასწარ ხომ შეიძლებოდა იმის განსაზღვრა, რომ ფულის მასის გაზრდას საგრძნობი ინფლაცია მოჰყვებოდა. არ იყო შესაძლებელი ამის თავიდან აცილება?**

– უნდა გამოსულიყო მეტი ოდენობის ლარი ბრუნვაში, რადგან, თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ეკონომიკის ზრდა შეფერხდა 2,5 პროცენტამდე და მას სჭირდებოდა წახალისება, მით უმეტეს, რომ დეფლაცია გრძელდებოდა 9-10 თვის განმავლობაში, რაც, ასევე, მავნებელია, უნდა მომხდარიყო წახალისება. თუ ჩვენ ვაკრიტიკებდით მთავრობას, რადგან, მხოლოდ სოციალურ მიმართულებებს აფინანსებდა ბიუჯეტი, წლის ბოლოსთვის მათ დააფინანსეს კაპიტალური ხარჯები, ამიტომ, ეკონომიკაც გაიზარდა, დეფლაცია ინფლაციით შეიცვალა და, ბუნებრივია, ლარის რაოდენობაც გაიზარდა მიმოქცევაში. შეიძლებოდა თუ არა ამის სხვანაირად გაკეთება? რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, თანაბრად განაწილებულიყო ლარის მიმოქცევაში დამატება და მაშინ ასეთი ვარდნა არ იქნებოდა.

**– რა გამოდის, ასე ყოველ წელს, გასულ წელზე ორჯერ მეტი ლარი გამოვა მიმოქცევაში წლის ბოლოს და ეს სწრაფი ინფლაცია დაუსრულებლად გაგრძელდება?**

– ინფლაცია დაუსრულებელი პროცესია და, სანამ კაცობრიობა იარსებებს, ინფლაციაც იქნება. ლაპარაკია მის რეგულირებაზე. ეროვნულმა ბანკმა ნახა რა, რომ ეკონომიკა არ იზრდებოდა და დეფლაციური პროცესები იყო, საორიცხვო საპროცენტო განაკვეთი ბანკებისთვის დასწია 3,75 პროცენტამდე, აბსოლუტურ მინიმუმამდე, რაც კი საქართველოში ოდესმე ყოფილა. ამით დამატებითი ფული გაუჩნდათ ბანკებს და ესეც იყო ბაზარზე ფულის მასის გაზრდის ერთ-ერთი მიზეზი. შემდეგი იყო ეროვნულ ვალუტაზე ნოემბრისა და დეკემბრის სეზონური ზეწოლა. ამ ყველაფერს დაემატა პანიკის მომენტი: იმპორტიორები და დიდი კომპანიები, რომლებიც ყოვლთვიურად ყიდულობენ ვალუტას, თუ ადრე ყიდულობდნენ რბილად, დროში გაწელილად, ახლა, როგორც კი თანხას ამოიღებდნენ, მაშინვე ვალუტას იძენდნენ. ამან გააჩინა სპეკულაციური მოთხოვნა დოლარზე.

**– გამოითქვა მოსაზრება, რომ, ამა თუ იმ ბანკს, მაგალითად, „ვი თი ბი" ბანკს, რადგან რუსული საბანკო სისტემის სიტემის წარმომადგენელია, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ინფლაციაზე.**

– ეს გამორიცხულია რამდენიმე მომენტის გამო: ჯერ ერთი, ეროვნული ბანკი ყოველ წუთს აკონტროლებს ბანკებს, რომ რამე სპეკულაციაში არ ჩაერთონ ეროვნული ბანკის წინააღმდეგ. ეროვნული ბანკი აკონტროლებს, რომ არც ერთმა ბანკმა არ გამოიტანოს ბაზარზე საჭიროზე მეტი ეროვნული ვალუტა; მეორეც – „ვი თი ბი" ბანკს არ აქვს საამისო სახსრები. მართალია, რუსეთის სახელისუფლო ბანკია, მაგრამ, ის ამას ვერ და არ გააკეთებს, რადგან, ეს საკმაოდ მძიმე დარტყმაა ბანკისთვის.

**– თქვით, რომ ბანკებისთვის ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი მინიმუმამდე დასწია, მაგრამ, ამას არ გამოუწვევია სესხების მასობრივი გაიაფება.**

– დიახ, არ გაიაფებულა.

**– აბა, რა მიზანი ჰქონდა ამ ოპერაციას, რომ ბანკები კიდევ უფრო მსხვილ მოგებაზე გასულიყვნენ: იაფად მიღებული სახსრები ისევ ძვირიან პროდუქტებში დაებანდებინათ?**

– დეკემბერში იყო ასეთი გაიაფება: 8 პროცენტამდე მოგცემდნენ ლარში კრედიტს. ამან ცოტა ხანს იმუშავა თუ არ იმუშავა, მაგრამ შემდეგ შეაჩერეს. ბანკებიდან ფულის გასვლა ძალიან რთულად ხდება, ბანკები არ აწვდიან და ვერ აწვდიან ბიზნესს ფულს. ბიზნესდაკრედიტება 2013 წელს შემცირდა და ჩვენ ვნახეთ ამის ეფექტი ეკონომიკაში.

**– ქართულ სინამდვილეში ძალიან ხელოვნურია ლარის კურსი და ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა. ყველაფრის ზედმიწევნით გაკონტროლებაა შესაძლებელი, იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ფორმალურია ეკონომიკური პროცესები, რატომ დაუშვეს დოლართან მიმართებაში ლარის 10-15 პუნქტით ვარდნა?**

– ცხადია, რომ ლარი არ არის კონვერტირებადი ვალუტა, მაგრამ, რომ დააკვირდეთ კურსს: დოლარი – ევრო, ევრო – ფუნტი, ფუნტი – იენი, იგივე მიმართებაა. დოლარი რამდენიმე პუნქტით დაეცა ევროსთან მიმართებაში. თან, დოლარისა და ევროს კურსის ცვალებადობა უფრო მეტ რყევას გულისხმობს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტაა, ვიდრე ლარის კურსის ცვალებადობა დოლართან მიმართებაში. ამიტომ, ასე ცალსახად თქმა არ შეიძლება: ყველაფერი ხელოვნურია და საქართველოს ეროვნული ბანკი, თავისი გადასახედიდან, ალბათ, ვერ ხედავდა ჩარევის აუცილებლობას. რომც ჩარეულიყო, ამას დასჭირდებოდა უამრავი ფულის დახარჯვა და, ჩათვალა, რომ ეს არ ღირდა ვალუტის კურსის დასაჭერად. შეიძლებოდა ლარის ვარდნის გაჩერება? შეიძლებოდა, მაგრამ, გადაწყვეტილება ეროვნული ბანკის მისაღებია და მან ასე ჩათვალა საჭიროდ: ამაში არც ცუდია რამე და არც კარგი, იმიტომ რომ, თუ ზედმეტი ჩარევისგან ვიხსნით ეკონომიკას, კარგია, იდეალური კურსი დამყარდება, თუმცა, ბიზნესისთვის და ხალხითვის მძიმეა, რადგან, ისინი კარგავენ თანხას როგორც კრედიტის დაფარვაში, ისე ბიზნესაქტივობაში, მაგრამ, ეს ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკაა. 1, 89-ც ყოფილა ლარის კურსი.

**– მეც ის მიკვირს, რომ ეროვნული ბანკი განსხვავებულად იქცეოდა 2-3 წლის წინათ და ახლა, რატომღაც, ძალიან აჰყვა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.**

– 2010 წელს კურსი დავარდა 1,89-მდე, იმიტომ რომ, მაშინ უფრო რთული სიტუაცია იყო. 2011 წელსაც კურსის საკმაო ვარდნა იყო.

**– ეს ნიშნავს, რომ, სავსებით რეალურია, 3 თუ 4 თვის შემდეგ ისევ 1,65-ის ფარგლებს დაუბრუნდეს ლარი?**

– სავსებით. ზედა ჭერი – 1,8 – ასატანია ჩვენი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისთვის. ლარის კურსი 1,7-მდე იტრიალებს, მაგრამ, არა მგონია, ამაზე დაბლა ჩავიდეს.

**– რა ფაქტორები შეუწყობს ამას ხელს?**

– ექსპორტის ზრდა, ეკონმომიკის გაჯანსაღება, თუ თანაბარპროპორციულად მოხდება ლარის გამოშვება ბაზარზე. ფულის მასის გაზრდა ბაზარზე პრობლემა არ არის, როდესაც ეკონომიკაც იზრდება.

**– სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს მიერ განხორცილებული აქტივობების შედეგად, იურიდიულმა პირებმა სახელმწიფოსგან 100 მილიონ ლარამდე უნდა მიიღონ, ფიზიკურმა პირებმა – 43 მილიონი, ესეც კიდევ ერთი ფაქტორია ინფლაციისთვის.**

– რა თქმა უნდა, გეთანხმებით, რომ ეს გარკვეული რისკფაქტორია, ისევე, როგორც ის, რომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო გლეხებისთვის სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა – ესეც ზეწოლას მოახდენს კურსზე. ამას გარდა, ზეგავლენას მოახდენს დაუბეგრავი მინიმუმის თანხა, რომელიც წინა წელს არ გაუციათ და თებერვალში უნდა გასცენ. ასე რომ, თებერვალში ამ ფაქტორებმა, შესაძლოა, კურსზე კიდევ გარკვეული კუთხით ზეწოლა მოახდინოს და, ამიტომ ვამბობ, რომ 1 დოლარი, შესაძლოა, 1,8 ლარამდე ავიდეს.

**– აქვე დავამატებ: 2014 წლიდან საგარეო ვალების მომსახურებისთვის რამდენიმე ასეული მილიონი დოლარია გათვალისწინებული. ესეც იმოქმედებს ლარის დეფიციტზე და მის გაიაფებაზე?**

– რა თქმა უნდა, დოლარზე მოთხოვნილებ-

# ვინ შეუძინა გივი თარგამაძის მეუღლეს 60 000 აშშ დოლარიანი ავტომანქანა

საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი გივი თარგამაძე, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში „ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიით მოხვდა, 1968 წელსაა დაბადებული თბილისში. პროფესიით ჟურნალისტია – დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მისი შრომითი ბიოგრაფია 1985 წელს იწყება მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ბინაზე სასწრაფო მომსახურების ბიუროში, სადაც მან 1987 წლამდე იმუშავა სანიტრად. 1990-1991 წლებში კი უროლოგია-ნეფროლოგიის ინსტიტუტის საოპერაციო ბლოკის სანიტარი გახდა. 1992 წელს კი პირდაპირ გაზეთ The Georgian Times-ის საზოგადოების განყოფილების რედაქტორად დაინიშნა. 1994 წლიდან გაზეთ „არგუმენტის" მთავარი რედაქტორის მოადგილე გახდა. 1995-1996 წლებში „დილის გაზეთის" პოლიტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1997 წელს არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლა და 2002 წლამდე „თავისუფლების ინსტიტუტის" საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროგრამების მთავარი კოორდინატორი იყო. 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრად დაასახელეს, სადაც – 2003 წლამდე დაჰყო. 2004 წელს საქართველოს მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა, „ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიით; 2008 წელს საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, ზედაც, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეც, 2012 წლიდან კი მერვე მოწვევის პარლამენტის წევრიცაა.

გივი თარგამაძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2001 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრმა. ოჯახის წევრებად მიუთითებდა დედ-მამას და 1976 წელს დაბადებულ ძმას, ნიკოლოზს. იმხანად უძრავ-მოძრავ ქონებას მხოლოდ ბ-ნი თარაგმაძის მამა ფლობდა: 60 000 ლარად ღირებულ ბინას ყაზბეგის გამზირზე და 20 000 ლარად ღირებულ აგარაკს თეთრი წყაროში. იმავდროულად, ვასილ თარგამაძეს 1989 წლიდან ხელშეკრულება ჰქონია გაფორმებული ფინანსთა სამინისტროსთან ერთობლივი ბინათმშენებლობის შესახებ (35 000 აშშ დოლარი). დეკლარაციაში არ არის მითითებული ოჯახის ორი დასაქმებული წევრის შემოსავალი, თუმცა იმხანად გივი თარგამაძე „თავისუფლების ინსტიტუტში" მუშაობდა, ვასილ თარაგმაძე კი თსუ-ის ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი გახლდათ. 2002 წელს შევსებულ დეკლარაციაში ის სიახლეა, რომ გივი თარგამაძე დაქორწინდა 1979 წელს დაბადებულ ნინო მუშკუდიანზე და ვასილ თარგამაძე კიდევ ერთ სამსახურში დასაქმდა – საქართველოს ინოვაციური ტექნოლოგიების ასოციაციაში, აღმასრულებელ დირექტორად. გივი თარგამაძის წლიურმა შემოსავალმა, მათ შორის, „60 წუთიდანაც", 4 400 ლარამდე შეადგინა. ვასილ თარგამაძემ, ორივე სამსახურიდან, 1 800 ლარი მიიღო.



მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლიდან გივი თარგამაძე ხალხის რჩეულია, მის მიერ შევსებული დეკლარაციები საძიებო სისტემაში არ იძებნება. თუმცა 2010 წელს, უკვე მეშვიდე მოწვევის პარლამენტის წევრის რანგში შევსებულ დეკლარაციაში, გივი თარგამაძე ოჯახის წევრებად მიუთითებს მეუღლეს და ორ შვილს: 2002 წელს დაბადებულ ეკატერინეს და 2006 წელს დაბადებულ ნატალიას. ოჯახის ერთადერთ უძრავ ქონებად მითითებულია საცხოვრებელი ბინა თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე, 160 კვადრატული მეტრი ფართობის. მის მეუღლეს კი ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა – 2008 წლის „ნისან ინფინიტი". დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ნინო მუშკუდიანს ჰქონდა, 3 500 აშშ დოლარი. გივი თარაგმაძის, როგორც დეპუტატის სახელფასო წლიურმა შემოსავალმა 2009 წელს, 55 990 ლარი შეადგინა.

2011 წლის დეკლარაციაში ის სიახლეა, რომ ნინო მუშკუდიანს ამჯერად 2009 წლის „BMW 5 გრანდ ტურიზმო" ჰყავს, ნაღდ ფულად კი მხოლოდ 2 500 აშშ დოლარიღა დარჩენია. 2010 წლის განმავლობაში გივი თარგამაძის წლიურ სადეპუტატო ხელფასს კი 56 000 ლარი შეუდგენია. ასევე, დეკლარაცია გვამცნობს, რომ ქ-ნ მუშკუდიანს „ნისან ინფინიტი" 40 000 აშშ დოლარად გაუყიდია, ახალ ავტომანქანში კი 60 000 აშშ დოლარი გადაუხდია. 2012 წლის დეკლარაციის მიხედვით, ნინო მუშკუდიანს ისევ 3 500 აშშ დოლარი ჰქონია ნაღდ ფულად, ხოლო გივი თარაგმაძის სადეპუტატო შემოსავალს კი 59 000 ლარი შეუდგენია. 2013 წელს შევსებული დეკლარაციით, თარგამაძეების ოჯახს კვლავ მხოლოდ ერთი ბინა აქვთ და ერთიც ავტომანქანა ჰყავთ. ერთი ისაა, რომ ნინო მუშკუდიანს ნაღდ ფულად, დეკლარაციის შევსების დროს, 5 000 აშშ დოლარი მოუგროვებია, ხოლო გივი თარგამაძის სადეპუტატო შემოსავალმა 2012 წელს 61 500 ლარი შეადგინა.

**ნინო ხაჩიძე**

---

ის ზრდა ლარის კურსს დაბლა სწევს. აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, ესეც ახდენს დოლარი-ლარის კურსზე ზეწოლას, მაგრამ, თუ ინვესტიციები, ექსპორტი და ტრანსფერები გაიზრდება, გადაიფარება ლარის კურსზე ეს ზეწოლები, თუმცა, ეს ის ფაქტორია, რომელიც, საბოლოო ჯამში, ზრდის დოლარზე მოთხოვნილებას და ლარის კურსი ეცემა.

**– ცნობილია, რომ ჩვენი ბიუჯეტი დაკავშირებულია ლარის კურსზე დოლართან მიმართებაში. დოლარის ვარდნა ევროსთან მიმართებაში რა გავლენას ახდენს ლარზე?**

– ჩვენი გაცვლითი კურსი დოლართან ყოველთვისაა მიბმული ბიუჯეტზე, მაგრამ, ეს არ ახდენს გავლენას ლარის კურსის მიმართებაზე დოლართან. დღეს ამერიკის ეკონომიკა ერთ-ერთი წამყვანია ინფლაციის დაძლევის კუთხით, ახასიათებს უმუშევრობის დაბალი დონე, ამერიკული ეკონომიკა იმდენად წარმატებულად მუშაობს, რომ ისევ წამყვანი ეკონომიკების რიცხვში გავიდა. თუმცა, განვითარებადი ქვეყნების გაცვლით კურსს ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს. მაგალითად, თურქეთშიც მნიშვნელოვნად დაეცა ლირა, 2,30-მდეც კი, დოლართან მიმართებაში. რუსეთში რუბლი დაეცა. საერთოდ, რეგიონის ტენდენციაა ეროვნული ვალუტების კურსის დაცემა დოლართან მიმართებაში. ამერიკაში ეკონომიკური ზრდის პროვოცირება მოხდა, მათ დაიწყეს რბილი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება. ამას წინათ გაკეთდა განცხადება, რომ მონეტარული პოლიტიკა გამკაცრდა და ობლიგაციების შესყიდვა 25-დან 65 მილიარდამდე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო ნაკლებ ფულს გამოუშვებენ მიმოქცევაში. უმუშევრობის პრობლემა მოაგვარეს; ფიქრობენ ინფლაციის მოთოკვაზე. ამერიკის ცენტრალურ ბანკში ახალი ხელმძღვანელი მოვიდა და პოლიტიკა აშკარად შეიცვლება.

**– ამის პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკას ჩინეთის ძალიან დიდი ვალი დაუგროვდა, კერძოდ, 2013 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ამ თანხამ 1,317 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ისედაც ცნობილია, რომ ამერიკა რეკორდსმენია საგარეო ვალის ოდენობით – 17 ტრილიონი დოლარი. ანუ, შესაძლებელია, გქონდეს უამრავი საგარეო ვალი და ეკონომიკა მაინც ყვაოდეს?**

– ამერიკის ეკონომიკა ძალიან განსხვავებულია და სულ სხვა ურთიერთობა აქვს იმავე ჩინეთთან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ობლიგაციების უდიდესი ნაწილი ჩინეთს აქვს, იმიტომ რომ, ჩინეთი ამერიკის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. იმის კლასიკური მაგალითი, ვალები ბევრი გქონდეს და ეკონომიკა ვითარდებოდეს, არის ევროპის ბევრი ქვეყანა, იაპონია. ეს შესაძლებელია, გააჩნია, როგორ მართავ. რაც შეეხება ჩინეთისა და ამერიკის ურთიერთობას, ეს სერიოზული თემაა.

**– ანუ, ჩინეთს დიდი გავლენა აქვს ამერიკის ეკონომიკაზე?**

– უზარმაზარი გავლენა აქვს, ისევე, როგორც ამერიკას – ჩინეთზე. ჩინეთის საქონლის ძირითადი მყიდველი არის ამერიკა, ამიტომ, ერთ დღეს რომ არ იყიდოს ამერიკამ ჩინური პროდუქცია, ჩინეთი, უბრალოდ, გაკოტრდება.

**– ჩინეთის გავლენის გაძლიერება არ არის საშიში პოლიტიკური თვალსაზრისით? მით უფრო, რომ, „ბლუმბერგის" მონაცემებით, დეკემბრის ბოლოსთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოქროს რეზერვების ღირებულებამ 3,82 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია?**

– არა მგონია. ამერიკას თან სურს, რომ ჩინეთი გაძლიერდეს, რადგან, დიდი ბაზარია და თვითონაც ყიდის ბევრ რამეს ჩინეთში, თან, ეჭიდავება. ამდენად, თან – არის საშიში, თან – არა. ეს სულ სხვა თემაა. ერთი მხრივ, ჩინეთი მისთვის არის იაფი საქონლის მიმწოდებელი, რის გარეშეც ამერიკის ეკონომიკა წარმოუგენელია, მეორე მხრივ, ჩინეთი არის ის, ვინც ინვესტიციებით ამარაგებს აშშ-ს და მის ობლიგაციებს ფლობს. ასე რომ, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირია.

**– მიუხედავად ჩინეთის ეკონომიკის ასეთი შთამბეჭდავი მაჩვენებლებისა, საქართველოდანაც კი რიცხავენ ფულს ჩინეთში ჩინეთის მოქალაქეები. ეს როგორ უთავსდება ერთმანეთს: ქვეყანა ასე ვითარდებოდეს და მისი მოქალაქეები საქართველოში ეძებდნენ იაფფასიან სამუშაოს?**

– ჩინეთი მეორე ეკონომიკაა მსოფლიოში, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანა არ არის. 250 მილიონი უმუშევარი ჰყავს, კიდევ 250 მილიონი – მონა. ულარიბესი ქვეყანაა ჩინეთი, თუმცა, სწრაფად ვითარდება.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 20 0 200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**სულ ახლახან „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა სახელმძღვანელო ქალებისთვის და არა მხოლოდ მათთვის. მისი სახელწოდებაა – „სამართლებრივი გზამკვლევი ქალებისთვის“ (უახლოეს მომავალში წიგნი ხელმისაწვდომი იქნება ორგანიზაციის საიტზე). ერთ-ერთი ავტორი, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგეობის წევრი და იურისტი ელენა ფილეევა დარწმუნებულია, რომ ხსენებული გამოცემა დიდ სამსახურს გაუწევს ქალბატონებს საკუთარი უფლებების ცოდნასა და რეალიზაციაში და განუმარტავს მათ ქალთა უფლებებს საზოგადოებრივ, პირადსა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.**

# რატომ უკრძალავენ საქართველოში ქალებს დედობის უფლებას, რა მექანიზმებით აიძულებენ მამებს მამობის აღიარებას და როგორ ემალებიან მართლმსაჯულებას მამები

**– რატომ გადაწყვიტეთ ამ წიგნის გამოცემა, ამდენად აქტუალურია ეს პრობლემა ჩვენთან, ქალებმა არ იციან, რომ უფლებები აქვთ?**

– ამ წიგნს აქვს თავისი ისტორია. ვინაიდან საქართველოში არაერთი რეფორმა მიმდინარეობს გენდერული თანასწორობის კუთხით, ამ ფონზე საჭირო გახდა ყველა დონის ქალბატონის ინფორმირება ზოგადად იმ სამართლებრივი ბაზის შესახებ, რაც არსებობს საქართველოში. გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უფლებები უმეტესად ირღვევა იმის გამო, რომ ქალბატონმა არ იცის, როგორ უნდა დაიცვას საკუთარი თავი კონკრეტულ შემთხვევაში ან საერთოდ არ არის ინფორმირებული.

**– რომ უფლება აქვს?!**

– დიახ და უმეტესად ეს იწვევს სხვადასხვა გაუგებრობას, რის გამოც უფრო მეტი პრობლემა ჩნდება. საერთაშორისო ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს ამ კვლევის მხარდაჭერა, რომ ყველანაირი ინფორმაცია ქალთა უფლებების შესახებ წარმოდგენილი ყოფილიყო ერთ წიგნში.

**– ეს გზამკვლევი არის ქალებისთვის, მაგრამ ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი უფლებები აქვთ?! ანუ ქალებს ჰგონიათ, რომ მათ იგივე უფლებები არ აქვთ, როგორიც მამაკაცებს?**



**ქალის გადაწყვეტილებაა და, თუ სურს, უნდა იყოლიოს ბავშვი და მისი უფლებაა, არ გაამჟღავნოს ბავშვის მამის ვინაობა**

– სამწუხაროდ, ასეთი ტენდენციაა. ბევრ ქალს ჰგონია, რომ არ აქვთ უფლებები, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, სხვადასხვა საერთაშორისო აქტით თუ ადგილობრივი კანონებით. ამ მიდგომის დასანგრევად ჩატარდა არაერთი საინფორმაციო კამპანია და არა მხოლოდ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ, არამედ ქალთა უფლებების დამცველი სხვა ორგანიზაციების მიერაც, დაახლოებით, რვა წლის განმავლობაში. ამ წიგნის საფუძველზე მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ტრენინგები ქალბატონებისთვის, თუმცა მათ დიდი სიამოვნებით ესწრებოდნენ მამაკაცებიც.

**– ცნობილია, რომ ქალთა უფლებების დაცვის მოძრაობა დასავლეთში მამაკაცების აქტიური მონაწილეობით დაიწყო, სწორედ ისინი იყვნენ ძალიან აქტიურები.**

– დიახ, თანასწორობა არ გულისხმობს რაღაც განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას ქალებისთვის. უბრალოდ, ის გულისხმობს, რომ ქალბატონებმა სრულყოფილად ისარგებლონ იმ უფლებებით, რაც მინიჭებული აქვთ კანონით. ამასთანავე, არის უფლებები, რომლებიც მხოლოდ ქალს აქვს: ეს იქნება დეკრეტული შვებულება, გარკვეული გარანტიები ბავშვის გაჩენის შემდეგ და მნიშვნელოვანია, ქალმა იცოდეს თავისი უფლებების შესახებ. ხშირად დამსაქმებელმაც არ იცის, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა ქალთა კონკრეტული უფლებები და სწორედ ამას უკავშირდება ხოლმე კონკრეტული ადამიანის უფლებების შელახვა. ამ წიგნის მიზანია ყველას ინფორმირება. ყველაზე საინტერესოა, რომ წიგნი არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს და არ ითვალისწინებს მამაკაცების უფლებების შელახვას. ამიტომაც მამაკაცებში არ გამოუწვევია აგრესიული რეაქცია.

**– ყველაზე მეტად ქალთა რომელი ჯგუფები: მარტოხელა დედები, დიასახლისები, დასაქმებულები განიცდის უფლებების შელახვას და სად: სახლში, ქუჩაში, სამსახურში?**

– ქალები, საერთაშორისო სამართლით, მოწყვლად ჯგუფად ითვლება, მაგრამ ამ მოწყვლადი ჯგუფის შიგნით კიდევ არსებობს ბევრი მოწყვლადი ჯგუფი: დევნილები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, შიდსით დაავადებული თუ ინვალიდი ქალები, ნაციონალური თუ სექსუალური უმცირესობები. რთულია იმის თქმა, ვინ უფრო მოწყვლადია, ძალიან ბევრი უფლებაა და, თუ იზღუდები ერთი უფლების გამოც კი, ესე იგი, უკვე დაზარალებული ხარ. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად დისკრიმინებულები არიან დევნილი და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალბატონები.

**– მარტოხელა დედები?**

– ჩვენი კანონმდებლობა მარტოხელა დედის არც დეფინიციას იძლევა და არც სხვა შეღავათებს. თუმცა საგადასახადო კოდექსში აღნიშნულია, რომ მარტოხელა დედას არ უნდა დაებეგროს შემოსავალი, თუ ის 3 000 ლარს არ სცილდება, მაგრამ არ არის მითითებული მექანიზმები. მართალია, მე ვიცნობ რამდენიმე ქალბატონს, რომლებიც სარგებლობენ ამით, მაგრამ რეგულაციის მექანიზმები კანონში არ არსებობს. დიდი ხანია, მიმდინარეობს მარტოხელა დედის დეფინიციაზე მუშაობა. ამ საკითხზე პროექტს ამუშავებს „ძალადობისგან დაცვის ქსელი“, რომ, ამ კუთხით, გამდიდრდეს ჩვენი კოდექსი. ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას და უკვე ამზადებენ დასკვნით რეკომენდაციებს, რომ ეს ტერმინი და შესაბამისად, რეგულაციები შევიდეს ჩვენს საკანონმდებლო სისტემაში.

**სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არ მამაკაცი, ყოველთვიურად 80-100 ლარის ოდენობის ალიმენტი უნდა გადაუხადოს შვილს**

**– ჩვენთან ხშირად არასწორად ესმით მარტოხელა დედის დეფინიცია: მარტოხელაა დედა, როდესაც შვილის დაბადების მოწმობაში ცარიელია მამის გრაფა, თუმცა ჩვენს რეალობაში რეალურად გაცილებით მეტი მარტოხელა დედაა, მიუხედავად იმისა, რომ მათი შვილების მამის გრაფა შევსებულია.**

– მე იმის მომხრე ვარ, რომ არსებობდეს ეს დეფინიცია და შესაბამისი გარანტიები. ქალს ჰქონდეს საამისო სტიმული, რომ ისიც ადამიანი და საზოგადოების სრულყოფილი წევრია. ძალიან ბევრი იმის გამო, რომ ქორწინების გარეშე გააჩინა ბავშვი ან ბავშვი დარჩა უმამოდ, განიცდის დისკრიმინაციას ოჯახის და საზოგადოების მხრიდან. ანუ გარდა საკანონმდებლო პრობლემისა, არის საზოგადოებრივი პრობლემა, იმიტომ რომ, ტრადიციიდან გამომდინარე, არ არის მიღებული ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა. თუმცა პირადად მე, ვფიქრობ, ეს ქალის გადაწყვეტილებაა და, თუ სურს, უნდა იყოლიოს ბავშვი და მისი უფლებაა, არ გაამჟღავნოს ბავშვის მამის ვინაობა.

**– ცოტა არ შერბილდა საზოგადოებრივი აზრი მარტოხელა დედების მიმართ?**

– შეიცვალა, ბევრ ქალბატონს ვიცნობ, რომლებმაც ქორწინების გარეშე გააჩინეს შვილები, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ფინანსურად უზრუნველყოფილები და დამოუკიდებლები არიან. ეს მაინც შინაგანი პრობლემაა და თითოეულმა ქალმა თავის თავში უნდა გადალახოს. არის შემთხვევები, როდესაც ქალბატონები ვერ აწყობენ პირად ცხოვრებას და მათ არ შეიძლება, ავუკრძალოთ დედობა, რადგან დედობას არანაირი კავშირი არ აქვს უზნეობასთან. რა თქმა უნდა, ჯობია, ბავშვს დედაც ჰყავდეს და მამაც, მაგრამ საზოგადოებრივი აზრიც ისეთნაირად უნდა დარეგულირდეს, რომ შვილის გაჩენა ნორმალური მოვლენა იყოს.

მარტოხელა დედას საკანონმდებლო დონეზე უნდა ჰქონდეს გარანტიები. მით უმეტეს, არის გაუპატიურების შედეგად დაფეხმძიმების შემთხვევები, როდესაც ქალი იღებს გადაწყვეტილებას, დაიტოვოს ბავშვი. ეს მისი გადაწყვეტილებაა ან, როდესაც ჯანმრთელობისთვის მავნეა ფეხმძიმობის შეწყვეტა.

**– სახელმწიფო გარანტიები, ალბათ, იმოქმედებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და მის ცივილიზებულ მიდგომასთან დაახლოებაზე.**

– შესაბამისი ინფორმირებაც უნდა იყოს, რომ ნაკლები პრობლემები შეექმნას ქალბატონს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან მამობის აღდგენა საკმაოდ გამარტივდა, პრობლემები მაინც არის, იმიტომ რომ დნმ-ის ანალიზი ძალიან ძვირად ღირებული პროცედურაა.

**– მკითხველს შევახსენოთ, დნმ-ის ანალიზის საფუძველზე სასამართლო მამაკაცს აკისრებს მამობის ვალდებულებას.**

– დიახ, ჩვენი კანონმდებლობით, დასაშვებია სასამართლოში მიმართვის შედეგად ექსპერტიზის დანიშვნა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, მამაკაცს აღიარებენ მამად და ბავშვის დაბადების მოწმობაში ჩაიწერება მამის ვინაობა.

**– ალიმენტი არ ეკისრება?**

– ახლახან ვესწრებოდი ერთ შეხვედრას, რომელიც მარტოხელა დედებსა და მამობის დად-

# რომელი დაავადებების მკურნალობისას გამოიყენება ოზონოთერაპია და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას ადამიანის ჯანმრთელობისთვის

*თბილისში ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკა „აინო" გაიხსნა. ოზონოთერაპია განსაკუთრებით პოპულარულია ევროპაში, ის ევროპის ელიტურ მედიცინად მიიჩნევა და დანერგილია წამყვან და ცნობილ ევროპულ კლინიკებში. ოზონოთერაპია ეფექტურია ინფექციური დაავადებების მკურნალობისას, ასევე გასტროენტეროლოგიაში, პულმონოლოგიაში, გინეკოლოგიაში, ნევროლოგიაში, უროლოგიაში, ქირურგიასა და დერმატოლოგიაში. კონკრეტულად რომელი დაავადებების მკურნალობისას გამოიყენება ოზონოთერაპია და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ამის შესახებ ახალი ცენტრის დამფუძნებელი – ექიმი* ***ადა მჭედლიძე*** *გვესაუბრება.*



**ადა მჭედლიძე**: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოზონოთერაპიას ალტერნატივა არ გააჩნია. ეს არის სისტემური თერაპია, რომელსაც არსებობის საუკუნოვანი ისტორია აქვს. ოზონი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ანტიოქსიდანტია და ანადგურებს ნებისმიერ პათოგენურ მიკროფლორას (ვირუსებს, სოკოებს, ბაქტერიებს). ოზონი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ამცირებს არტერიულ წნევას. ოზონი კლავს ჰერპესისა და ჰეპატიტის ვირუსებს, ართრიტის გამომწვევ მიკროორგანიზებს. ოზონი წმენდს კანს, ჟანგბადით ამდიდრებს ჰემოგლობინს, ხსნის კუნთების ტკივილს, ებრძვის ბრონქების ქრონიკულ დაავადებებს, ასთმას და ალერგიას. აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, წმენდს ღვიძლს, წვავს ცხიმებს, ამცირებს სტრესს. ოზონოთერაპიის გამოყენების სპექტრი ძალიან დიდია: წარმატებით გამოიყენება კარდიოლოგიაში – გულის იშემიური დაავადების, ჰიპერტონიის, რევმატიზმისა და რევმატოიდული ართრიტების მკურნალობისას; პულმონოლოგიაში – ქრონიკული ბრონქიტების, ბრონქული ასთმისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ; გასტროენტეროლოგიაში – ქრონიკული გასტრიტის, კუჭის წყლულის, კოლიტის, გასტროდუოდენიტის, ქოლეცისტიტის, პანკრეატიტის სამკურნალოდ; უროლოგიაში – ცისტიტების, პიელონეფრიტის, გლომერულონეფრიტის სამკურნალოდ; პოტენციის დაქვეითებისას; გინეკოლოგიაში – საშვილოსნოს ყელის ეროზიების დროს, ორსულთა ანემიის და ნაყოფის ჰიპოქსიის სამკურნალოდ; ნევროლოგიაში – თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის, შაკიკის წინააღმდეგ. ოზონოთერაპიით საუკეთესო შედეგები მიიღწევა A, B და C ჰეპატიტების მკურნალობისას.

**– რამდენად სწრაფია შედეგი მკურნალობის დროს?**

– სწორედ ეს არის ოზონოთერაპიით მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი – პაციენტს არ სჭირდება დაელოდოს კურსის დასრულებას, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება პირველივე პროცედურებიდან, როგორც მისი სუბიექტური შეგრძნებების, ასევე ანალიზების მიხედვით. უმჯობესდება პაციენტის ცხოვრების ხარისხი ნებისმიერი დიაგნოზის შემთხვევაში. თერაპიას არ აქვს გვერდითი მოვლენები, არის აბსოლუტურად უსაფრთხო. ოზონოთერაპიას არ ჰყავს უკმაყოფილო პაციენტი უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში.

**– ეს ალბათ, საკმაოდ ძვირად ღირებული თერაპიაა, რომელზედაც ყველას არ მიუწვდება ხელი.**

– ევროპაში ეს ნამდვილად არის ძვირად ღირებული თერაპია, მაგრამ ჩვენ, გავითვალისწინეთ ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ცენტრში დაწესებულია სატარიფო პაკეტები, რაც ნამდვილად ხელმისაწვდომია ჩვენი პაციენტებისთვის.

თქვენს სამსახურში გვიგულეთ.

**– მკითხველს დააინტერესებს რა მისამართზე მდებარეობს, ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკა „აინო."**

**– ჩვენი მისამართია, თბილისი, მცხეთის** ქ. 8/90 ტელეფონები: 225 31 39 / 5 71 25 55 33. www.aino.ge

www.facebook.com/aino.ge

**მარიკა ხიდურელი**

---

გენის საკითხებს განიხილავდა და მოსამართლემ აღნიშნა, რომ, მამაკაცები, როდესაც იციან, რომ მართლაც, თავად არიან მამები, იმისთვის, რომ ექსპერტიზაში არ გადაიხადონ ფული, 2 000 ლარამდე ჯდება ეს პროცედურა, თანხმდებიან მამობას სასამართლოს ჩარევის გარეშე.

**– მამაკაცი იხდის, რადგან ამტკიცებს, რომ შვილი მისი არაა?**

– დიახ, მაგრამ, თუ ანალიზით დადასტურდა, რომ მამაკაცი არ არის მამა, მაშინ ანალიზის ფულის გადახდა ეკისრება ქალს. ყოველ შემთხვევაში, დადებითი შედეგი მოიტანა ამ საკანონმდებლო ჩანაწერმა დნმ-ის ანალიზის შესახებ, უბრალოდ პრობლემაა მისი სიძვირე. ვიცით შემთხვევები, როდესაც ქალი ყოვლგვარი სასამართლოს გარეშე მიმართავს მამაკაცს და სთავაზობს, უბრალოდ მინდა, რომ მამის გრაფაში იყოს ჩანაწერი და მამაკაცები, რომლებმაც იციან, რომ ნამდვილად მათ შვილზეა საუბარი, თანხმდებიან ამას ექსპერტიზის გარეშე. მაგრამ ჩვენთან ის პრობლემაა, რომ ალიმენტისთვის თავის არიდებაა ხშირი. სულ რამდენიმე საქმე არსებობს, რომ მამაკაცი ჩასვეს ციხეში, იმიტომ რომ, ალიმენტის გადახდას არიდებდა თავს.

**– ამ ინფორმაციამ შოკი გამოიწვია ჩემში, ამიტომ კიდევ გავიმეორებ: ჩვენთან ყოველი მესამე მამაკაცი ემალება მართლმსაჯულებას, რომ არ გადაიხადოს ალიმენტი, ყოველი მეხუთე კი არ უხდის შვილს ალიმენტს. რა სჭირთ თუ გვჭირს?**

– არ ვიცი, რატომ არიდებენ თავს... ხშირად უთქვამთ მამაკაცებს, უარს იმიტომ ამბობენ ალიმენტის გადახდაზე, რომ ის თანხა არ გამოიყენოს ყოფილმა ცოლმა. არადა, დედა ყოველდღიურად უვლის შვილს და გაცილებით მეტს ხარჯავს ამაში, ვიდრე თვეში 50 თუ 100 ლარია. თან, ჩვენთან ალიმენტის ოდენობა ხშირად საკმაოდ მცირეა, მინიმუმი 50 ლარი იყო, თუმცა სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა მამაკაცი, ყოველთვიურად 80-100 ლარის ოდენობის ალიმენტი უნდა გადაუხადოს შვილს.

**– მაქსიმალური ჭერი დაწესებულია?**

– ხელფასის ნახევარზე მეტი არ უნდა იყოს და გამომდინარეობდეს ბავშვის საჭიროებიდან. თუ ბავშვი ინვალიდია, უფრო მეტ თანხას დანიშნავს მოსამართლე, თუ ბავშვი დადის რამე წრეზე, ცნობებია წარსადგენი და ამის საფუძველზე გამოითვლის სასამართლო ალიმენტის ოდენობას.

**– თქვით, რომ ალიმენტის გადახდისგან თავის არიდების გამო, მხოლოდ რამდენიმე მამაკაცი იხდის სასჯელს. რატომ: ქალებს ბოლომდე არ მიჰყავთ პროცესი თუ სასამართლოა ლმობიერი?**

– სასამართლოს პრეროგატივაა გადაწყვეტილების გამოტანა, მაგრამ სასამართლოს კომპეტენციას სცილდება გადაწყვეტილების აღსრულება. როდესაც საქმე სააღსრულებლო ბიუროში გადადის, არსებობს შესაბამისი პროცედურები: ეს შეიძლება, იყოს იძულებითი ამოღება და ასე შემდეგ. როდესაც ალიმენტი დიდი ხნის განმავლობაში არ არის გადახდილი და დიდი თანხაა დაგროვილი, აღმასრულებელს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს და მოხდეს ქონების სრული ან ნაწილობრივი გადაფორმება. თუმცა ჩვენი სააღსრულებლო სისტემა, რატომღაც, ლოიალურად უყურებს ალიმენტის გადაუხდელობის პრობლემას და არ დგამს ეფექტიან ნაბიჯებს. არადა, რამდენიმე პრეცედენტი რომ შეიქმნას, უფრო გამოსწორდებოდა ეს ვითარება. მეორე მხრივ, თვითონაც ცდილობენ მამები, რომ რამენაირად არ გადაიხადონ ალიმენტი, რადგან თავის არიდების უამრავი შესაძლებლობა არსებობს და ეს იცის ნებისმიერმა იურისტმა. მამაკაცები გადიან კონსულტაციას და ისე იქცევიან, რომ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას. მაგალითად, რამდენიმე თვეში ერთხელ იხდიან ალიმენტს და ეს უკვე აღარ ითვლება თავის არიდებად.

**– სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რა აზრი აქვს ასეთი ადამიანის ვინაობის ჩაწერას შვილის მამის გრაფაში. დასავლეთში მამები იბრძვიან იმისთვის, რომ შვილები მათ დარჩეთ განქორწინების შემდეგ. ჩვენთან, როგორც წესი, სასამართლო დედას უტოვებს შვილს. თუ არის შვილის მამისთვის მიკუთვნების შემთხვევა დედის ნების საწინააღმდეგოდ?**

– არის შემთხვევები, როდესაც დედები თვითონ უტოვებენ თავიანთ ქმრებს შვილებს. არის შემთხვევები, როდესაც ეს საკითხი სადავოა და არის სასამართლო გადაწყვეტილებები, როდესაც მამის სასარგებლოდ გამოუტანიათ განაჩენი. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დედა მიდის ოჯახიდან, მაგრამ, რადგან ბავშვი შეჩვეულია სახლს, სადაც ცხოვრობდა, სკოლას, რომელშიც დადიოდა, მამასთან ტოვებს შვილს. ეს უმეტესად იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ქალი დამოკიდებულია თავის ოჯახზე. სასამართლოს იშვიათად გამოაქვს გადაწყვეტილება დედის საწინააღმდეგოდ, თუ დედა თანახმაა, წაიყვანოს ბავშვი. დედას, როგორც წესი, არ ართმევენ ბავშვს, თუ ის არ არის ნარკომანი, ლოთი, თუმცა საქართველოში ამის პრაქტიკა არ არსებობს.

**– არის შემთხვევები, როდესაც დედებს ეკისრებათ ალიმენტის გადახდა?**

– ასეთი შემთხვევებიც არსებობს. როდესაც დედები მიდიან ოჯახიდან და ბავშვებს ტოვებენ, მამებსაც მოუთხოვიათ ალიმენტი და ისეც მომხდარა, რომ დედებსაც აურიდებიათ თავი ალიმენტისთვის. თუ ადამიანს პასუხისმგებლობის გრძნობა არ აქვს, არ აქვს მნიშვნელობა, ქალია თუ კაცი, უბრალოდ, კაცები უფრო ხშირად ტოვებენ შვილებს და იხდიან ალიმენტს.

**ნინო ხაჩიძე**

**ჩვენი რესპონდენტი 21 წლის კალათბურთელი დუდა სანაძეა, რომელიც სპორტის ამ სახეობით 7 წლის ასაკიდან არის დაკავებული, თუმცა, ოჯახში პირველი კალათბურთელი ნამდვილად არ არის – ის ცნობილი კალათბურთელის, გია სანაძის შვილია. როგორც თავად ამბობს, მამა მასზე კარგი „მსროლელი" იყო, მაგრამ, საერთო მაინც აქვთ – ორივეს უყვარს ბურთის კალათში ჩაგდება და, შესაბამისად, გუნდისთვის ქულების მოტანა. დუდა უკვე მეორე წელია, ოჯახისგან შორს, კალიფორნიაში ცხოვრობს, სადაც სანდიეგოს უნივერსიტეტში სწავლობს და, ამასთანავე, ამავე საუნივერსიტეტო გუნდის საპატიო წევრია.**

# როგორია დუდა სანაძის ამერიკული ცხოვრება და რა შეფასებას აკეთებს ქართველ კალათბურთელზე სანდიეგოს გუნდის მწვრთნელი

**– როგორც გავიგე, წარმატებული კარიერა გაქვს. როდის დაიწყე სანდიეგოს გუნდში თამაში?**

– მეორე წელია, სანდიეგოს უნივერსიტეტში ვსწავლობ, მაგრამ, წინა წელს არ მითამაშია, რაღაც პრობლემები მქონდა. მომდევნო წელს დავიწყე ვარჯიში, ფორმაში შევედი და რამდენიმე კარგი თამაშიც ვითამაშე, მაგრამ ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია. მართალია, ჩემით კმაყოფილები არიან, მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ წარმატებისთვის ჯერ არ მიმიღწევია.

**– საქართველოდან როდის წახვედი?**

– ამერიკამდე პერიოდულად მიწევდა სხვადასხვა ქვეყანაში გასვლა: 18 წლის რომ ვიყავი, ესპანეთში ვცხოვრობდი 6 თვე, 19 წლის ასაკში – ლიტვაში. მას მერე, უკვე მეორე წელია, ამერიკაში ვარ.

**– კალათბურთის თამაშის პარალელურად, სწავლობ, როგორც ვიცი.**

– დიახ, სანდიეგოს უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯმენტზე ვსწავლობ, მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ეს უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესოა და ამერიკის ტოპ-ათეულშია შესული. აქ სწავლას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა.



**მამაჩემი ძალიან იშვიათად ამბობს კარგს, სულ ნეგატიურია ჩემ მიმართ. თუ შემაქო, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან მაგრად ვითამაშე**

**– სპორტსა და სწავლას ერთმანეთს როგორ უთავსებ? დამეთანხმები, რომ ვარჯიშს ძალიან ბევრი დრო მიაქვს, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, სპორტსმენები სწავლას სათანადო დროს ვერ უთმობენ. როგორც ჩანს, შენ ეს „ტრადიცია" დაარღვიე.**

– იმდენად დატვირთული ვარ, რომ ჩემებსაც ვერ ველაპარაკები ხშირად თბილისში. თუ ვარჯიში არ მაქვს, ლექციაზე ვარ, თუ ლექცია არ მაქვს – ვარჯიშზე. ოთახში მხოლოდ დასაძინებლად მივდივარ. ძალიან ძნელია ასეთი რეჟიმი, მაგრამ, გრაფიკი მაინც შეთავსებული მაქვს, რომ არ დამერღვას. კალათბურთელებს მაინც გვეხმარებიან შეძლებისდაგვარად.

**– კალათბურთის თამაში რა ასაკში დაიწყე და, საერთოდ, თავიდან ეს გართობა იყო თუ სერიოზული მიზანი დიდი სპორტისკენ?**

– კალათბურთი ჩემთვის გართობა არასდროს ყოფილა, თავიდანვე პროფესიონალურ დონეზე მინდოდა თამაში, მამაჩემიდან გამომდინარე. 7 წლის ვიყავი, აკადემიაში კალათბურთზე რომ დავიწყე სიარული. სულ მინდოდა, წარმატებული კალათბურთელი გამოვსულიყავი, მაშინ სწავლაზე მართლა არ ვფიქრობდი. თავიდანვე კარგად ვთამაშობდი, მაგრამ, მერე სწავლის გამო რამდენიმე თვე აღარ ვვარჯიშობდი, თუმცა, მალე ჭკუაზე მოვედი და ისევ დავიწყე ვარჯიში.

**– 21 წლის ხარ და, ასაკიდან გამომდინარე, ალბათ, მამას თამაში არ გემახსოვრება.**

– არა, მხოლოდ ჩანაწერები მაქვს ნანახი მამაჩემის მონაწილეობით.

**– წარმომიდგენია, როგორი პასუხისმგებლობაა შენთვის ის ფაქტი, რომ ცნობილი კალათბურთელის, გია სანაძის შვილი ხარ.**

– გია სანაძის შვილობა ჩემთვის მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა. რომ გაიგებენ, გიას შვილი ვარ, მაშინვე იმას მეკითხებიან, როგორ ვისვრი.

**– ეს ლოგიკურიც არის, რადგან გია სანაძე ზუსტი ტყორცნებით ყოველთვის გამოირჩეოდა.**

– მამაჩემის გამო ყველა მაკვირდება, როგორ ვთამაშობ, როგორი კალათბურთელი ვარ, როგორ ვისვრი და ასე შემდეგ. მოკლედ, მართლა დიდი პასუხისმგებლობაა.

**– თავად როგორი შემფასებელია?**

– ძალიან იშვიათად ამბობს კარგს, სულ ნეგატიურია ჩემ მიმართ. თუ შემაქო, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან მაგრად ვითამაშე.

**– ერთად თუ გითამაშიათ?**

– როგორ არა, თბილისში რომ ვიყავი, ერთად ხშირად გვითამაშია კალათბურთი.

**– თამაშის სტილით თუ ჰგავხართ ერთმანეთს?**

– კი, ერთ პოზიციაზე ვთამაშობთ, ორივე ჩამგდებები ვართ – ბურთს ვისვრით და ქულები მოგვაქვს გუნდისთვის. საერთო ისიც გვაქვს, რომ ბურთის ჩაგდება ორივეს გვიყვარს. თუმცა, მამაჩემი უფრო კარგი მსროლელი იყო.

**– რამდენი დედმამიშვილი ხართ?**

– სამი ძმა ვართ.

**– შენ გარდა თუ თამაშობს რომელიმე კალათბურთს?**

– ერთი ჯერ პატარაა, 6 წლის არის, მაგრამ აუცილებლად ითამაშებს. მეორე კი 20 წლამდელების ნაკრებშია.

**– რა ნომრის მაისურით თამაშობ?**

– 10.

**– ძალიან კარგია, რომ წარმატებული კარიერა გაქვს ამერიკაში, მაგრამ, ალბათ, განსხვავებული პასუხისმგებლობაა ეროვნულ ნაკრებში თამაში.**

– ბავშვობაში, მამაჩემს რომ დავყავდი ნაკრების თამაშებზე, სულ ვოცნებობდი იმ დროზე, როცა მეც მათ რიგებში ვიქნებოდი. წინა ზაფხულს კი მომიწია ნაკრებში თამაში, მაგრამ, საქართველოში არ იყო თამაშები. სულ სხვა განცდაა, როცა შენს ქვეყანაში ხარ და ნაკრებში თამაშობ. წელს საქართველოში იქნება თამაშები, რასაც ძალიან ველოდები.

**– როდის გეგმავ ჩამოსვლას?**

– მაისის ბოლოს ჩამოვალ საქართველოში აუცილებლად.

**– როგორია შენი ამერიკული ცხოვრება?**

– აქ ჩემი დილა ძალიან ადრე იწყება. 7-8 საათისთვის ვარჯიში მაქვს, მერე ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, მერე კი – ლექციები. დამატებითაც ვვარჯიშობ დარბაზში მარტო; ასევე, იმ დავალებების მომზადება მიწევს, რასაც უნივერსიტეტში მაძლევენ.

**– უკვე ორი წელია, შენი ცხოვრება კალიფორნიას უკავშირდება, რის გამოც ცოტა ქართულად საუბარიც კი გიჭირს. ქართველი მანდ არავინ გყავს?**

– აქ კი გავიცანი ქართველები, მაგრამ, ისინიც ძალიან დაკავებულები არიან და ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით. ფაქტობრივად, ქართულად ლაპარაკი არ მიწევს, მხოლოდ საქართველოში თუ ვეკონტაქტები მეგობრებს „ფესიბუქით".

**– 19 წლიდან მარტო ცხოვრობ. დამოუკიდებელი მანამდეც იყავი?**

– არა, დამოუკიდებლობას აქ შევეჩვიე. მშობლების ზრუნვას შეჩვეულს, თავიდან ძალიან გამიჭირდა. დედის ხელი ძალიან მომაკლდა. ყველაზე ნაკლებად მას უნდოდა ჩემი ამერიკაში წასვლა. აეროპორტში ბოლო წუთამდე მეკითხებოდა, მართლა გინდა წასვლაო?

**– როგორც ყველა კალათბურთელს, შენც გინდა, ალბათ, NBA-ში თამაში.**

– რა თქმა უნდა, NBA-ში თამაში ბავშვობიდან ჩემი ოცნებაა. იმედი მაქვს, გამიმართლებს.

**– რომელ გუნდში ისურვებდი თამაშს?**

– ბავშვობიდან „ლეიკერსის" გულშემატკივარი ვარ და მის შესახებ ყველაფერი ვიცი. კალათბურთის თამაში რომ დავიწყე, პირველი ფორმა სწორედ „ლეიკერსის" მქონდა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, NBA-ში თუ ვითამაშებ, გუნდს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

**– ამის რეალური პერსპექტივა თუ არის?**

– როგორც ამბობენ, კარგი სეზონი ვითამაშე. როგორც მწვრთნელები მეუბნებიან ამერიკაში, პირველი წლისთვის ძალიან კარგი შედეგი ვაჩვენე. არ მიყვარს ჩემი თავის შეფასება, მაგრამ... დრო კიდევ მაქვს, საკუთარი შესაძლებლობები რომ ვაჩვენო.

**მარიკა ხიდურელი**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი – საგანმანათლებლო სივრცის ლიდერი



**ერის მოამაგეთა დაჯილდოების ცერემონიალზე „სოფლის მაშენებელნი 2013“ განათლების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდო გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს გადაეცა. ამ ფაქტთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ მამუკა თავხელიძეს გავესაუბრეთ, რომელიც 2012 წელს წლის რექტორად დასახელდა.**

**– როგორ მოხვდით ნომინირებულთა შორის?**

– ვერ გეტყვით ***(იღიმება),*** ჩვენთვის სიურპრიზი იყო ეს ჯილდო, ეს კითხვა, ალბათ, პროექტის ორგანიზატორებს უფრო ეკუთვნით, მაგრამ, თუ ზედმეტ თვითდაჯერებულობად არ ჩამითვლით, არც გასაკვირი ყოფილა, რადგან ჩვენმა უნივერსიტეტმა ნამდვილად სერიოზული სამუშაო გასწია, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემა მაღალ სტანდარტებამდე აეწია.

**– გვითხარით, რას გულისხმობთ საგანმანათლებლო სისტემის სტანდარტების აწევაში?**

– საგანმანათლებლო სტანდარტი კომპლექსური სისტემაა. უპირველესად, უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის კონტაქტები საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც წლიდან წლამდე ფართოვდება და, თუ ადრე საგანმანათლებლო კონტექსტში უნივერსიტეტის პარტნიორი ქვეყნები იყვნენ ინგლისი, აშშ, გერმანია, ახლა მათ რიცხვს საფრანგეთიც მიემატა, სადაც ჩვენს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიღრმაონ პროფესიული ცოდნა როგორც ფრანგულ, ისე ინგლისურ ენაზე. ამჟამად ორი სტუდენტი უკვე განაგრძობს სწავლას საფრანგეთში, ნანტის უნივერსიტეტში, სრულად უნივერსიტეტის დაფინანსებით და იგეგმება სხვა სტუდენტების გამგზავრებაც. სწავლების მეთოდოლოგია საერთაშორისო საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის იდენტურია.

ჯერ კიდევ, 2001 წელს უნივერსიტეტში განხორციელდა ევროკავშირის TEMPUS TACIS-ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სწავლებისა და სწავლის სისტემის გარდაქმნას ევროპული სტანდარტის შესაბამისად, რაც სახელმწიფომ, როგორც კანონი, რომელიც ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას იდენტური სისტემის შემოღებას ავალდებულებდა, მხოლოდ 2005 წელს მიიღო.

უნივერსიტეტი გამორჩეულია აკადემიური გუნდით. ჩვენთან მუშაობენ ის პროფესორები, რომელნიც ამინდს ქმნიან თავის დარგში, არიან იმ სახელმძღვანელოების ავტორები, რომლითაც სწავლობენ ახალგაზრდები სხვა უმაღლეს სასწავლებლებში..... და ალბათ, სწორედ ამ ფაქტორით გამოგვარჩიეს ერის მოამაგეთა დაჯილდოების ცერემონიალზე. ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა ეზიაროს ამ სტანდარტებს. მოგეხსენებათ, მაღალი ხარისხის ნებისმიერი პროდუქტი ძვირად ღირებულია. ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუდენტები კი ყოველთვის მაღალშემოსავლიანი ოჯახებიდან არ არიან, ამდენად, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა სოციალური ფაქტორი და ნიჭიერი ახალგაზრდების წასახალისებლად სწავლის ღირებულება 6 000-ლარიდან 4-000-ლარამდე შეამცირა.

**– თქვენი უნივერსიტეტი სწავლაზე ორიენტირებულ აბიტურიენტებს ყოველთვის საინტერესო შეთავაზებას უკეთებს, რას სთავაზობთ უკვე ახალ 2014 წელს აბიტურიენტებს, რომელთაც თქვენთან სურთ სწავლის გაგრძელება?**

– ჩვენი ამოცანაა ჩვენს უნივერსიტეტზე ორიენტირებული აბიტურიენტების მიღება. სწავლის საზღაურის შემცირების გარდა, ჩვენთან სწავლის გაგრძელებლის მსურველ ახალგაზრდებს წამახალისებელ ბონუსებსაც ვთავაზობთ. აბიტურიენტები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების რანჟირებული ქულების მიხედვით მოხვდებიან პირველ ათასეულში და ჩაირიცხებიან გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, ისწავლიან უფასოდ. ასევე, აბიტურიენტები, რომლებიც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ნებისმიერ სპეციალობას აირჩევენ პირველ პრიორიტეტად, ისწავლიან 20-პროცენტიანი ფასდაკლებით.

მიუხედავად სწავლის საზღაურის შემცირებისა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არსებული სწავლის ღირებულების გადახდაც გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, ამდენად, ჩვენ მათ სწავლის საზღაურის გადანაწილების ფორმატსაც ვთავაზობთ.

**– საერთაშორისო პროექტებზე რას გვეტყვით?**

– ჩვენს უნივერსიტეტს არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეშიც აღიარებენ. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა უკვე მეორედ გაიმარჯვა ევროკავშირის პროექტში „ერასმუს მუნდუსი – მეზობელი აღმოსავლეთ რეგიონების ინტეგრაცია უმაღლესი განათლების კოოპერაციით“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება აქვთ, ჩაერთონ გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში, განახორციელონ საერთაშორისო მობილობა ანუ ისწავლონ ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, დააგროვონ კრედიტები და შეიძინონ ახალი გამოცდილება. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენთან უკვე სწავლობს პოლონეთის ადამ მიცკევიჩის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ევა მრასი და ველოდებით ევროპის ქვეყნებიდან სხვა სტუდენტებსაც.

**– რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

– ჩვენს ნებისმიერ აქტივობას, ფინანსური იქნება თუ აკადემიური, შესაბამისი კვლევებით ვადგენთ. აღმოჩნდა, რომ აჭარაში დიდი მოთხოვნაა ჩვენს უნივერსიტეტზე. გადავწყვიტეთ ბათუმში უნივერსიტეტის წარმომადგენლობის გახსნა. ამდენად, აჭარელ ახალგაზრდებს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი უკვე ბათუმში ელის. ჩვენი გულშემატკივრების გასახარად ვიტყვი, რომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ახალი შენობა, ფაქტობრივად, დამთავრდა. ეს იქნება პირველი კამპუსის ტიპის საგანმანათლებლო ცენტრი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ სწავლა, დასვენება და გართობა.

**ნინო მდივანი**

**ახალი სატელევიზიო ეთერიდან ნანიკო ხაზარაძე ტელეკომპანია „იმედს" მეორე წრეზე დაუბრუნდა. ეს მისთვის უჩვეულო არც არის – ტელევიზიებს ისე ხშირად იცვლის, საკუთარი რეკორდიც კი აქვს მოხსნილი. „დღის შოუს" წამყვანს ძველი დისლოკაციის ადგილზე ახალი მხოლოდ თანაწამყვანი დახვდა. თუმცა, როგორც თვად ამბობს, ახალ პარტნიორებთან ურთიერთობა სულაც არ უჭირს და შესაბამისად, ამ ამპლუასაც ისე მოერგო, თითქოს ტაიმაუტი არც ჰქონია.**

# რა ბიზნესი წამოიწყო ნანიკო ხაზარაძემ ვაკეში და რატომ ცხოვრობს ის ასკეტურად

**ნანიკო ხაზარაძე:** იქიდან გამომდინარე, რომ „იმედზე" დაბრუნებულს ახალი არც ტელევიზია დამხვედრია და არც თანამშრომლები, არც ერთი წამი არ მქონია განცდა, რომ აქაურობა დავტოვე და მერე უკან დავბრუნდი. ასე მგონია, სულ აქ ვიყავი. ეს განცდა, ალბათ, იმიტომაც მქონდა, რომ დიდი ხანი ვიყავი აქ. სამი წელი მქონდა ნამუშევარი „იმედში". ციფრი სამი თითქოს ცოტაა, მაგრამ ყოველდღიური ეთერისთვის, არაა ცოტა დრო, პირიქით, ბევრიც კია. შესაბამისად, აქაურობასთან შეჩვევა და შეგუება, არ გამჭირვებია. გუნდურ მუშაობას სხვა მობილიზაცია სჭირდება, მაგრამ მე ამას მიჩვეული ვარ. კოლექტიური არაფერი მიყვარს, მუშაობის გარდა. აქ „ახალი" დამხვდა სოფიკო ნარჩემაშვილი, რომელიც ძალიან კომფორტული ადამიანია. მასთან არ დამჭირვებია აწყობა. ისე მოხდა, რომ ერთმანეთს შევხედეთ და გავუგეთ.

**– ძველი პარტნიორები ხომ არ მოგენატრა?**

– მე საერთოდ არ მაქვს ნოსტალგიის გრძნობა. არ მაქვს ნოსტალგია არც ჩემს ძველ სახლებზე, არც ნივთებზე. მიჯაჭვულობა არაფრის მიმართ არ მაკავშირებს. ეს, ალბათ, ჩემი თავდაცვაა სენტიმენტებისგან, რომ ბევრი არ ვიფიქრო იმ ყველაფერზე, რაც უკან რჩება. ისთანაც და დოდოშკასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვერ ვნახულობთ. ჩემი დღის რეჟიმი, ბავშვი ბევრ დროს მოითხოვს.

**– შუადღის შოუ განსაკუთრებულ რეჟიმს მოითხოვს შენგან, მით უფრო, მას შემდეგ, რაც დიდი ხანი დილის ეთერს იყავი მიჩვეული.**

– კი, მაგრამ მე ხომ დილის პირველის ნახევარზე არ ვიწყებ მუშაობას? სამსახურში ადრე მოვდივარ, აგერ სხედან ჩემი დირექტორები, ბევრნი არიან, მაგრამ კარგები. ისინი მუშაობენ, მიგზავნიან ტექსტს, რასაც უნდა გავეცნო, რომ ვიცოდე, რაზე ვისაუბრო, ტვინში როგორ დავალაგო. სულ მობილიზებული ვარ, ჩემი ტვინი სულ რაღაცაზე ფიქრობს და ალაგებს. ამას გარდა, მყავს შვილი, რომელსაც ძალიან ბევრი დრო სჭირდება.

**– დროდადრო კინოპროექტებშიც ჩნდები. ეს კომერციული ინტერესია, თუ ძველი, პროფესიული?**

– შემოთავაზებები სულ მაქვს და ნეტავ, სულ მქონდეს. გარდა იმისა, რომ ეს მატერიალური შემოსავლის წყაროა, მიყვარს ამის კეთება – დროს სასიამოვნოდ ვატარებ. ჩემთვის ყველა სამუშაო საინტერესოა, რასაც კი ხელს ვკიდებ. პერმანენტულად სადღაც ყოველთვის ვარ. ზოგი პროექტი ბესტსელერიც კი ხდება, როგორც საახალწლო ფილმმა მოხსნა ყველა რეკორდი. მე ჩემს პროფესიასთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია, ამ მხრივაც სულ რაღაცას ვაკეთებ. სწორედ ასეთ დროს შეიძლება, ჩემი ნახვა ხალხმრავალ ადგილებში. ერთადერთი შანსი, რომ ხალხმრავალ ადგილებში მოვხვდე, ეს არის ჩემი სამუშაო.

**– ხალხმრავლობაში ყოფნაზე რატომ ამბობ უარს?**

– მე უფრო სახლის ტიპი ვარ, მიყვარს სახლში ყოფნა. თუ მაქვს თავისუფალი ერთი საათიც კი, მირჩევნია, სახლში გავატარო. სახლში უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე ბევრ ხალხში. სახლის საქმეც ძალიან მიყვარს – ვგიჟდები სახლის დალაგებაზე. სახლში ყველაფერს მე თვითონ ვაკეთებ. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით ყოჩაღი ვარ, მაგრამ ასეთი ვარ და არ მესმის იმ ადამიანების, ვინც გაიძახის, რომ დრო არ აქვს და ნერვები. თუ გაკეთება არ გინდა, ეს სულ სხვა თემაა.

**– და შენი ეპატაჟური იმიჯი, ცოტა ავანტიურისტული ხასიათი ასე, სახლის კედლებში რჩება?**



უფასო ყველაფერი მიყვარს

– მე არ ვფიქრობ, რომ ეპატაჟური ვარ. ქერა მოკლე თმა ეპატაჟია? ეპატაჟური ისაა, ვინც ავანტიურაზე მიდის, რომ ყურადღება მიიქციოს. კარგი გაგებით ავანტიურა და გამოწვევა მიყვარს, არ ვიხევ უკან სიახლეზე, რისკზე. იმისთვის, რომ მიზანს მივაღწიო, ყველაფერს არ წავალ. გადაცემის გამო იმას არ გავაკეთებ, რასაც არ გავაკეთებ ცხოვრებაში. რასაც არ გავუკეთებ საკუთარ თავს, იმას არც სხვას გავუკეთებ. ეს წესი ჩემთვის მარტივია. ერთი-ორჯერ მქონდა შემთხვევა, როდესაც ისეთი თემა და სტუმარი შემომთავაზეს, რომ ვთქვი: მე სამსახურიდან წავალ და ამას არ გავაკეთებ-მეთქი. მაგრამ, მე კარგი დირექტორები მყავს და არ მაიძულეს იმის გაკეთება, რაც არ მინდოდა.

**– ტელევიზია არ არის, სადაც არ გიმუშავია. ბევრგან, „იმედის" არ იყოს, მეორე წრეზე ხარ წასული. რატომ იცვლი ასე ხშირად ტელევიზიებს?**

– სიახლე კარგია. ეს ჩემთვის საინტერესოა. სიახლეები მირჩევნია ხუთი წელი ერთ ადგილზე მუშაობას. მართლა ყველა ტელევიზიაში ვარ ნამუშევარი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. პირველი, მეორე არხები, „რუსთავი 2," „მაესტრო," „იმედი" – ეს არხები ათვისებული მაქვს. „რუსთავი 2-ზე" ორჯერ ვმუშაობდი, წავედი და მერე უკან დამაბრუნეს. სამჯერ დავბრუნდი „მაესტროზე". არის რაღაცეები, რასაც ვერ ვლახავ, რაზედაც ნაბიჯს ვერ ვდგამ, ეს ალბათ, უფრო ჩემი პირადი პრობლემაა. როცა ვტოვებდი ამა თუ იმ ტელევიზიას, მერე იქ, როგორც ჩანს, იწყებოდა ფიქრი, რატომ წავედი და რაღაცეები იცვლებოდა. ახლა აქაც კარგად ვარ, სტაბილურად კარგად. სამსახურის შემდეგ მთელი ჩემი დრო ეკუთვნის ლილუს. ის უკვე ათი წლისაა, მიყვარს მასთან ერთად ყოფნა. თუ ლილუს სამეცადინო არ აქვს, აბსოლუტურად ყველგან დამყავს.

**– შენი სამსახურის ხშირი სტუმარიც იქნება. აქაურობა ოკუპირებული აქვს?**

– ლილუ არაა ტერორისტი, რაც გაჩნდა, იმ დღიდან ტელევიზიაშია. ასე რომ, არაფერს უწევს ოკუპაციას. სადაც არ უნდა წავიყვანო, მშვიდად ზის და მელოდება. მეც ასეთი ბავშვი ვიყავი. სტუმრად რომ წამიყვანდნენ, აივანზე გავდიოდი და ჩემთვის ჩუმად ვიდექი, არავის ვეკონტაქტებოდი, არ ველაპარაკებოდი. დედაჩემი მომიყვა, ლილუსხელა ვიყავი თურმე, ერთხელ სტუმრად წამიყვანეს. გავედი აივანზე და ჩემთვის ჩუმად ვიდექი. მეზობელს დაურეკავს ჩვენი მასპინძლისთვის, სად იყიდეთ ეს გერმანული თოჯინა, მეც მინდა ბავშვისთვისო. როგორც ჩანს, ისეთი გაშეშებული ვიდექი, თოჯინა ვეგონე. 16-17 წლის ვიყავი, როცა გავიხსენი და საუბარი დავიწყე.

**– როცა პირველი სართულიდან საკუთარი „ბიზნესი" დაიწყე?**

– ეს გარემოებებმა მოიტანა. პირველ სართულზე ვცხოვრობდი და ვისაც არ ეზარებოდა, მიკაკუნებდა – დამარეკინე, ტუალეტში შევალ, ყავა დამალევინე. ხუმრობის ფორმით მოვიგონე და ამ „მომსახურებას" ფასი დავადე – 50 თეთრი ღირდა დარეკვა, 50 თეთრი ყავა, 50 თეთრი ტუალეტი. სამ დღეში გავაკეთე ფული, მაგრამ ტარიფები მალევე მოვხსენი.

**– კომერციის ნიჭი გქონია.**

– არა. ამ მხრივ ამის შემდეგ მცდელობები არ მქონია. ჩემი ბინის პირველმა სართულმა და გარემოებებმა გამოიწვია ის მცირე ბიზნესი.

**– ამბობენ, რომ ძალიან აქტიური დედა ხარ.**

– მე ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივი დედა ვარ. ისე მოხდა, პატარაობიდანვე ვერ მივანდე ვერავის და სულ ერთად ვიყავით. მყავს დამხმარე ბებიები, მაგრამ პარასკევს ლილუ სკოლის მერე მასთან რომ მიდის, მეორე დილას მეც იქ მივდივარ და მაინც სულ ერთად ვართ.

**– შენ გგავს?**

– არა, გარეგნულად „კოპიო" მამაა. შინაგანად ჩემზე ბევრად კეთილშობილი და გახსნილია. მე ძალიან ჩაკეტილი ვარ. ასეთი მახსოვს საკუთარი თავი ბავშვობიდან. რა არის ამის პრობლემა? ამაზე, ალბათ, ფროიდთან მაქვს სასაუბრო და ეგებ პრობლემის ძირსაც მივაგნო. ვცდილობ, დავიცვა ჩემი სამყარო და მასში ვინმე ჩემი ნებართვის გარეშე არ შეიჭრას.

**– დღეს შენი ცხოვრების წესი როგორია?**

– ჩვეულებრივი. სახლიდან არ გავდივარ, ასკეტურად ვცხოვრობ. თუმცა, ხალისიანი და ცხოვრებისმოყვარული ვარ. ძალიან აქტიურად ვარ ჩართული სპორტულ ღონისძიებებში. სიამოვნებით ვიღებდი მონაწილეობას რალიში, თხილამურებით სრიალში. ტელევიზიიდან წავიღებდი და როგორც გამარჯვებული, ისევ უკან ვაბრუნებდი თასს *(იცინის).* ჩოგბურთში ლაბაძე მყავს დაჯაბნილი. ჩვეულებრივი ტურნირი იყო, როცა მკითხეს, ჩოგბურთი იციო? კი-მეთქი, ვუპასუხე. ტურნირი ბათუმში იმართებოდა, უფასო ყველაფერი მიყვარს. როცა ვიფიქრე, რომ შემეძლო ერთი დღე გამეცდინა სამსახური, ორი დღე კარგ სასტუმროში უფასოდ დამესვენა და კარგად მეჭამა, ამაზე უარს როგორ ვიტყოდი. გარეგნულად არ მეტყობა, თორემ კარგი მჭამელი ვარ. მოკლედ, ორი კვირა ვივარჯიშე და ბალერინასავით გამოწყობილი წავედი ბათუმში. არც პოკერის თამაში ვიცოდი, არავის ეგონა, რომ პირველად ვიჯექი მაგიდასთან, მაგრამ ფინალში გავედი და ისიც მოვიგე. მთამსვლელობაშიც მაქვს აღებული თასი, მოკლედ, თასებს ვაგროვებ ტელევიზიისთვის. აი, ამ მხრივ ნამდვილად ვარ ავანტიურისტი *(იცინის).*

**თამუნა ნიჟარაძე**

**ცოტა ხნის წინ დიზაინერმა მარინა ხორავამ „არტ სტუდიაში“, სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა მოაწყო, რომელმაც ნამდვილად გადააჭარბა მოლოდინს. რაც მთავარია, მარინა ხორავას „ცოდნის, გემოვნების, სტერეოტიპების ნგრევის” სახელოსნოში სტუდნეტების მიღება უკვე დაწყებულია.**

# როგორ „ეცემა” 17 წლის შემდეგაც მარინა ხორავას მეუღლისგან თავზე „ესემესების ზღვა“ და რატომ არის ის განსხვავებული ტიპის ცოლი

**მარინა ხორავა**: როგორც ამ სეზონის, ასევე, წინა სეზონის სტუდენტებით, ძალიან კმაყოფილი ვარ. გამიმართლა, რომ ისეთი ადამიანები მოდიან, რომლებსაც ნამდვილად აინტერესებთ ეს სპეციალობა. აქ არ გაიცემა დიპლომი. 2012-2013 წლის წარმატებად მივიჩნევ იმას, რომ ჩემთან რა გემოვნებითაც შემოვიდნენ, თუმცა, მას არავის ვუწუნებ, აქედან გადიან სხვა გემოვნებით – უფრო მეტად დახვეწილი. გაცნობიერებეული არიან მოდის ისტორიასა და ტენდენციებში. სულ ვცდილობ, სტერეოტიპების ნგრევას პიროვნულ ურთიერთობებში, საქმეში, საზოგადოებაში, ჩემს სფეროში. ვინც ჩემთან შემოდგა ფეხი, ჩემგან გავიდა სრულიად სხვა ადამიანი, რა თქმა უნდა, ამ სფეროსთან მიმართებაში. ჩვენთან ორსაათინი სწავლებაა, ვსხედვართ და ვხატავთ. ვხუმრობ ხოლმე: გოგონებს სიქა გავაძრე-მეთქი. პარალელურად, იმდენ რამეზე ვსაუბრობთ, რომ ასე, გართობა-გართობაში, ისწავლეს ბევრი რამ. წინა სეზონის ერთი სტუდენტი საერთაშორისო გამოფენაზეც გავუშვი – პრიზებიც მივიღეთ, ჯილდოებიც.

**– შენი სტუდენტების ნამუშევარს, რომ ვუყურებ, აქაც იგრძნობა სტერეოტიპების ნგრევა.**

– წლების განმავლობაში ვანგრევ სტერეოტიპებს და ახლა მინდა, ეს ჩემს თანამოაზრეებთან ერთად დავანგირო. ამიტომაც გავაკეთეთ საკაბე ქსოვილებისგან პალტოები. შიფონი გამოვიყენე სასარჩულე ქსოვილად. კონტრასტული ფერების შეხამება ძალიან რთული თემაა, ჩამოყალიბებულ მოდელიორებსაც გვეფიქრება ამაზე. ჩემს გოგონებს ეს ძალიან კარგად გამოუვიდათ. მათ შევთავაზე თემა: აბსოლუტური ასიმეტრია, ნგრევა, წესებიდან ამოვარდნა. ვაკეთებთ სეზონურ პალტოებს და ამგვარ საუბრებში გადაწყდა ყველაფერი. ჩემი დაც მონაწილეობს ამ პროექტში, არქიტექტორია და ბევრი რამ იცის ამ საქმეში. კოპლებიანი ატლასისგან და ბეწვით გააკეთა პალტო – ამას ხომ მოფიქრება უნდოდა. უბრალოდ, ჯერ არ არის დასრულებული, ამიტომ ვერ გამოვფინე. მაიკო ნიკოლაძე, ირმა ციქუბაძე არიან ამ კონკრეტული მოდელების ავტორები. თუმცა, ამას დაემატება კიდევ ოთხი ავტორის რვა პალტო. ყველაზე მეტად მაინტერესებდა, მე რა შევძელი, რა გამომივიდა. შემოსასვლელში ჩემი ნამუშევრები გამოვფინე, მაინტერესებდა, რამხელა ზღვარი იქნებოდა მათ შორის და აღმოჩნდა, რომ არ არის დიდი ზღვარი. ანუ, ექსპერიმენტი ჩავატარე საკუთარ თავზე. ახლა ვაპირებ ავეჯის დიზაინით დავკავდე. ფოტოგრაფია ბავშვობიდან მომწონს. მუდმივად მედო ჩანთაში მამას „ზენიტი“, „ზორკა“, ვიღებდი და ჩემთვის ვბეჭდავდი წითლად განათებულ საბეჭდ ოთახში. თან, ექსპერიმეტებს ვატარებდი. მამაჩემიც თავად იყო ექსპერიმენტატორი, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ისევე, როგორც დედაჩემი. ახლა ცოცხლები რომ იყვნენ, ალბათ, მათგან კიდევ რამდენ რამეს ვისწავლიდი. არასდროს მიშლიდნენ ხელს. დედაჩემის ახალგაზრდობაში წითელი, ქიმიური პომადები იყო. მე ტუჩებზე, წარბებზე ვისვამდი და დავდიოდი. მახსოვს, ძალიან გრძელი წამწამები მქონდა, ხელს მიშლიდა და მოვიჭერი. დედა ფარდებს რომ ჩამოხსნიდა გასარეცხად, მე და ჩემი და შემოვიხვევდით, ქოლგებს დავიჭერდით ხელში და



ზვიკოსაც უთქვამს: სხვა ცოლი რომ მყოლოდა, ასეთი არ ვიქნებოდიო. მეც ვისწავლე ბევრი რამ ზვიკოსგან და მან – ჩემგან. ცოლ-ქმარი ერთმანეთისგან, კარგ შემთხვევაში, ბევრ რამეს სწავლობს

ორი ფუფალა ოთახიდან ოთახში დადიოდა. თან, ყველა ოთახს თავისი სახელი ერქვა: ვენეცია, ფლორენცია, ზღვა და ასე ვმოგზაურობდით ორი ფოფოდია. ოთახებიც სულ მოხატული იყო. თან, ოჯახებს ვხატავდი: დედა, მამა, შვილები. საბოლოოდ, მე აღმოვჩნდი ოჯახში თეთრი ყვავი და მიხარია, რომ ძალიან კარგი მშობლები მყავდა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ სრულ თავისუფლებაში გამზარდეს. არასდროს ვყოფილვარ „არტეკში“, არადა არაერთხელ ვიყავი წარდგენილი როგორც კარგი მოსწავლე. მაგრამ, მარტო არ მიშვებდნენ. ბიჭებთან ვმეგობრობდი, მეტრომდე ვაპირებდით გვირაბის გაყვანას. ფიცრებისგან უნდა გაგვეკეთებინა ტანკი, მტრებიც გვყავდა. მე ერთი გოგო ვიყავი, ამიტომ საიდუმლო ასოებით მომწერეს: შენ იქნები შტაბის უფროსიო.

**– ვინ მიგაჩნია შენს ყველაზე დიდ მასწავლებლად?**

– ჩემი მშობლები – როგორც საქმიან სფეროში, ასევე ოჯახურ ურთიერთობაში. დღემდე არ ვიცი, როდის ჩხუბობდნენ, სად ხდებოდა ეს და როგორ. მერე მივხვდი, რომ ეს ხდებოდა ისე, რომ ჩვენ, ბავშვებს არ შეგხვებოდა – ეს კი რამხელა ნიჭია. ისე, რომ გითხრა, ჩემი ეტალონი რიჩარდ ბრენსონია. ეს არის ადამიანის ეტალონი – თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ბევრი ფული აქვს. მილიონერები გოიმები არიანო, რომ ამობებენ – ეს ადამიანი ამ სტერეოტიპსაც ანგრევს. ძალიან პროგრესულია.

**– ზვიკო ნამდვილად არის ასეთი ადამიანი.**

– იმიტომაც არის ჩემი ქმარი. სხვა შემთხვევაში, არ იქნებოდა. ბევრს უთქვამს ეს და ცოტა ხნის წინ ერთმაც მითხრა, რომელიც შორიდან იცნობს ზვიკოს: დარწმუნებული ვარ, ზვიადი კარგი ადამიანი და პიროვნება იქნება, რადგან შენი ქმარია. ანუ, შენ რომ გადაწყვიტე, მისი ცოლი ყოფილიყავიო. ზვიკოსაც უთქვამს: სხვა ცოლი, რომ მყოლოდა, ასეთი არ ვიქნებოდიო. ვერ ვიტყვი, რომ ამ თემაზე ძალიან ბევრს ვსაუბრობთ. მეც ვისწავლე ბევრი რამ ზვიკოსგან და მან – ჩემგან. ცოლ-ქმარი ერთმანეთისგან კარგ შემთხვევაში ბევრ რამეს სწავლობს. 16 წელი ერთად იყო, ეს ძალიან რთულია. თან, ჩვენ ეკლიანი გზები გავიარეთ. ადამიანს აქვს სიყვარულის დიდი ნიჭი, შეიძლება, 17 წლის შემდეგ კიდევ გეცემოდეს თავზე ესემესების ზღვა? ასეთია ჩემთან მიმართებაში. ქალებს უთქვამთ: შენ ხარ ისეთი ტიპი, რომ სხვა ქმარიც შენთან ასეთი იქნებოდაო. ზვიკო კი ამბობს: მე რომ სხვა ცოლი მყოლოდა, ასეთი სიყვარულის ახსნები, ესემესები არ იქნებოდაო. მე, ზვიკოსთან შედარებით, ყინულის ნატეხი ვარ. ვერც სითბოში შევედრები მას, ვერც სიყვარულში – ამას ვაღიარებ.

**– რას ფიქრობ, რა ისწავლეთ ერთმანეთისგან ყველაზე მნიშვნელოვანი?**

– არ ვიცი, რა ისწავლა ზვიკომ ჩემგან, თუმცა, სულ აღნიშნავს, რომ მას ჰყავს სხვა ტიპის ცოლი: უფრო მეგობარი, „პადრუგა“, ნაშა, დამრიგებელი. ჩემთვის ცხოვრებაში ერთი კაცი იყო ზვიკო, ვისთანაც რეალური ურთიერთობა მქონდა. რეალურ ურთიერთობაში კი უფრო მეტს სწავლობ, ვიდრე „სათაურით“ ურთიერთობაში. ზვიკო მაინც რთული პიროვნებაა. მაგრამ, მე ის მივიღე იმ თვისებებით, როგორიცაა: ნიჭიერება, წესიერება და რაც მთავარია, ის ძალიან პროგრესული ადამიანია. დავინახე ისიც, რომ ადამიანები არ იცვლებიან, ამიტომ, მოთმენა ვისწავლე, რადგან რაღაცა რაღაცის ხარჯზე ხდება – ის, რაც შენთვის პრიორიტეტული, ღირებულია, გარკვეული მსხვერპლის ფასად გიღირს. შენ კარგად იცი, როგორი წარმატებით ავფრინდი საქმეში, თან, მარტომ გავაკეთე ყველაფერი. ზვიკომ უკვე წარმატებული ქალი გამიცნო. მაგრამ მერე, შვილების გამო, ეს ყველაფერი დავთმე. ახლა, რაღაცას რომ ვაკეთებ, ეს ჩემთვის დათმობაა – არ არის ის, რასაც მე უნდა ვაკეთებდე. საწყის ეტაპს დავუბრუნდი, უბრალოდ, წარმატება ინერციით მომყვება. ასე რომ, ზვიკომაც, ბავშვებმაც მასწავლეს პრიორიტეტების ერთგულება, სწორად გადანაწილება. ოჯახმა მომცა იმის გამოცდილება, რომ პრიორიტეტები თავიდანვე სწორად მქონოდა გადანაწილებული და მათი ერთგული ვყოფილიყავი. როდესაც კაცს ოჯახი აწევს ზურგზე და რაღაც პრობლემა აქვს, ის იმწუთას ვერ გათვლის, კარგად იქცევა თუ ცუდად. მე ამის გაგება, მიღება ვისწავლე, ანუ ადამიანის მდგომარეობაში შესვლა, რაც რთულია, დამთრგუნველია. მაგრამ, როცა შეგრჩა ის, რაც გინდოდა, რაზეც გააკეთე არჩევანი, კეთილი ინებე და გააგრძელე ისე, როგორც საჭიროა. ადამიანმა უნდა იცოდე, რა გინდა. გამოცდილება კი თავისას აკეთებს. იგივეა ჩემს პროფესიაშიც, ასაკი ერთი პლუსია გამოცდილებისთვის. რაც მთავარია, ემოციებმა არ უნდა გძლიოს გადაწყვეტილების მიღებისას, ცხელ გულზე არაფერი არ უნდა გადაწყვიტო, საქმეს ეს განსაკუთრებით არ უხდება, პირად ურთიერთობაში უფრო შეიძლება, რადგან, იქ ყველაფერი ხდება. მე ვიცი, რას ნიშნავს დედოფლად ყოფნა და შემდეგ პაიკად გადაქცევა. მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე შენარჩუნება და ეს შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვან დროს არ გამომივიდა, შეცდომა დავუშვი, რომელსაც არ ვნანობ. რეალისტი ვარ – იყო და აღარაფერი ეშველება. მთავარია, რომ ასეთ ისტორიას მეორედ აღარ გავიმეორებ.

**ნათია უტიაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## ღმერთმა გაუბედურებას გადამარჩინა

ლადო საერთო მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი. მაშინვე მოგვეწონა ერთმანეთი. ჩემი ყურადღება იმით მიიქცია, რომ სხვა ბიჭებივით არ ტინგიცობდა და არ მარიაჟობდა. სერიოზული იყო, დახვეწილი მანერებით, კარგი სიტყვა-პასუხით. მერე როიალთან დაჯდა და ულამაზესად დაუკრა და იმღერა (სხვათა შორის, ეს თავის მოსაწონებლად არ გაუკეთებია, იუბილარმა სთხოვა და ხათრი აღარ გაუტეხა). ამის შემდეგ საცეკვაოდ გამიყვანა და, „ფოქსტროტით" დაწყებული, „ტანგოთი" დამთავრებული, ისე მაბზრიალა, თავბრუ დამახვია. თუმცა, ისედაც დამახვია თავბრუ თავისი ჯენტლმენობით, რაც ასე იშვიათია დღეს. მე თვითონ მოცეკვავე ვარ და იშვიათად მინახავს, ბიჭი რომ ასე ცეკვავდეს. ერთი სიტყვით, ცეკვის დასრულების შემდეგ უკვე ყურებამდე ვიყავი მასზე შეყვარებული, თუმცა, რაღაც უცნაურობები ხასიათში მაშინვე შევამჩნიე, მაგალითად, როცა ვუთხარი, მოცეკვავე ვარ და ანსამბლში ვცეკვავ-მეთქი, მითხრა, ხვალიდან იქ აღარ წახვალო. მაშინ მე ეს ხუმრობად ჩავუთვალე და დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ რომ დამირეკა და ვუთხარი, რეპეტიციაზე ვარ-მეთქი, ისე გამიბრაზდა (მე ხომ გითხარი, იქ ფეხს აღარ მიადგამო), რომ, სიმართლე გითხრათ, ჯერ შემეშინდა, მერე კი გული მომივიდა, მაგრამ, პაემანზე ძალიან თბილად შემხვდა, ულამაზესი თაიგულით, მერე რესტორანში წამიყვანა, ერთი სიტყვით, ყველანაირად თან გადამყვა (ცეკვაზე ხმაც არ ამოუღია) და მეც მალე დამავიწყდა მისი უტაქტო საყვედური.



ერთ-ერთ პაემანზე კაფეში დავსხედით და ათას რამეზე ვილაპარაკეთ. მე ჩემს ამბებს ვუყვებოდი, ის – თავისას (ამით ვცდილობდით, უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი). როცა ვუთხარი, ლამის ბავშვობიდან ვოცნებობ დიდ და ლამაზ სიყვარულზე-მეთქი, მიპასუხა: მე სიყვარულზე არასდროს მიოცნებია, რადგან, ეს ასეც უნდა იყოსო. ვერ მივხვდი, რას გულისხმობ-მეთქი, რომ ვკითხე, მითხრა: მე ისეთი მამაკაცი ვარ ჩემი შინაგან-გარეგანი თუ ანკეტური მონაცემებით, რომ ჩემზე ისედაც ყველა გოგო გიჟდება, მაგრამ, ის, ვისაც მე ავირჩევ ჩემი ცხოვრების თანამგზავრად, უნდა მაღმერთებდეს და ჩემს ყველა მოთხოვნას უპირობოდ უნდა ასრულებდესო.

– შენ არ უნდა აღმერთებდე-მეთქი? – ვკითხე ღიმილით, რადგან, მეგონა, რომ ხუმრობდა. იცით, რა მიპასუხა? მე ის მეყვარება, პატივს ვცემ, ვარჩენ კიდეც, მაგრამ ღმერთი ქმარი უნდა იყოს ცოლისთვის და არა პირიქითო. თუ ძალიან ეყვარები, მაგრამ, კერპად არ გაგიხადა-მეთქი? მაშინ, ძალიან მწარედ ინანებს, რომ საერთოდ გამომყვა ცოლადო. ეს რომ მითხრა, თვალებში ისეთი ბოროტი და ცინიკური ნაპერწკალი აუკიაფდა, შემეშინდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ვუთხარი, თავი ამტკივდა და სახლში წამიყვანე-მეთქი. ძალიან შეწუხდა და მაშინვე წამიყვანა, თან, მთელი გზა მეკითხებოდა, როგორ ხარო. მეორე დილით დამირეკა და მითხრა, გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც უნდა მეთქვა შენთვის და, რადგან შენი თავის ატკიების გამო ველარ მოვახერხე, დღეს შევხვდეთო. მართალი გითხრათ, გული მიგრძნობდა, რასაც მეტყოდა და ყველანაირად ვეცადე, რომ ეს შეხვედრა თავიდან ამეცილებინა, მაგრამ, ვერ შევძელი – მაინც დამითანხმა. ამიტომ, პაემანზე მიმავალი, გზაში ვაწყობდი გეგმებს, რა მეთქვა და როგორ მოვქცეულიყავი, თუმცა, დავსხედით თუ არა, ყოველგვარი შესავლის გარეშე, მაგიდაზე გახსნილი კოლოფი დამიდო ბრილიანტის ბეჭდით და შეუვალი ტონით მითხრა: ვიცი, გაგიხარდება, რასაც ახლა გაიგონებ, რადგან, ასეთ წუთებს ყველა გოგო მოუთმენლად ელის, მით უმეტეს, ჩემნაირი ბიჭისგან: მე გადავწყვიტე, რომ ჩემი ცოლი უნდა გახდეო. ანუ, თვითონ გადაწყვიტა და ეს იყო მთავარი, ჩემს აზრს მნიშვნელობა არ ჰქონდა; თანაც, ისე უნდა გამხარებოდა, იქვე მადლობებად უნდა დავღვრილიყავი და წინასწარვე თაყვანი უნდა მეცა ჩემი მომავალი კერპისთვის. სიამართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ ნებისმიერი გოგოს ცხოვრებაში მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ჩემთვის ასეთი საშინელი იქნებოდა. ასეთი ორიგინალური ხელის თხოვნის შემდეგ ისეთი შოკი მივიღე, რამდენიმე წუთს გონს ვერ მოვედი, მერე კი მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე, რამდენიმე დღე უნდა მომცე პასუხის მოსაფიქრებლად-მეთქი, თუმცა, უკვე ზუსტად ვიცოდი, რა პასუხსაც გავცემდი. ლადომ კი გაოცებით და თან საკმაოდ მრისხანედ მითხრა: მე მეგონა, სიხარულისგან გადაირეოდი, არჩევანი შენზე რომ შევაჩერე და ხელი გთხოვე, შენ კი დღეები გჭირდება თანხმობის სათქმელად? ასე არ გამოვა, საყვარელო, თუ ჩემთან ერთად ცხოვრება გინდა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე ვიტყვი, თუ არა და... – მერე წარბი ასწია და რაღაც საშინელის თქმა დააპირა, მაგრამ, მე აღარ ვაცალე და, უკვე გონზე მოსულმა (ანუ, მივხვდი, რა მონსტრიც იდგა ჩემ წინ), პირდაპირ მივახალე: სიმართლე გითხრა, რამდენიმე დღის შემდეგაც იმავე პასუხს გაიგონებდი, რასაც ახლა გეტყვი – მე შენი ცოლი არასდროს გავხდები, იმიტომ, რომ აღარც მომწონხარ და აღარც მიყვარხარ. შენთან ყველა ქალი უბედური იქნება, რადგან, საკუთარ თავზე შეყვარებული ეგოისტი ხარ და, სულ ტყუილად გგონია, რომ შენი ცოლობა ბედნიერებაა. რამდენიმე დღით მოცდა კი იმიტომ გთხოვე, რომ შემეცოდე, მაშინვე მეთქვა უარი-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, არც კი დავმშვიდობებივარ, ისე გამოვბრუნდი და წამოვედი. ძალიან მინდოდა იმ წუთებში მისი სახის დანახვა, მაგრამ, თავი დავძლიე და უკან აღარ მიმიხედავს.

მეორე დღეს დამირეკა და ერთადერთი კითხვა დამისვა: კაფე-რესტორნებში და ყვავილებში რაც ფული დაგახარჯე, იმას ვინ დამიბრუნებსო. წარმოგიდგენიათ?! ჯერ მართლა დავაპირე, მესესხა რაღაც თანხა და მისთვის გამეგზავნა, მაგრამ, ჩემი დაქალი გადაირია – გიჟი ხომ არა ხარ! შენ ხომ არ გითხოვია, რესტორანში წამიყვანე და ყვავილები მიყიდეო, ჰოდა, არა უშავს, ცოტათი თუ დაზარალდებაო.

ლადოსთან დაშორება არ განმიცდია, პირიქით, ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ რაღაც საშინელებას გადავურჩი. აშკარად ღმერთმა გადამარჩინა გაუბედურებას. ამ შემთხვევამ კი ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მასწავლა: არავინ არ უნდა შეაფასო გარეგნული და ანკეტური მონაცემების მიხედვით; მთავარია, როგორი პიროვნებაა და როგორი ხასიათი აქვს – მხოლოდ ამას ვერ შეცვლი, დანარჩენ ყველაფერს კი ეშველება.

**შორენა, 23 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## როგორ გამართა თინათინ ჯაფარიძემ ბროდვეიზე საკუთარი ცხოვრების მიხედვით დადგმული სანახაობა სპექტაკლი და რატომ გადაწყვიტა ცნობილმა გამოცემამ მისი სიმღერების ჩაწერა

(მე-2 გვერდიდან)

**– რა ხდება სელინ დიონის სიმღერასთან დაკავშირებით, როგორი გამოვიდა?**

– სელინ დიონის ფრანგული სიმღერა ძალიან კარგი გამოვიდა. სხვათა შორის, ის ჩემს სახლში დაიწერა. ჩემმა პროდიუსერმა ქრის ნილმა გადაუგზავნა „სონიში" იმ ადამიანს, რომელიც სელინ დიონის რეპერტუარზე ზრუნავს. ძალიან მოეწონა და გვითხრა, ორ წელში იწყებს ფრანგულ ალბომზე მუშაობას. ამიტომ, კარგი იქნება, რომ სელინს და მის მეუღლეს, რენეს, ქრისმა მოასმენინოს ეს სიმღერაო. ისინი წელიწადში ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს და უსმენენ იმ სიმღერებს, რომელიც სელინმა უნდა ჩაწეროსო. რადგან სელინი ჯერ არ ჩაწერს ფრანგულ ვერსიას, ამიტომ შემოგვთავაზეს, ამ სიმღერის ორ სხვადასხვა ენაზე ჩაწერა და ბაზარზე გატანა. სელინისთვის არ აქვს მნიშვნელობა და არ აწუხებს ის ფაქტი, რომ სიმღერა, რომელიც უნდა ჩაწეროს, ნამღერი აქვს თუ არა სხვა მომღერალს. მას მიაჩნია, რომ ის მაინც სხვანაირად იმღერებს. კომერციული სიმღერა გამოვიდა, ბევრი მომღერალი დაინტერესდა. ინგლისურადაც გვაქვს ჩაწერილი, ესპანურადაც ჩაიწერება და კიდევ ერთ ენაზე. სხვადასხვა ენაზე განსხვავებულად აღიქმება, ხასიათი ეცვლება.

**– რა ხდება ბარბრა სტეიზანდთან დაკავშირებით?**

– როგორც იცით, ის უკვე წლიწად-ნახევარია, დუეტების ალბომს წერს. როცა ჩვენ დავწერეთ სიმღერა, მაშინ გვითხრეს, როგორც კი დუეტების ალბომს დაამთავრებს, მერე ვიმუშაოთ სიმღერაზეო. „ფეისბუქზე" მისი პროდიუსერები წერენ, რომ ასეთი დაუსრულებელი ალბომი არ ყოფილაო. ასე რომ, ჩვენი სიმღერა რიგში დგას. ტექსტი უნდა გადავაწერინოთ მის პოეტებს, კომპოზიტორებს. როგორც კი ჩაამთავრებს, მერე ჩვენი რიგი დადგება და მივაწვდით სიმღერას, რომელიც წელიწად-ნახევარია, რიგში დგას. თან, ვერავის ვასმენინებთ, ექსკლუზივია ბარბრასთვის, რადგან ის სელინისგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას აქცევს, რომ არავინ მოისმინოს და იმღეროს.

**– დეივ გრუზინს ხომ არ შეხვედრიხარ კიდევ?**

– ნიუ-იორკში დეივ გრუზინს გაუმართეს საღამო, დააჯილდოება. თაიმ სქვერზე ჩამოვიდა მთელი მუსიკალური ბომონდი, ფანტასტიკური გალა-საღამო იყო. დაპატიჟეს დეივის მეუღლე და მისი შვილი, ანუ მე. ისეთი გახარებული ვიყავი, არა მხოლოდ დეივმა გადაწყვიტა, რომ მისი შვილი ვარ, მუსიკალურმა სამყარომაც მის შვილად მიმიღო. დეივის ცოლი, ნენი, ახალგაზრდა, ენერგიული, არანორმალურად ქარიზმიანი ადამიანია. მისი მადლობელი ვარ. იმის გარდა, რომ დეივი და მე პირველად ერთმანეთს მარტო შევხვდით, შემდეგ ჩემი და დეივის უფრო პირადულ დონეზე დამეგობრება ნენიმ განაპირობა. დეივი ძალიან ჩაკეტილი, მორიდებული ადამიანია და ინიციატივა მან აიღო. ამიტომ, არა მხოლოდ დეივია ჩემი მამა, ნენიც ჩემი დედაა. ის დეივის გვარზე არ არის და როდესაც „ფეისბუქზე" რამეს მიწერს, სულ მეკითხებიან: ვინ არის ეს ნენი და რატომ წერს: შენი ამერიკელი მამა და დედა ვართო. მოსაწვევებზეც ეწერა: დეივ გრუზინი და ოჯახი. რაღა დაგიმალოთ და, ეს მეც კარგად შევიფერე. დავიჯერე, რომ ჩემი ამერიკელი მშობლები არიან. ერთად მუშაობაც ძალიან გვინდა, მაგრამ ფიზიკურად ვერ ვახერხებთ ერთ ქალაქში ყოფნას. დეივთან დაკავშირებით ერთი პროექტი მაქვს მოფიქრებული და გვინდა, ამაზე მუშაობა დავიწყოთ.

**ნათია უტიაშვილი**

# მარნეულის სასურსათო ქარხნის წარმოება ამტკიცებს, რომ ქართული სოფლის მეურნეობას მომავალი აქვს

## ირინა გაფრინდაშვილი: „სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელიც საჭიროებს ეტაპობრივ განვითარებას, ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და უწყვეტ ინვესტიციას"

**გემრიელი და ქართველი მომხმარებლის საყვარელი „მარნეულის" პროდუქცია, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სავაჭრო ქსელის დახლზე აწყვია, თავის დროზე საკმაოდ რისკიანი და ინოვაციური ბიზნესწამოწყების შედეგია. 2007 წლიდან ცნობილი ქართული მინერალური წყლის, „ნაბეღლავის" მწარმოებელი კომპანიის, „წყალი მარგებლის" აქციონერების ინტერესი სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და კვების მრეწველობის განვითარებას დაუკავშირდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება „მარნეულის სასურსათო ქარხნისა" და „მარნეული აგროს" ისტორიაც.**

**„სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელიც საჭიროებს ეტაპობრივ განვითარებას, ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და უწყვეტ ინვესტიციას. განვითარებული ქვეყნების ინოვაციური მიდგომის გათვალისწინების გარეშე, ის პოტენციალიც განადგურდება, რაც დღეს არსებობს ქვეყანაში. „მარნეულის სასურსათო ქარხნისა" და „მარნეული აგროს" შვიდწლიანმა საქმიანობამ ეს ნათლად დაგვანახვა," – აღნიშნავს „მარნეულის სასურსათო ქარხნის" დირექტორი ირინა გაფრინდაშვილი.**

*2012 წელს დანერგილმა ახალმა ტექნოლოგიებმა კომპანიას საშუალება მისცა, უფრო მეტი სიახლე შეეთავაზებინა მომხმარებლისთვის. შესაბამისად, 2013 წელი „მარნეულის სასურსათო" ქარხნისთვის გამორჩეული იყო. გაიზარდა პროდუქციის წარმოება. ამის მაგალითია სარეალიზაციო ქსელში პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები. კომპანიამ კიტრის მწნილებისა და ტომატ-პასტების ასორტიმენტის ზრდასთან ერთად, სალათების გამოშვებაც დაიწყო. განხორციელდა „მარნეულის სასურსათო ქარხნის" პროდუქციის პირველი ექსპორტი ევროპაში. დღეისთვის „მარნეულის სასურსათო ქარხანას" ტომატ-პასტის ბაზრის დაახლოებით 30 პროცენტი უკავია, ხოლო კიტრის მწნილის – 40 პროცენტი.*

**– ქალბატონო ირინა, „მარნეულის სასურსათო ქარხნის" მიზანი იყო იმპორტირებული პროდუქციის ქართული ნაწარმით ჩანაცვლება...**



– საწარმოს შექმნის დღიდან ჩვენი მიზანია, ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის ქართულით ჩანაცვლება. მომხმარებელს ვთავაზობთ 100 პროცენტით ქართულ პროდუქტს. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არსებული მითი დაგვემსხვრია, თითქოს საქართველოში წარმოება შეუძლებელია, კონკურენციას ვერ გაუწევ თურქეთს, ჩინეთს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია, თუმცა მიღწევადი. იმისთვის, რომ ქარხანამ შეძლოს, წარმოება კონკურენტუნარიანი გახადოს, აუცილებელია, წარმოების სრული ციკლი შეესაბამებოდეს და იყოს მაღალი სტანდარტების. სწორედ ამიტომ, ქარხანაში ნედლეულის უწყვეტი მიწოდების მიზნით, ინვესტიცია ჩაიდო „მარნეული აგროში". კომპანიის გაყიდვები დღითიდღე იზრდება და ასორტიმენტსაც სულ უფრო მეტად ვაფართოებთ. 2014 წლისთვისაც იგეგმება ასორტიმენტის გაფართოება. რაც უფრო მეტი ქართული საწარმო იქნება ქვეყნაში, მით უფრო მეტად დაიკავებს ქართული პროდუქცია იმპორტირებული პროდუქციის წილს ქართულ ბაზარზე.

**– თქვენი პროდუქცია 2013 წელს ექსპორტზეც გავიდა და როგორც ვიცით, უცხოელების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ მიმართულებით თუ გეგმავთ აქტივობებს?**

– ძალიან ბევრი შემოთავაზება და დიდი დაინტერესებაა მარნეულის სასურსათო ქარხნის პროდუქციის ექსპორტზე. კომპანია პერიოდულად იღებს მონაწილეობას უცხოეთში გამართულ გამოფენებში, რომლის მაგალითია FoodIst – სტამბულში 2012 წლის დეკემბერში. თებერვლის ბოლოს კი კომპანია წარმოდგენილი იქნება ამ სფეროში ერთ-ერთ უმსხვილეს გამოფენაზე - GulFood დუბაიში. მსგავსი გამოფენები ჩვენ საშუალებას გვაძლევს, უფრო ახლოს გავიცნოთ, თუ რა მოთხოვნებია უცხოეთის ბაზარზე. პროდუქციის ექსპორტზე გატანა გრძელვადიანი თემაა და ვცდილობთ, მომზადებულები ვიყოთ და ისეთი პროდუქტი შევთავაზოთ უცხოელ მომხმარებელს, რომელიც მალევე გახდება პოპულარული და ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს. ამ ეტაპზე კომპანია უფრო ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული.

**– ქარხნის ძირითადი მომწოდებელი ჰოლდინგში შემავალი „მარნეული აგრო" და ადგილობრივი ფერმერები არიან. როგორ ხდება დაგეგმვა, მოსავლის მოყვანისა და აღების პროცესი?**

– „მარნეული აგრო" მარგებელი ჰოლდინგის ნაწილია, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა სოფლის მეურნეობის სფეროში. კომპანია მარნეულის სასურსათო ქარხნისთვის ნედლეულის მთავარი მიმწოდებელია. გააჩნია საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, სადაც მოყავს ბოსტნეული და მარცვლეული კულტურები. ხდება ბოსტნეულის ჩითილების გამოყვანა საჩითილეებში და შემდეგ გადარგვა ღია გრუნტზე. „მარნეული აგრო" იყენებს ბოსტნეულის მოყვანის ევროპულ მეთოდებს და ტექნოლოგიებს. კომპანიას გააჩნია თანამედროვე წვეთოვანი მორწყვისთვის საჭირო აღჭურვილობა, ასევე კიტრისა და პომიდვრის ამღები, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს. შედეგად „მარნეული აგროს" მოსავლიანობა ჰექტარზე გადაანგარიშებით ყოველწლიურად იზრდება. კომპანიის მთავარი მიზანია მოსავლიანობის მხრივ მსოფლიოს მაჩვენებლებს მივუახლოვდეთ. მაგალითისთვის, პომიდვრის მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ 100-120 ტონაა. მაშინ როცა საქართველოში საშუალო მაჩვენებელი 15-20 ტონამდეა, ჩვენს მინდვრებზე მივაღწიეთ დაახლოებით 70 ტონას. რაც შეეხება კიტრს, ევროპაში მოსავლიანობა დაახლოებით 80-100 ტონამდეა, ხოლო „მარნეული აგროს" მინდვრებზე – 55 ტონამდე. ასევე აღსანიშნავია, რომ წელს „მარნეული აგრომ"




ხორბლის რეკორდული მოსავალი აიღო – 120 ჰექტარი მინდვრიდან 450 ტონა ხორბალი. ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 7,5 ტონა შეადგინა, რაც ქვეყანაში საშუალო მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება. ეს მაჩვენებლები საქართველოსთვის რეკორდულია.

**– რაც შეეხება წარმოებას, როგორი იყო 2013 წლის წარმოების სეზონი?**

– მარნეულის სასურსათო ქარხანა ნედლეულით ადგილობრივი ფერმერებისგან და საკუთარი მეურნეობიდან მარაგდება. გადანაწილება დაახლოებით შემდეგნაირია: ნედლეულის 40 პროცენტს საკუთარი მინდვრებიდან ვიღებთ; ხოლო 60 პროცენტი ქართულ ბაზარზე მოღვაწე ფერმერებიდან შემოგვდის. ნედლეულს საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორიიდან

**„მარნეულის სასურსათო ქარხანა" „მარგებელი ჰოლდინგის" ნაწილია, რომელიც 2007 წელს დაარსდა და საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. ქარხანა ევროპული სტანდარტების დანადგარებითაა აღჭურვილი და 50-მდე დასახელების ქართული ნედლეულისგან დამზადებულ, ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქტს უშვებს. ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი ქართულ მიწაზეა მოყვანილი და 100 პროცენტით ქართულია. შესაბამისად, M ნიშანი საქართველოში ხარისხისა და ჯანსაღი საკვების სინონიმად იქცა**

ვიბარებთ. მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდება. მომავალი სეზონისთვის მოსავლის აღების ტექნოლოგიებში ინვესტიციებს ვდებთ, იმისთვის რომ, უზრუნველვყოთ კიდევ უფრო დიდი წარმოება ბაზრისთვის. საქართველოს კლიმატი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კიტრის მოსავალი ორ სეზონზე გადავანაწილოთ. პირველი სეზონის მოსავლის აღება მაისის შუა რიცხვებიდან იწყება და ივლისის დასაწყისამდე გრძელდება, მეორე მოსავალი სექტემბრის დასაწყისში იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. 2013 წელს კიტრის რეკორდული მოსავალი მივიღეთ. ქარხანაში კიტრის გადამუშავება ევროპელი მწარმოებლების ცნობილი დანადგარებით ხდება, რაც უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის მაღალ დონეს და ხარისხს. არსებული ტექნოლოგიური ხაზები კომპანიას საშუალებას აძლევს ნედლეული დააფასოვოს შემდეგ ფორმატებში: 200, 250, 370, 580, 730, 1000, 3000-მილიგრამიან შუშის შეფუთვებში, 210,425, 830-გრამიან თუნუქის ქილებში, ასევე, დიდ მოცულობებში. ჯემები დაფასოებულია 5, 10 და 20-კილოგრამიან სათლებში. კორპორატიული მომხმარებლებისთვის 2013 წლიდან დავამატეთ თუნუქის 14 და 18-ლიტრიან შეფუთვებშიც.

**გია კრიალაშვილის უფროსი შვილი, 24 წლის ლაშა კრიალაშვილი მამის გარდაცვალების შემდეგ მასზე სახალხოდ ჩვენთან პირველად საუბრობს. ემოციის გარეშე მამის გახსენება უჭირს, მით უფრო ცნობილი კადრების შემდეგ, რამაც წარსულში დააბრუნა და მძიმე დღეები კიდევ ერთხელ გაახსენა. ამბობს, იმ მძიმე ბრალდების მიუხედავად, რასაც გარდაცვლილ პოლკოვნიკს უყენებდნენ, თავი ერთხელაც არ დაუხრია. პირიქით, თავადაც ჯარისკაცის მუნდირი მოირგო და იმ გზას შეუყვა, რასაც გია კრიალაშვილი ემსახურა.**

# რამ დააბრუნა გია კრიალაშვილის შვილი წარსულში და ვინ გადაატანინა მას ყველაზე მძიმე დღეები

**ლაშა კრიალაშვილი:** პროფესიით ენერგეტიკოსი ვარ, მაგრამ ჩემი პროფესიით ერთი დღეც არ მიმუშავია. საერთოდ არც ვიცი, ამ განხრაზე რატომ ჩავაბარე. ბაბუაჩემი ენერგეტიკოსია, დიდი ბაბუაც ამ სფეროში მუშაობდა და უფრო ოჯახმა მოინდომა ასე. საკმაოდ ბევრ ადგილას მომიწია მუშაობა, იქამდე სანამ გადავწყვეტდი, რომ ჯარისთვის დამეკავშირებინა ცხოვრება. სამი თვეა, სავალდებულო ჯარს გავდივარ, მალე აიტი დეპარტამენტში დავიწყებ მუშაობას. კარანტინში ყოფნისას, გამახსენდა ბავშვობა – ის ჯარი, რაც ჩემს ბავშვურ მეხსიერებას შემორჩა. პატარა ვიყავი და როგორც ყველა პატარა ბიჭს, მომწონდა ფორმიან ხალხს რომ ვხედავდი. სახლში მე და ჩემი ძმა სულ მამას ფორმას ვიცვამდით, ალბათ, ათი ზომით დიდი გვქონდა, მაგრამ მაინც მოგვწონდა. მამას ხშირად მივყავდი ბაზაზე ისანში, სადაც „თეთრი გიორგის" პოლკი იდგა. მანქანის ტარება იქ მასწავლეს, „ვოლგაზე". მაშინ ჯარისკაცები მართლა ჩუსტებით დადიოდნენ. მერცხალი არ დაფრინავდა პოლკის თავზე, ყველაფერს ჭამდნენ. მახსოვს, მათი ყველაზე კარგი საჭმელი წიწიბურა იყო, მაგრამ ერთმანეთის მიმართ სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდათ, ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ, ერთმანეთის კაცური გატანა შეეძლოთ. კაცური ღირსება, პრინციპები და იდეოლოგია ჰქონდათ. დედასგან და ბებიასგან ბევრჯერ გამიგია, თავისთვის ფეხსაცმელს ვერ იმეტებდა, ისიც კი ჯარისკაცებთან მიჰქონდაო. ძალიან ბევრჯერ ჰქონდა შეთავაზება ამერიკიდან, მაგრამ არ მიდიოდა – აქაურ ჯარს ვერ თმობდა. ახლა რაც საკუთარი თვალით ვნახე ჯარში, მივხვდი, რომ ადამიანური ურთიერთობები უფრო და უფრო გამოსწორებისკენ მიდის. კარანტინში გავიცანი ისეთი ბიჭები, რომლებთანაც ძალიან დავახლოვდი. თუმცა, იყვნენ ისეთი სერჟანტები, რომელთაც ვერაფერს გაუგებ. ისეთ იდეოლოგიას მიჰყვებიან, რასაც ბაჩო ახალაია ნერგავდა ჯარში და რაც მიმართულია



მე მიმალავდნენ იმ კადრებს, სადაც დედა ტანკის წინ დგას



იქით, რომ ჯარისკაცები ერთმანეთს არ ენდობოდნენ და ინტრიგაზე იყვნენ გადასულები. ეს ჩემთვის ძალიან მძიმე იყო.

**– რატომ გადაწყვიტე, წასულიყავი ჯარში? ეს გადაწყვეტილება, ალბათ, მამის ტრაგიკული გარდაცვალების „გაგრძელებაა" შენგან?**

– არ ვიცი, რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. ამაზე საკუთარ თავთანაც არ მისაუბრია. ქვეცნობიერად მინდოდა, შინაგანად მქონდა მოთხოვნილება – გული და სული მთხოვდა, რომ ვყოფილიყავი ჯარისკაცი. შესაძლოა, მე არ ვარ სამხედრო სტრატეგი და არ მაქვს ამ მხრივ დიდი ცოდნა, მაგრამ იმ ჯარში მინდა ვიყო, რაც მამასთვის ძალიან ძვირფასი იყო. თავიდან, როდესაც მამა მოკლეს, მქონდა შურისძიების გრძნობა, მერე თანდათან გამიარა. მივხვდი, რომ შურისძიებით შორს ვერ წავიდოდი. ის დღე, როდესაც მამაჩემი მოკლეს, ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე დღე იყო. მახსოვს, დილით დედაჩემის კივილმა გამაღვიძა. ტელევიზორით გადმოსცეს ეს ამბავი. მამა სულ რაღაც ორი დღის უნახავი მყავდა. თავიდან აზრზე ვერ მოვედი, რა მოხდა. უპირველესად, ჩემს ძმაზე ვიფიქრე, მაგრამ გიორგი გვერდით მეწვა და ამან დამამშვიდა. ძლივს ავდექი, ტირილითაც ვერ ვტიროდი, ვერ ვიჯერებდი. ერთი წელი საფლავზე მივდიოდი და იქაც კი მიჭირდა იმის დაჯერება, რომ მამა ცოცხალი აღარ იყო. ბოლოს უკრაინაში უწევდა საქმიანობა, თუმცა, თბილისშიც ძალიან ხშირად ჩამოდიოდა. რადგან ყოველდღიური ურთიერთობა არ გვქონდა, მისი გარდაცვალების შემდეგაც, მეგონა, რომ ისევ უკრაინაში იყო. მეგონა, რომ დამირეკავდა...

**– ძალიან მძიმე იქნებოდა შვილისთვის მამის მოღალატეობის ბრალდება.**

– მამაჩემი იმდენად მაგარი ადამიანი და სამაგალითო კაცი იყო ჩემთვის, რომ ერთი წუთით ვერ დავიჯერებდი ამას. თუმცა, ეს მძიმე ბრალდება დღემდე ძალიან მაღიზიანებს. მინდა, ვუთხრა ამ ხალხს – როცა მამაზე ამბობენ, მოღალატეაო, ან გაჩერდნენ, ან ფაქტები დადონ. თუ არა და პასუხი აგონ ამ მძიმე ბრალდებისთვის. მამაჩემზე იმდენი ღირსეული ისტორია გამიგია სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომებში, წარმოუდგენელია იმის გაფიქრებაც, რომ მამა რუსებს შეეკრა. მთელი მისი სამეგობრო ომში დაიღუპა და დაიჭრა და მამა თავის სამშობლოს უღალატებდა? ყველა ომში მონაწილეობდა და როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, ყველაფერს გაერიდა – სახლში იყო ასეთი სამხედრო პირი და მეომარი. მე მახსოვს, პირველი მუხროვანიც – სოციალურ ნიადაგზე დაწყებული უსიამოვნება. თუ არ ვცდები, ერთ-ერთი ოფიცერი ჭლექით დაიღუპა. ედუარდ შევარდნაძე მიხვდა, რომ უნდა დაეკმაყოფილებინა მათი პრეტენზიები. მაგრამ, ედუარდ შევარდნაძე ისეთი ჭკვიანიც იყო, რომ ყველაფერი გააკეთა და „თეთრი გიორგი" დაშალა. მაშინ პატარა ვიყავი და სახლში ცდილობდნენ, არ გამეგო, რა მოხდა მუხროვანში. მიმალავდნენ იმ კადრებს: როგორ იდგა დედა ტანკის წინ. მერე, როცა ეს კადრები ვნახე, დედაჩემის გამბედაობამ შოკში ჩამაგდო. დედაც ჯარისკაცი იყო, მახსოვს, დაჭრილებს ხვდებოდა აეროპორტში აფხაზეთის ომის დროს – უვლიდა, აბინავებდა. თამუნა ისე „ომობდა," როგორც ქალს შეეძლო, მამას ერთგულად ედგა გვერდში. ახლა კოჯორში „თეთრი გიორგის" ბატალიონის ექიმი შემხვდა. მეორე დღეს უკვე მოვდიოდი, როცა გაიგო, რომ გიას შვილი ვიყავი. მაშინ მითხრა: გიაზე მაგარი მეთაური ჩემთვის არ არსებობს და არც იარსებებსო. როცა მამას ასე თბილად ახსენებენ, ძალიან მეამაყება. მე მსმენია ისტორია, თუ როგორ ჩავარდა ტანკი მდინარეში, როცა სვანეთის გზით გადმოდიოდნენ აფხაზეთიდან. გია ფორმით გადამხტარა მდინარეში, გახსნა ტანკი, ორი ჯარისკაცი გადაარჩინა სიკვდილს. დავით თევზაძისგანაც კი გამიგია, გაჩერებულები ვიდექით და უცებ გია გადახტა ამ ბიჭების ამოსაყვანადო.





მამაჩემის პანაშვიდზე ერთი მამაკაცი მოდიოდა, გულით ტიროდა მამას. მერე მომიყვა, აფხაზეთის ომში ტყვიამ ბეჭში დამჭრა, მამაშენმა თმაზე ხელი მომკიდა, თვალები არ დახუჭო, არ მოკვდეო-მეძახდა. საკუთარი ზურგით მატარა სამშვიდობომდე, ასე გადამარჩინა სიკვდილსო. როგორ შეიძლება, ეს ჩემთვის ყველაფერს არ ნიშნავდეს?

**– როგორ ცხოვრობდა თქვენი ოჯახი მამის გარდაცვალების შემდეგ?**

– თავიდან მთელ ოჯახს ძალიან გვიჭირდა, გვიჭირდა მორალურად, მატერიალურადაც. ჩემთვის პირველი ერთი წელი ყველაზე მძიმე იყო. გაურკვევლობაში ყოფნა რთულია – ვერ ვიგებდი, რა როგორ, რატომ მოხდა? ათას ჭორს ვიგებდი. ყველა თავისას უმატებდა ამ ამბავს. ზოგი მეუბნებოდა, რომ მამაჩემი „მარშუტკაში" არ იყო, სხვაგან მოკლეს და იქ მიიყვანეს. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო დედა, რომელმაც გმირულად, ვაჟკაცურად გადაიტანა ეს ტრაგედია. მაშინ „თაღლაურაში" მუშაობდა ბუღალტრად, ათასი ლარი ჰქონდა ხელფასი. ამით გვარჩენდა ორ ბიჭს. სწავლის ფული გვქონდა გადასახდელი, იქ კიდევ ათასი რამ იყო მისახედი, მაგრამ დედა კაცივით დაგვიდგა გვერდში. სოციალურად ჩვეულებრივი ოჯახი ვიყავით, თავი ხომ უნდა გაგვეტანა. მერე რაღაც

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

**მსახიობი და რეჟისორი ირაკლი აფაქიძე, რომელმაც რამდენიმე წლის წინ თბილისში დადგა გახმაურებული სპექტაკლი – „ემიგრანტები,” ბოლო პერიოდში ძირითადად სერიალების გადაღებით არის დაკავებული. მას შემდეგ, რაც საყვარელ თეატრში მისი „ეპოპეა” არცთუ სასიამოვნოდ დასრულდა, ირაკლი აფაქიძემ იმ „გზას” მიმართა, რაც მას ემიგრანტულ წარსულში ჰქონდა გავლილი და რაზეც ის დღეს ჩვენთან გახსნილად საუბრობს.**

# როგორ გახდა ირაკლი აფაქიძე ბაქოელი ოლიგარქი და ვინ გადმოიბირა მან ევროპიდან თბილისში

**ირაკლი აფაქიძე:** ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა თეატრის მიმართ ინტერესი გამიჩნდა. სპეციალიზებულ 24-ე სკოლაში ვსწავლობდი, გაძლიერებული ინგლისურის განხრით. ჩვენმა პედაგოგმა, რომელიც ინგლისურს გვასწავლიდა, ჩამოაყალიბა დრამწრე და იქ დავიწყე სიარული – ასე ძალიან პატარა ასაკში ჩავერთე ამ ორომტრიალში. ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე. პედაგოგებში ნამდვილად გამიმართლა: სამსახიობო ფაკულტეტზე ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი გიზო იყო ჟორდანია. მოგვიანებით კი, სარეჟისორო, ბატონ მიშა თუმანიშვილთან დავამთავრე. სამსახიობოზე მე და ცხონებული მამუკა კიკალეიშვილი ერთ ჯგუფში ვიყავით. ბატონმა გიზომ ჩვენთან ერთად დადგა 80-იან წლებში ძალიან გახმაურებული სპექტაკლი „სამოთხის ჩიტი” – ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სტუდენტური სპექტაკლი გრიბოედოვის თეატრის რეპერტუარში ჩაჯდა, სპექტაკლები სრული ანშლაგით მიდიოდა მთელი სეზონის განმავლობაში. მთელმა თბილისმა ნახა ეს სპექტაკლი. მე ხეჩოს ვთამაშობდი, მამუკა – თავად ფანტიაშვილს, კარგი დუეტი გვქონდა. ცხოვრებაშიც ბევრი ხალისიანი ისტორია გავიარეთ ერთად. მამუკას იუმორის საოცარი ნიჭი ჰქონდა – ახალგაზრდები ვიყავით და ცხოვრება გვიხაროდა. მაშინ „რუსთაველის პროსპექტი” სულ სხვა ცნება იყო, აკლებული გვქონდა მთელი გამზირი: ბევრ ხალხს რომ დავინახავდით, მე გავიქცეოდი, მამუკა კი ყვირილით მომდევდა უკან – „დაიჭირეთ, დაიჭირეთ, ქურდიაო”. ისე იქცეოდა, თითქოს პოლიციელი იყო. დამახტებოდა ხოლმე ხუთი კაცი, გამსკვანჩავდნენ და ფიქრობდნენ, რომ კრიმინალის აყვანაში მიიღეს მონაწილეობა ***(იცინის).***

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში წასვლა ვარჩიე. ახლა ხშირად ვფიქრობ, რომ ეს ჩემი შეცდომა იყო და, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ჩემი ცხოვრება, ალბათ, სულ სხვანაირად წარიმართებოდა. მარჯანიშვილის თეატრში, ჩემი აზრით, უფრო მეტის გაკეთებას შევძლებდი. როგორც ვიცი, ბატონი თემურ ჩხეიძე აქტიურად აპირებდა ჩემს გამოყენებას თეატრის რეპერტუარში. რუსთაველის თეატრი სხვა სპეციფიკის თეატრი იყო, ახალგაზრდა თაობას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა. ასე რომ, საბოლოო ჯამში, „რუსთაველი” არ აღმოჩნდა „ჩემი თეატრი”, თუმცა, ამას საკმაოდ გვიან მივხვდი. ამის მიუხედავად, რუსთაველის თეატრში საკმაოდ ბევრ სპექტაკლში მომიწია თამაში. შემდეგ ჩავაბარე სარეჟისორო ფაკულტეტზე. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა აქ ყველაფერი აირია და თეატრისთვის აღარავის ეცალა, გადავწყვიტე, წავსულიყავი უცხოეთში და ასე აღმოვჩნდი საკმაოდ დიდხანს ჰოლანდიაში – „სტაციონარულად” 14 წელი ვიცხოვრე იქ. თუმცა, იმ დღიდან, რაც წავედი, შინაგანად ყოველდღე თბილისში „ვბრუნდებოდი”.

**– არ გაგიჭირდათ იქ ცხოვრების თავიდან დაწყება?**

– რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან რთული პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში. ორი-სამი წელი ძალიან გაგვიჭირდა. მეუღლესთან და შვილთან ერთად ჩავედი იქ და ცხოვრების აწყობა იოლი არ იყო. ვმუშაობდი ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა – ჭურჭლის მრეცხავადაც მომიწია მუშაობა და მშენებლობაზეც; ჩემს მეუღლესაც ბევრი რთული საქმის კეთება მოუხდა, მაგრამ, შემდეგ გაგვიმართლა და, ემიგრანტის კვალობაზე, ყველაფერი კარგად წავიდა. თანდათან დავლაგდით, მე მუშაობა დავიწყე, მოგვიანებით – მეუღლემაც. ჩემი პროფესიითაც ვახერხებდი ბევრის კეთებას: ბევრ სპექტაკლში ვმონაწილეობდი როგორც მსახიობი, მე თვითონაც ვდგამდი. პირველად იქ კავაკეთე სპექტაკლი „ემიგრანტები”, რომელიც ყველა ემიგრანტისთვის ძვირფასი გახდა. ამ სპექტაკლით ძალიან ბევრი ქალაქი მოვიარეთ. შემდეგ ჩემმა მეგობარმა მამუკა ხაზარაძემ შემომთავაზა, ეს პიესა თბილისში დამედგა. სპექტაკლს აქაც დიდი წარმატება მოჰყვა: ორი სეზონი სრული ანშლაგებით მიდიოდა. ვიყავით გასტროლებზე უკრაინასა და აზერბაიჯანში, სადაც ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა სპექტაკლმა. ევროპაში ცხოვრების პერიოდში გადამიღეს ორ ჰოლანდიურ სერიალში; ბელგიაში გადამიღეს ცნობილ პოლიციურ სერიალში „ფლიკენი”, სადაც პოსტსაბჭოთა სივრციდან ევროპაში გადასული მაფიოზის როლი შევასრულე. ჩემი გმირი ისეთი პოპულარული გახდა, რომ ქალაქ გენტში ტაქსის მძღოლები გზის საფასურს არ მართმევდნენ ***(იცინის).*** მაყურებლის მოთხოვნის გათვალისწინებით, სერიალის ხელმძღვანელებმა დაარღვიეს ტრადიცია – ჩემი გმირის ისტორიას, ორი სერიის ნაცვლად, ოთხი სერია დაუთმეს და მხოლოდ ამის შემდეგ „მოკლეს.”



დიდხანს ვიმუშავე, რომ შვილი „ხელში ჩამეგო”

**– როგორც ჩანს, ევროპაში დაგებედათ სერიალები, რადგან, საქართველოში დაბრუნებული, ძირითადად მაინც ამ საქმით დაკავდით.**

**ჩემი მაფიოზი გმირი ისეთი პოპულარული გახდა, რომ ქალაქ გენტში ტაქსის მძღოლები ფულს არ მართმევდნენ**

– ევროპაში სერიალზე მუშაობის დიდი გამოცდილება მივიღე, თან, ძალიან მაინტერესებდა გადაღების სპეციფიკა და, გარდა იმისა, რომ ვმონაწილეობდი, როგორც მსახიობი, ვცდილობდი, გამეგო სერიალის აწყობის სისტემა. მივხვდი, რომ ტელევიზიისთვის სერიალი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ევროპელები გახსნილი ხალხია, ყველანაირად მეხმარებოდნენ, მოკლედ, „ხეზე ასვლის” წესებიც მასწავლეს. მაშინ ჩვენთან სერიალი ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო, მხედველობაში მაქვს სამამულო წარმოების. თბილისში ჩამოსულმა, დავიწყე მუშაობა პროექტზე „ჟამი ყვავილობისა”, რომელიც იყო პირველი ეგრეთ წოდებული „საპნის ოპერა” საქართველოში და დღემდე შვილივით მიყვარს ეს პროექტი. იმ პერიოდში ჩვენთან ძირითადად კრიმინალურ სერიებს იღებდნენ, ასეთი ტიპის სერიალი კი პირველი იყო. ასე რომ, თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ქართული საპნის ოპერის „მამა” მე ვარ ***(იცინის).*** ამ სერიალს მოჰყვა კიდევ რამდენიმე სერიალი, ახლახან დავამთავრე მუშაობა სერიალის პირველ სეზონზე, რომელიც გადავიღე რეიტინგული აზერბაიჯანული ტელევიზიისთვის; გვიან გაზაფხულზე მეორე სეზონის გადაღებას დავიწყებთ. გარდა ამისა, შარშან ზაფხულში ასევე აზერბაიჯანისათვის გაკეთდა 16-სერიანი სერიალი (რომლის მონტაჟიც ახლა მიმდინარეობს), სადაც პირველი სინოფსისის ავტორი ვარ და, თან, ერთ-ერთ მთავარ როლსაც ვასრულებ – აზერბაიჯანელი ოლიგარქის, ბაქოელი ბიზნესმენი ვარ ულვაშით. ყველა მეუბნება, ჰგავხარ ბაქოელ ოლიგარქსო. მგონი, საინტერესო პროდუქტს მივიღებთ საგაზაფხულოდ.

**– და, თეატრი?**

– მე ვიყავი თეატრში. რომ დავბრუნდი საქართველოში, მივედი გრიბოედოვის თეატრში, სადაც თავის დროზე ფეხი ავიდგი. სამწუხაროდ, ჩემი ეპოპეა გრიბოედოვის თეატრში ცუდად დამთავრდა – გარკვეული მიზეზების გამო წამოვედი თეატრიდან. ამას წინათ კულტურის სამინისტრომ ისეთი არქაული და რეტროგრადული კანონი მიიღო თეატრების შესახებ, რომ თეატრებში არანაირი კონტროლის თუ შეკავების მექანიზმი არ არსებობს. ანუ, ვამბობთ, რომ საზოგადოება და ქვეყანა მიდის დემოკრატიის და ევროპული ფასეულობებისკენ და იგივე საზოგადოების ნაწილი – თეატრი, ბატონყმურ წყობაში რჩება. აბსურდია, ხომ?! ზოგიერთ ეგრეთ წოდებულ სამხატვრო ხელმძღვანელს თავი თუ არ დაუკარი ყველაფერზე და დითირამბები არ უმღერე, ცუდად წაგივა საქმე. თეატრი და იქ მომუშავე თითოეული ადამიანი, მთლიანად არის დამოკიდებული, ეგრეთ წოდებულ სამხატვრო ხელმძღვანელის პიროვნულ თვისებებზე, მის ხასიათზე, სურვილებზე, მის ზნეობრივ თუ ადამიანურ თვისებებზე და ხშირ შემთხვევაში, ხუშტურზეც კი, და არა კანონსა და მექანიზმზე. ანუ, თუ გაგიმართლა და სამხატვრო ხელმძღვანელი პიროვნულად დადებითი ადამიანია, ხომ კარგი, თუ არა და, ცუდადაა შენი საქმე. მაგალითად, მარჯანიშვილელებს გაუმართლათ, ჭოლა რომ კარგი ადამიანია ***(იცინის).*** ამას წინათ, კულტურის მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე დავაყენე ეს საკითხი. კულტურის სამინისტროს პოზიცია არის ასეთი, რომ თურმე, ეს მათ კომპეტენციაში არ შედის, ამ დროს სამხატვრო ხელმძღვანელებს თეატრებში ამტკიცებს სამინისტრო. მაშ, ვის კომპეტენციაში შედის მსახიობების უფლებების დაცვა, ეკონომიკის თუ თავდაცვის სამინისტროსი?! არ ვიცი, რატომ არ ფიქრობენ ჩვენი თეატრის მომავალზე. მაშინაც კი, როცა ჰოლანდიაში ვცხოვრობდი და საქართველოში ძალიან ცუდი ვითარება იყო, სულ იმას ვფიქრობდი, როდის დალაგდებოდა სიტუაცია, რომ, თეატრს, რომელიც ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, არსებობისთვის კარგი ნიადაგი ჰქონოდა. მახსოვს, მაშინ რუსთაველის თეატრს ჩემი სპექტაკლის ჰონორარიც კი გადმოვურიცხე, იმდენად უჭირდა.

**– თქვენი ოჯახიც გადმოვიდა საქართველოში?**

– ჩემი მეუღლე და უფროსი შვილი ჰოლანდიაში ცხოვრობენ. სამაგიეროდ, თბილისში დროებით გადმოსვლაზე დავითანხმე უმცროსი შვილი, რომელიც ჰოლანდიაში დაიბადა. დიდხანს ვიმუშავე, რომ „ხელში ჩამეგდო”. არ მინდა, რომ შვილი დავკარგო კულტურულად, ერთი წელი მაინც ისწავლის აქ. მინდა, შეიგრძნოს თავისი ქვეყნის ავ-კარგი, ხაზს ვუსვამ – ავ-კარგი! სამშობლოს სიყვარული – ნიშნავს, გიხაროდეს კარგი, ცუდი კი გტკიოდეს.

**თამუნა ნიჟარაძე**



# რა არ მოსწონს მამაკაცს ქორწინებაში და კლავს თუ არა სიყვარულს ოფიციალური ურთიერთობა

**სიყვარულს არ სჭირდება არანაირი დოკუმენტი და ბეჭედი პასპორტში. როცა ორ ადამიანს ერთმანეთთან გრძნობა აკავშირებს, ერთად ყოფნისთვის ვიღაცის დასტური აუცილებლობას აღარ წარმოადგენს, მაგრამ ადამიანები მაინც ქორწინდებიან, ქმნიან ოჯახს და მერე... იყრებიან. მართალია, ყოველთვის არა, მაგრამ განშორება ძირითადად პრობლემურია – ტკივილითა და ცრემლებით გაჟღენთილი. მამაკაცების რაღაც ნაწილს რატომღაც მცდარად ჰგონია, რომ მტკივნეული განშორება მხოლოდ ოფიციალურ ქორწინებას ახლავს თან. ამიტომ, გამოსავალს თავისუფალ ურთიერთობაში ეძებენ. სიყვარული სიყვარულად, მაგრამ ჯერჯერობით, ქორწინება მაინც პრიორიტეტულად რჩება.**

თეონა *(36 წლის)*: სამწუხაროდ, თავისუფალი ურთიერთობის პროპაგანდა და თეორიები იმის შესახებ, რომ ოფიციალური ქორწინება სიყვარულის მტერია, ძალიან აიტაცეს მამაკაცებმა. სიყალბეა ეს ყველაფერი და ფარსი. მეც ვფიქრობდი თუ ადამიანი მიყვარს, რა მნიშვნელობა აქვს, რაღაც ქაღალდზე ხელს მოვაწერთ, თუ არა-მეთქი, მაგრამ ასე მარტივად არ ყოფილა საქმე. ქორწინება არც მარტო ტრადიციაა და არც ლამაზი რიტუალი, რომლის გარეშეც გაძლებ. ეს უპირველესად, პასუხისმგებლობაა, რაც ბოლომდე ადამიანების მცირე ნაწილს აქვს გაცნობიერებული.

**– დაქორწინება არ გინდოდათ?**

– ქალებს ყოველთვის უნდათ დაქორწინება. ამაზე უარს არც ერთი ქალი არ ამბობს. თუ ფეხს ვითრევთ და არ ვლაპარაკობთ დაქორწინებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ გვეშინია, კაცი არ გაგვექცეს.

**– ანუ, კაცებს აფრთხობთ ქორწინება, გარბიან და იმალებიან?**

– არ იცოდით? რამე ახალს ვამბობ? ერთეულები არიან ისეთები, რომლებიც ამ სტერეოტიპს ანგრევენ. ანუ, გამონაკლისები არსებობენ. ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ მთავარი ხომ უმრავლესობაა? დავიწყოთ იმით, რომ ქორწინებაში ყველა კაცი იცვლება – რატომ? იმიტომ რომ, მათ ეს ქვეყნის აღსასრული ჰგონიათ. მიაჩნიათ, რომ ოჯახი საკუთარ „მეს" აკარგვინებთ. თურმე თავისუფლად ველარ სუნთქავენ. ჩემმა ქმარმა ამიხილა თვალები – იცით, რა მითხრა? – ყველაფერი გააფუჭე ცოლად რომ გამომყევიო. როგორ კარგად ვიყავით ერთად, არასდროს ვკამათობდით, თითქოს უსიტყვოდაც გვესმოდა ერთმანეთის. ცოლ-ქმარი გავხდით და დაიწყო ჩვენი პრობლემებიო. ეს იყო სრული შოკი.

**– ოფიციალურად დაქორწინებამდე დიდხანს ცხოვრობდით ერთად?**

– თითქმის ორი წელი. ძალიან კარგად ვუგებდით ერთმანეთს და მართლა არ გვიჩხუბია არც ერთხელ. სულ ცდილობდა ჩემთვის რაღაც სასიამოვნო გაეკეთებინა. საჩუქრის გარეშე არ მოდიოდა სახლში. სულ დავდიოდით, ხან სტუმრად მეგობრებთან, ხან კინოში, თეატრში. აი, ზოგჯერ თავის სახლშიც მიდიოდა და ღამე იქ რჩებოდა. ამით მახვედრებდა, რომ ჩემი ქმარი არ იყო. თავიდან ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, არ მაწუხებდა. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ გვერდით მზრუნველი, თბილი, ყურადღებიანი ადამიანი მყავდა. მასში უამრავ დადებით თვისებას ვხედავდი, რომლებიც ახლა უკვალოდ გაქრა. რაც მთავარია, მაშინ ლამის თვალდახუჭული ვენდობოდი, რასაც ახლა ვერ ვიტყვი. ერთ ნაბიჯზეც ვერ ვენდობი ვერაფერში.

**– რატომ?**

– იმიტომ რომ, მის მხარდაჭერას ველარ ვგრძნობ. ერთი-ორჯერ საშინლად მოიქცა. მივხვდი, რომ მისთვის ღალატი არაფერს ნიშნავს. უფრო სწორად, მე არ წარმოვადგენ მისთვის ღირებულ პარტნიორს. როგორია, როცა ქმარზე ასე ფიქრობ?! მაგრამ, მე ნამდვილად მაქვს ამის საფუძველი. სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდი დილემის წინაშე. უფრო სწორად, მოძალადის იარლიყი მომაწერეს დაუმსახურებლად. დღემდე ვერ ვხვდები, რატომ იყო პრობლემა ის, რომ მე საყვარელი მამაკაცის ცოლობა მინდოდა და არა, უბრალოდ, მასთან ცხოვრება. მამაკაცების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ქალებს გათხოვება იდეაფიქსად გვაქვს. დიახ, ნამდვილად ასეა და ყველა საშუალებით ვცდილობთ, თავზე მოვახვიოთ საქორწინო „ბორკილები". მე არ მეგონა, რომ ჩემი ქმარიც აღმოჩნდებოდა ამ ტიპის მამაკაცთა რიცხვში, რადგან გრძნობა ნამდვილად ჰქონდა. ერთად ცხოვრების გამოცდილებაც დაგვიგროვდა.

**ქმარმა მითხრა – ყველაფერი გააფუჭე, ცოლად რომ გამომყევი, უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. ცოლ-ქმარი გავხდით და დაიწყო ჩვენი პრობლემებიო**

**– იცით, რა მაინტერესებს, დაქორწინების ინიციატივა თქვენგან წამოვიდა?**

– ინიციატივას რას ეძახით, იმას, რომ რამდენჯერმე ვუთხარი, კარგი იქნებოდა თუ დავქორწინდებოდით-მეთქი? ბოლოს და ბოლოს, ქალი ვარ და შვილის გაჩენა მინდოდა.

**– ამისთვის აუცილებლად ქორწინება იყო საჭირო?**

– მოდი, შევხედოთ ამ სიტუაციას იმ ქვეყნის სტერეოტიპებიდან გამომდინარე, სადაც ვცხოვრობთ. თანაც, ბავშვს სრულფასოვანი ოჯახი სჭირდება.

**– ბავშვი ითხოვს დედა და მამა ოფიციალურად იყვნენ დაქორწინებულები?**

– არა, როგორ ითხოვს, მაგრამ ტრადიცია მაინც არსებობს ჩვენში და დაქორწინებული წყვილის ურთიერთობა, თითქოს უფრო მყარიცაა. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების მოთხოვნაა ასეთი, ვერაფერს შევცვლით. თუმცა, მე მართლა არ ვიბრძოდი ჩვენი ურთიერთობის დაკანონებისთვის. უბრალოდ, რამდენჯერმე შევთავაზე და ისიც დამთანხმდა, თუმცა უხალისოდ. მაგრამ მე, სიმართლე გითხრათ, დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ვაღიარებ გახარებული ვიყავი.

**– იქნებ, თქვენმა ასეთმა აშკარა სიხარულმა გააღიზიანა.**

– არ ვიცი. ამაზე არასდროს გვილაპარაკია. მაშინ ეს, ყოველ შემთხვევაში, საერთოდ არც განხილულა. ეტყობა, ჩემს ქმარს იმ პერიოდში არ ადარდებდა ეს ამბავი და მხოლოდ წლების შემდეგ გაახსენდა, როცა რაღაც წყენა და უკმაყოფილება დაუგროვდა. ხვდებით ხომ, რასაც ვგულისხმობ.

**– ცოტა რთულად. ანუ, თავს შეზღუდულად გრძნობდა თქვენთან?**

– მე ვერ ვგრძნობდი ამას. ნამდვილად არ ვყოფილვარ ისეთი ცოლი, რომელიც ქმარს რაღაცაში ზღუდავს. არ ვუკონტროლებდი ყოველ ნაბიჯს. არ ვუჩხრეკდი მობილურს და არც სოციალური ქსელის მიმოწერას. ზედმეტი შეკითხვებითაც არ ვაწუხებდი. მე ვენდობოდი მას და მეტსაც გეტყვით, ვაღიარებდი ოჯახში ქმრის ჰეგემონობას.

**– რა ფორმით აღიარებდით, შეგიძლიათ, დამიკონკრეტოთ?**

– აზრს ყოველთვის ვეკითხებოდი. გადაწყვეტილება მარტოს არასდროს მიმიღია. მხარში ვედექი და ყველანაირად ვეხმარებოდი. ვუვლიდი და საოჯახო პრობლემებს ვარიდებდი. პატივისცემას გამოვხატავდი. არ ვლანძღავდი და არ ვამცირებდი. არ მესმის, ორი წელი ვასრულებდი ცოლის მოვალეობას და რატომ უნდა ვყოფილიყავი ფიქტიური მეუღლე და რატომ არ უნდა შემექმნა მასთან სრულყოფილი ოჯახი? ბავშვებიც აღარ ვიყავით. რვაწლიანი თანაცხოვრების სტაჟი გვაქვს. აქედან ექვსი წელია, ოფიციალური ცოლ-ქმარი ვართ. ოცდაცხრამეტი წლის არის ახლა. ბავშვია, რომ პასუხისმგებლობა გაცნობიერებული არ ჰქონდეს? ზუსტად რომ ბავშვივით ჭირვეულობს, როცა ასეთ უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდებებს მიყენებს. ვცდილობ, მოვძებნო სად აქვს ამ ყველაფერს ფესვები და ჯერ კონკრეტული ვერაფერი აღმოვაჩინე. დაქორწინებამდე იყო ყველაფერი: სიყვარული, რომანტიკა, შოკოლადები, ყვავილები... მერე ეს უკვალოდ გაქრა. როცა წავიწუწუნე, პასუხად საკმაოდ გულციივად და უხეშად ნათქვამი ფრაზა მოვისმინე: ცოლობაც გინდა და რომანტიკაც? – ეგრე სად არისო. გავოგნდი. ანუ, ცოლქმრობა აღარ გულისხმობს სიყვარულს და რომანტიკას, აუცილებლად საყვარლებთან და შეყვარებულებთან არიან კაცები ყურადღებიანები და რაინდები.

**– გიფიქრიათ იმაზე, რომ ქმარს არასაკ-**

# როგორ იპოვა დეიდაშვილმა ნათესავი აფხაზეთში და რატომ ეძებდა მას წყალტუბოში

*67 წლის ლუდმილა ნიკოლაის ასული პიმენოვა ეძებდა, 63 წლის ნატალია წულუკიას.*

**ისტორია**: ვეძებ დეიდაშვილს – 1950 წელს დაბადებულ ნატალია წულუკიას. ბოლოს მისგან წერილი 1992 წელს მივიღეთ წყალტუბოდან. ის იწერებოდა, რომ ომის გამო მათი ევაკუაცია უნდა მომხდარიყო. მას შემდეგ ჩვენ შორის კავშირი გაწყდა. ძალიან გთხოვთ, გვაპოვნინოთ ერთმანეთი. მთელი ამ წლების განმავლობაში, ნატალიას უშედეგოდ ვეძებდით. იმედია, სასწაული მოხდება და თქვენი დახმარებით ვიპოვით მას. ან, ბოლოს და ბოლოს, გავიგებთ, რა ბედი ეწია ჩემს დეიდაშვილს.



*(ჟურნალისტის შენიშვნა: ეს ისტორია რუბრიკა „დაკარგულების“ ამ წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა და ომის შედეგად დაშორებულ ადამიანებს ეხებოდა. დეიდაშვილებს შორის კავშირი 1992 წლის შემდეგ გაწყდა. საბედნიეროდ, დღესდღეობით, მათ შორის კავშირი აღდგა და ნატალია წულუკია ნაპოვნია. დანარჩენს კი ჩემი მკითხველი სტატიიდან შეიტყობს).*

**– ლუდმილა, თუ ფიქრობდით, რომ ნათესავს ასეთ მოკლე დროში იპოვიდით და რაც ყველაზე საინტერესოა, წყალტუბოში კი არა, სადაც ის გეგონათ, არამედ – აფხაზეთში.**



– უპირველესად, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ გაწეული სამსახურისთვის. მე და ჩემი ოჯახი წლების განმავლობაში ვეძებდით ჩვენს ნათესავს – ნატალია წულუკიას, რომელთანაც კავშირი 1992 წლის შემდეგ გაწყდა. ამ დროს რუსეთ-საქართველოს შორის ომი გაჩაღდა და ბოლოს, რაც ნატალიასგან გავიგეთ, იყო ის, რომ წყალტუბოშია და უნდა მოეხდინათ მათი ევაკუაცია. მას შემდეგ ჩვენ შორის ყველანაირი კომუნიკაცია გაწყდა. არც ის ვიცოდით, გააღწია ნატალიამ და მისმა ოჯახმა იქიდან, გადაიყვანეს სადმე თუ საერთოდ, რა ბედი ეწიათ. ალბათ, რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა დღეში ჩავვარდებოდით. ჩვენ რუსეთში ვართ, ჩვენი ნათესავი კი – საქართველოში და ვერაფერს ვაკეთებთ. რა თქმა უნდა, მსგავს სიტუაციაში უამრავი ადამიანი აღმოჩნდა და ყველას ვუთანაგრძნობ. გაურკვევლობაზე ცუდი ხომ ამქვეყნად არაფერია. ერთი სიტყვით, მადლობა ღმერთს, გადავწყვიტეთ, მიგვემართა სამძებრო სამსახურებისთვის. მათ შორის, ყველაზე აქტუალურ და გავრცელებულ საიტზე („ჟდი მენია“) განვათავსეთ ჩვენი ისტორია და დახმარების გაწევა ვითხოვეთ. ჩვენთვის, მოულოდნელი და სასიხარულო იყო ის, რომ ჩვენი ისტორიით, საბოლოო ჯამში, თქვენ დაინტერესდით. ამდენი წლის გაურკვევლობისა და ნერვიულობის შემდეგ, ნატალია გვაპოვნინეთ. როდესაც მოგვწერეს, რომ ნატალია აფხაზეთში ცხოვრობს და მისი საკონტაქტო ტელეფონიც გადმოგვცეს, ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მადლობა ღმერთს, რომ მიუხედავად იმისა, ჩვენ მას წყალტუბოში ვეძებდით, თქვენ მოახერხეთ და სულ სხვაგან მყოფი მაინც გვაპოვნინეთ. ბუნებრივია, ეს უდიდესი სიხარული და სიურპრიზი აღმოჩნდა ნატალიასთვისაც. თურმე, ამდენი წლის განმავლობაში, ისიც გვეძებდა და სულ ჰქონდა იმედი, რომ რამენაირად გვიპოვიდა ან ხმას მოგვაწვდენდა.

**– აპირებთ თუ არა ერთმანეთთან შეხვედრას?**

– ძალიან გვინდა ერთმანეთის ნახვა, მაგრამ, როგორ მოხერხდება ეს, არ ვიცით. დღესდღეობით ერთმანეთთან სატელეფონო კავშირი გვაქვს. ამდენი წლის შემდეგ, ძალიან ბევრი სალაპარაკო დაგვიგროვდა. მაგრამ, უპირველესად, ეს ენით აუწერელი სიხარულია. ჩვენ, ყველამ, თითქოს ცხოვრება თვიდან დავიწყეთ. ნატალიას ბედის ამბავი მოსვენებას არ გვაძლევდა, ახლა კი ვიცით, რომ, მადლობა ღმერთს, ის ცოცხალია და კარგადაა.



**– როგორი იყო თქვენი პირველი სატელეფონო საუბარი, 1992 წლის შემდეგ დაკარგულ დეიდაშვილთან?**

– სანამ დავრეკავდი, ვღელავდი, ვიტირე კიდევაც სიხარულისგან. შემდეგ ავკრიფე ნომერი და იქიდან ნაცნობი ხმა გავიგონე. არ ვიცი, როგორ აგიწეროთ, ეს დიდი სიხარული, რა თქმა უნდა, ორმხრივი. ჩვენთვის, როგორც უკვე ვთქვი, ცხოვრება თავიდან დაიწყო. ვისაც კი ჩვენი ამბავი მოვუყევი და შეიტყვეს, რომ ასეთ მოკლე დროში ნათესავებს ერთმანეთი გვაპოვნინეთ, ყველას უკვირს. ვიცით, რომ მის პოვნაში ნატალიას ფოტოც გამოგადგათ და რა თქმა უნდა, თქვენი ერთგული მკითხველების მხარდაჭერა. ყველას დიდი მადლობა.

*თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

**მარისად უყვარდით?**

– იცით, მე არ მესმის რას ნიშნავს „საკმარისი” სიყვარული. მეუბნებოდა, მიყვარხარ და შენთან ერთად მინდა ყოფნაო, ერთად ვიცხოვროთო. აბა, რა არის ეს? იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ?

**– იქნებ სხვა ქალი ჰყავს?**

– ჯერ არ ჰყავს, მაგრამ თავისუფლად „გრიალი” უნდა. მგონი, ეს არის რეალური მიზეზი, რატომაც თავი შებოჭილად იგრძნო. ცოტა მეტი ფული იშოვა, ცხოვრებაში რაღაცას მიაღწია და ქალების ყურადღებით განებივრება მოუნდა კაცს. ამ დროს კი ცოლი ჰყავს, შვილი.

**– საყვარლის, თუნდაც მეგობარი ქალის სტატუსი რომ გქონდეთ და არა ცოლის, გაგიადვილდებოდათ ცხოვრება? მაშინაც აღარ იქნებოდით ანგარიშგასაწევი?**

## მათი აზრით, ქალები ყველანი ერთნაირები ვართ, მარტო გათხოვება გვაინტერესებს და კაცის სურვილს ანგარიშს არ ვუწევთ

– ეტყობა, არა. მოკლედ, მე როგორ გავცე ისეთ შეკითხვას პასუხი, რომელზე წარმოდგენა თავადაც არ აქვს. ნეტავი, თუ იცის, რა უნდა საერთოდ. მეჯუჯღუნება, რომ ქალები ყველანი ერთნაირები ვართ, რომ გათხოვების გარდა არაფერი გვაინტერესებს და რომ ანგარიშს საერთოდ არ ვუწევთ მამაკაცის სურვილებს.

**– რა ფორმით უთხარით, რომ ურთიერთობის დაკანონება გინდოდათ?**

– თქვენ ფიქრობთ, რომ თქმის ფორმას აქვს მნიშვნელობა? თანაც, იმ დღის შემდეგ ექვსი წელი გავიდა. მე არ მგონია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში აწუხებდა ის, რომ ცოლად შემირთო. გეუბნებით, რაღაც სხვა პრობლემაა. არც ასეთი უსინდისო და თავზეხელაღებულია, ბოლომდე აიშვას და გაღიზიანებული ჩემზე იყრის ჯავრს. რა ვქნა, არ ვიცი. ზოგს ისეთი ბედი აქვს, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე თხოვდება და ამას არავინ აყვედრის. მე რატომ არ მიმართლებს, ვერ გავიგე. როგორ კარგად ვცხოვრობდით და უცებ ასეთი ბოლმის ვულკანი. ლამის ვუთხრა, თუ სხვა ქალი მოსწონს, გაიხუროს კარი და წავიდეს მასთან. არ მინდა, ჩხუბი ჩვენი ოჯახის ტრადიციად იქცეს. არ მინდა, ყოველდღე აყალ-მაყალი და სკანდალი. ერთადერთი, რასაც მისგან მოვითხოვდი, ისიც სიყვარულით – მთელი ოჯახი ხშირად ვყოფილიყავით ერთად. მე იმიტომ გავთხოვდი, რომ ქმრის გვერდით ვიყო. ერთად ვიაროთ წვეულებებზე, უიქენდებზე, სასეირნოდ, საყიდლებზე, რა არის ამაში წარმოუდგენელი, ან დამთრგუნველი. უცებ გაუჩნდა სურვილი მარტო წავიდეს სათხილამუროდ, ან ორი დღით სადმე დაისვენოს – ეს ჩემთვის გაუგებარია და არ ვმალავ ამას. ის ჩხუბობს – მე კაცი ვარ და ზოგჯერ „რელაქსი” მჭირდება, რას ვაშავებო. რომ დააშავებს, მერე გვიან იქნება. უკვე ძალიან დავიღალე.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ერთი შეხედვით ძალიან კარგი ქმარი მყავს: წესიერი, განათლებული, საქმიანი, ოჯახზე მზრუნველი... მაგრამ, რეალურად, სიტუაცია განსხვავებულია. მე მასთან ბედნიერი არ ვარ. იმიტომ რომ, სულ ცდილობს, დამთრგუნოს, დამჩაგროს, დამცინოს... თვითონ ამას ხუმრობას ეძახის და აქეთ აქვს პრეტენზია, რომ ვერ ვიგებ მის ორიგინალურ ხუმრობებს. მეუბნება, კაპასი და ჭირვეული ხარო. არადა, მართლა არ ვარ ასეთი. ის ცდილობს, ჩემში არასრულფასოვნების კომპლექსი გააჩინოს. როგორ მოვიქცე, გავცილდე?!**

**გამოხმაურება:** ასე გადაჭრითაც ნუ იტყვით და იმოქმედებთ. ჯერ დაფიქრდით, დაელაპარაკეთ. იქნებ თქვენი ურთიერთობა ჯერ განწირული არ არის. თუ თქვენს შორის გრძნობაა, ყველაფერი მოგვარდება. მთავარია, ქმარს ფარული ტირანიის ნიშნები არ ჰქონდეს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**უკვე ყოველ კვირა საღამოს, 10 საათზე, GDS-ის მაყურებელს შეუძლია ისიამოვნოს ახალი ქართული პროდუქტით. სერიალის მიმდინარეობისას, სანამ გმირები პირველ ქართულ სიტყვას არ იტყვიან, რთულია, მიხვდე, რომ მაგალითად, HBO-ს სერიალს არ უყურებ... უი, მართლა, HBO-ზე გამახსენდა: GDS-მა ამერიკული მედიაგიგანტის სუპერპოპულარული სერიალები შეიძინა და, ყველაფერ იმას, რის გამოც ღამეები გვითენებია და ინტერნეტის საშინელ ხარისხში გვიყურებია, შეგვიძლია, კომფორტულად ტელევიზორში ვუყუროთ. მანამდე კი „პარადოქსს" დავუბრუნდეთ: ჟღალთმიანი ანა ალექსიშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქვეყანაში გავრცელებულ ვირუსს ებრძვის.**

# რატომ არ უშლის ხელს ანა ალექსიშვილის სიყვარულს დისტანცია და ვინ აქცია ის ჯადოქრად

**– შენგან სატელევიზიო და კინოროლებით განებივრებული არ ვართ...**

– მაყურებელი თეატრიდან მიცნობს. სხვათა შორის, ქასთინგებიდან როცა მირეკავდნენ, ყოველთვის მივდიოდი, მაგრამ, სულ რაღაც პრობლემა იყო: ქართველს არ ჰგავხარ... ის ტიპაჟი არ ხარ, ვინც გვჭირდება... შენი თმა ძალიან ყვირის... უი, ძალიან წითელია შენი თმა... ეს ის შემთხვევა იყო, რომ პირიქით, ჯაბას ზუსტად ეს წითელი თმა მოეწონა. მესამე სერიაში შემოვდივარ. პირველი სერია რომ ვნახე, გავგიჟდი ისე მომეწონა. სანამ გმირები ქართულად ლაპარაკს დაიწყებდნენ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქ არის გადაღებული. აქამდე ქართულ კინოში ფანტასტიკისა და ჰორორის ელემენტები იყო, მაგრამ, ძალიან მწირად. მოკლედ, ვუყურე და ვთქვი: „მინდა!" ძალიან გამიხარდა, რომ ამიყვანეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სერიალში თამაში ყველას უხარია. მივხვდი იმასაც, რომ ამ ყველაფრის ნაკლებობას განვიცდი. თეატრი მაინც სხვა სპეციფიკაა, სხვა რაღაცეებს ითხოვს მსახიობისგან, კინოკამერა კი მინიმალიზმს მოითხოვს, ელემენტარულად, ოდნავ ზედმეტ მიმიკასაც კი მტკივნეულად და უხეშად აღიქვამს. საშინლად ვნერვიულობდი. წყალტუბოში გვქონდა გადაღება და ისეთი სცენა მქონდა სათამაშო, რომელიც, აი, ზღვარზე უნდა გამეკეთებინა. საშინლად ვინერვიულე, არ მინდოდა, რომ რამე ზედმეტი მომსვლოდა. თან, ისეთი სერიალია, ყველა სერია რომ ცალკე, დამოუკიდებელი ფილმია, თავის კულმინაციით. როგორც ჩანს, ჯაბამაც შემატყო ეს ნერვიულობა, მოდიოდა და მეუბნებოდა, არ ინერვიულო კარგიაო *(იცინის).* გადამღებ ჯგუფზეც მინდა ორი სიტყვა ვთქვა. ყველა ძალიან კაი ტიპია, ჩემნაირები და, არ განვიცდი რამე დაძაბულობასა და უხერხულობას. თუ რამე ისე არ გამოგივა, როგორც გინდა, არა უშავს, ოთხმოცდამეათე დუბლს გადავიღებთ – და მე ვარ უბედნიერესი, ისეთი ბედნიერი, რომ პირველივე დუბლი გამომდის *(იცინის).* თან, რაღაც სხვა სტანდარტით მუშაობენ: მიკითხვა, წამოყვანა, თუნდაც ინტერვიუს შეთანხმება... შენთან ინტერვიუზეც პროდიუსერმა დამირეკა *(იცინის).* მოკლედ, ცოტა ვარსკვლავივით რომ გრძნობ თავს, კარგია.



სახლში რომ მივდივარ, საწოლს რომ დავინახავ, ჯერ ვიძინებ და მერე ვწვები

**– შენი გმირი ვინაა? უცხოპლანეტელი თუ ჩვენი ცივილიზაციის შვილი?**

– *(იცინის)* არა, ჩვეულებრივი გოგო ვარ, გვანცა, ადამიანი, რომელიც გადაურჩა ვირუსს. ისიც გარბის და ეძებს გამოსავალს. თორნიკესა და ნანკას გმირებით იწყება ყველაფერი, მერე მათ სხვა გადარჩენილებიც უერთდებიან და ეძებენ ადგილს, თავშესაფარს, გამოსავალს, გადარჩენის ხერხებს. გვანცა ძალიან თავისუფალი, თანამედროვე, ჯინსიან კედებიანი გოგოა, რომელსაც უყვარს კითხვა და ბევრ რამეზე აქვს ინფორმაცია. ქართული თემების გადმოსახედიდან, საკმაოდ თამამი გოგოა, ქალიშვილობას და მსგავს რაღაცეებს არ დაეძებს. ჭკვიანი, რაციონალური ტიპია, ცივად მოქმედებს. როდესაც მის წინ ზომბი დგას, პანიკაში არ ვარდება და ფიქრობს, როგორ ჯობია, რომ მოიქცეს. მაგრამ, ეს პანიკაში არჩავარდნა გროვდება, გროვდება და მერე ემართება ის, რისი წინასწარ თქმაც არ მინდა და რის თამაშზეც ვინერვიულე *(იცინის).*

**– როგორ მიიღებს ამ სერიალს მაყურებელი?**

– არ ვიცი, ხშირად ვფიქრობ ამაზე. ჩვენი მაყურებელი სულ სხვა ტიპის სერიალებსაა მიჩვეული, მაგრამ, ისიც მამშვიდებს, რომ ჩვენი თაობის ადამიანები ღამეებს ათენებენ კომპიუტერთან ამერიკული სერიალების ყურებაში და გიჟებივით ველოდებით ახალ სეზონებს. ყველანი სულმოუთქმელად ველით, როგორ მიიღებს ამ ყველაფერს მაყურებელი. ჩვენი შემოქმედება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, როგორ აღიქვამს მას ხალხი.

**– თეატრშიც პრემიერისთვის ემზადები?**

– დიახ, დათო დოიაშვილი „ლურჯ ფრინველს" დგამს. „რუსთავი 2-ზე" რაც ნახეთ იმის თეატრალურ ვერსიას და მე და არჩილ სოლოღაშვილი ვართ ომი – ომს ვასახიერებთ და თან სიმღერა მიწევს. სიმართლე გითხრათ, ცოტა მეშინია ეს ამბავი. ოცდამეერთე საუკუნეში თუ ხარ მსახიობი, უნდა იმღერო კიდეც, აკრობატული ილეთებიც უნდა აკეთო და ყირაზეც უნდა დადგე, სხვანაირად არ გამოდის, თამაშზე და ოსტატობაზე აღარ ვლაპარაკობ. მოკლედ, თუ გინდა, რომ იყო მაგარი მსახიობი, ჯადოქარი უნდა იყო.

**– ძალიან დატვირთული პერიოდი გაქვს.**

– დიახ, ფაქტობრივად, თეატრში ვცხოვრობ. იმ დღეს გადაღებაც გვქონდა და დოის დავუჩოქე – იქნებ, ექვსზე გამიშვა-მეთქი. შანსი არ არის, რომ პრემიერის წინ ოცდაოთხსაათიან რეჟიმს ასცდე. სახლში რომ მივდივარ, საწოლს რომ დავინახავ, ჯერ ვიძინებ და მერე ვწვები *(იცინის).*

ამ ეტაპზე ჩემი ცხოვრება ძირითადად ასეთია. თებერვალშიც ოთხი სერიის გადაღებას ვაპირებთ და, ეჭვი მაქვს, კატასტროფული რეჟიმი მექნება.

**– ვიცი, რომ შენს პირად ცხოვრებაშიც სიახლეებია, ამასთან დაკავშირებით რას მეტყვი?**

– ბევრს ვერაფერს, მაგრამ, ერთი შემიძლია, ვთქვა, რომ, ამ მიმართულებით ყველაფერი კარგად არის, იმაზე კარგად, ვიდრე ოდესმე შეიძლებოდა, წარმომედგინა. მინდა, მთელი ცხოვრება ისეთი ბედნიერი ვიყო, როგორიც ახლა ვარ, აუცილებლად ვიქნები და, მგონია, რომ კიდევ უფრო მეტად ბედნიერიც ვიქნები, ისეთი შესაძლებლობებია. მაგრამ, ამავდროულად, რაღაც-რაღაცეების გამო, ეს ბედნიერებაც ძალიან რთულია. მივხვდი, რომ ბედნიერებისთვის უნდა იბრძოლო – ეს მარტივი გზა ნამდვილად არ არის. როდესაც ხვდები, რომ ის „რაღაც" შენთვის ძალიან კარგია, ყველაზე მთავარია შენს ცხოვრებაში, არ უნდა შეგეშინდეს, არ უნდა წახვიდე კომპრომისზე. შიში ბედნიერებას ხელს უშლის, კომპრომისზე მიდიხარ, გეშინია რაღაცის დაკარგვის, ის შანსი, შეიძლება, ძალიან მალე გაქრეს. როდესაც გხვდება ახალი კარი, თუ ვერ აღებ, უნდა შეანგრიო. რამდენიმე დარტყმის მერე მაინც გააღებ, არ არსებობს. ამიტომ, არ უნდა დაანებო თავი.

**– ამბობენ, რომ ბედნიერება შენი პროფესიის ადამიანებისთვის კიდევ უფრო რთული მისაღწევია, ფუფუნებაა.**

– მხოლოდ დროის უქონლობის გამო არა, ეს არ არის მხოლოდ საქმე, რომელიც ბევრ დროს გართმევს; ეს ცხოვრების წესია, სიყვარულია, რომელიც ძალიან დიდ ენერგიას, ემოციებს მოითხოვს. ამიტომ, ძალიან რთულია ისეთი ადამიანის ნახვა, რომელიც თავიდან ბოლომდე დაგიდგება გვერდში, რომელიც შენ ყოველ ნაბიჯს აუწყობს ფეხს. სიმართლე რომ ვთქვა, ის რომ ჩემი ტიპი იყოს, მსახიობი და, მე – არა, ალბათ, გავგიჟდებოდი. თუნდაც ტელეფონზე რომ ელაპარაკები და რაღაცას შენთვის ძალიან მნიშვნელოვანს უხსნი და, უცებ, – „უი წავედი, მეძახიან," – თან, ეს პერმანენტულად. თითქოს შენ საერთოდ არ გისმენს და გონება სულ სხვაგან აქვს. ამ დროს, ვუსმენ, მაინტერესებს მთელი გულით, მაგრამ, სულ ჩართული ვარ საქმეში, პარალელურად სულ ვფიქრობ, რა როგორ უნდა გავაკეთო, მაგალითად, როგორ განვასახიერო ომი, საიდან გამოვუშვა ცეცხლი და როგორ ჩამოვფრინდე ეფექტურად. ჩვენს საქმეში უფრო მეტად, მაგრამ, მგონი, ყველა პროფესიაში ასეა, ვისაც უყვარს თავისი საქმე, სულ განვითარებაზე ფიქრობს და საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს.

**– დისტანციური სიყვარული თუ გამოდის?**

– თუ ეს ნამდვილი სიყვარულია აუცილებლად გამოდის. დისტანცია ხელის შემშლელია მაშინ თუ ამით იღლები; და თუ იღლები და არაფერს აკეთებ, რომ სიტუაცია შეიცვალოს, ესე იგი, ეს სიყვარული არ არის. ჩემი თავიდან გამომდინარე გეტყვით, რომ საერთოდ არ ვფიქრობ, რა იქნება მომავალში. ჩვენ ორ შორის ისეთი რაღაც არსებობს, დარწმუნებული ვარ, რომ ამას მომავალი აქვს და, თან, ძალიან ბედნიერი. ყველაფერი ისე აეწყო, რომ მე თვითონ შოკში ვარ. დაუჯერებელ ამბავს ჰგავს, თუ როგორ აეწყო მოვლენები ჩემს ცხოვრებაში, არაფერს არ ველოდი და, უცებ – ბახ, ბახ, ბახ – და თითზე ბეჭედი მიკეთია. ის, რაც ჩნდება შენს ცხოვრებაში უნდა დაინახო, უფრო სწორად, აუცილებლად დაინახავ, მაგრამ, უნდა იგრძნო, რომ ეს ის არის და ხელი არ უნდა გაუშვა. ასე ადვილიც არ არის ყველაფერი. ადამიანები ვერ ხვდებიან ზუსტად, რა არის სიყვარული და რაღაც ურთიერთობაზე მიდიან მხოლოდ იმის გამო, რომ მარტო არ დარჩნენ. რეალურად კი, თურმე, სიყვარული სულ სხვა რაღაცაააა *(იცინის).*

**– და, რა არის?**

– სიგიჟე. ეს შექსპირმა თქვა ყველაზე კარგად – როდესაც გიყვარს, ადეკვატური არ ხარო. როგორ შეიძლება, ადეკვატურმა ადამიანმა გააკეთოს, ის რაც მე გავაკეთე ან მან გააკეთა, ან, საერთოდ, რასაც ადამიანები აკეთებენ?! *(იცინის)* თავისით ხდება ყველაფერი. აი, როგორი ჯადოსნურიცაა ბავშვის დაბადება – ვერც ხვდები როგორ და, უცებ, ახალი ადამიანი ჩნდება, უცებ ვიღაც ტიპი დადის აქეთ-იქით... ასეა სიყვარულში – ჯადოსნურად ხდება ყველაფერი, თავისთავად, ისე, რომ არც ერთი წამი არ ფიქრობ.

**სალომე გველესიანი**

**ლაშა ონიანი იმ ადამიანების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც უსაქმოდ არასდროს ჩერდებიან. თუმცა, ის, მეორე მხრივ, ერთ ადგილას ათ დღეზე მეტხანს ვერ ჩერდება და, ცდილობს, საქმე მალე მოამთავროს, დანარჩენი დღეები კი საინტერესო ადგილებში გაატაროს.**

# როგორ გადაიზარდა ლაშა ონიანისა და მისი მომავალი მეუღლის საქმიანი ურთიერთობა ცოლქმრობაში და რატომ არ უნდა შეზღუდოს არავინ მისი თავისუფლება

**ლაშა ონიანი**: საქართველოსთან დაკავშირებით ყოველთვის ვამზადებ პროექტებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საპრეზენტაციოა. ამ ყველაფერს დამოუკიდებლად 1992 წლიდან ვაკეთებ და თუ ვინმეს აქვს სურვილი, რა თქმა უნდა, პარტნიორობას მიწევს.

**– დამოუკიდებლად მუშაობა ჯობია.**

– დიახ, პრეტენზიები ნაკლებად არის, ისევე, როგორც შემწუხებელი. სურვილისამებრ, ვინც მონაწილეობს, მას პრეტენზიებიც არ აქვს. ჩემი პროექტების კეთება ძირითადად ფრანგებთან ერთად მიწევს. ჩემი დადგმების, შემოქმედების მაყურებლები და მომწონებლები საკმარისად არიან გერმანიაშიც, საფრანგეთშიც. ახლა ვაპირებ, იტალიისკენ გადავინაცვლო. დაახლოებით ათი წლის წინ ხშირად მიწევდა იქ ჩასვლა – მეგობარი დიზაინერები მუშაობდნენ და ერთიორჯერ მომიწია მათი გამოფენების, დადგმების, გახსნების გაკეთება. შემდეგ საფრანგეთში გადავინაცვლე ძირეულად. დანიაც კარგად იყო ათვისებული, იქითაც შეიძლება მიბრუნება.

**– ამერიკაში არასდროს გიმუშავია? ზოგადად, ამერიკაში მუშაობის, ცხოვრების ტემპი ძალიან განსხვავდება ევროპისგან, იქ ყველაფერი უფრო აჩქარებულია.**

– ფინანსურ მხარეს დიდად აქცევენ ყურადღებას და ამიტომაც არის ყველაფერი უფრო მეტად აჩქარებული. ამ შემთხვევაში, ევროპა უფრო მეტად მომწონს – გაწონასწორებულია, ნაჩქარევად არაფერი ხდება, ყველაფერი დაზღვეული, გათვლილია. ისინი ითვალისწინებენ, ვინ ხარ, საიდან ხარ, რა ხასიათით მოდიხარ, რა თვისებები გაქვს. ამერიკა ამას არ იღებს, ცდილობს, თავის რელსებზე დაგაყენოს. ევროპა შენ გიყურებს, როგორ იზამ, როგორ დაგეგმავ. შეცდომის შემთხვევაში, ევროპა არ ხდება დამსჯელი ძალა – შეიძლება, შეგისწორონ; ამერიკაში კი, ერთი შეცდომა შესაძლოა, მთელ ცხოვრებად დაგიჯდეს. მე, ძირითადად, ლათინურ ამერიკაში მიწევდა ხშირად ჩასვლა – ჩვენნაირი ხალხია. როცა სპექტაკლებს, გაფორმებებს ვაკეთებდი, ისინიც თბილად ერთვებოდნენ – ცხელი ადამიანები არიან. ამერიკა არის ქვეყანა, სადაც, თუ ჩახვალ, ამერიკისთვის უნდა აკეთო ყველაფერი; ევროპაში შენი ქვეყნის სახელით მიგაქვს ესა თუ ის პროექტი, ამერიკაში კი, რასაც აკეთებ – იმათია. ბრაზილიაში კარნავალების სანახავად ვიყავი – მინდოდა, ყველაფერი „ლაივში" მენახა. წარმოიდგინე, ათ კილომეტრ სიგრძეზე სულ ესენი არიან, თან ძალიან ეფექტურები. ლამაზი ქალები ყველგან არიან, უბრალოდ, იქ სულ ცხელა, კანი მუდმივად გარუჯული აქვთ, ჯანმრთელად გამოიყურებიან.

**– და, სხეულის მშვენიერი ფორმებიც აქვთ.**

– ბუნებრივი პირობები აკეთებს ამას. სულ ცხელა, თბილა, შიშვლები დადიან და ბუნებასთან სულ ახლოს არიან. თან, მათი ძირითადი საკვები ხილია, რომელიც მთელი წელი არსებობს. რაც შეეხება კარნავალებს, დადგმა სჭირდება სისტემას, სქემას, ვინ ვის შემდეგ გამოდის. დილის 5 საათზე იწყება ტამტამების დაკვრა და მეორე დილამდე გრძელდება, ამიტომ, მათ ცეკვის დადგმა არ სჭირდებათ. ასეა არგენტინაშიც – ტროტუარებზე ტანგოს სვლებია დახატული. არც გჭირდება მასწავლებელი, გაივლი, გამოივლი, იმ ნაბიჯებს დაიმახსოვრებ და ისწავლი. რაც შეეხება ბრაზილიაში კარნავალს, უნდა შეგწევდეს იმის ძალა, რომ მათ თავიდან ბოლომდე სდიო.

**– შენ სდიე ბოლომდე, შეგწევდა ამის ძალა?**

– ვერ ვდიე, ამდენს ვერ ვივლიდი. თან, ძირითადად, ერთი და იგივეა, უბრალოდ, მაყურებელი გეცვლება. არგენტინა კარგი ქვეყანაა, კარგად ცხოვრობენ. არგენტინელებს სისხლი რომ ცხელი აქვთ, სულ ცდილობენ, რაღაც შექმნან. სტუმრად რომ მიგიღებენ, ცდილობენ, ისეთი გაგხადონ, როგორებიც თვითონ არიან, ანუ, ცდილობენ, ჩაგითრიონ. შენგან კი არ ითხოვენ, როგორი ხარო, გაიძულებენ, მეგობრულ დამოკიდებულებაში შეხვიდე, რომ ისეთი გახდე, როგორებიც თავად არიან. თუ გინდა დრო გაატარო, შენც მათსავით სულ ტეკილები უნდა სვა; ეკრანებზე ხარების ბრძოლა რომ მიდის, უნდა უყურო და მათსავით იყვირო.



რაც შეეხება კარნავალს ბრაზილიაში, უნდა შეგწევდეს იმის ძალა, რომ მათ თავიდან ბოლომდე სდიო

**– წლების წინ, როდესაც გერმანიაში გადახვედი საცხოვრებლად, რა იყო შენთვის ყველაზე დიდი სირთულე?**

– ყველაზე დიდი სირთულე იყო პუნქტუალურობა. ქართულად რომ დაიძინებ გერმანიაში და, მერე გინდა, გერმანულად გაიღვიძო, რაღაც, არ ეთანხმება ერთმანეთს. ერთი პერიოდი, ზუსტ დროს რომ უნდა მივსულიყავი, მაინც ვაგვიანებდი. მერე მოვიდა მეორე ეტაპი – როცა დროზე ადრე მივდიოდი. შემდეგ გაჩნდა მესამე ეტაპი – ზუსტად მიდიხარ. ეს თვისება ნამდვილად შემძინა. კიდევ, ვისწავლე, არ ვინერვიულო ისეთ რამეზე, რასაც შედეგი არ მოჰყვება. 80 პროცენტით, ანუ, დიდი დოზებით მივეჩვიე ამას. კიდევ, წინასწარ რაღაცეებზე საუბარს არ აქვს აზრი. თუ არ გამოვა – ესე იგი, ცუდი ქენი, თუ გამოვა, მაშინ – შენ რა მაგარი ხარ, ეს წინასწარ რომ იცოდი. ამ დეტალების გადაჩვევას გაიძულებს იქაური სიტუაცია.

**– მითხარი, დამოუკიდებლად მუშაობა ჯობიაო. თუმცა, წლებია, შენი მეუღლე შენი მენეჯერია, ერთად მუშაობთ. როგორ შედგა თქვენი საქმიანი კოჰაბიტაცია ასე წარმატებულად?**

– კი, ჩემი მენეჯერია. საერთოდ, ხელოვან ადამიანს ისეთი ადამიანი სჭირდება გვერდით, რომელიც ხელოვნებას აფასებს. შეიძლება, მენეჯერი ოჯახის წევრი, მეუღლე არ იყოს, მაგრამ, თუ ის მხოლოდ მენეჯერულად უდგება ყველაფერს, ვერ ითანამშრომლებთ დიდხანს. თეატრი უნდა უყვარდეს, მსახიობების ცუდი და კარგი ხასიათები, ცხოვრებაშიც რომ თამაში მოჰყვებათ. ამიტომ, რთული იქნება მასთან მუშაობა, მით უმეტეს – პარტნიორობა და მასთან ცხოვრება... კატასტროფამდე მიხვალ. პირადად მე დაავადებული ვარ იმით, რომ ათ დღეზე დიდხანს ვერ ვჩერდები ერთ ადგილას. სულ ვცდილობ, ოფისში მუშაობა მალე მოვრჩე, რადგან, სამი დღე და – ველარ გავჩერდები. თუმცა, უსაქმოდ და უაზროდ ვერსად წავალ. როცა სამუშაოებს შორის შუალედი მაქვს, უნდა მოვიგონო რაღაც და წავიდე. თუ ოჯახიდან ვინმე გამომყვება, ისიც კარგ დროს გაატარებს. ჩემთვის ყველაფერს ახლის დანახვა იდეაა და, ვისაც უნდა წამოსვლა, მოდის. უარყოფითი ენერგიებით ვივსები, როდესაც ერთ ადგილას ვჩერდები.

**– ამიტომ, ოჯახის წევრებსაც ურჩევნიათ, გახვიდე სადმე.**

– ურჩევნიათ, გავიდე, რომ არ დაიწყოს დატვირთული მომენტები. მე და ჩემმა მეუღლემ დიდხანს ვითანამშრომლეთ მანამდე, სანამ პარტნიორები გავხდებოდით. მგონი, იმ წლებმა უფრო სერიოზული ურთიერთობა შექმნა. ოჯახი კი ვართ, მაგრამ, შემოქმედებაზე მიდის 24 საათი ფიქრი, მუშაობა, რეკლამა, მენეჯმენტი. ჩვენი ძირითადი მიზანი მაინც შემოქმედებაა, ამიტომაც არის ჩვენი ერთად ყოფნა, კოჰაბიტაცია შესაძლებელი. რაღაცას რომ დავისახავთ მიზნად, ეს მე დავისახე მიზნად თუ თინამ, ორივეს ვალდებულება ხდება, რადგან, შიგნით 80 პროცენტი შემოქმედება დევს. მან უნდა დაგეგმოს, მე უნდა შევასრულო, ან, მე გამარეკლამებენ სადმე და, სანამ იქ წავალ, ამათ უნდა მოამზადონ ყველაფერი.

**– მშვენივრად ასრულებ მეუღლის დაგეგმილ საქმეებს.**

– დიახ და, ამასთან ერთად, ნდობა ძალიან მნიშვნელოვანია. ოფისში ჩვენ გარდა 5 ადამიანი მუშაობს და ჩემი წამოსვლის მიზეზი ყველამ იცის. მე თუ მივდივარ დასასვენებლად, ისიც კი აღირიცხება. ჩემი „ფეისბუქის" გვერდი გახსნილია, ისევე, როგორც იმეილები. ჩემი იმეილი საინფორმაციო იმეილზეა მიბმული და, ამიტომ, ყველაფერი იხსნება. ისედაც ვერ მოვებღაუჭები ბევრ უფლებას მთლად თავისუფლად. სამწუხაროდ და საბედნიეროდ, დღეს ასეა.

**– მოკლედ, გახსნილად ცხოვრობ და თავადაც სრული თავისუფლება გაქვს.**

– მაქვს სრული თავისუფლება. შებოჭვის მომენტში იდეა ფუჭდება და ურთიერთობა დაიძაბება, ეს კი არ არის საჭირო. მე, როგორც ხელოვანმა ადამიანმა, საითაც არ უნდა გავიხედო, ვინმეს მივხედო, ჩემი დაკვირვება მაინც იქითკენ არის მიმართული: რამეს ხომ არ ვკარგავ და, ამაში რამე პრობლემა რომ შემექმნას ერთხელ, მეორედ, მესამედ უკვე გაჩნდება პრობლემა. ხელოვანი ადამიანი კი სულ ეძებს თავისუფალ გზას და, როცა გაქვს უფლება, იმოძრაო, მერე რაღაცეები აღარ კონკრეტდება. როგორც მე მაქვს უფლებები, ისევე აქვს ჩემს მეუღლესაც – მასაც შეუძლია, წავიდეს, იმოგზაუროს, დაგეგმოს, რაც უნდა. თავისუფლების აკრძალვის შემთხვევაში, ჩნდება პრობლემები და, როცა შებოჭილი ხარ, მერე გინდა გახსნა და გახვიდე. ეს გასვლა კი მიტოვებას უფრო ემსგავსება, ვიდრე გასვლას – კი არ გახვედი, წახვედი და ეს ძალიან ცუდია.

**– თქვენი განსაკუთრებული პროდუქცია ლუკასია.**

– კარგი ტიპია ძალიან, კარგად მღერის, ცურავს. შეჯიბრებაში მესამე ადგილი აიღო. არაფერში არ ვატანთ ძალას, კარგად სწავლობს გიმნაზიაში.

**ნათია უტიაშვილი**

**„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიკვდილი ჩვენთვის უკვე აღარ არის საზიზღარი, ჩიხი, არამედ არის ნათელი, ადამიანის მარადისობაში გადაყვანება. როდესაც მივეახლებით უფალს, უნდა ვუთხრათ: ჩვენ, შენი ხატება, მოვედით შენთან; მთელი ცხოვრება ვცდილობდით, რომ მოგმსგავსებოდით შენ, ვიყავით მსგავსნი შენნი და არა უმსგავსონი“. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როგორ უნდა იტვირთოს ქრისტიანმა საკუთართან ერთად სხვისი ტვირთიც და როდის იმყოფება ადამიანი ეკლესიაში მოჩვენებით მდგომარეობაში

– ადამიანის აზროვნების მთავარი საწყისი არის წმიდა წერილი, უფალთან ურთიერთობა, ჩვენი ეთიკა. საზოგადოებრივი ურთიერთობა დაფუძნებული უნდა იყოს წმიდა წერილზე. წმიდა წერილში კი პირდაპირ წერია: „ისე მოექეცით სხვებს, როგორც გინდათ, რომ ისინი თქვენ მოგექცნენ." ხშირად ჩვენ სხვებისგან ვითხოვთ პატივისცემას, კარგ დამოკიდებულებას, ყურადღებას, მოფერებას და თავად ამას არ ვაკეთებთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: რაც არ მოგვწონს საზოგადოებაში, ის უნდა გამოვასწოროთ საკუთარ თავში, საკუთარ თავში უნდა აღმოვაჩინოთ პრობლემები და რაც მთავარია, ღრმად უნდა შევისწავლოთ „საკუთარი მე", სიღრმისეულად უნდა გავიგოთ საკუთარი უნარ-ჩვევები, ურთიერთობები და დამოკიდებულებები. ყველა რომ ჩაფიქრდეს და დაუკვირდეს, როგორ იცინის, როგორ მეტყველებს, როგორ ურთიერთობაშია სხვებთან, მიხვდება, რომ ყველაფერი საკუთარი თავიდან მოდის.

**– ბევრი ადამიანისგან გამიგია, როგორ ამბობენ: მომწყინდა, ამ საზოგადოების წევრი ვიყოო, რადგან, საკუთარ თავს ხშირად სხვებზე მაღლა აყენებენ. არადა, ხშირად ისინიც ზუსტად ისე იქცევიან, როგორც საზოგადოების სხვა წევრები.**



ადამიანი ეკლესიამ და მონასტერმა კი არ უნდა გამოასწოროს, მან თავად უნდა გამოასწოროს ის, რაც შიგნით აქვს

– ასე არ შეიძლება. თუ ვინმეზე უკეთესად მიგაჩნიათ თავი და, შეიძლება, ეს ასეც არის, ეს საზოგადოება კი არ უნდა განვიკითხოთ და განვსაჯოთ, პირიქით, მის განსაკურნებლად უნდა მივიღოთ ზომები – უნდა დავიწყოთ ლოცვა. ადამიანის გამოსწორება, მისი ფეხზე დაყენება უფლის ნებაა. ადამიანს რომ შესძლებოდა მეორე ადამიანის გამოსწორება, ფეხზე დაყენება, მაშინ, საკმარისი იქნებოდა სხვადასხვა ისტორიული პიროვნების დედამიწაზე მოსვლა. უფლის დარიგება – „გიყვარდეთ მოყვასი თქვენი, გიყვარდეთ უფალი თქვენი" – თუ იქნება თანამედროვე საზოგადოების კონსტიტუცია, მაშინ, ყველაფერი რიგზე იქნება. ძველ აღთქმაში ღმერთი პირდაპირ ქადაგებდა: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ," ამან კი საზოგადოება მიიყვანა გახრწნამდე, რადგან, ეს ყველაფერი ადამიანებმა თავისებურად გაიგეს. უფალს არ უთქვამს, ბოროტებას ბოროტებით უპასუხეთო. როდესაც ხედავთ, რომ ადამიანი მძიმე მდგომარეობაშია, უნდა დააფიქსიროთ, რომ მისი თვალი ბოროტია და თვალიდან და კბილიდან უნდა დაიწყოთ მისი მკურნალობა.

**– თანამედროვე ადამიანებისთვის ამის გაკეთება საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით კი – საკუთარ თავში ცუდის დანახვა, სხვებზე ფიქრი და მათი გამოსწორების მცდელობა.**

– ქრისტიანობამ ადამიანის ღირსება ყველაზე მაღალ მწვერვალებამდე აიყვანა. უნდა გვიყვარდეს როგორც ჩვენი მოყვასი, ასევე, ჩვენი მტრებიც. თანამედროვე ადამიანებს ხშირად უჭირთ იმის გაგება, თუ რას ნიშნავს – გიყვარდეს მტერი, რადგან, ისე არ გვიყვარს ოჯახის წევრები, როგორც უნდა გვიყვარდეს. ადამიანმა ცხოვრებას კარგად რომ გადაავლოს თვალი საკუთარ ყოფას, მიხვდება, როგორ ცხოვრებას ეწევა, როგორ წარმოჩინდება სხვებთან ურთიერთობაში. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ის არის საზოგადოებრივი პიროვნება და ლოცვას ერთობლივი ძალა აქვს. სად, ერთი ადამიანი რომ ილოცებს და სად – მრევლის წევრები. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ, ეკლესიის არსებობა საჭირო აღარ იქნებოდა. როგორც პავლე მოციქული განმარტავს, როდესაც ადამიანები არა მარტო საკუთარ, არამედ, სხვის ტვირთსაც იტვირთავენ, ამით აღასრულებენ ქრისტეს რჯულს. ძალიან ბევრს აინტერესებს, როგორი ადამიანია, როგორი ქრისტიანია, როგორი მრევლთაგანია. მათ ყოველთვის უნდა გაიხსენონ პავლე მოციქულის სიტყვები: თუ გინდათ, რომ სულის ცხონება მოიპოვოთ და გერქვათ ქრისტიანები, მაშინ, სხვა ადამიანების ტვირთი, პრობლემები, ჭირ-ვარამი უნდა გაიზიაროთ. ადამიანი ეკლეისიამ და მონასტერმა კი არ უნდა გამოასწოროს, მან თავად უნდა გამოასწოროს ის, რაც შიგნით აქვს. ბევრი ჩვენგანი ეკლესიაში მოჩვენებით მდგომარეობაში იმყოფება – როგორც კი გარეთ გამოვლენ, მაშინვე იცვლებიან, ჩხუბობენ, ბილწსიტყვაობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვართ განწმენდილები. ჩვენ საკუთარი თავი უნდა შევამოწმოთ ერში, საზოგადოებაში და არა ეკლესიასა და მონასტერში. ეკლესიაში უკანასკნელი ავაზაკი, ცოდვილიც კი კარგად იქცევა. საკუთარი თავი იმ ადამიანებთან ურთიერთობისას უნდა გამოვცადოთ, რომლებიც ნაკლებად გვიცნობენ და არ იციან, რომ ეკლესიაში დავდივართ, მორწმუნეები ვართ. ღმერთი მაშინვე დაგვანახვებს სიმართლეს, რეალობას, რომ ჩვენ ვართ მოჩვენებითი ქრისტიანები, ფარისევლები. ჩვენი საზოგადოება დღეს არის დეპრესიაში, დასნეულებული. საზოგადოება მაშინ დამშვიდდება, თუ ადამიანებს შორის სწორი დამოკიდებულება ჩამოყალიბდება, რომელიც დაფუძნებული იქნება სიყვარულზე, სარწმუნოებაზე. არ არის აუცილებელი, ეკლესიური გერქვას და კარგად იქცეოდე. ბევრი ადამიანი არ არის ახლოს ეკლესიასთან, მაგრამ, ძალიან მოწესრიგებული, გაწონასწორებულია, რადგან, მას კარგად აქვს შეგნებული ბუნებითი რჯული, რომ ის ადამიანია და ეს ყველაფერი უფალმა ბუნებითად აჩუქა.

## მარტო ღმერთს რომ გამოეხსნა ადამიანი, ისიც უსამართლობა იქნებოდა: თუკი ადამიანი დაეცა, ადამიანივე უნდა დაისაჯოს; თუ ადამიანი შეცდა, ადამიანივე უნდა გამოსწორდეს

**– და მაინც, როგორ უნდა შეიცნოს ადამიანმა საკუთარი თავი?**

– ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ადამიანი მოწოდებული იყო, შეეცნო საკუთარი თავი. აპოლონ დელფოს ტაძარზე ეწერა სოკრატეს სიტყვები: „შეიცან თავი შენი." ამაში კი ჩვენ დაგვეხმარება გული. ვისაც საკუთარი თავის შეცნობა სურს, მან უნდა ჩაიხედოს საკუთარ გულში. თუ მასში არის სულიერი ნაყოფი, სიყვარული, სიხარული, სახიერება, მშვიდობა, თავმდაბლობა, რწმენა, მარხვა და სხვა ნეტარებები და სათნოებები, მაშინ ის იქნება ღმერთთან ახლოს. მაგრამ, თუ ადამიანი საკუთარ გულში აღმოაჩენს არა სიყვარულს, არამედ – სიძულვილს; არა სიხარულს, არამედ – მწუხარებას, არა რწმენას, არამედ – ურწმუნოებას, არა სიმდაბლეს, არამედ – ამპარტავნებას, მაშინ, ბუნებრივია, უნდა დაიწყოს საკუთარი თავის გამოსწორება. ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს: მე ასე ვიქნები და სხვა გააკეთებს ჩემს საქმეს; ეკლესია ილოცებს ჩემზე; ღმერთი განკაცდება, იშვება, ჯვარს ეცმევა, აღდგება და ეს ყველაფერი ჩემი ნების გარეშე მოხდება. ეს არასწორია. ადამიანი რომ ცხონდეს, რომ გამოსწორდეს, მას სჭირდება პირადი გადაწყვეტილება უფლის წინაშე. მაცხოვარი შეგვაგონებს: „ვისაც სურს, რომ შემომიდგეს მე, უარყოს თავი თვისი, აღიღოს ჯვარი და შემომიდგეს მე." საკუთარი თავის უარყოფა კი ნიშნავს იმას, რომ გავაანალიზოთ, კარგად დავინახოთ ჩვენი დაცემულობა, სისუსტე, ცოდვები, სიბოროტე. თუ ადამიანი გონიერია, ის აუცილებლად დაინახავს ამას, მას გაუჩნდება სურვილი, რომ დაიწყოს საკუთარი თავის გამოსწორება. სწორედ ამ შემთხვევაში გვჭირდება საკუთარი ნების დამორჩილება უფალთან. როგორც იცით, ეკლესია ყოველთვის ქადაგებს უფლის ნებას – ეს არის ადამიანის ცხონება. მაგრამ, თუ ადამიანის ნება არ არის ცხონება, მაშინ, უფალი წყვეტს მოქმედებას და ელოდება ადამიანის ნების დაქვემდებარებას, რის გარეშეც, მაპატიეთ და, შეიძლება, უძლური იყოს. ღმერთი ყოვლად სამართლიანია. თუ ის ადამიანის გადარჩენასა და გამოხსნას მძლავრებითად აღასრულებს, ის უკვე სამართლიანი ველარ იქნება.

**– ბევრს უჩნდება კითხვა: განა არ შეეძლო ღმერთს, ტანჯვის, ჯვარცმის გარეშე გადაერჩინა ადამიანი, გამოეხსნა ის ცოდვის მონობიდან და აღედგინა?**

– როგორც წმიდა მამები ამბობენ, სამსჯავროს დღეს, ეშმაკი დაუსვამდა კითხვას: მე ადამიანი შევაცდინე, ის ცდუნდა საკუთარი ნებით. თუ შენ ის გამოიხსენი მძლავრებითად, ანუ, მისი ნების გარეშე, მაშინ შენ სამართლიანი არ იქნებიო. ამიტომ, ღმერთმა ყველაფერი სიცხადეში, სამართლიანობით აღასრულა. რადგან ადამიანი დაეცა, ადამიანივე უნდა აღმდგარიყო. რადგან ადამიანს ადამიანის აღდგომა, განღმრთობა არ შეეძლო, ამიტომ, არაბუნებრივი გზით, სულიწმიდის მადლით, ქალწულის საშოში, დედაკაცის თესლში ჩაისახება ღმერთი, რომ ყოველივე სიმართლე აღესრულოს. მარტო ღმერთს რომ გამოეხსნა ადამიანი, ისიც უსამართლობა იქნებოდა. თუკი ადამიანი დაეცა, ადამიანივე უნდა დაისაჯოს; თუ ადამიანი შეცდა, ადამიანივე უნდა გამოსწორდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის არის ღირსებით დიდი შესაქმის ნაწილი, რომ მასში არის ორი სამყარო: ღვთაებრივი – სულიერი და, ადამიანური – მატერიალური. ეს ორივე სამყარო სინერგიაში, ჰარმონიაში უნდა მოვიდეს, რომ ადამიანი აღდგეს მსგავსებაში, რომელიც დაკარგა მან სამოთხეში. ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ, ყველა ადამიანის ცხოვრების მიზანი უნდა გახდეს განღმრთობა.

**ნათია უტიაშვილი**

# ჩვენი დროის სასწაული

ერთი თბილისელი გოგონა ვერც იფიქრებდა, რომ უფალი მის თხოვნაზე ისეთ სასწაულს გამოიმეტებდა, როგორიც წიგნებში ამოგვიკითხავს. ეს ამბავი ექვსიოდე წლის წინ მოხდა თბილისში.

აღდგომა დღეს, განთიადზე, გოგონას ავადმყოფი ბაბუა უეცრად აგონიაში ჩავარდა და ექიმებმა სულთმობრძავი, უკანასკნელი ამოსუნთქვის მოდარაჯე ოჯახის წევრებს გადააბარეს.

ბაბუა ძალიან კეთილი კაცი იყო – მთელი ცხოვრება სიკეთეს თესავდა და გარშემო ყველას ხელს უმართავდა. გოგონას უსაზღვროდ უყვარდა ბაბუა და ექიმების განაჩენის მოსმენისთანავე ეკლესიაში გაიქცა.

სააღდგომო ლიტანიობისა და ღამისთევის სადღესასწაულო ლოცვების შემდეგ, მთელი მრევლი ერთად ზეიმობდა სატრაპეზოში. ეკლესიაში მორიგე მღვდელი დახვდა.

– მიშველე, მამაო, ბაბუა უზიარებლად მოკვდება! – შესტირა გოგონამ. მღვდელმა გაარკვია, თუ როგორი სულიერი ცხოვრება განვლო ბაბუამ და პასუხად მიიღო, რომ მოხუცი ეკლესიაში სანთლებს ანთებდა, ლოცულობდა კიდეც თვისთვის, უპოვართაც განიკითხავდა, მაგრამ, არასდროს ზიარებულა, რადგან, თავი არ მიაჩნდა იმ დონის მორწმუნედ, რომ ქრისტეს სისხლსა და ხორცს მიახლებოდა.

– ახლაც რომ არ მიიღოს ქრისტეს სისხლი და ხორცი? – ჩაეკითხა მღვდელი გოგონას.

– არა, მამაო, მიიღებს, უეჭველად მიიღებს!

მღვდელი გაჰყვა გოგონას. მანქანამ სწრაფად შემოკლა მანძილი. სახლში შევიდნენ და ერთად გაიკვლიეს გზა ნათესავებით გარშემორტყმული საწოლისკენ. ლოგინზე დასვენებული ავადმყოფი უკვე ხროტინებდა.

მღვდელმა თავი ოდნავ წამოუწია და უფლის აღდგომა მიახარა:

– ქრისტე აღდგა!

და აქ მოხდა სასწაული – მომაკვდავმა ხროტინი შეწყვიტა, თვალი გაახილა და უპასუხა:

– ჭეშმარიტად!

ხოლო უფრო დიდი სასწაული მოხდა მაშინ, როდესაც ავადმყოფს ჯერ გონება დაუბრუნდა სრულიად, მერე აღსარება თქვა და ნაზიარებზე მღვდლის ლოცვისას: „საკურნებლად სულისა და ხორცისა“ – მადლობის ნიშნად თავადაც ადიდა ღმერთი: „სადიდებლად უფლისა!“ სულ ცოტა ხანში იგი ახლობლებთან ერთად უჯდა სააღდგომო სუფრას და მშვიდად ემასლაათებოდა მათ. მოგვიანებით მოსული ორი ნათესავი მასპინძლებს დანდობილად საყვედურობდნენ: თუ ჩვენი ნახვა გინდოდათ, რაღა ამ ძვირფასი კაცის სიკვდილს იმიზეზებდითო!

უფალმა ამის შემდეგ ზუსტად ხუთი თვე უბოძა სააქაოდ მობრუნებულს. ამ ხნის განმავლობაში მან კიდევ ერთი სახეცვლილება განიცადა – პირვანდელი გატაცება დაეკარგა თამბაქოსადმი. ეს მთლად საოცრება გახლდათ, რადგან, სიყრმიდანვე ეწეოდა. შემდგომში კიდევ ერთხელ ეზიარა და სექტემბრის ბოლოს მშვიდად მიაბარა სული უფალს.

ვისაც მონათხრობის ჭეშმარიტებაში თომა მოციქულივით ხელის შეხებით სჭირდება დარწმუნება, მომხდარის შესახებ შეუძლია დაეკითხოს საბურთალოს ამაღლების ეკლესიის მოძღვარს – მამა გიორგის, რომელიც იმ დღეს მოხუცის შვილიშვილის გვერდით უფლის ნების აღმსრულებელი ბრძანდებოდა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მე და ჩემი მეუღლე უკვე ხანშიშესულები ვართ, მთელი ცხოვრება ურთიერთპატივისცემაში გავატარეთ და კარგი ოჯახიც გვაქვს, თუმცა ჯვარი არ გვაქვს დაწერილი, აუცილებელია თუ არა ჯვრისწერა და თუ შეიძლება, ეს რიტუალი სახლში შევასრულოთ?**

პასუხი: ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმრის კავშირი ღვთისგან ნაკურთხი არ არის. უფლის წინაშე რომ სათნო გამოჩნდეთ, აუცილებელია, ჯვარი დაიწეროთ, რომელიც მხოლოდ ეკლესიაში აღესრულება, რადგან სჯულის კანონში წერია, რომ ჯვრისწერა იქ აღესრულება, სადაც არის ტრაპეზი, ანუ, სადაც უფლისთვის წირვა-ლოცვა შეიწირება.



**კითხვა: ჩემი ახლობელი გარკვეული დროის განმავლობაში იეღოველი იყო. ახლა, ღვთის მადლით, დაუბრუნდა მართლმადიდებელ ეკლესიას. უნდა მოინათლოს თუ არა თავიდან?**

პასუხი: ნათლობა მხოლოდ ერთხელ აღესრულება, ამიტომ თქვენი ახლობელი უნდა მივიდეს მოძღვართან და ის დაუწესებს სასჯელს – ეპიტიმიას სექტის წეს-ჩვეულებებში მონაწილეობისთვის.

**კითხვა: ძალიან მომწონს ყინწვისის ანგელოზის ფრესკა. გთხოვთ მიპასუხოთ, რაზე მიგვანიშნებს ანგელოზი ამ ფრესკაზე თითით?**

პასუხი: ყინწვისის ანგელოზი აღდგომილი მაცხოვრის საფლავისკენ მიუთითებს და მენელსაცხებლე დედებს ამცნობს ამ დიდ სასწაულს.

**კითხვა: როგორ ავირიდოთ თავიდან ბოროტი ძალისგან მოგვრილი ავი სიზმრები?**

პასუხი: ძილის წინ ილოცეთ და შეინანეთ თქვენი ცოდვები და იგლოვეთ მათ გამო. მოიხმეთ მფარველი ანგელოზი, რომელიც გაღვიძებამდე დაგიფარავთ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### სულის სხეულისგან გაყრის მიჯნაზე

ხდება ისე, რომ ხანდახან ჯერ კიდევ სხეულში მყოფი ადამიანის სული ნაწილობრივ ხედავს სასჯელს, რაც მისთვის იმქვეყნად არის განკუთვნილი. ეს ან მათივე ჭკუის სასწავლებლად ხდება ან გარშემო მყოფთა შესაგონებლად.

ქრისაორი, რომელიც ძალიან მდიდარი იყო, თან ქედმაღალი და ამაყი, თავის გულისთქმებს აყოლილი, ანგარებისმოყვარე და მომხვეჭელი, უფლის განგებით, ერთხელ ავად გახდა და ზუსტად იმ დროს, როცა სული სხეულს უნდა გაჰყროდა, თვალგახელილმა შავი პირისახის საშინელი სულები დაინახა. ისინი სნეულის წინაშე იდგნენ და მზად იყვნენ, მისი სული შეეპყროთ და ჯოჯოხეთის ქვესკნელში წაეყვანათ. მომაკვდავი ათრთოლდა, გაფითრდა, ხმამაღლა იწყო თხოვნა, ცოტა ეცლიათ მისთვის და თავის ვაჟს, მაქსიმეს უხმობდა, რომელიც მოგვიანებით ბერმონაზონი გახდა: „მაქსიმე, შენთვის ხომ ცუდი არაფერი გამიკეთებია, შენი რწმენით მიშველე“. შეშფოთებულმა მაქსიმემ მაშინვე მასთან მიირბინა. მთელი ოჯახი ტირილითა და მოთქმით შეიკრიბა. ბოროტ სულებს, ვინც ესოდენ ძლიერ ტანჯავდნენ ქრისაორს, გარშემო მყოფნი ვერ ხედავდნენ, მაგრამ მათი არსებობა ავადმყოფის რეაქციის მიხედვით შეიტყვეს. შავი სახეების ხილვით შეშინებული ქრისაორი აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ მათ ყველგან ხედავდა. მათგან შევიწროვებული და სასოწარკვეთილი ავადმყოფი ხმამაღლა ყვიროდა: „დილამდე მაინც მაცალეთ, თუნდაც დილამდე!“ მაგრამ, სწორედ ამ ყვირილში ამოერთვა სული.

აქედან ცხადია, რომ ასეთი ხილვა მას თავის შესაგონებლად კი არ მიეცა, არამედ იმისათვის, რომ ჩვენთვის ყოფილიყო მარგებელი, ვისაც ჯერ კიდევ გვითმენს უფალი.

### დაბრუნებული ცხენი

ერთხელ კეთილმორწმუნე ლიბერტინი მონასტრის საქმეებისთვის სადღაც გაემგზავრა. გზად გოთების წინამძღოლი – დარდანიუსი შემოხვდა. მისი მეომრები ღვთის კაცს თავს დაესხნენ, ძირს ჩამოაგდეს და ცხენი წაართვეს. ბერმა დანაკარგი დიდსულოვნად დაითმინა... ყაჩაღებს თავისი სახრეც კი მისცა: აიღეთ, ცხენის გასარეკად გამოგადგებათო, – თქვა და მაშინვე ლოცვა იწყო. დარდანიუსის ჯარმა გზა განაგრძო და მალე მდინარე ვულტურნის მიაღწია. მხედრები შეეცადნენ, ცხენები მდინარეში შეერეკათ, მაგრამ როგორც არ ეცადნენ, ადგილიდან ვერ დაძრეს. ამგვარად, ცხენების დიდი ხნის წვალების შემდეგ, თვითონ მხედრებიც დაიქანცნენ, ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: „ეს უბედურება იმიტომ დაგვემართა, რომ ღვთის კაცი შეურაცხვყავით“. მხედრები მობრუნდნენ და ლიბერტინი ისევ იმ ადგილას მლოცველი იპოვეს.

– აიღე, – უთხრეს მას, – და წაიყვანე შენი ცხენი.

– ღვთით იარე, – უპასუხა წმინდანმა, – მე არ მჭირდება ის.

მაშინ მხედრები თვითონ ჩამოქვეითდნენ, ძალით დასვეს ლიბერტინი ცხენზე და დაუყოვნებლივ გაბრუნდნენ უკან. ადგილზე მისულმა ცხენებმა კი ისეთი სისწრაფით გადაცურეს მდინარე, თითქოს იმ ადგილას საერთოდ არ ყოფილიყო წყალი. ამგვარად, ღვთის განგებით, როგორც კი წმიდანს თავისი ცხენი დაუბრუნდა და სამართალი აღდგა, ცხენები დაემორჩილნენ მხედრებს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ჯანლუიჯი ბუფონი – მსოფლიოს უძვირესი მეკარე და სკანდალების გმირი

*ჯანლუიჯი ბუფონს „ბოლო ოცწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერს" უწოდებენ. მას უამრავი ტიტული აქვს მოგებული: იტალიის ჩემპიონატი, იტალიის თასი, „უეფას" თასი და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. „კოლექციის" შესავსებად ბუფონს კარიერაში მხოლოდ ორი ტიტული დარჩა მოსაგები – ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ჩემპიონატი, რომელთა მოგებასთან ის ძალიან ახლო იყო 2003 და 2012 წლებში, მაგრამ, „მილანმა" და ესპანეთის ნაკრებმა მას გზა გადაუღობეს. ლეგენდარული მეკარე რამდენიმე დღის წინ 36 წლის შესრულდა, თუმცა, გოლკიპერისთვის ეს ასაკი არ ითვლება კრიტიკულად და ბუფონს ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ დარჩენილ ტიტულებს დაეუფლოს.*



## „ჯენოას" ფანი

ბავშვობაში ბუფონი არც „იუვენტუსის" და არც მილანური კლუბების ქომაგი არ ყოფილა; უფრო მეტიც, ის არც „პარმას" გულშემატკივრობდა, სადაც პროფესიონალური კარიერა დაიწყო. ბუფონის გული მოკრძალებულ „ჯენოას" ეკუთვნოდა. საქმე ისაა, რომ ბუფონი ტოსკანიაში, კარაროში დაიბადა, ახლომახლო კი არცთუ ბევრი სახელოვანი კლუბი იყო და, „ფიორენტინას" ნაცვლად, ჯანლუიჯიმ საგულშემატკივროდ „ჯენოა" არჩია. არაერთ ინტერვიუში ბუფონს ნახსენები აქვს, რომ კარიერას სიამოვნებით დაასრულებდა „ჯენოაში".

## კერპი – ტომას ნ'კონო

პროფესიონალი ფეხბურთელები მუდამ ერიდებიან თავიანთი კერპების დასახელებას, თუმცა, ბუფონი გამონაკლისია – ყველასთვის ცნობილია, რომ მისი კერპი კამერუნელი გოლკიპერი ტომას ნ'კონოა, რომელმაც თავი 1982 და 1990 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე გამოიჩინა. კერპის პატივსაცემად ჯანლუიჯიმ თავის შვილს ტომასი დაარქვა.

## საუკეთესო და ყველაზე ძვირად ღირებული გოლკიპერი

2011 წლის თებერვალში მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ჯანლუიჯი ბუფონი ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის საუკეთესო მეკარედ დაასახელა. ცნობისთვის, ჯიჯი ბუფონი დღემდე ითვლება ყველაზე ძვირად ღირებულ მეკარედ ფეხბურთში: 2001 წელს „იუვენტუსმა" მასში სარეკორდო თანხა – 54 მილიონი ევრო გადაიხადა.

## სპორტული ფესვები

ჯანლუიჯი ბუფონი 1950-60-იანი წლების ცნობილი იტალიელი მეკარის – „ინტერის", „მილანის", „ჯენოას", „ფიორენტინასა" და იტალიის ნაკრების კარის დარაჯის – ლორენცო ბუფონის ნათესავია. ჯიჯის დედა, მარია სტელა მაზოკო, ცნობილი იტალიელი ბადროს მტყორცნელია, ბადროს მტყორცნელი იყო ჯიჯის მამაც; ბიძა კალათბურთელი გახლდათ, ხოლო ჯიჯის ორივე და – ჯენდალინა და ვერონიკა – იტალიის წყალბურთის ნაკრების წევრები არიან.

## ლამაზმანი მეუღლე

ჯიჯი ბუფონის მეუღლე ჩეხი მოდელი ალენა სერედოვაა – 1998 წლის „ვიცე-მის ჩეხეთი". ჯიჯი და ალენა გაცნობიდან მესამე წელს დაქორწინდნენ. წყვილს ორი შვილი ჰყავს: უკვე ნახსენები ტომასი და დევიდ ლი. ჯანლუიჯი ბუფონი მეუღლესთან ერთად ფლობს რესტორან „ზეროსეის", რომელიც ქალაქ პისტოიეზეს ცენტრში მდებარეობს; ასევე, ბუფონის საკუთრებაა ტურისტული კომპანია „ლა რომანინა".

## ციხეს გადარჩენილი

2004 წელს ჯანლუიჯი ბუფონი ციხეში მოხვედრას გადაურჩა: იტალიელმა სამართალდამცველებმა მას იურისტის ყალბი დიპლომი აღმოუჩინეს. მსგავსი ფაქტი ოთხწლიან სასჯელს ითვალისწინებს, თუმცა, ჯიჯი მხოლოდ ჯარიმის გადახდას გადაურჩა. ცნობისთვის, ბუფონს სულ 10 კლასის განათლება აქვს მიღებული – მას სკოლა ფეხბურთის გამო არ დაუმთავრებია.

## კავშირი ნაცისტებთან

„პარმაში" ასპარეზობის დროს ჯიჯი ბუფონი 2000-2001 წლების სეზონში მოედანზე 88-ნომრიანი მაისურით გამოვიდა, რამაც იტალიაში სკანდალი ააგორა – ბუფონს ნაცისტური იდეოლოგიის მხარდაჭერაში დასდეს ბრალი. საქმე ისაა, რომ ციფრი 8 ლათინურად H-ს ნიშნავს, 88 კი, შესაბამისად HH, რაც Heil Hitler-ს ნიშნავს. ბუფონი რამდენჯერმე შეეცადა იმის ახსნას, რომ არ გახლდათ ნაცისტური იდეოლოგიის მომხრე, თუმცა, ამაოდ. ამიტომ, მომდევნო მატჩებში მან სანომრე ნიშნად 77 აირჩია.

# წყალი ასტეროიდებზეც აღმოაჩინეს

ევროპელმა მეცნიერებმა დააფიქსირეს წყლის ორთქლის კვალი, რომელიც გარს ახვევია ცერერას – ასტეროიდების რკალის ყველაზე დიდი ობიექტს. აღმოჩენა კოსმოსურ ტელესკოპ „ჰერშელის" მეშვეობით გაკეთდა.

ეს წყლის პოვნის პირველი შემთხვევაა მზის სისტემის მოცემულ ოლქში. ასტეროიდების რკალი მდებარეობს მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის. ასეულობით ათასი დიდი და მცირე ასტეროიდი, მეცნიერთა ვარაუდით, უხსოვარ დროს, იქ არსებული და რაღაც დიდი კატასტროფის შედეგად დამსხვრეული პლანეტის ნარჩენებია. ისინი სხვადასხვა სიჩქარით ბრუნავენ მზის გარშემო, ხანდახან ერთმანეთს ეჯახებიან, ხანდახან ტოვებენ თავის ორბიტას და ასეთ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნიან სხვა პლანეტებს, მათ შორის დედამიწასაც.

ცერერა ყველაზე დიდი ასტეროიდია და ახალი აღმოჩენიდან გამომდინარე, მას შესაძლოა, ატმოსფეროს თხელი ფენაც აღმოაჩნდეს. მისი ზედაპირი კი, როგორც ჩანს, ყინულისგან შედგება, – განაცხადა ევროპის ასტრონომიული ცენტრის სპეციალისტმა მიხაელ კიუპერსმა.

ეს უნიკალური აღმოჩენა კიდევ ერთხელ ცვლის ჩვენს წარმოდგენებს მზის სისტემის შესახებ. როგორც ჩანს, წყალი იმაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე აქამდე გვეგონა.

# „ნიუ-იორკ ნიქსის" სექსუალური ქომაგი

„ვიქტორიას სიქრეტის" „ანგელოზი" და ქალის თეთრეულის რეკლამირების მოდელი, სარა სამპაიო, „პორტუგალიელი ირინა შეიკის" სახელით არის განთქმული. სარა 22 წლისაა და უკვე მოასწრო „ვოგისა" და „ელის" ყდებზე გამოჩენა; ასევე, ლამაზმანი გატაცებულია სპორტით, უყვარს ბეისბოლი და სერფინგი, ხოლო მისი მთავარი სიყვარული საკალათბურთო კლუბი „ნიუ-იორკ ნიქსი" ყოფილა, რომლის მატჩებსაც, ის, პრაქტიკულად, არ აცდენს და ყოველი მატჩის დროს „ინსტაგრამზე" ტვირთავს ფოტოებს, თუ როგორ ქომაგობს საყვარელ გუნდს.



# იბრაჰიმოვიჩის აუქციონი

„პარი სენ-ჟერმენისა" და შვედეთის ნაკრების ლიდერმა, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, საქველმოქმედო აუქციონი მოაწყო და საკუთარი ნივთები გაიტანა გასაყიდად. ფეხბურთის ვარსკვლავმა აუქციონიდან 190 ათასი ევრო მიიღო და მთელი თანხა სხვადასხვა სენით დაავადებული ბავშვების დახმარების ფონდში გადარიცხა. აუქციონზე იბრაჰიმოვიჩის ბუცები 22 ათას ევროდ გაიყიდა, ხოლო ბურთი, რომლითაც იბრაჰიმოვიჩმა პირველი გოლი გაიტანა პარიზული გუნდის რიგებში – 24 ათას ევროდ. ცნობისთვის, რამდენიმე ხნის წინ ზლატანი შვედური ავტოკონცერნის „ვოლვოს" სარეკლამო სახე გახდა და ჟან-კლოდ ვან დამთან ერთად, ბოლო დროის ყველაზე ტირაჟირებულ სარეკლამო რგოლებში მიიღო მონაწილეობა.

# „როლექსის" წინასწარი მილოცვა

ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულმა, 31 წლის ჩინელმა ნა ლიმ მსოფლიოში ცნობილი ბრენდისგან – „როლექსისგან," ერთი დღით ადრე მიიღო „დიდი სლემის" ტურნირში გამარჯვების მილოცვა, რამაც სპორტულ სამყაროში გაოცება გამოიწვია. „როლექსმა" აღნიშნული ფაქტი ტექნიკურ შეცდომად შეაფასა და მას შემდეგ, რაც ნა ლიმ ფინალურ შეხვედრაში სლოვაკი დომინიკა ციბულკოვა დაამარცხა და კარიერაში მეორე „დიდი სლემის" ტურნირში გაიმარჯვა, „როლექსმა" მას ხელმეორედ, თუმცა, ამჯერად, ოფიციალური გამარჯვება მიულოცა.

# უეინ რუნი – ყველაზე მაღალანაზღაურებადი ინგლისელი ფეხბურთელი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ მიაღწია შეთანხმებას კლუბის ლიდერთან და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთან, უეინ რუნისთან, ახალი კონტრაქტის დადებაზე. ახალი ხელშეკრულების თანახმად, რუნი 2018 წლამდე დარჩება „მანჩესტერში" და ხელფასის სახით რეკორდულ თანხას, კვირაში 300 გირვანქა სტერლინგს მიიღებს. ამგვარად, უეინ რუნი გახდება ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ინგლისის პრემიერლიგაში. ცნობისთვის, კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ მოლაპარაკებები თითქმის ჩიხში იყო შესული, რადგან, რუნის მყიდველები, მათ შორის „ჩელსი" და „რეალი" აქტიურობდნენ.

გვერდი მოამზადა **უშანგი რუხაძემ**

# არიელ შარონის კავშირი თბილისთან და ტრაგიზმით სავსე ცხოვრება

***ისრაელის ექსპრემიერი, 85 წლის არიელ შარონი 2014 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა. უკანასკნელი 8 წელი შარონი კომაში, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა. ებრაელი პოლიტიკოსი 2006 წელს, ინსულტის გამო ჩავარდა კომაში და თელ-ა-შომერის კლინიკაში ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გახლდათ მიერთებული.***

* არიელ შარონი 1928 წლის 26 თებერვალს დაიბადა პალესტინაში კფარ-მალალში. მისი წინაპრები წარმოშობით რუსეთის იმპერიიდან იყვნენ, კერძოდ ბელარუსიდან. არიელის ბაბუა – მორდეჰაი შეინერმანი სიონისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლდათ. 1910 წლიდან მორდეჰაი ოჯახთან ერთად პალესტინაში გადავიდა საცხოვრებლად. თუმცა, ორი წლის შემდეგ კვლავ რუსეთის იმპერიაში დაბრუნდა. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და რუსეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ ფრონტის ხაზთან მცხოვრები ებრაელების გასახლება დაიწყო. ასე აღმოჩნდნენ არიელის მშობლები და ბებია-ბაბუა თბილისში. არიელის მშობლებმა – შმუელ შეინერმანმა და დვოირუ შნეიეროვამ ერთმანეთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში გაიცნეს. შმუელი სოფლის მეურნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო დვოირუ ექიმობას აპირებდა. წყვილი ამჟამინდელი მიხეილ წინამძღვრიშვილის ყოფილ კლარა ცეტკინის ქუჩაზე ცხოვრობდა, 122 ნომერში. რუსეთის იმპერიის დროს მას ელიზაბეტის ქუჩა ერქვა. რევოლუციის შემდეგ შმუელი და დვოირუ შუა აზიაში გადავიდნენ საცხოვრებლად, ხოლო 1921 წელს, პალესტინაში დასახლდნენ, სადაც დაიბადა არიკ შარონიც. არიელის ბებია – სლავა იოსიფის ასული შნეიეროვა თბილისში გარდაიცვალა 1945 წელს. როცა 1999 წელს, არიელ შარონი სამუშაო ვიზიტით იყო ჩამოსული თბილისში, თბილისის სინაგოგაში ნაპოვნი ძველი ჩანაწერების მიხედვით, მან ბებიის საფლავი იპოვა – თბილისის ებრაელების სასაფლაოზე, ბებიის საფლავთან ახლოს, თავისთვის უცნობი ბიძაშვილის საფლავიც აღმოაჩინა. სხვათა შორის, არიელ შარონი, რომელიც თავისუფლად ფლობდა რუსულ ენას, შესამჩნევი ქართული აქცენტით საუბრობდა.



* 1953 წელს, 25 წლის ახალგაზრდა ოფიცერი – არიელ შარონი დაქორწინდა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტზე – მარგარიტას ზუსტად 1 კვირა იცნობდა დაქორწინებამდე. 1956 წელს წყვილს ვაჟიშვილი, გური შეეძინა. 1962 წელს, ავტომობილი, რომელსაც მარგარიტა მართავდა ავარიაში მოჰყვა და შარონის მეუღლე ადგილზე გარდაიცვალა. ებრაული ტრადიციის თანახმად, არიელ შარონი დასაფლავებიდან ცოტა ხანში, მეუღლის დაზე, ლილიზე დაქორწინდა, რომელთანაც ორი ვაჟი – ომრი და გილადი ეყოლა. გენერალ-ლეიტენანტმა შარონმა კიდევ ერთი პირადი ტრაგედია გადაიტანა. 1967 წელს, სახლის ეზოში მოთამაშე პატარა გურის, სნაიპერმა ესროლა და ბავშვი ადგილზე გარდაიცვალა. 2002 წელს კი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ლილი გარდაიცვალა.

* არიელ შარონი ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ პრემიერ-მინისტრად მიიჩნევა ისრაელის სახელმწიფოს ისტორიაში. ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რა ქონებას ფლობდა ისრაელის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე – არიელ შარონი. სამაგიეროდ ცნობილია, რომ მის 400 ჰექტარ მიწის ფართობზე გაშენებული რანჩო „სიკამორი" შარონმა 1970-იან წლებში 500 ათას დოლარად შეიძინა. დღეს კი მისი სავარაუდო ფასი 11,3 მილიონი ამერიკული დოლარია.

* ებრაულ პრესაში რამდენიმე წლის წინ გავრცელდა სენსაციური ცნობა, რომ შესაძლოა, ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი – არიელ შარონი, მეოცე საუკუნის ლეგენდარული რევოლუციონერის, ერნესტო ჩე გევარას ნათესავი ყოფილიყო. ჩე გევარას დედა – სელია და ლე სერნა სინამდვილეში სონია შეინერმანი გახლდათ. 1925 წელს გამოექცა კომუნისტურ რეჟიმს და ბუენოს-აირესში დასახლდა, სადაც ლეგენდარული „ჩეს" მამას – ერნესტო გევარა ლინჩიას გაჰყვა ცოლად. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1965 წელს, სელია გამოუტყდა შვილს, რომ ის ებრაელი იყო, ხოლო ბიძამისი, შმუელ შნეიერმანი პალესტინაში ცხოვრობდა. ბიძაშვილი – არიელი კი ებრაული ჯარის ოფიცერი გახლდათ. თელ-ავივის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორის, ეფრაიმ დავიდის თქმით, გევარას და შარონის ნათესაური კავშირის დადგენა შეუძლებელია და ეს ინფორმაცია სრული აბსურდია.

# მხოლოდ ფაქტები

* მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე ვაშინგტონში დაზვერვის ცენტრალური ბიუროს შენობა „სახელმწიფო სტამბის" აბრით ინიღბებოდა.

* ტრადიციულად, ინგლისში საუფლისწულო მამული უელსი იყო, აქედანაა უელსის პრინცი; საფრანგეთში ასეთი მამული იყო დოფინე.

* ჰამურაბის კანონებში ეწერა, რომ ექიმი ისჯებოდა სიკვდილით, თუ მისი პაციენტი მოკვდებოდა, მაგრამ, იმ დროს მედიცინა ისეთ მაღალ დონეზე იდგა, რომ ექიმთა რიცხვი არც ისე მცირე იყო.

* ინგლისელი მკვლევრის აზრით, „ფერხულსა" და „ვალსს" სათავე ალქაჯების ცეკვამ დაუდო, რადგან, მათი მთავარი საცეკვაო ფიგურა – წრეა.

* რომაელმა მხედართმთავარმა თავისი საყვარელი ვაჟი 5 წლის ასაკში წარუდგინა საზოგადოებას სპეციალურად მისთვის შეკერილი ფორმითა და სამხედრო ჩექმებით. ეს ბიჭუნა შემდეგში იმპერატორი გახდა, მაშინ შერქმეული სახელი კი – „ჩექმა" (ლათინურად – „კალიგულა) სიკვდილამდე შერჩა.

* საბერძნეთში, პეგრამის ნანგრევებში, შემონახულია ასკლეპიის ტაძარი, რომელსაც გრძელი დერეფანი ჰქონდა, ჭერში კი დამალული იყვნენ ქურუმები, რომლებიც გამვლელებს უჩურჩულებდნენ, რომ ის ჯანმრთელია. ეს ერთგვარი ფსიქოთერაპია იყო. ტაძარი სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

* მოკლე მანძილზე სირბილში შეჯიბრების დროს, სპორტსმენს, რომელიც სასტარტო პისტოლეტთან ახლოსაა, უპირატესობა აქვს, რადგან, ხმა 0,01 წამში მხოლოდ 3 მეტრს გადის და შორს მყოფ სპორტსმენამდე მოგვიანებით აღწევს.

* „ო, ყოვლისმიმზიდველო! ო, ყოვლისმიმზიდველო! ყოვლისმიმზიდველო, ყოვლისმიმზიდველო! ო, ო, ო, უმაღლესო ნეტარებავ, ო, უმაღლესო ნეტარებავ, უმაღლესო ნეტარებავ, უმაღლესო ნეტარებავ! ო, ო", – ასე გამოითქმის ქართულად ყველასთვის ცნობილი „ჰარე კრიშნა! ჰარე კრიშნა! კრიშნა, კრიშნა, ჰარე ჰარე! ჰარე რამა! ჰარე რამა! რამა, რამა, ჰარე, ჰარე!"

# სანდრა ბალოკი – 2014 წლის „ოსკარის" ფავორიტი მსახიობი

***2014 წლის წლის „ოსკარის" ერთ-ერთი ფავორიტი მსახიობ ქალებს შორის ჰოლივუდის ვარსკვლავი სანდრა ბალოკია. „სიჩქარის" ვარსკვლავი ალფონსო კუარონის „გრავიტაციაში" შესრულებული როლისთვის წარადგინეს მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოზე, რომელიც მისთვის, შესაძლოა, მეორე გახდეს კინოკარიერაში.***

* სანდრა ბალოკი დაიბადა 1964 წლის 26 ივლისს, არლინგტონში, ვირჯინიის შტატში. მამა, ჯონ ბალოკი, სამხედრო იყო, ხოლო დედა, ჰელგა მატილდა მაიერი – ოპერის მომღერალი და ვოკალის მასწავლებელი. სანდრას გერმანული, ირლანდიური, ფრანგული და ინგლისური წარმომავლობა აქვს. ბავშვობაში ის გერმანიაში ცხოვრობდა, ქალაქ ფიურტში, სადაც მამა ამერიკელების სამხედრო ბაზაზე მსახურობდა. სანდრას ჰყავს უმცროსი და – ჯეზინი, რომელიც პროფესიით იურისტია.



* ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, სანდრა „ვაშინგტონ ლის" სკოლაში სწავლობდა, სადაც ჩირლიდერების გუნდის ლიდერი იყო. 1982 წელს სანდრა გრინვილში, აღმოსავლეთ კაროლინის უნივერსიტეტში მოეწყო დრამის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა. ბაკალავრის დიპლომის მიღების შემდეგ, ის ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სხვადასხვა დროს ოფიციანტად, ბარმენად, გარდერობის გამგედ მუშაობდა მანჰეტენზე. ამის გარდა სანდრა თავისუფალ დროს სენფორდ მეისნერის სამსახიობო ოსტატობის კურსებზე დადიოდა და თავისი კინოკარიერა სტუდენტური ფილმებით დაიწყო.

* სანდრა ბალოკის სიმაღლე 171 სანტიმეტრია, წონა – 60 კილოგრამი.

* სანდრა ბალოკს „სალსასა" და „ფლამენკოს" ცეკვა უყვარს. მას აქვს ალერგია ცხენებზე. სანდრა მოყვარული სანტექნიკოსია – მან საკუთარი ხელით დაამონტაჟა სახლში უნიტაზი.

* სანდრა ბალოკის საყვარელი კერძებია: შემწვარი წიწილა კარტოფილ „ფრისთან" ერთად; პიცა ლორითა და სოკოთი; სუფლე და შოკოლადი. სასმელებიდან ის უპირატესობას ლუდ „ჰეინეკენს", ტეკილასა და „სტარბაქსის" ყავას ანიჭებს.

* სანდრა ბალოკს უყვარს ქსოვა და, შეუძლია, ოთხ დღეში მოქსოვოს სვიტერი.

* სანდრას ჰყავს აყვანილი შვილი – ლუის ბარდო, რომელიც მან ჯესი ჯეიმსთან ქორწინებაში ცხოვრების დროს იშვილა. ამჟამად სანდრა შვილს მარტო ზრდის.

* სანდრა ბალოკი ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად ქალ მსახიობად ითვლება.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



## როგორ ვითარდება ადამიანებში ქრონიკული დაღლის სინდრომი და რა იწვევს მას

ქრონიკული დაღლილობის სინდრომით დაავადების ძირითადი და მთავარი სიმპტომია მუდმივი სისუსტე და სწრაფი დაღლა. ამ სინდრომით დაავადებულებს ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის აქტივობა უქვეითდებათ. ეს ჰორმონი, რომელიც ჰიპოფიზში წარმოიქმნება, დიდ როლს თამაშობს ადამიანის ორგანიზმზე სტრესის ზემოქმედების რეაქციის დროს. მისი მეტაბოლურობის შემცირება კი საერთო ფიზიკურ აქტივობას აქვეითებს.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომით ავადდება ის, ვისაც დიდი სტრესი აქვს გადატანილი. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, რომ სინდრომის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი ზუსტად ამ ჰორმონის აქტივობის დაქვეითება იყოს. თუმცა, დღემდე, მეცნიერები და ექიმები ამის გამომწვევ მიზეზად ადამიანის იმუნური სისტემის დაქვეითებას მიიჩნევენ.

ქრონიკულ დაღლილობას ბევრი მიზეზი ახლავს თან, მისი განკურნება კი არც ისე ადვილია. ამიტომ, ეცადეთ, არ გადატვირთოთ და გადაღალოთ როგორც ორგანიზმი, ასევე, ტვინი და დროდადრო დასვენებაც მოახერხეთ.

## რა იწვევს ტოქსიკოზს ორსულობის პერიოდში

ორსულობის პერიოდში ტოქსიკოზი ერთ-ერთი ხშირი და არასასიამოვნო შეგრძნებაა. მისი სხვადასხვა ფორმა არსებობს და წარმოშობის მიზეზებიც განსხვავებულია. კერძოდ, განასხვავებენ ადრეულ და გვიან ტოქსიკოზს. ორსულობის ოც კვირამდე აღმოცენებულ ტოქსიკოზს ადრეული ეწოდება, ხოლო ოცი კვირის შემდეგ – გვიანი.

ადრეული ტოქსიკოზის ძირითადი კლინიკური გამოვლინებაა გულისრევის შეგრძნება, ღებინება, ნევროლოგიური დარღვევები. ეს იწვევს ძილიანობას, ადინამიას, აპათიას ან პირიქით, მომატებულ აღგზნებადობას.

გვიანი ტოქსიკოზის დამახასიათებელი ნიშნებია: ნევროპათია, სხვადასხვა სახის სისხლძარღვოვანი დარღვევა, რის შედეგადაც ვითარდება პლაცენტური უკმარისობები. გვიანი ტოქსიკოზის ყველაზე რთული ფორმაა პრეკლამფსია და ეკლამფსია, რომელთა თავიდან აცილება შესაძლოა ადრეული ტოქსიკოზის ნიშნების გამოვლენისთანავე.

ტოქსიკოზის განვითარებას ხელს უწყობს ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა და გარემო ფაქტორები. აუცილებელია ექიმის მეთვალყურეობა მთელი ორსულობის პერიოდში, საერთო გამოკვლევების ჩატარება, რათა დროულად დაინიშნოს მკურნალობა, შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად.

ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ორსული ქალის გარემო პირობებს. აუცილებელია მშვიდი და სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა, ახლობლებისა და გარშემო მყოფების მხრიდან მზრუნველობა, ყურადღება და სიყვარული. ეს მათ განსაკუთრებით სჭირდებათ.

ორსულობის დასაწყისში, სანაყოფე კვერცხიდან წამოსული იმპულსები აღიზიანებს საშვილოსნოს ნერვულ დაბოლოებებს. უარყოფითი ნერვული იმპულსები მოქმედებს ორსულის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს ამ უკანასკნელის ფუნქციურ გადახრებს. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კი, უარყოფითი იმპულსები ქრება და უსიამოვნო შეგრძნებებიც აღარ აწუხებს ორსულს.

## მეხსიერების გაუარესების დროს, ხშირად ჭამეთ თევზი, ბანანი და თხილი

მეხსიერების გაუარესებას დროულად უნდა მიაქციოთ ყურადღება, რათა სიტუაცია კიდევ უფრო არ დამძიმდეს. თუ მეხსიერების გაუარესება გამოწვეულია თავის ტვინის სისხლძარღვების შევიწროებით, ინტოქსიკაციებითა და ასე შემდეგ, მაშინ, შესაბამისი ექიმის გამოკვლევა და სწორი მკურნალობა გჭირდებათ. მაგრამ, თუ ის გამოწვეულია დაღლილობით, ქრონიკული სტრესით, მაშინ თავადაც შეგიძლიათ სიტუაციის კონტროლი. კერძოდ, აუცილებელია, ხშირად ისეირნოთ სუფთა ჰაერზე, რადგან ტვინის სისხლძარღვებს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება ჟანგბადი. დაიწყეთ რეგულარული ვარჯიში. ეს აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. შეამცირეთ სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლის სმა.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეხსიერება პირდაპირ კავშირშია ჯანსაღ ძილთან. ამიტომ, აუცილებელია კარგი გამოძინება. უნდა გეძინოთ დღე-ღამეში არაუმცირეს რვა საათი და მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს. ამისთვის, უნდა ისწავლოთ საკუთარ თავზე მუშაობა და ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც თქვენზე პოზიტიურად მოქმედებენ.

ხშირ შემთხვევაში, გონების გაუარესებას იწვევს დიეტები. ამ დროს საკვები რაციონიდან საერთოდ ილებენ გლუკოზას. არადა, ეს უკანასკნელი გონების მუშაობისთვის ძალიან სასარგებლო და აუცილებელია. ხშირად მიირთვით თევზი, თხილი, მზესუმზირა, მცენარეული ცხიმები, ხორცი, ბანანი, ზღვის პროდუქტები, ფაფები. მიირთვით ისეთი საკვები, რომელიც შეიცავს E ვიტამინს, რკინას, მაგნიუმსა და თუთიას.

## იწვევს თუ არა ასაკის მატება სახსრებში მარილების დაგროვებას

ოსტეოართროზი სახსრების ყველაზე გავრცელებული დაავადებაა და მას სახსრების რევმატიზმს, ხან კი მარილების დაგროვებას უწოდებენ. თუმცა, ის არც ერთთან და არც მეორესთან კავშირში არ არის.

ოსტეოართროზი შედის რევმატიულ დაავადებათა ჯგუფში. ის სახსრების ქრონიკული, პროგრესირებადი დაავადებაა, რომელიც ადვილად პროგრესირებს და ხრტილის დეგენერაციული ცვლილებებით ხასიათდება. ნორმალური ხრტილოვანი ქსოვილი მეტად გლუვი, მტკიცე და ელასტიკურია. ის სახსარში შეუფერხებელ და უმტკივნეულო მოძრაობასა და ამორტიზაციას უზრუნველყოფს.

ასაკის მატებისა და სხვა ბევრი ფაქტორის ხელშეწყობით, ხრტილი კარგავს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს – ხდება უსწორმასწორო, უხეშდება და კვდება. ამის გამო, სახსარში შემავალი ძვლოვანი ზედაპირები ერთმანეთს ეხახუნება, მკვრივდება, ბრტყელდება და სასახსრე ნაპრალი ვიწროვდება. ძვლის ქსოვილი კი, კომპენსაციის მიზნით, იწყებს ზრდას და ჩნდება ძვლოვანი წანაზარდები, რასაც შეცდომით მარილების დაგროვებას მიაწერენ. დაახლოებით 45-50 წლის ასაკის ზემოთ, ხრტილი, ისევე, როგორც სხვა ორგანოები და სისტემები, ბერდება და ამ პროცესის შეჩერება ძნელია. ჭარბი წონის თავიდან აცილება ოსტეოართროზის განვითარების რისკს აქვეითებს.

ოსტეოართროზის ნაადრევი განვითარების მიზეზი ხშირად არის სახსრის ხანგრძლივი გადატვირთვა, რაც ბევრ პროფესიას ახლავს. ასაკის მატებასთან ერთად, ხრტილის ელასტიკურობა იკლებს და სახსრები იტვირთება. ასევე, სხვა ხელშემწყობი ფაქტორებია ტრავმები, სახსრების ანთებითი დაავადებები, მენოპაუზა, შაქრიანი დიაბეტი და ასე შემდეგ. დაავადება თანდათან, შეუმჩნევლად იწყება და ვითარდება. პირველად ტკივილი მხოლოდ დატვირთვის შემდეგ, საღამოს საათებში ჩნდება, დასვენების მერე კი ქრება. დროთა განმავლობაში ტკივილის ინტენსივობა და ხანგრძლივობა იზრდება და ღამის საათებშიც დისკომფორტს უქმნის ადამიანს. შემდგომ სტადიებში კი მუდმივად შემაწუხებელი ტკივილი იგრძნობა, კიდურებში მოძრაობა იზღუდება, მოძრაობისა და სიარულის დროს სახსრებში ისმის ხრაშუნისა და ტკაცუნის ხმა. მოგვიანებით სტადიაში ვითარდება სახსრების შეუქცევადი დეფორმაციები, ამოვარდნილობები და სხვა გართულებები. ამიტომ, დროულად უნდა მივხედოთ თავს და, ვეცადოთ, ასაკის მატებასთან ერთად, წონაც ვარეგულიროთ, რათა მსგავს პრობლემებს ავარიდოთ თავი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: რომელი ხილი ან საკვები უნდა მივიღო იოდის დეფიციტის დროს? კარგია თუ არა ამ დროს ნიგოზი, კარალიოკი და ასე შემდეგ?**

**პასუხი:** არსებობს შეხედულება, თითქოს ზოგიერთი მცენარეული პროდუქტი, მაგალითად, ფეიხოა, ხურმა, კაკლის ულელი, ბევრ იოდს შეიცავს. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. საერთოდ, ხილსა და ბოსტნეულში (გარდა ისპანახისა) იოდი უმნიშვნელო ოდენობით არის. შედარებით მეტია ხორცში, რძესა და რძის ნაწარმში, კვერცხში. იოდით განსაკუთრებით მდიდარია ზღვის პროდუქტები, კერძოდ, ზღვის კომბოსტო (ლამინარია), წყალმცენარეები, თევზი, ბევრია იოდი თევზის ქონშიც. მაგრამ იოდდეფიციტის დროს გირჩევთ იოდის დამატებით მიღებას ტაბლეტების სახით ექიმის დანიშნულებით.

**კითხვა: ვარ 16 წლის, 2 თვის წინ დამიდგინდა დიაბეტი (პირველი ტიპი). 1 თვეა, არ გამიკეთებია ინსულინი და გლუკოზა სისხლში მაქვს ყოველთვის ნორმაში. შეიძლება თუ არა პირველი ტიპის დიაბეტის დროს უინსულინოდ ნორმა იყოს? ტკბილეულიც მიმიღია ამ პერიოდში.**

**პასუხი:** ბავშვებსა და მოზარდებს შორის პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტი გაცილებით მეტად არის გავრცელებული, მეორე ტიპი კი უმთავრესად ზრდასრულთა დაავადებად მიიჩნევა. თუმცა, ბავშვებსა და მოზარდებს შორისაც გვხვდება დიაბეტის ისეთი ფორმები, რომლებიც ზოგიერთი თვისებით მეორე ტიპისას უახლოვდება. ასევე, განვითერებულ ქვეყნებში გახშირდა მოზრდილთა ტიპის დიაბეტი ახალგაზრდებსა და ბავშვებს შორის (MODY), რის მიზეზადაც ჭარბი წონა მიაჩნიათ. თუ ოჯახის რომელიმე წევრი მეორე ტიპის დიაბეტით არის ავად, მნიშვნელოვნად იზრდება საფრთხე ბავშვიც დაავადდეს. ამიტომ, მიმართეთ ენდოკრინოლოგს, რომელიც განსაზღვრავს თქვენი დაავადების ტიპს. სავარაუდოდ, არა გაქვთ პირველი ტიპის დიაბეტი.

**კითხვა: მაქვს გულის რევა, როცა მშივდება. რა მიზეზი შეიძლება იყოს? შეიძლება ჭიების ბრალი იყოს?**

**პასუხი:** მიზეზი შეიძლება იყოს სისხლში შაქრის დაბალი შემცველობა, ასევე სიმჟავის ჭარბად გამოყოფა ან ნაღვლის დაგროვება კუჭში, რაც იწვევს ლორწოვანის გაღიზიანებას. უცილებელია გამოკვლევები. გირჩევთ, მიმართოთ გასტროენტეროლოგს.

**კითხვა: თუ შეიძლება ცხვირით სუნთქვის დარღვევასა და შეკრულობას ჰქონდეს რაიმე საერთო? ანუ შეკრულობის ერთ-ერთ მიზეზად თუ შეიძლება განიხილებოდეს ეს?**

**პასუხი:** ცხვირით სუნთქვის დარღვევა ფიზიკური განვითარებისა და, ზოგადად, ჯანმრთელობის სხვადასხვა დარღვევას იწვევს. მათ შორის, ნერვული სისტემის მოშლილობას, რაც თავის მხრივ ხდება საჭმლის მომნელებელი სისტემისა და სხვა შინაგან ორგანოთა ფუნქციის დარღვევის მიზეზი.

**კითხვა: ამ ბოლო დროს მივაქციე ყურადღება, რომ ბევრ პრეპარატს აწერია „გენერიკი". რას ნიშნავს ეს?**

**პასუხი:** გენერიკები – მარტივად რომ ვთქვათ, არის წამლები, რომელთა შესაქმნელად, შესასწავლად და ბაზარზე დასამკვიდრებლად მის მწარმოებელ ქვეყნებს კაპიკიც არ გადაუხდიათ. სწორედ ამიტომ, გენერიკები ორიგინალურ პრეპარატებთან შედარებით, იაფი ღირს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## რა ინფორმაციას გვაწვდის საკუთარი კანის შეფერილობა

თუ კარგად დააკვირდებით თქვენი კანის ფერს, შესაძლო ავადმყოფობის შესახებ მიიღებთ ინფორმაციას და მკურნალობის კურსსაც დროულად ჩაიტარებთ, კერძოდ:

თუ კანმა მოყვითალო ფერი მიიღო, გამოიკვლიეთ ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი, რადგან, შესაძლოა, ანთებითი პროცესი უკვე დაწყებულია.

თუ ფერმკრთალი ხართ, სავარაუდოდ, ანემია გაქვთ და, ეს ან რკინის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული, ან სასუნთქი გზების პრობლემები გაწუხებთ. გამოიკვლიეთ ფილტვები და ბრონქები.

თუ სიმკრთალეს მოლურჯო ფერი გადაჰკრავს ტუჩებსა და ცხვირზე, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ გულთან დაკავშირებული პრობლემა გაქვთ.

ფერმკრთალი კანი მოლურჯო ლაქებით იმაზე მეტყველებს, რომ სუსტი სისხლძარღვები გაქვთ და ორგანიზმს C და E ვიტამინები სჭირდება.

ადრეულ ასაკში დანაოჭებული კანი ქრონიკული დაავადებების გარეგანი გამოხატულებაა და მიანიშნებს, რომ ადამიანს დიაბეტი, ენდოკრინული და სხვა დარღვევები აღენიშნება.

მშრალი და დაჭიმული კანი კუჭის მოქმედების დარღვევაზე, კერძოდ კი, ქრონიკულ გასტრიტზე, კუჭის წყლულზე მიგანიშნებთ.

არათანაბარი და დატალღული კანის ფერი მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზმში ტოქსინები და წიდებია დაგროვილი.

მოშავო ფერის კანი კი იმაზე მიანიშნებს, რომ თირკმელების უკმარისობა გაქვთ.

გამომშრალი კანი, რომელიც იქერცლება, იმუნიტეტის დაქვეითებისა და ავიტამინოზის ნიშანია. ამ დროს მიიღეთ A და B ჯგუფის ვიტამინები.

ჩაშავებული და მოდუნებული კანი თვალების გარშემო თირკმელების ფუნქციის დარღვევაზე მეტყველებს.

ცხიმიანი კანი ლიპიდური მიმოქცევის დარღვევის ნიშანია და ყურადღება მიაქციეთ საჭმლის მომნელებელ სისტემას.

თუ კანზე დროდადრო ჩნდება ცხიმიანი ლაქები, ეს ალერგიის ბრალია.

კისერზე ან მკერდზე კანის გაწითლება ჰიპერტონიაზე მიუთითებს.

ხოლო, თუ ტანზე ან სახეზე მუწუკები გიჩნდებათ, ესე იგი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები გაქვთ და დროულად მიხედეთ.

## კუჭის წყლულის დაავადების დროს მიირთვით უმი კომბოსტო

კომბოსტო შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ასევე, მასში გვხვდება ეგრეთ წოდებული ულცეროზული ვიტამინი, ანუ, წყლულის საწინააღმდეგო ნივთიერება. გარდა ამისა, კომბოსტოს შემადგენლობაში შედის ტარტარონის მჟავა, რომელიც ძალიან ეფექტური საშუალებაა გასუქების თავიდან ასაცილებლად. სიმსუქნისა და კუჭის წყლულის დაავადების დროს რეკომენდებულია უმი კომბოსტოს ჭამა.

ასევე, კომბოსტოს ხალხურ მედიცინაში იყენებენ, როგორც გარეგან საშუალებას კანის სხვადასხვა დაავადების დროს და დამწვრობის შემთხვევაში.

კომბოსტოს მწნილი სასარგებლოა მათთვის, ვისაც ღრძილების დაავადებები აწუხებს. ასეთ დროს მწნილის წვენი გამოივლეთ პირის ღრუში.

ძლიერი კოლიტის, ბუასილისა და სისხლდენის დროს კი კომბოსტოს მწნილი შეუცვლელი საკვებია ორგანიზმისთვის. მისი ჭამა, ასევე, სასარგებლო და ეფექტურია ღვიძლის დაავადების დროსაც.



**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძე**

# ვისთან ერთად შექმნა არაოფიციალური მინი-ბორდელი გივი სიხარულიძემ ამერიკაში

*მწერალი, მსახიობი, კარგი ფიზიკური მონაცემები, ძალიან თანამედროვე, უშუალო, უკომლექსო, ცოტა გიჟური, პირდაპირი, საინტერესო მოსაუბრე, ნაღდი ისტორიებით... ის არავის ჰგავს და, როდესაც ეკრანზე ან სადმე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩნდება, მაშინვე ყველას ყურადღებას იქცევს. რასაც ახლა წაიკითხავთ, შეიძლება, ცოტა შეცბეთ, რადგან, სხვა, მასავით ცნობილი რესპონდენტების დღიურებში მსგავს რამეს ვერასდროს ნახავთ. მოკლედ, გივი სიხარულიძე – კიდევ ერთხელ, თავისი არანორმალური ცხოვრების დღიურებით, უცნაური რომანტიკული ამბით, სახელწოდებით „იამურ".*



„...ერთხელ, რესტორანში, ერთი მშვენიერი გარეგნობის პუტანკამ თავისთან შემთავაზა ღამის გატარება. მეც უყოყმანოდ დავთანხმდი. ნასიამოვნები ავდექი. მძინარეს ბალიშქვეშ ფული ამოვუდე და, ის იყო, გარეთ უნდა გამოვსულიყავი, რომ მისი ხმა შემომესმა: „წაიღე ფული, მე შენ ფულისთვის არ წამომიყვანიხარ, უბრალოდ, შენი ხოში მქონდა და დავიკმაყოფილე. თუ შენც გესიამოვნა ჩემთან ყოფნა, შეგიძლია, მოხვიდე ხოლმე". მადლობა გადავუხადე. რა თქმა უნდა, ფული არ ავიღე, მაგრამ, ვუთხარი: ბედნიერებაა შენნაირ ქალთან მეგობრობა-მეთქი. იმ დღიდან, თითქმის დღე არ გამომიტოვებია, რომ ღამე მასთან არ გამეტარებინა. ერთხელ ვუთხარი: დაანებე თავი პუტანკობას და შენს რჩენას მე ავიღებ ჩემს თავზე-მეთქი. მან სერიოზულად მიპასუხა: იმ პროფესიას, რომელმაც რუსეთის მიყრუებული სოფლიდან მოსკოვში ჩამომიყვანა, ფული მაშოვნინა და ახლა ბარონესასავით ვცხოვრობ, დიდ პატივს ვცემ და თავს ვერ დავანებებ. თანაც, არავის კმაყოფაზე ყოფნა არ მინდა, – მერე ცოტა შეყოვნდა და დაამატა: კარგად იცი, დედით ებრაელი ვარ და ამერიკაში ვაპირებ წასვლას ემიგრაციაში, თუ გინდა, ფიქტიურად მოვაწეროთ ხელი და თან წაგიყვანო. მინდა-მეთქი. სწორედ ამ დროს გადაწყდა ჩემი ამერიკაში გადასვლა. მართლაც, რამდენიმე დღეში ხელი მოვაწერეთ... მე ცოტას ვნერვიულობდი – ვაითუ, არ გამიშვან, ნასამართლევი რომ ვარ-მეთქი, მაგრამ, ერთმა ჩემმა ნაცნობმა ებრაელმა დამაწყნარა – შენნაირ ხალხს უფრო უშვებენ, ნაციხარი და პრისტუპნიკი აქ ვის რაში სჭირდებიო... მართლაც, მივიღე წასვლის უფლება. ერთი დღით ჩამოვფრინდი თბილისში, მშობლებს კაი დიდი თანხა დავუტოვე და, თან, დავაწყნარე: იცოდეთ, ჩიტის რძეს არ მოგაკლებთ-მეთქი. დედაჩემმა მწუხარე ხმით მითხრა: ჩვენი ჩიტის რძე ის იქნება, შენ რომ ბედნიერი იქნებიო. მეორე დღეს მოსკოვში ჩავფრინდი და იმავე დღეს უკვე შერემეტევოს აეროპორტში ვიყავით...



დედასთან ერთად

...თავბედს ვიწყევლიდი ამერიკაში ჩამოსვლის გამო. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე. მე, ოქსანამ და დედამისმა ბიზნესი წამოვიწყეთ და ცოტა დავწყნარდი... ოფისი ბრუკლინის რაიონში, ორსართულიან სახლში გავხსენით. შესასვლელ კართან, სხვადასხვა ზომის ფოტოებით დამშვენებულ კედელთან მიდგმულ მაგიდასთან ოქსანას დედა იჯდა, წინ პროფესიონალური ფოტოაპარატი ედო, რომლითაც მსურველებს სხვადასხვა ზომის სურათებს უღებდა. კარიდან ხელმარჯვნივ, ტყავის მოდურ სავარძელში, ელეგანტურად გამოწყობილი, მე ვიჯექი. მეორე ოთახში ორი პლაკატი იყო გაკრული: ერთზე წელს ზემოთ შიშველი კულტურისტის პოზაში გამოსახული მე ვიყავი, მეორეზე – მონაზვნის სამოსში, უცოდველი სახით მომზირალი, მკერდმოშიშვლებული ოქსანა იყო. პლაკატის ქვემოთ ეწერა: „ბერი მენია, გოლუბჩიკ"... ერთი სიტყვით, ორი ადამიანის არაოფიციალური მინი-ბორდელი შევქმენით... უნდა გენახათ ჩემი და ოქსანას შეწყვილების დროს რა ენთუზიაზმითა და გატაცებით გვიღებდა სურათებს ოქსანას დედა. მეორე დღისათვის ოცდაათ სახეობაში ჰქონდა გამზადებული ჩემი შიშველი ფოტოები. როცა ვკითხე, ამდენი ფოტო რად გინდოდა-მეთქი, იორნიულად შემომხედა და მითხრა: ჩვენ ბევრი დავკარგეთ, რომ ადრე არ გადავიღეთ ასეთი ფოტოებიო. ამის შემდეგ თვითონ შევთავაზებ შენგან ნასიამოვნებ კლიენტებს ფოტოებს, ვატყობ, კაი ბიზნესი გამოგვივაო. ერთი სიტყვით, საქმე კარგად მიგვდიოდა. ასე გავდიოდით ფონს და კაი მაყუთიც გვქონდა სეიფში გადამალული. ოქსანას, ერთი რუსის ემიგრანტი – ორმეტრიანი ჟვერი შემოეჩვია, რომელიც კაი მაყუთს იხდიდა. თავიდან მიხაროდა კაი კლიენტი, მაგრამ, მერე მაგრად გამიტყდა. ვატყობდი, რომ სულ სხვა ხასიათი მიიღო მათმა ურთიერთობამ. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მე ამიხდა ჩემი წინათგრძნობა: ერთ მშვენიერ დღეს, ოქსანამ მთელი მაყუთი „ასწია" სეიფიდან და მასთან ერთად ისე გაუჩინარდა, რომ თავისი დამპალი დედა მე შემომტენა. ოქსანას დედამ რომ დამინახა, რა დღეშიც ჩავვარდი, თანაგრძნობით ხელი ხელზე დამადო და მითხრა: მოდი ჩვენ გავაგრძელოთ ისევ მუშაობაო. რა მექნა, დავთანხმდი – ის ფოტოებს იღებდა, მე კი ჩემს საქმეს ვსაქმიანობდი...



ბრიუს ლისთან ერთად

...ოქსანას ნაცვლად ახლად ჩამოსული ერთი რუსი გოგო ავიყვანე და მოჭრით ვუხდიდი მაყუთს. ეს გოგო რაღაც მაგიურ ძალას ფლობდა. გვერდზე მოვისვი და პროფილის შეცვლა შევთავაზე: თუ საქმე კარგად წავა, კაი მაყუთს გაშოვნინებ-მეთქი. კი ბატონოო, – დამთანხმდა, მაგრამ, თან დააყოლა – ჩემს ხელობასაც გავაგრძელებო. ეგრე იყოს-მეთქი და ხელი ხელზე დავურტყი. მეორე დღიდან დავიწყეთ სულების გამოძახება რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან და მათ აქაურ ნათესავებთან გასაუბრება... ერთხელ, ერთი ძალიან ლამაზი, არისტოკრატული შესახედაობის ქალბატონი გვესტუმრა. შმაგი თქვენ ხართო? (შმაგი – გივი სიხარულიძე) – მკითხა. დიახ, ქალბატონო-მეთქი. თუ შეიძლება, ცალკე დაგელაპარაკებითო. მეორე ოთახში გავედით... მისტერ შმაგი, მე თქვენს საქმიანობას უკვე ოთხი წელია, ვაკვირდები... თუ დროზე არ შეეშვებით ამ საქმიანობას, დღეს თუ ხვალ, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ, თაღლითობის მუხლით წახვალთ ციხეში. ამიტომ, გთავაზობთ პროფილის შეცვლას და პარტნიორობას, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი სურვილი იქნებაო. კი მაგრამ, რა უნდა გავაკეთო-მეთქი. ამას თანხმობის შემდეგ გაიგებთო. დავუშვათ თანახმა ვარ-მეთქი, ვუთხარი. აქ დავუშვათ თუ არ დავუშვათ, არ ივარგებს, პირდაპირ მითხარით თანახმა ხართ თუ არა? ვუპასუხე – თანახმა ვარ-მეთქი. მან თავისი პორტფელი გახსნა, იქიდან ჩეკების წიგნი ამოიღო, ხელი მოაწერა, მერე მოახია, მომაწოდა და მითხრა: ამ ჩეკით მიხვალ მანჰეტენზე, ამა და ამ მაღაზიაში, დანარჩენი იმათ იციან. მე ხვალ დაგირეკავ და შეგხვდებიო. როცა წავიდა, პირველი, რაც გავაკეთე, ჩეკს ვეცი! როცა რიცხვს დავხედე, რომელზეც 50 000 დოლარი ეწერა, მივხვდი, რა დონის „ვარაბეისთან" მქონდა საქმე. მითითებული მაღაზიის კარზე ლამაზად ჩამოკიდებულ ძველებურ ზარს ჩამოვკარი. იმ წუთას გაიღო კარი. კართან სმოკინგში გამოწყობილი კაცი დამხვდა. მობრძანდითო, – მითხრა. როგორც კი ვუთხარი, ვისი გამოგზავნილიც ვიყავი, წინ მოწიწებით წამიძღვა და ვიღაც არისტოკრატიული გარეგნობის ქალს გადააბარა ჩემი თავი ამ სიტყვებით: „მადამ იამურის რეკომენდაციით არისო". ქალმა მკითხა:

– თქვენ მისტერ შმაგი ბრძანდებით?

– დიახ, მადამ.

– დაბრძანდითო, – თქვა და თვითონ მაღაზიის ძველებური კიბით სადღაც გაუჩინარდა. ბოდიში მომიხადა დაგვიანებისათვის. დაიწყეს, მაგრამ, რა დაიწყეს! მე არავინ არაფერს მეკითხებოდა, ისე არჩევდნენ ჩემთვის პიჯაკებს... როცა უამრავი რამ შემირჩიეს და მომაზომეს, მადლობა გადამიხადეს, ყავაზე დამპატიჟეს, მისამართი გამომართვეს და მითხრეს: საღამოს სახლში მოგართმევთ ყველაფერსო. მერე ჩეკი გაატარეს სალაროში და უკან დამიბრუნეს. 30 000-ის ტანსაცმელი აურჩევიათ ამ შობელძაღლებს!.. მეორე დღეს მან დამირეკა. შეხვედრაზე შევთანხმდით... დინჯად, აუღელვებლად მომიყვა, რა უნდა გვეკეთებინა და სად. როცა გავიგე, რომ




## თბილისის ტურიზმის აკადემია

აგრძელებს მიღებას გიდის, ინტერნეტტექნოლოგის, კორესპონდენტისა და მუსიკოს-რეპეტიტორის პროგრამებზე.

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში გრძელდება ჩარიცხვა გადმოყვანის წესით.

საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე მიღებას შემდეგ საგნებში: ფილოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ზოგადი უნარები.

**საბუთების მიღება გრძელდება. სწავლა დაიწყება 24 თებერვალს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. N 47 (ფილარმონიის ქვემოთ);**

**სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

**ტელ: 599-18-89-24, 2-93-66-03, 599-14-60-26, 2-99-96-26, 593-34-28-81, 593-26-45-46.**

ლოს-ანჯელესში გადავიდოდი საცხოვრებლად, ტანში გამცრა. შენს პარტნიორს რას უზამო? – მკითხა. გამოვემშვიდობები და მორჩა-მეთქი.

– არა, ასე პარტნიორებს არ ექცევიან. ოფისის გირაოს ფული მთელი წლით გადახდილი გაქვთ?

– არა, მხოლოდ სამი თვის.

– ჰოდა, გამომშვიდობებისას უთხარი, რომ მთელი წლის ფული შენ გადაუხადე. რისთვის, რატომ, მე მაგასთან ვალში არა ვარ, პირიქით, მაგისმა ნაძირალა შვილმა გადამაგდო და დაითესა.

მან კი დინჯად მიპასუხა:

– დამიჯერე, რასაც გეუბნები. შენი მდგომარეობის კაცს ასეთ წვრილმანებზე ლაპარაკი აღარ ეკადრებაო. თავიდან ვიფიქრე, რა მდგომარეობა, რის მდგომარეობა, ხომ არ გააფრინა-მეთქი, მაგრამ, მივხვდი, რომ სწორს მეუბნებოდა. ისე მოვიქეცი, როგორც მითხრა... ის ღამე, ისე, რომ, არც მას შემოუთავაზებია და არც მე მითქვამს რამე, ლოგინშიც ერთად გავატარეთ. მაგარი ქალი იყო. იშვიათად მინახავს ასეთი ზომიერი და, თან, თავაწყვეტილი ქალი... დილას, როცა მოსამსახურემ საუზმეზე მიგვიწვია, მოკრძალებით შემაპარა: ხომ არ გეწყინება, ერთი თვით მასწავლებელი რომ აგიყვანო ესთეტიკის დარგშიო. კი ბატონო-მეთქი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთი თვე ვიარე მასწავლებელთან: ისეთი მანერები ამათვსიებინა, ხანდახან საკუთარ თავს ველარ ვცნობდი. ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ მთელი კაცობრიობა ბლეფზე იყო აგებული... ერთ მშვენიერ დღეს, საუზმეზე, თვალი თვალში გამიყარა და მთელი სერიოზულობით მითხრა: ჩემო შმაგი, დადგა დრო, რომ საქმეს შევუდგეთო. ბატონი ბრძანდებით-მეთქი.



ცოლ-შვილთან და მეგობართან ერთად

და, დაიწყო: პირველი – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, „ფართებზე", გეკრძალება დიდი ყურადღების გამოჩენა ახალგაზრდა ქალების მიმართ... შენი მოვალეობაა უდიდესი მოკრძალება, სიყვარული და ყურადღება მიაგო მხოლოდ ხანში შესულ ქალბატონებს, კერძოდ, ვისზე უნდა იმუშაო, მე თვითონ გეტყვი, სანამ ფართიზე გამოვჩნდებით. იმ საზოგადოებაში, სადაც ვტრიალებთ, თითქმის ყველაზე გექნება მოკლე ინფორმაცია, ხოლო, იმ კლიენტზე, რომელზეც იმ დღეს იმუშავებ – თითქმის სრული ინფორმაცია. დანარჩენი შენზეა. იცოდე, ებრაელებს თორაში უწერიათ: „სიმართლე არის ის, რაც ადამიანს ბედნიერს გახდის და არა ის, რაც გააუბედურებს". ქალებს ძალიან უყვართ ლამაზად შეთხზული ტყუილები... ზეციური უნდა გახდეს მხოლოდ ის, ვისზეც ვმუშაობთ. საზოგადოებაში დაიწყება ქილიკობა შენ წინააღმდეგ – როცა კაცი განურჩევლად ყველას აქებს, იმისი არაფერი დაიჯერებაო და, აი, სწორედ მაგ დროს მე ჩავერთვები და, ახალგაზრდა ქალებს, ზედაც რომ არ უყურებ და ყურადღებას არ აქცევ, იმათ გამოვიყენებ... მე ვიცი მაგათ როგორც უნდა მოვექცე, ასე რომ, იმოქმედე თავისუფლად და დამაჯერებლადო.

კარგად მახსოვს ის საღამო, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია. ერთ-ერთ ფართიზე იამურმა, რომელსაც საზოგადოებაში შემოკლებით „მურს" ეძახდნენ, ასე, დაახლოებით 67 წლის თურქი ქალბატონი გამაცნო: ქალბატონი აიშე მსოფლიოში ცნობილი მაგნატის ქვრივია, რომელმაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ამერიკაში არჩია ცხოვრება თავის ერთადერთ ქალიშვილთან. ქალიშვილი კი არაბეთის ემირატების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა შეიხის მეუღლეა... ცეკვის დროს ისე მომეკრა, ვიფიქრე, სახალხოდ გაუპატიურებას ხომ არ მიპირებს-მეთქი. საღამოს დამთავრების შემდეგ თავის ვილაში დამპატიჟა და იქ მოხდა მოსახდენი! მეორე დღეს პირდაპირ ლოგინში შემომთავაზა: ჩემი გემით, რომელიც ხმელთაშუა ზღვაზე, „ბუხტაში" დგას, ორი კვირით სამოგზაუროდ წავიდეთო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ესე იგი, ხვალ თვითმფრინავს ვამზადებ. ჩემს მშვენიერ ქალბატონს გამოვემშვიდობე და სახლში დავბრუნდი. ის-ის იყო, ტელევიზორი უნდა ჩამერთო, რომ ტელეფონის ზარი აწკრიალდა და ყურმილში გაისხმა მურის ხმა:

– მისტერ შმაგი, კმაყოფილი ხარ გუშინდელი პარტნიორით?

– ძალიან, მაგრამ, შენნაირი ამ პლანეტაზე არ არსებობს!

– გმადლობთ, – მითხრა და თან დასძინა: ვატყობ, არჩევანში არ შეცდი – შენგან პროფესიონალი თაღლითი დადგება. იახტით გასეირნება არ შემოგთავაზა?

– როგორ არა, შენთან ვაპირებდი დარეკვას. ხვალ დილას მივფრინავთ საბერძნეთში.

– ყოჩაღ! ესე იგი, მაგრად მოეწონე. ნახევარ საათში შენთან ვიქნები და ყველაფერზე მოვილაპარაკოთ...

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ბოლოს რას ვიმკით?

– კარგად იცი, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია მაქვს, რომელსაც „ლოს-ანჯელესის ბავშვთა ფონდი" ჰქვია. ეს ფონდი ეხმარება გაჭირვებულ ბავშვებს ანგოლაში, კენიაში და აფრიკის სხვადასხვა ქვეყანაში. მთავარია, შენ თავი ისე შეაყვარო, რომ უშენოდ წუთნახევარიც ვერ გაძლოს. დანარჩენი, რომ ჩამოხვალ, მე ვიცი.

მეორე დღეს მისი საკუთარი ლაინერით გავფრინდით. ორი კვირა ისეთ განცხრომაში ვიყავი, თავი სულთანზე ნაკლები არ მეგონა... როცა ლოს-ანჯელესში დავბრუნდით, ისეთი ლამაზი საჩუქარი დამხვდა – ლამის კაპოტზე ვეამბორე. გამომცდელად შემომხედა და მითხრა, იმედია, საჩუქარს არ მიწუნებო. მერე საბარგული ახადა, რომელშიც პატარა ზომის კეისი იდო. გახსენიო. თავი დავიოკე და აუჩქარებლად გავხსენი. ვხედავ, 100-დოლარიანებით არის სავსე! შენიაო, – მითხრა. ჩემი ახალი მანქანით მივიყვანე სახლში. სარკეში შევნიშნე, რომ უკან დაცვის რამდენიმე მანქანა მოგვდევდა... რამდენი ქალის ნექტარით დავმტკბარვარ, მაგრამ, იამური სულ სხვა იყო! როცა ვემშვიდობებოდი, „მერსედესისა" და დოლარების ამბავი მოვუყევი და ვუთხარი, – ფული ძმაკაცურად გავიყოთ-მეთქი. არაო, – მითხრა, – პირიქით, ამ დღეებში ჩემგან მიიღებ გასამრჯელოს კარგად ჩატარებული ოპერაციისთვის, ხოლო ეგ ფული, ჩათვალე, რომ შენი ჰონორარიაო. მადლობა მოვახსენე და შინ ბედნიერი დავბრუნდი. მთელი ღამე, სანამ ჩამეძინა, იმაზე ვფიქრობდი, თუ რაში იყო მისი ბიზნესის საიდუმლოება, მაგრამ, უკვე ღრმად მქონდა სისხლში გამჯდარი ერთი კანონი: რასაც არ გეუბნებიან, ნუ ცდილობ იმის გაგებას!.. ერთი თვე გაგრძელდა ჩემი და აიშეს რომანი. როგორც ამ სტილის ქალებს სჩვევიათ, ალბათ, გატაცებამ გაუარა... და, სწორედ მაშინ გამომიცხადა, რომ ძალიან ვუყვარვარ, წარმოუდგენლად ბედნიერია ჩემთან, მაგრამ, საქმეები მოითხოვს, რომ რამდენიმე თვით თურქეთში დაბრუნდეს... აეროპორტიდან პირდაპირ ბანკში გავქანდი. აქ „სიკვდილას", ოჯახსა და ჩემი უბნელების სახელზე ფული გადავრიცხე საქართველოში... საქართველოში დაბრუნება ისე მომინდა, ლამის ცუდად გავხდი. ისეთ ხასიათზე დავდექი, ტელეფონის ზარის ხმა რომ არა, ალბათ, თავს მოვიკლავდი.

– ალო, შენ ხარ, იამურ?

– ჰო, მე ვარ. შეგიძლია, ჩემთან მოხვიდე?

– რა თქმა უნდა!

– მაშინ წამოდი... დროა, ცოლ-შვილზე იფიქრო, მაგრამ, მაშინ, ამ პროფესიას უნდა შეეშვა.

– არა, არა, ამერიკაში მე ცოლის მომყვანი არა ვარ. თუ ოდესმე დავბრუნდები ჩემს საქართველოში, მერე აუცილებლად შევირთავ ცოლს.

– მართალი ხარ, – მითხრა, – აქ კაცის გათხოვება უფრო შეიძლება, ვიდრე ცოლის მოყვანა.

– ეჰ, – ვუთხარი, – შენ რომ ბავშვის გაჩენა შეგეძლოს, მაშინ ველირებოდი კაცად-მეთქი... ჩაელიმა და მითხრა:

– რა სასიამოვნოა, როცა მეგობარი მეგობრის დარდს კი არ იზიარებს, არამედ, მის დარდში ყურებამდე ეფლობა. გმადლობთ ამისთვის...

ჩემთვის ყველაზე შემაძრწუნებელი ამბავი შევიტყვე: იამური თავის სახლში იპოვეს ყელგამოჭრილი! ფეხები ერთბაშად მომეკვეთა... ისე ვიყავი მის კალთას მიჯაჭვული, ვერც კი წარმომედგინა უიმისოდ ცხოვრება... ერთ მშვენიერ დღეს, იამურის პირადი ადვოკატი გამომეცხადა, რომელმაც მის მიერ დატოვებული წერილი გადმომცა და, თან, მთხოვა, იამურის დატოვებულ ანდერძზე ხელი მომეწერა... ანდერძში ჩავიხედე: საწყალს, ლოს-ანჯელესის სახლი, მთელი თავისი ატრიბუტებით, ჩემთვის დაეტოვებინა. არც გამკვირვებია – თითქოს ველოდი კიდეც ამ ამბავს..."

**ეკა პატარაია**



**ავი თვალისა და მაგიის არსებობის უძველესი დროიდან სჯეროდათ ადამიანებს. ცნობილი ექიმი ავიცენა წერდა, ხშირად სული უცხო სხეულზე მოქმედებს, მაგალითად, ავი თვალის მეშვეობით. ბევრი არ აღიარებს, მაგრამ, გულის სიღრმეში სჯერა, რომ ავ მზერასა და ბოროტ გამოხედვას უდიდესი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ეზოთერიკოსს, ქალბატონ ნელის, რომელმაც მეტად დასაფიქრებელი, საინტერესო და თავის დასაცავი რჩევები და რეკომენდაციები მოგვაწოდა.**

# როგორ ადამიანებს ვერ აყენებს ზიანს გარშემო მყოფთა ავი მზერა და რა სახის კორექტივები უნდა შეიტანოთ ცხოვრებაში, რომ გათვალვა აიცილოთ თავიდან



**ნელი**: მაგიაში გათვალვა შედარებით მსუბუქი ზემოქმედების სახეა, მაგრამ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მას ბოროტების მოტანა არ შეუძლია. პირიქით, შესაძლოა, ეს სერიოზული დაავადების მიზეზიც კი გახდეს. გათვალვის ფუძე ენერგეტიკაში უნდა ვეძებოთ. უკანასკნელ წლებში, როდესაც ბიოენერგიის მეცნიერულად შესწავლას სათანადო ყურადღება მიაქციეს, ბევრი მაგიური მოვლენა, რომელიც მისტიკურ საბურველში იყო გახვეული, სრულიად ახალი სახით წარმოჩინდა.

**– მოხუცების მონაყოლიდან გამომდინარე, ადამიანი თვალს მაშინ იღებს, როცა ის ფიზიკურად სუსტია. სინამდვილეში როგორ ხდება მზერით ადამიანის, ეგრეთ წოდებული, მოჯადოება?**

– ხალხური გადმოცემით, საკმარისია ავი მზერა, რომ ადამიანი იღებს თვალს. ადამიანის შინაგანი ბიოენერგია გამოსხივდება კიდურების მეშვეობით, მაგრამ, ყველაზე ძლიერად ის თვალის საშუალებით მოქმედებს. ამ დროს თვალები, ასე ვთქვათ, გამტარის ფუნქციას ასრულებს. თვალი მინიმალური დანაკარგებით გამოასხივებს დადებითად ან უარყოფითად დამუხტული ენერგიის კონცენტრირებულ სხივებს.

თქვენ მკითხეთ, არის თუ არა დამუხტვა ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე დამოკიდებული. გეტყვით, რომ, შინაგანი განწყობა შესაბამისად მოდულირდება ენერგეტიკულ დამცავ გარსზე, გავლენას ახდენს აურაზე და „აბჯარში" ჩნდება ნახვრეტები, რომლებიც საერთო ენერგეტიკულ ველსაც არღვევს, უარყოფითი ენერგეტიკული ველი კი ორგანიზმამდე აღწევს. მაგალითად, ამ არხებით კარგად სარგებლობენ ენერგოვამპირები. ისინი მთელი ორგანიზმიდან ან მისი ცალკეული ორგანოებიდან ქაჩავენ ენერგიას. შედეგი კი ცნობილია – დაავადებები, რომლებიც მკურნალობას არ ექვემდებარება. დარღვეული ბიოველი დაავადებების სათავე ნამდვილად ხდება. ორგანიზმი ცდილობს თავდაცვას და ეგრეთ წოდებული „აბჯრის" აღდგენას, რაც ხშირად ორგანიზმის შინაგანი რეზერვების ხარჯზე ხდება, ეს კი მის გამოფიტვასა და დაავადებას იწვევს. ადამიანმა შეიძლება, არაერთი ენერგეტიკული ნახვრეტი ატაროს სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ, ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მათთვის, ვინც გარკვეულ მდგომარეობას მიაღწია საზოგადოებაში. ისინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან და მათკენ მუდმივადაა მიმართული მოშურნეთა მზერა, რაც სამუდამოდ აჩნდება მათ ბიოველს და მძიმე დაავადებების მიზეზი ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენერგეტიკული „ისრები" ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს. თუ ადამიანს ძლიერი და ინტენსიური ბიოველი აქვს, მასზე „ისრები" გავლენას ვერ ახდენს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც კოსმოსიდან მიღებულ ენერგიას, ასე ვთქვათ, სუფთა სახით აგროვებენ ორგანიზმში და შემდეგ სხვას გადასცემენ.

**– შინაგანად სუფთა, კეთილი, მშვიდი და სათნო ადამიანიც ხდება გათვალვის მსხვერპლი?**

– შინაგანი ძალა და სუფთა ბიოველი მას ასეთი თავდასხმებისგან კარგად და საიმედოდ იცავს. ამიტომ, თუ შეამჩნევთ, რომ გათვალვის მსხვერპლი გახდით, გადახედეთ საკუთარ მორალურ მხარეს და შესაბამისი კორექტივები შეიტანეთ თქვენს ცხოვრებაში. თუ აღმოაჩენთ, რომ რამეს სწორად არ აკეთებთ და თქვენვე შეცვლით მას, ამით ძალიან ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან. ყველაზე ხშირად გათვალვის მსხვერპლი ქალები და ბავშვები ხდებიან. საერთოდ, ქალები, მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით მგრძნობიარენი არიან და მათზე ზემოქმედებაც უფრო ადვილია. გათვალვისთვის კი სულაც არ არის აუცილებელი უშუალო კონტაქტი. ეს, შესაძლოა, ფოტოსურათზე ზემოქმედებით, ფიქრის ძალის დახმარებით, ან, თუნდაც, ტელეფონით საუბრის დროს მოხდეს.

**– იქნებ გაგვანდოთ, როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, გათვალულია თუ არა?**

– დაახლოებით ერთი ან ორი წუთის განმავლობაში ხელში დაიჭირეთ გამხმარი პურის გული, შემდეგ კი წყალში ჩააგდეთ. თუ პური

**ადამიანის თვალი მინიმალური დანაკარგებით გამოასხივებს დადებითად ან უარყოფითად დამუხტული ენერგიის კონცენტრირებულ სხივებს**

ერთი-ორი წუთის შემდეგ ჩაიძირა, სუსტი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებით. ამ მეთოდით ბავშვების დიაგნოსტიკაც შეიძლება. დააჭერინეთ ხელში გამხმარი პურის გული და შემდეგ იგივე გაამეორებინეთ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. თუ აღმოაჩენთ, რომ ბავშვი ზემოქმედების ქვეშაა, თუ არ არის მონათლული, აუცილებლად მონათლეთ – ამის შემდეგ მისი ბიოველი საგრძნობლად გაძლიერდება და დაცულიც იქნება. ხოლო, თუ ბავშვი მონათლულია, ამ შემთხვევაში, სხვა საშუალებების გამოყენებაა საჭირო. ყველაზე ხშირად უარყოფითი ენერგია შარდისა და ოფლის სახით გამოდის ორგანიზმიდან. ამიტომ, ბავშვის ოფლიანი და შარდიანი ტანსაცმელი აუცილებლად უნდა გამოხარშოთ და დიდხანს გაფინოთ სუფთა ჰაერზე და მზეზე. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შელოცვებს. შელოცვები, ფაქტობრივად, ვიბრაციაა, რომელიც რეზონანსში მოდის ადამიანის ბიოველთან და მის გააქტიურებას იწვევს.

**– ცნობილია, რომ ესა თუ ის ნივთი ავი თვალისაგან იცავს ადამიანს. დღესაც, ცრუმორწმუნე მშობლები მოუნათლავ ბავშვებს ქინძისთავს ამაგრებენ ტანსაცმელზე, სახლის კართან კი ათასგვარ ნივთს კიდებენ ბოროტი თვალისგან დასაცავად. ეს თუა გამართლებული და თუ გვიცავს ბოროტი თვალისგან?**

– ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იმ დაავადებათა სიაც კი იყო შედგენილი, რომლებსაც ავი თვალი იწვევდა. ზრდასრულებში ეს იყო სიგამხდრე, სიმსივნეები, დამბლა, კრუნჩხვა, მელანქოლია, სიბრმავე, ეპილეფსიური შეტევები; ბავშვებში კი – უძილობა, გულისრევა, თავის ტკივილი, შიშები, უმადობა. ასეთ დროს ადამიანს ხშირად ეცვლებოდა სახის ფერი, ეწყებოდა მუცლის ტკივილი, ხელები უოფლიანდებოდა. ბავშვს კი გათვალვის ნიშნებს მაშინ ატყობდნენ, თუ ის მოულოდნელად გაფითრდებოდა, პულსი აუჩქარდებოდა, სიცხე აუწევდა და გაოფლიანდებოდა. ხშირად მეკითხებიან, როგორ გამოვიცნოთ ავი თვალი და რა მეთოდებით დავიცვათ მისგან თავიო. მინდა, ყველას გავცე პასუხი: უძველესი დროიდან, სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა ნიშანი ჰქონდა ავი თვალის მქონე ადამიანთა გამოსაცნობად. ხშირად ასეთ ნიშნებს მიაწერდნენ წითურებს, ხეიბრებს, მათ ვისაც ძალიან შავი თვალები ჰქონდათ, ან, თვალებგადმოკარკლულებს. არადა, ცნობილია, რომ გათვალვა და ახლობლებისთვის ზიანის მიყენება ნებისმიერს შეუძლია, თანაც, ხშირად თითქმის გაუცნობიერებლად. უფრო მეტიც, ასეთ დროს ადამიანი ვერც კი ხვდება, როგორ საფრთხეს უქმნის გარშემო მყოფთ.

**– ნიშნავს ეს იმას, რომ ავი თვალისგან თავის დაცვა შეუძლებელია?**

– სულაც არა. თუ გეჩვენებათ, რომ თქვენს ახლომახლო ვინმეს ავი თვალი აქვს, ხალხური გადმოცემის თანახმად, ან რკინას უნდა მოჰკიდოთ ხელი, ან თითები გადააჯვარედინოთ. როგორც ცნობილია, მაგები ამბობდნენ, ზოგიერთი ნივთი ამ მხრივ განსაკუთრებულ დამცავ ფუნქციებს ასრულებსო, მაგალითად: დანა, ხანჯალი, ცული, კლიტე, ლურსმანი, ნემსი და ასე შემდეგ. ამიტომ არის, რომ, თუნდაც გასაღები, ფართოდ გამოიყენებოდა ეტრუსკებსა და ძველ ეგვიპტელებში როგორც თილისმა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თილისმა კი არის ნალი, რომელიც ძველთაგანვე ავი თვალისა და ბოროტებისგან იცავდა ოჯახს.

**ნონა დათეშიძე**

## ჰკითხე, საკუთარ თავს

კითხვები საკუთარ თავსაც უნდა დაუსვათ. თან, არცთუ ისე იშვიათად. ეს თქვენი „მეს" შეცნობაში დაგეხმარებათ, რაც იმაში შეგიწყობთ ხელს, რომ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწევთ წინ როგორც ადამიანებთან ურთიერთობაში, ისე პროფესიაში. მთავარია, საკუთარი შესაძლებლობები გადაჭარბებით არ შეაფასოთ. პაუზა აუცილებელია, რათა სული მოითქვათ, უკანაც მოიხედოთ და ისე გაანალიზოთ – „რა" და „როგორ".

მაგალითად, ჰკითხეთ საკუთარ თავს, ანდობთ თუ არა საიდუმლოს ისეთ პერსონას, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

რისი სწავლა გინდოდათ ადრე და ვერ მოახერხეთ. ისევ გაქვთ ასეთი სურვილი? – მაშინ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. დრო კიდევ გაქვთ, თუმცა ბევრი არა!

რითი დაკავდებოდით, უცებ ბევრი დრო და ნაკლები პასუხისმგებლობა რომ გქონდეთ?

შეეცადეთ, წინ გაიხედოთ – მაგალითად, როგორი იქნება თქვენი ცხოვრება ათი წლის შემდეგ. ეს ფუჭი ოცნება არ არის. ხშირად ასეთი ვირტუალური „გადახვევები" რეალობად იქცევა ხოლმე.

გაიხსენეთ, ბოლოს როდის იყავით ბედნიერი და რა იყო ამის მიზეზი.

სენტიმენტალური ისევ ხართ? გაღელვებთ მელოდრამები და შეგიძლიათ, სხვისმა სიყვარულმა აგაცრემლოთ?

რას წაშლიდით თქვენი მეხსიერებიდან და გააკეთეთ რამე, რომ ეს შეძლოთ.

მოგწონთ ის გარემო და ის ქვეყანა, სადაც ხართ და ცხოვრობთ? იყავით გულწრფელი საკუთარ თავთან. მაშინ არც იმედგაცრუება გელოდებათ და მით უმეტეს არც – დეპრესია!

## მხარდამჭერები – ისინი საჭიროა

წარმატებისა და ბედნიერებისთვის აუცილებლად გვჭირდება ის ადამიანები, რომლებსაც არ ეზარებათ გვერდში დგომა და საჭირო მომენტში ყურადღების გამოჩენა. თუ ჯერ არ ხართ დარწმუნებული ამაში, მაშინ ახლა მაინც ირწმუნეთ – მხარდამჭერთა ერთგული გუნდი, უბრალოდ აუცილებელია. ადამიანები მარტოობისთვის არ ვართ გაჩენილები. ყველაფერი გაცილებით რთულად არის, როცა გვერდით არავინ გვყავს. ანუ, არ გვყავს ისეთი პიროვნება, რომელიც ჩვენს სიხარულს თუ მარცხს, ერთნაირი გულითადობით გაიზიარებს.

მაგალითად: მეგობრები – მათ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება, გვეჩვენებოდეს. მათ შეუძლიათ, აამაღლონ ჩვენი თვითშეფასების კრიტერიუმი. შეგვაქონ, რაღაც გვირჩიონ, გვასწავლონ და საჭირო მომენტში, საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნონ. თუ ზოგჯერ ეჩხუბებით მათ, ეს სულაც არ არის პრობლემა. იმიტომ რომ, ზოგჯერ ასეთი ჩხუბი პოზიტივია.

ოჯახის წევრები – თქვენი ოჯახის წევრებს შორის აუცილებლად მოიძებნება ისეთი, რომელიც ყველა სიტყუაციაში თქვენს მხარეს იქნება. არ მოგაკლებთ სიყვარულსა და ყურადღებას, გაგანებივრებთ თავისი სითბოთი. ასეთი მხარდამჭერის გვერდით გაცილებით თავდაჯერებული და ძლიერი ხდები და რწმუნდები, რომ ნებისმიერი საქმე გამოგივა.

საყვარელი ადამიანი – შეიძლება ის ახლა არ გყავთ, მაგრამ იქნებ კანდიდატი უკვე არსებობს? არ არის აუცილებელი, გიყვარდეს, მთავარია, უბრალოდ გაუღიმოთ და ხელი ხელზე მოჰკიდოთ. მისგან წამოსული პოზიტიური ენერგია, ბევრ რამეს შეგაძლებინებთ.

## ყველაფერი გამოვა

თუ საკუთარი თავის რწმენა არ გაქვს ცხოვრებაში, ვერაფერს მიაღწევ. მთავარია, შენს შესაძლებლობებში ეჭვი არ შეგეპაროს და შიში არ გაგიჩნდეს, რომ წარუმატებლობას წარუმატებლობა მოჰყვება... მარცხს მარცხზე განიცდით? – მერე ბედს და იღბალს, ორივეს ერთად უწყრებით? პრობლემა სხვაგან უნდა ეძებოთ, რადგან რეალურად, ბედი არაფერ შუაშია.

შიში იმისა, რომ რაღაც არ გამოვა, ვიღაც არ მოვა და საყვარელი ადამიანი თქვენგან წავა, იქამდე მიგიყვანთ, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდება.

შიში აუცილებლად შეგიშლით ხელს წინსვლაში. უბრალოდ, უთხარით საკუთარ თავს: „მე ამას ვცდი – თუ გამოვა, ძალიან კარგია და თუ არა, არც ეს იქნება ტრაგედია. ხვალ ისევ ვცდი თავიდან! ანუ, მთავარია, არ დაკომპლექსდეთ და არ შეიბოჭოთ. უნდა მოიკრიბოთ მხნეობა, მოახდინოთ ყურადღების კონცენტრაცია და ნაბიჯი ისევ წინ გადადგათ. რაც მთავარია, ამჯერად მაინც უთხარით საკუთარ თავს: ყველაფერი გამოვა!

კიდევ ერთიც, დიდხანს ნუ იდარდებთ დაშვებული შეცდომების გამო. თუ ვიღაცამ გაწყენინათ, იფიქრეთ იმაზე, რომ ყველანაირი წყენა, იმედგაცრუება გადის. შეიძლება, ორი კვირა დაგჭირდეთ, ან ცოტა მეტი... ამას მნიშვნელობა არ აქვს. დატკბით თითოეული წუთით. ისუნთქეთ სუფთა ჰაერით და გაიხარეთ მზის ამოსვლასთან ერთად.

ყოველი ახალი დღე რაღაც ახალს გპირდებათ და ერთი ახალი დღე აუცილებლად მოგიტანთ წარმატებას!

## მთავარია მოტივაცია

ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად და ბედნიერების საპოვნელად, მთავარი მოტივაციაა. ის სასურველი მომავლის გზაზე გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯია, მაგრამ არსებობს მთავარი პირობა: მოტივი აბსოლუტურად გულწრფელი უნდა იყოს, თანაც სერიოზული და მნიშვნელოვანი. ანუ, ის არ უნდა ჰგავდეს ახირებას. ბევრმა ჩვენგანმა საერთოდ არ იცის, რა უნდა ინატროს და რას ნიშნავს კონკრეტული მიზნის დასახვა. მთავარი პირობაა ისიც, რომ უნდა აკეთო საყვარელი საქმე. ვერ მიაღწევ წარმატებას, თუკი იმ საქმეში, რომელსაც აკეთებ, სიყვარულს არ დებ და არც ის განიჭებს სიხარულს. აუცილებელია, ხშირად გადახედო საკუთარ ცხოვრებასა და მიზნებს. დაარქვით ამას ფიქრების რევიზია და არ დაიზაროთ, იმუშაოთ საკუთარ თავზე. ხომ უნდა იცოდეთ, თქვენი ძალისხმევა საითკენ მიმართოთ.

მოტივაციას ძალიან უწყობს ხელს ჯანსაღი კონკურენცია, ანუ – თუ შეეჯიბრებით ვინმეს, ეს სულაც არ არის კატასტროფა, ან დასაძრახი რამ. ხშირად ვინმესთან გაჯიბრება, ისეთ სტიმულს გვაძლევს, მოტივაციაც მაშინვე გვიაქტიურდება.

ადამიანები გაცილებით სწრაფად და ადვილად მიდიან მიზნისკენ, როცა კონკრეტული გეგმის მიხედვით მოქმედებენ. ამიტომაც, შეადგინეთ თუნდაც წარმოსახვითი გეგმა. თუ გნებავთ, დაწერეთ კიდეც... ყოველთვის გახსოვდეთ – მთავარია მოტივაცია!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# სილამაზისა და ახალგაზრდობის 10 მეგობარი

***თქვენთვის ცნობილი მცენარეები შეგიძლიათ გამოიყენოთ კანისა და თმის ჯანმრთელობისა და სილამაზის შესანარჩუნებლად.***

***ყურძნის წიპწების ზეთი*** ძალიან დიდი რაოდენობით შეიცავს E ვიტამინს – ბუნებრივ ანტიოქსიდანტს, რომელიც ხელს უწყობს კანის ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებასა და გახანგრძლივებას.



ღამის მკვებავში შეურიეთ 2-3 წვეთი წიპწების ზეთი და წაისვით დაძინებამდე 1 საათით ადრე.

***გვირილას*** აქვს ანტიანთებითი ზემოქმედება, კარგად არბილებს და დეზინფექციას უკეთებს კანს.

ყოველ დილა-საღამოს გვირილის ნაყენით გაიწმინდეთ სახე, ნახარშით კი თავი დაიბანეთ.

***ოხრახუშის*** წვენი კარგი მატონიზებელი საშუალებაა კანისთვის, ასევე, აფერმკრთალებს ჭორფლს.

ოხრახუშის ნახარშში შეურიეთ ლიმონის წვენი, ჩაასხით ფორმებში და გააკეთეთ ყინულის კუბიკები. ყოველ დილით თითო კუბიკით დაიმასაჟეთ სახე და დეკოლტე.

***ნაძვისა*** და ***ფიჭვის*** წიწვები მდიდარია C ვიტამინით. აჩქარებს უჯრედების რეგენერაციას.

სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე გაიკეთეთ წიწვის ნახარშის ორთქლის აბაზანები (კვირაში ერთხელ მაინც).

***ლავანდა*** აძლიერებს კანის ტონუსს და ასწორებს ნაოჭებს.

აბაზანის მიღებისას წყალში შეურიეთ ლავანდის ნახარში (1 ლიტრი) და 3-4 წვეთი ლავანდის ზეთი.

***გამამელისი*** შეიცავს ფლავონოიდებსა და ტანინებს, რომლებიც შველის გაფართოებულ სისხლის კაპილარებს სახეზე.

კარგია გამამელისის ნახარშით ცხიმიანი კანის გაწმენდა.

***ანწლის*** ყვავილი ასკორბინის მჟავისა და ტანინების საბადოა. აქვს მატონიზებელი ზემოქმედება.

ანწლის ყვავილის ნაყენი ათეთრებს და ელასტიკურს ხდის კანს.

***ვაშლის*** ძმარი შეიცავს ბეტა-კაროტინს – ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ანტიოქსიდანტს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ნაადრევ დაბერებას.

1 ჩაის ჭიქა წყალში შეურიეთ 1 ჩაის კოვზი ძმარი, 1 ჩაის კოვზი თაფლი და დალიეთ უზმოზე, პატარა ყლუპებით (კვირაში ორჯერ).

***კრაზანას*** აქვს ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული თვისებები. ახდენს კანის უჯრედების რეგენერაციის სტიმულირებას.

თუ გამონაყარი გაქვთ, კანი გაიწმინდეთ კრაზანას ბლანტი ნახარშით.

***როზმარინი*** საუკეთესო საშუალებაა ცელულიტის მოსაშორებლად. მასაჟისთვის განკუთვნილ გელში შეურიეთ როზმარინის ზეთის 3 წვეთი.

# ველური ბრინჯი – დახვეწილი გემო და კალორიების მინიმუმი

***ჩვენი სამდღიანი ბლიც-დიეტის საფუძველია ველური ბრინჯისგან მომზადებული კერძები.***

ხანგრძლივი ნახშირწყლების წყალობით, ველური ბრინჯი შესანიშნავად ანაყრებს, მაღალი გლიკემიური ინდექსი კი ხელს უშლის შიმშილის შეგრძნების გაჩენას მთელი დღის განმავლობაში. ბრინჯის დიეტის ღირსება ისიც არის, რომ, წონის შემცირების პარალელურად, ორგანიზმში ნორმალიზდება ნივთიერებათა ცვლა და გამოიდევნება წიდები.

ყოველი დღე დაიწყეთ 1 ნაჭერი ცეხვილი პურითა და 100 გრამი უცხიმო ხაჭოთი (ან 1 ცალი მოხარშული კვერცხით). სადილისა და ვახშმისთვის გთავაზობთ ნიმუშებს ერთი დღისთვის, რომელთა მიხედვითაც, შეგიძლიათ, მეორე და მესამე დღის კერძები მოამზადოთ. თუ შუალედებში იგრძნობთ ძლიერ შიმშილს, მიირთვით 100 მილილიტრი უცხიმო იოგურტი ან 1 ცალი ვაშლი (შეიძლება ბანანი, ფორთოხალი ან გრეიპფრუტი).



### სადილი

200-300 გრამი ხეკი მოხარშეთ მარილწყალში და გამოაცალეთ ხერხემალი.

150 გრამ ველურ ბრინჯს დაასხით 300 მილილიტრი მდუღარე მარილწყალი (მარილი ბევრი არ მოგივიდეთ) და დაბალ ცეცხლზე ადუღეთ 20 წუთის განმავლობაში (თავდახურულ ჭურჭელში), სანამ წყალი მთლიანად ამოშრება. შემდეგ მოასხით ნახევარი ლიმონის წვენი.

***სოუსი***: 2 სადილის კოვზ გამდნარ კარაქში შეურიეთ ცოტა მდოგვი და შეაზილეთ 1 სადილის კოვზი პურის ფქვილი. ეს მასა გახსენით წინასწარ მომზადებულ 200 მილილიტრ ბულიონსა (ხორცის ან ბოსტნეულის) და 100 მილილიტრ წყალში.

თევზი და ბრინჯი ღრმა თეფშზე გვერდიგვერდ მოათავსეთ, სოუსი კი ზემოდან მოასხით (შეგიძლიათ, ცალკე, ფიალითაც დადგათ).

ერთი ულუფა მოიცავს 450 კილოკალორიას.

### ვახშამი

150 გრამი ველური ბრინჯი 20 წუთი ხარშეთ ცოტა მარილიან წყალში, დაწურეთ და მოათავსეთ სასალათე თეფშზე. 4-5 ცალი პომიდორი „ჩერი" გაჭერით შუა-შუა და ლამაზად განალაგეთ ბრინჯზე. ცოტაოდენ ზეთში მოშუშეთ 5-6 ცალი სოკო (უმჯობესია, ცოცხალი სოკო შეიძინოთ), გაჭერით ორ ან სამ ნაწილად და პომიდვრის ნაჭრებთან დააწყვეთ. 100 გრამი ოდნავ მარილიანი ყველი დაჭერით მომცრო კუბიკებად და მოაყარეთ სალათას. მსუბუქად მოხალეთ 50 გრამი ნიგოზი, დაჭერით წვრილად და მოაყარეთ ყველს. 1 კბილი ნიორი დანაყეთ, შეურიეთ ძალიან წვრილად დაჭრილ მწვანილს, 1 სადილის კოვზ ზეითუნის ზეთს, 1 სადილის კოვზ ძმარს და მოასხით სალათას.

ერთი ულუფა მოიცავს 450 კილოკალორიას.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ვარ 28 წლის. უკვე რამდენიმე ხანია, ვამჩნევ, რომ თვალების ქვეშ, ქვედა ქუთუთოს ძირში, კანი მოლურჯო ფერისაა და ხანდახან მოდუნებულია. არსებობს თუ არა ამ პრობლემის მოვლის საშუალებები?**

**პასუხი**: თვალების ქვეშ კანის მდგომარეობა ქალებს, ძირითადად, 20 წლის ასაკიდან ეწყებათ. თუ თქვენს პრობლემას რამე კონკრეტული მიზეზი (ანუ, ჯანმრთელობის დარღვევა) არ აქვს, დილა-საღამოს უნდა წაისვათ რბილი კონსისტენციის თვალის გელი, გამოიყენოთ სპეციალური ბალიშები (ნახევარმთვარის ფორმის) ან მინი-ნიღბები, რომლებიც ქუთუთოებზე უნდა გაიჩეროთ 10 წუთის განმავლობაში. გარდა ამისა, აუცილებელია, ნაკლებად დატვირთოთ თვალები, რადგან, შესაძლოა, თქვენი პრობლმის მიზეზი კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა, უძილობა ან ჟანგბადის ნაკლებობა იყოს. ამიტომ, შეეცადეთ, გაზარდოთ ძილის ხანგრძლივობა, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე და გაიკეთოთ გახეხილი უმი კარტოფილის ან კიტრის ცივი ნიღბები.

**კითხვა: არსებობს თუ არა კბილების გათეთრების შინაური მეთოდი? სოდით გახეხვა ვცადე, მაგრამ განსაკუთრებული შედეგი ვერ მივიღე.**

**პასუხი**: კბილების მინანქრის გასათეთრებლად, ნალექისა და ლაქების



მოსაშორებლად, ძალიან კარგია აქტივირებული ნახშირის გამოყენება: წმინდად დანაყეთ რამდენიმე აბი და ამ ფხვნილით კარგად გაიხეხეთ კბილები. ოღონდ, შემდეგ ბევრჯერ გამოვლება მოგიწევთ, რომ შავი ნამცეცები არ ჩაგრჩეთ. შედეგით გაოცებული დარჩებით.

**კითხვა: ამას წინათ მარკეტში შევიძინე მზა წარმოების ნამცხვარი, რომელსაც ეწერა – „დაბალკალორიული". შეიძლება თუ არა ვენდო ასეთ წარწერას?**

**პასუხი**: წესით, თუ ეს წარწერა არ არის მომხმარებლის მიზიდვის ფანდი, ასეთი ნამცხვარი ნამდვილად ნაკლებკალორიული უნდა იყოს, ვიდრე ტრადიციული შინაური რეცეპტით გამომცხვარი, მაგრამ, სინამდვილეში დაბალკალორიულად ითვლება პროდუქტი, რომლის ენერგეტიკული ღირებულებაა 100 გრამზე 100 კილოკალორია.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ დაახოცინა სტალინმა კავკასიაში მოღვაწე ბანდებს ერთმანეთი



**შეთქმულება**

**(1926 წელი)**

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიური წარმოშობის სტალინისთვის, კავკასია ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა, ეს რეგიონი მისი ყველაზე სასტიკი და დაუძინებელი მტრების ბუნაგი იყო. განსაკუთრებული აგრესიულობითა და სისასტიკით ჩრდილოეთი ნაწილი გამოირჩეოდა. სტალინი, რომელიც მშვენივრად იცნობდა ამ კონტინგენტს, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, სხვა რაიონებთან შედარებით, იქ სულ სხვა, განსაკუთრებულ პოლიტიკას ატარებდა – ერთგვარ დათმობებზეც კი მიდიოდა მათ წინაშე. მთიელები, კაზაკები და სხვა, დამოუკიდებელ, დაუმორჩილებელ ცხოვრებას შეჩვეული ხალხი, ძნელად ეგუებოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს და ხშირ შემთხვევაში, აქ უკიდურესად სასტიკი შეტაკებები ხდებოდა. ამ რეგიონის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ან ბანდიტთა ტყვიის მსხვერპლი ხდებოდა, ან არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, სამსახურიდან იხსნებოდა. მხოლოდ ანასტას მიქოიანმა შეძლო იქ სხვებზე მეტხანს გაძლება და 4 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ფეთქებად რეგიონს. „კავკასია დენთის კასრია. თუ აფეთქდა, არა მარტო რეგიონს, მთელს კავშირსაც მოედება მისი ცეცხლი, რაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს" – ამბობდა სტალინი. სწორედ ამის გამო ჰქონდა ბელადს განსაკუთრებული მიდგომა კავკასიელების მიმართ და წარმოიდგინეთ, შეღავათებიც კი დაუწესა მათ. განსაკუთრებული ბრძანებულების საფუძველზე, სტალინმა კაზაკთა და მთიელთა საგანგებო, გასამხედროებული ფორმირებები შექმნა, რომელიც ჩრდილოკავკასიურ სამხედრო ოლქს ექვემდებარებოდა ფორმალურად. ამ ნაბიჯით, სტალინმა, ერთი მხრივ, მათი გულები მოიგო, მეორე მხრივ კი, მეტ-ნაკლებად შეზღუდულ ჩარჩოებში მოაქცია და მათზე უკეთესი კონტროლის საშუალება მიეცა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს რელიგიის კუთხითაც და თუკი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში რწმენის წინააღმდეგ აქტიურად ილაშქრებდნენ, აქ სულ სხვა სიტუაცია იყო. შენარჩუნებულ იქნა ეკლესიები, სალოცავები, მეჩეთები და რელიგიის მსახურთა ცენტრებსა და სასწავლო კერებს ფინანსურადაც კი ეხმარებოდნენ. თუმცა... ყველაფერთან ერთად, იქ „ჩეკას" მახვილი თვალიც მკვიდრდებოდა და ამ რეგიონის ფარული კონტროლის სისტემას საძირკველი ეყრებოდა. მიქოიანის გარდა, რომელსაც სტალინი იმ პერიოდში დიდად ენდობოდა, მთავარი დასაყრდენი მაინც ორჯონიკიძე იყო და ეს ტანდემი, სტალინისთვის ერთგვარ მაკონტროლებელ ორგანოსაც წარმოადგენდა. თითქმის ყველა კავკასიურ საკითხზე სტალინი ცალ-ცალკე იღებდა მოხსენებებს როგორც ორჯონიკიძისგან, ასევე მიქოიანისგან. ამგვარად, ასეთი ორმაგი კონტროლის საფუძველზე, მას სრული წარმოდგენა ჰქონდა იქ შექმნილ მდგომარეობაზე. 1926 წლის იანვრის პირველ ნახევარში, სტალინის მითითებით შექმნილმა, გეოლოგთა საგანგებო კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, რომელშიც ჩრდილოეთ კავკასიის სამკურნალო-საკურორტო ღირებულებების შესახებ იყო საუბარი, რამაც იქ გრანდიოზული გარდაქმნებისა და მშენებლობების ეტაპს დაუდო სათავე. მხარე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ხელშეუხებელი იყო, ერთბაშად აივსო სხვადასხვა პროფესიის ხალხითა და ტექნიკით, რაც ზოგიერთი გვარისა თუ ტომის წარმომადგენლებს არ მოეწონათ და მწვავე ბრძოლა გამოუცხადეს ამ სიახლეებს. 4 მარტს, მინერალური წყლების მისადგომებთან, მხეცურად ამოხოცეს გეოლოგთა 25-კაციანი ჯგუფი, რომელიც იმ გეოგრაფიული, ლოკალური რეგიონის დასაზვერად იყო გაგზავნილები მოსკოვიდან, პირადად სტალინის მითითებით. პროფესორ მეშკოვის ჯგუფი ტყვიებით იყო დაცხრილული, შემდეგ კი – გაძარცვული.

მეშკოვი სტალინმა ჯერ კიდევ ტურუხანსკის გადასახლებიდან გაქცევისას გაიცნო. მაშინ ახალგაზრდა დოცენტი – გეოლოგი ციმბირის გეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა და სწორედ ის დაეხმარა გაქცეულ კატორღელს – 4 დღის განმავლობაში იფარავდა ტაიგაში. ასე რომ, ყველაფრის მიუხედავად, მეშკოვი სტალინის მეგობარიც იყო და დიდი ბელადი უკიდურეს აღშფოთებას ვერ მალავდა: „ბერზინს (ჩრდილოეთ კავკასიის „ჩეკას" ოპერატიული სამმართველოს უფროსი) გადაეცით, რომ მისი მუშაობით უკიდურესად უკმაყოფილო ვარ და უთხარით, პირადად, ტყე-ტყე ეძებოს ამ სისასტიკის ჩამდენნი. უმოკლეს დროში დაადგინოს და დააპატიმროს, ვიმეორებ, დააპატიმროს ყველა, ვინც კი ეს ბარბაროსობა ჩაიფიქრა, შეასრულა და ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ მომართა." მოგვიანებით, მიქოიანი უყვებოდა მჟავანაძეს: „ასეთი გაცეცხლებული სტალინი იშვიათად თუ მინახავს, უფრო სწორად, თითქმის არასოდეს. ის ძალიან მძიმედ დააბიჯებდა კაბინეტში, მაგრამ ისეთი მრისხანე ხმა ჰქონდა, მე და სერგო თვალს ვერ ვუსწორებდით". სტალინი, რომელიც გამალებით ეწეოდა ჩიბუხს, კავკასიის პარტიულ ლიდერებს არ ინდობდა: „თუკი იქ სიტუაცია უმოკლეს დროში არ გამოსწორდა, საკუთარ თავებს დაემშვიდობებით. ბერზინს კი ჯერ აქ ჩამოვიყვან, შემდეგ კი თავს თვითონვე წავაცლი." სტალინისგან ასეთი საუბარი უჩვეულო იყო და მისი ხელქვეითები განაბულ-გაფითრებულები უსმენდნენ პატრონს. უცებ, მიქოიანი ალაპარაკდა: „ამხანაგო სტალინ, მე და ბერზინი ერთად ჩამოვედით მოსკოვში. ის ამჟამად „ჩეკას" ოპერატიული სამმართველოს შენობაში იმყოფება და თავის უფროსებს აძლევს ახსნა-განმარტებას." სტალინი ამ სიტყვებზე დაცხრა, კაბინეტში გაიარ-გამოიარა, ერთ-ერთ ტელეფონთან მივიდა და დარეკა: „მანდ, თქვენთან ბერზინი უნდა იმყოფებოდეს. მომიძებნე და ნახევარ საათში მომიყვანე, ველოდები." შემდეგ სტალინმა ყურმილი დადო და კვლავ მიქოიანსა და ორჯონიკიძეს მიუბრუნდა: „საღამომდე თავისუფლები ხართ და ცხრაზე ისევ აქ გელოდებით. კიდეც ერთ შანსს მოგცემთ და ერთად ვიმსჯელოთ, როგორ მოვიქცეთ. ბერზინს კი უკვე, ალბათ, აღარ მოუწევს ტყე-ტყე ბანდიტების ძებნა, ის უკვე თვითონაა ბანდიტი..."

საღამოს, როდესაც ორჯონიკიძე და მიქოიანი კვლავ სტალინთან გამოცხადდნენ, მათდა გასაკვირად, იქ საღ-სალამათი ბერზინი დახვდათ, რომელიც ჩეკისტურ უნიფორმაში იყო გამოწყობილი და ისეთი მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, მიქოიანმა თვალებიც კი მოისრისა, ხომ არ მეჩვენებაო. სტალინმა ეს მოძრაობა შენიშნა და არ დააყოვნა: „ამხანაგი ბერზინი ძველი, გამოცდილი „ჩეკისტია" და მისი გამოცდილების ხალხი ასე ადვილად გასაწირი არაა. მით უმეტეს, მან დამარწმუნა, რომ მეშკოვის ჯგუფის ამოხოცვა უბრალო ბანდიტიზმი კი არა, უფრო ღრმა მოვლენაა და შემპირდა, რომ უახლოეს ხანში, ყველაფერს მოაგვარებს." შემდეგ სტალინმა ბერზინი გაუშვა და კავკასიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მიუბრუნდა: „სიმართლე გითხრათ, თქვენი მუშაობით არა ვარ უკმაყოფილო, მაგრამ მაინც ვერ აკონტროლებთ იქ პოლიტიკურ სიტუაციას. ბევრი რამ მხედველობის არედან გეპარებათ".

ამ მძიმე ნოტზე დაასრულა სტალინმა და ორივე კაბინეტიდან გაისტუმრა, მერე კი ბერზინის მიერ დამუშავებული ოპერაციის გეგმის კითხვას შეუდგა. ბერზინისა და სტალინის საუბრიდან გაირკვა, რომ მეშკოვის ჯგუფის ამოჟლეტა ცრუინფორმაციის ნიადაგზე განხორციელდა კაზაკთა ერთ-ერთი ოპოზიციური შეიარაღებული ბანდის მიერ, რომელსაც ატამანი ბელიაევი მეთაურობდა. ბერზინმა სტალინს უამბო: „ჩვენი ოპერატიული სამმართველოს მიერ ჯერ კიდევ ამ წლის დასაწყისში შემუშავდა გეგმა, ჩრდილოკავკასიის ყველა ოპოზიციური დაჯგუფების ერთიანად მოსპობის თაობაზე. ამ გეგმის თანახმად, ყველა დაჯგუფებას შორის უნდა დამყარებულიყო კავშირი და მათი ერთ ადგილას კონცენტრაციის შემდეგ, ჩვენ მათ ვანადგურებდით. ეს გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა და ჩვენს მიერ შეგზავნილი აგენტები კარგად ართმევდნენ თავს ამ გეგმას, სანამ არ გაირკვა, რომ ატამან ბელიაევის ბანდა უარზე იყო, შეერთებოდა „აჯანყების" საერთო გეგმას იმ მოტივით, რომ ეს ყოველივე „ჩეკას" მიერააო შემოგდებული. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივხვდით, რომ ბელიაევი ჩვენი გარემოცვიდან იღებდა ინფორმაციებს, დავიწყეთ ფარული ძიება და კვალმა მიქოიანის საგანგებო თანაშემწე არმენ აირამიანთან მიგვიყვანა. დავადგინეთ, რომ აირამიანი ბელიაევთან იყო შეკრული, მას საიდუმლო ინფორმაციებს აწვდიდა, თავის უშუალო შეფს კი ყველაფერს უკუღმა ახსენებდა. ამაში რომ საბოლოოდ დავრწმუნებულიყავით, აირამიანს დეზინფორმაცია მივაწოდეთ, რომ თითქოსდა მეშკოვის ჯგუფი „ჩეკას" საგანგებო ოპერატიული რაზმი იყო, რომელიც უშუალოდ ბელიაევის გასანადგურებლადაა ჩამოსულიო. შედეგმაც არ დააყოვნა და აირამიანის ინფორმაციის რეალიზაციისას ბელიაევმა თავისი ძვირფასი აგენტი გაშიფრა. ჩვენ ასეთ შედეგს არ ველოდით და გვეგონა, რომ ბელიაევის ბანდა უბრალოდ დაიმალებოდა. სამწუხაროდ, მან თქვენი ახლობელი შეიწირა," სტალინმა სწორედ ამიტომ აპატია ბერზინს და მიუგო: „მიქოიანზეც ხომ არ გაქვს ეჭვი?" რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა: „მიქოიანზე დაწესებულმა თვალთვალმა ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო"... აქ სტალინმა სიტყვა შეაწყვეტინა და სიცილით მიუგო: „არც გამოიღებს, რადგან ის სანდო, ძველი ბოლშევიკია და მიუხედავად იმისა, რომ დოყლაპიასავით მოიქცა, მაინც საიმედო კადრია." ბერზინი მშვიდობიანად დაბრუნდა როსტოვში და ძველი გეგმის განხორციელებას შეუდგა, რომელსაც წარმატებით გაართვა თავი და იმავე აირამიანის დახმარებით, ჯერ ბანდებს დაახოცინა ერთმანეთი, შემდეგ კი სტავროპოლის ტყეებში გაანადგურა კონტრრევოლუციური ნარჩენები. აირამიანი მიქოიანის კაბინეტში დააპატიმრეს, მიქოიანი კი სტალინმა თანამდებობიდან მოხსნა და კვების მრეწველობის სახალხო კომისრად გადაიყვანა. ბერზინი ცოტა ხანს კიდევ დარჩა ჩრდილოეთ კავკასიაში და შემდეგ მოსკოვში გადმოიყვანეს, სადაც სტალინის უშუალო მითითებებს ასრულებდა. ამ ამბების შემდეგ, როდესაც კავკასიაში, ფაქტობრივად, არც ერთი სერიოზული შეიარაღებული ფორმირება აღარ დარჩა, სტალინმა რადიკალურად შეცვალა კავკასიური პოლიტიკა და უმძიმესი რეპრესიები დაიწყო, რათა ეს რეგიონი ერთიან, საბჭოთა სისტემაში ჩართულიყო. 1926 წლის ნოემბრის „ცეკას" ერთ-ერთ საგანგებო პლენუმზე მან კიროვს უთხრა: „კავკასიაში ჩვენ დიდი ცეცხლის გაჩენის საშიშროება კი მოვსპეთ, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს პატარ-პატარა ნაპერწკლები, რომლებიც ამ დენთის კასრს არ უნდა გავაკაროთ..."

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

კურტ ვონეგუტი

# რაში გვეხმარება პირადი რიცხვების მაგია და რისი გამოსწორებაა შესაძლებელი მათი დახმარებით

*ასტროლოგიური კანონები იმისთვის არსებობს, რომ ადამიანმა გაიგოს, რისთვის მოვიდა ამქვეყნად, რა ამოცანა აკისრია, რისკენ უნდა ისწრაფოს და რა უნდა გამოასწოროს ამ ცხოვრებაში მოსულმა. ამის გამოსაცნობად კი რიცხვების მაგია დაგეხმარებათ. მისი საშუალებით ადვილად შეიცნობთ საკუთარ თავს და გაერკვევით თქვენს ბედ-იღბალში. საჭიროა მხოლოდ დაბადების დღის, თვისა და წლის ციფრების შეჯამება. მაგალითად, თუ ადამიანი დაბადებულია 1974 წლის 15 მარტს, თავისი მაგიური რიცხვი რომ მიიღოს, ასე უნდა შეკრიბოს რიცხვები: 1+5+0+3+1+9+7+4=30=3+0=3. ამრიგად, ამ კონკრეტული ადამიანის მაგიური ციფრია 3.*

*გაითვალისწინეთ, რომ ნუმეროლოგია განიხილავს მხოლოდ ერთნიშნა ციფრებს, გამონაკლისს წარმოადგენს 10, 11, 12 და 13 რიცხვები. რაც შეეხება რიცხვების მნიშვნელობებს, ამას ქვემოთ დააკვირდით:*

**1** – ეძიეთ ახალი გზები, რათა დაიკავოთ ლიდერის პოზიცია. მეტად გამოავლინეთ სამართლიანობა, დიპლომატია და გქონდეთ გადაწყვეტილების დროულად მიღების უნარი. სიტუაციაში ადაპტირება უნდა მოახდინოთ ადეკვატურად. თქვენი პოტენციალის რეალიზება შეგიძლიათ სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში, პოლიტიკაში, მედიცინაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ავიაციაში, სამთო ქიმიასა და ავანგარდისტულ ხელოვნებაში.

**2** – ორიენტირებული უნდა იყოთ მატერიალური სიმდიდრის დაგროვებასა და შემდეგ მის სწორად გამოყენებაზე. ისწავლეთ გარემოზე ჰარმონიული მორგება. დაგჭირდებათ მეტი მოთმინების უნარი, შრომისმოყვარეობის გამოვლენა, შეუპოვრობის განვითარება. ადვილად შეგიძლიათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება ფინანსურ სფეროში, საარქივო და სამუზეუმო საქმიანობაში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობასა და მოდის სამყაროში.

**3** – ბევრი ისწავლეთ და გარშემო შემოიკრიბეთ ერთგული ხალხი და თანამოაზრეები. თქვენი ვალია, დაამყაროთ კონტაქტები, უხელმძღვანელოთ ადამიანებს, განავითაროთ დიპლომატიური ურთიერთობები, გაანეიტრალოთ უნდობლობა კოლექტივში. ადვილად მიაღწევთ წარმატებას ხელოვნებაში, დიპლომატიაში, ბიზნესში, ჟურნალისტიკაში, რეჟისურაში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, მეწარმეობაში.

**4** – დაეხმარეთ სხვებს. ცხოვრებაში ბევრი წინააღმდეგობა და ბარიერი შეგხვდებათ, მაგრამ, ამასთან შეგუება და გამკლავებაც უნდა შეგეძლოთ. ისწავლეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. წარმატებებს კი ადვილად მიაღწევთ: ისტორიაში, არქეოლოგიაში, სასტუმროების ბიზნესში, სამუზეუმო საქმიანობაში, არქიტექტურაში, საკვები პროდუქტების წარმოების სფეროში.

**5** – გამოხატეთ მეტი სიყვარული და შემოქმედებითი უნარი. ისწავლეთ არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება და ნუ შეგეშინდებათ სიახლეების. სადაც საჭიროა, თქვენი ნიჭი და უნარი თამამად გამოავლინეთ. შეგიძლიათ, წარმატებას მიაღწიოთ საიუველირო საქმიანობაში, პლასტიკურ ქირურგიაში, კარდიოლოგიაში, სტომატოლოგიაში, ესტრადაზე, კინოსა და ტელევიზიის სფეროებში. თქვენ სანაქებო ხელმძღვანელი პირი ხართ და ამას გარშემო მყოფებიც აფასებენ.

**6** – ისწავლეთ მიტევება და შეგუება არსებულ სიტუაციასთან. იყავით შინაგანად თავისუფალი, დაემორჩილეთ მოვლენებს, მაგრამ, ნუ გახდებით მონა. ისწავლეთ საქმეების მშვიდად კეთება. თქვენი შესაძლებლობები, შეგიძლიათ, გამოიყენოთ იქ, სადაც საჭიროა დისციპლინა, მოთმინება, შრომისმოყვარეობა, ამტანობა და აკურატულობა. ასევე, კარგია ძალების მოსინჯვა ანალიტიკურ და ფილოსოფიურ სფეროებში, ეკონომიკაში, ფიზიკა-მათემატიკაში, მხატვრობაში, სააფთიაქო ბიზნესში.

**7** – შეინარჩუნეთ შინაგანი სიმშვიდე და არ გამოხვიდეთ წყობიდან. ისწავლეთ საერთო ენის გამონახვა, ნუ ეცდებით გამარჯვების ნებისმიერი გზით მოპოვებას. იყავით კეთილსინდისიერი, დიპლომატიური; შეძელით მოლაპარაკებების გზით საქმის მოგვარება, სხვებზე ზრუნვა და დაცვა იმისა, რაც გაგაჩნიათ. თქვენგან კარგი ორატორი და სცენარისტი დადგება, ამიტომ, გირჩევთ ამ სფეროში დახარჯოთ ძალები.

**8** – ისწავლეთ ცვლილებების დროს ორიენტირება გარემოებებზე. მიიღეთ სწორი გადაწყვეტილებები და საკუთარ თავზე აიღეთ პასუხისმგებლობა. თქვენთვის რისკი აუცილებელია და ამაში ხშირად გიმართლებთ კიდეც. ყველაზე მეტად წარმატებული კი სამედიცინო სფეროში იქნებით.

საქართველოში 703 **გრიგოლაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 183, თბილისში – 177, წყალტუბოში – 81. არიან სხვაგანაც.

**სალაია**

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **სალა**.

ამავე ძირისაა გვარები: **სალაძე, სალია, სალიაშვილი, სალიბეგაშვილი**.

**სალაია** მოიხსენიება დღევანდელი ოჩამჩირის რაიონის სოფელ თხინას მოსახლეობის 1837 წლის აღწერის სიაში.

**სალაიათა** გვარი დღეს უპირატესად გურიაში სახლობს.

საქართველოში სულ 55 **სალაია** ცხოვრობს: ოზურგეთში – 14, რუსთავში – 13, ფოთში – 13. არიან სხვაგანაც.

**სხირტლაძე**

გვარის ფუძეა მეტსახელი **სხირტლა**.

1840-იანი წლების აღწერით, **სხირტლაძეები** ცხოვრობდნენ სოფლებში: გორი, კვაცხუთი, მრავალძალი, სხვავა. სოფელ გორში **სხირტლაძეები** არიან საბატონო გლეხები, კვაცხუთშიც – საბატონო გლეხები, მრავალძალში – საეკლესიო გლეხები, სხვავაში კი – წერეთლის საბატონო გლეხები.

**სხირტლაძეებს** ჰყავდათ ბევრი სახელოვანი ადამიანი და მამულიშვილი, მათ შორის, გამორჩეული თამადა – ბატონი სიმონი და დიდი და ეროვნული პიროვნება შოთა **სხირტლაძე.**

საქართველოში 2 573 **სხირტლაძე** ცხოვრობს: თბილისში – 1 220, საჩხერეში – 284, ჭიათურაში – 179. არიან სხვაგანაც.

**ავგაროზიშვილი**

გვარის ფუძეა სიტყვა **ავგაროზი**, რომელიც პატარა ნივთია და ცრუმორწმუნენი გულზე დაკიდებულს ატარებენ ავი თვალისგან დასაცავად.

„რკონელი **ავგაროზი** გოშფარ და როინ ჯავახიშვილების გაყრისას ნახევარი მამულით გოშფარს ერგო“.

ავგაროზი იყო ჯერ მეტსახელი, შემდეგ კი საკუთარ სახელად იქცა.

აბრაჰამ ავგაროზის ძე სამეფო კარის მწიგნობარი იყო, რომელმაც შეადგინა გიორგი მეფის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელზე




გაცემული მონასტრის წყალობის სიგელი.

შიდარელ გრიგოლ **ავგაროზის** ძე ანდრიაშვილს გულშარ დედოფალმა უბოძა თორმეტი ათასი თეთრი, რათა გულშარისთვის გადაეხადა აღაპი ქვათახევის ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიაში. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე დაევალა ონიას.

საქართველოში 27 **ავგაროზიშვილი** ცხოვრობს: ყვარელში – 20, თბილისში – 5, თელავში – 2.

**დიდმანიძე**

„ხელვაჩაურის სოფლები: აჭარისაღმართი და მარადიდი – **დიდმანიძეების** სამშობლო მხარეა, – წერდა ჟურნალისტი, აჭარელთა გვარების ქომაგი, ბატონი იოსებ ზექირიშვილი, – აქ, ქუთურეთში, ლომინაკენსა და ძაბლაკეთის უბანში, არის **დიდმანიძეთა** ადგილი, ნასახლარი, საძოვარი. აქ ბევრნი იყვნენ, ნაწილი **დიდიძედაც** იწერებოდა. სოფელ ცხემლარაში **დიდიძეები** ახლაც ცხოვრობენ. სიტყვა **„დიდი“** პოპულარული ყოფილა ამ მხარეში“. ასევე, გვაქვს გვარები: **დიდებულიძე, დიდიმამისაშვილი, დიდიძე, დიდია, დიდიშვილი, თავდიდიძე**. ბერძნებიდან გვაქვს ნასესხები მამაკაცის საკუთარი სახელი **დიდია**, ის მეოთხე საუკუნიდან მომდინარეობს.

**დიდმანიძის** გარდა, **მან**-ს შეიცავს გვარები: სურმანიძე, ცალქალამანიძე, სულმანიძე, სამანიშვილი, ნარიმანაშვილი, ნარმანია, თურმანიძე, იამანიძე, მანჯავიძე და ასე შემდეგ.

ძველირანულად **„მანია“** ნიშნავს მნიშვნელოვანს, ავტორიტეტულს. სახელ **ნარიმანში**, **ნარი** ირანულად ვაჟია, ხოლო **მანი** – გული. ეს ფორმა გვიანდელადაა მიჩნეული.

გადმოცემით, დიდიძიდანაა წარმომდგარი მაისურაძეთა ცნობილი გვარი.

საქართველოში 425 **დიდმანიძე** ცხოვრობს: ბათუმში – 91, ოზურგეთში – 38, თბილისში – 6. არიან სხვაგანაც.

**ჟღამაია-ჟღამაძე**

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ გვარში ფუძედაა გამოყენებული სახელი **ჟალა** და არა **ჟალამა. ჟალადანაა** ნაწარმოები გვარები: **ჟღამაძე** და **ჟღამაია. ჟღამაძე** და **ჟღამაია** ერთსა და იმავე გვარად ჩანან.

**ჟღამაძეებს** ადრე რაჭაში უცხოვრიათ. ეს გვარი ჩანს 1545 წელს, შემდეგ გადმოვიდნენ სამეგრელოში. გეგუთში ჩანს 32 კომლი, მაისში – 7, ალერტკარში – 5 და ასე შემდეგ. ადგილობრივ მეტყველებაში **ჟღამაძე** ხშირად იცვლება ვარიანტით – **ჟღამაია.**

**ჟღამაია** კი გვხვდება შემდეგ სოფლებში: ხუნწში – 18, ნოსირში – 11, ახალკახათში – 5, ახალაბასთუმანში – 3, სამიქაოში – 3.

**საჟღამაიო** უბანია ახალკახათსა (დარჩიულის საზღვართან) და გეგუთში (ტეხურის მარცხენა მხარეს). 1733 წელს შედგენილ საბუთში დასახლებულნი არიან „მეჯეთის“ (გეგუთის) მცხოვრებნი – ბაბუშია და ნანაია **ჟღამია.**

**ჟღამა** კოლხეთში გავრცელებული სახელია.

საქართველოში 822 **ჟღამაძე** ცხოვრობს: თბილისში – 212, სენაკში – 147, ზუგდიდში – 110. არიან სხვაგანაც.

326 **ჟღამაია**: ზუგდიდში – 83, მარტვილში – 63, სენაკში – 38. არიან სხვაგანაც.

**კოლოტაური**

„დიღომში **კოლოტაურები** ქვემოუბანში, წერნვერაზე სახლობენ და მათი საგვარეულო უბანი დიღმის ხევს დაჰყურებს. **კოლოტაურები**, ანუ, ჯაბადრიანი, როგორც მათ უწოდებენ დიღომში, მეთვრამეტე საუკუნეში უნდა დასახლებულიყვნენ და, მართლაც, 1781 წლის მოსახლეობის აღწერის დავთარში, დიღმის მკვიდრთა შორის, მუხრანის ბატონის ყმა **კოლოტაური** იესეა შეტანილი. მათი წინაპარი სამეფო კარის მსახური, ჯაბადარი ყოფილა. ჯაბადარი მეაბჯრეს ნიშნავდა და ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალში“ სპეციალური თავითაა შეტანილი, რომელსაც „საჯაბადაროს მოხელენი“ ეწოდება. **კოლოტაურების** ზოგიერთმა პირმა გვარი ჯაბადრად გადაიკეთეს. ამაზე მეტყველებს ხალხური სახუმარო ლექსიც, რომელიც დიღომშია ჩაწერილი: **„კოლოტაური** კაკოლა ძალად გახდა ჯაბადარი, ამისთანა მამაძაღლი მთელ დიღომში არვინ არი“.

**კოლოტაურები** მეცხრამეტე საუკუნეში საბატონო ყმებად იწოდებოდნენ და მუხრანელ ბაგრატიონებს ეკუთვნოდნენ.

საქართველოში 105 **კოლოტაური** ცხოვრობს: მცხეთაში – 94, თბილისში – 10, რუსთავში – 1.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**„კომედი შოუს" 23 წლის მსახიობ გიგა ტაბიძის სახელი და გვარი, შეიძლება, ბევრმა არ იცის. თუმცა, საკმარისია, მათ უხსენო – „ჭამე, ნოდარი," რომ ყველა იღიმება და ხვდება, ვისზეცაა საუბარი. ფაქტია, ამ კომედიურმა როლმა, ის საკმაოდ პოპულარული და ცნობადი გახადა, რასაც თავადაც აღიარებს. თუ როგორია შეყვარებული გიგა, რაში ადგება საქართველოს ორგზის ჩემპიონობა და როდის ხდება ის ზედმეტად ემოციურ-განცდიანი, ამაზე თავად გვესაუბრება.**



ჩემი მუშტი მტერს მოხვდა

# როგორ გახდა მკლავჭიდში საქართველოს ორგზის ჩემპიონი გიგა ტაბიძე კომიკური პერსონაჟი და რატომ არ ღიზიანდება ის ქუჩაში „ჭამე, ნოდარის" დაძახებაზე

**გიგა ტაბიძე:** ქუთაისში დავიბადე და გავიზარდე. იქ დავამთავრე სკოლა. შემდეგ, თბილისში ჩავაბარე სამედიცინო უნივერსიტეტში, ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში, „კავეენშიც" ვთამაშობდი. მართალია, ქუთაისელი ვარ, მაგრამ თბილისში გადმოსულსაც არ გამჭირვებია ცხოვრება. შესაძლოა, ადგილის დამკვიდრება დედაქალაქში რთულია, მაგრამ ჩემთვის ასე არ იყო, რადგან მჯეროდა, რასაც ვაკეთებდი, ადრე თუ გვიან, წარმატებას მომიტანდა. დღეს, ქუჩაში მცნობენ, ტელეეკრანზე ვჩანვარ, საყვარელ საქმეს ვაკეთებ და ბედნიერი ვარ.

**– პროფესიით ფარმაცევტი ხარ, თუმცა მსახიობობამ გაგიტაცა. რატომ გაიხადე თეთრი ხალათი, არ მოგიხდა, ვერ მოირგე თუ რაშია საქმე?**

– სხვათა შორის, ლექტორები აღიარებდნენ, ნიჭიერი სტუდენტი ხარო. არც სწავლა გამჭირვებია – პირიქით. მაგრამ, ეს პროფესია მაინცდამაინც საჩემო არ იყო. დედას და ბებიას უნდოდათ ძალიან ჩემი „დოხტურობა" *(იცინის)* და, მეც ხათრი ვერ გავუტეხე. რომ ვაბარებდი, მაშინვე ვიცოდი, ფარმაცევტი რომ არ ვიქნებოდი. უბრალოდ, სკოლას რომ ვამთავრებდი, არ მქონდა არჩეული სად ჩავაბარებდი. სპორტზე დავდიოდი და მთლიანად მასზე ვიყავი გადართული. როგორც გითხარით, სპორტის გადამკიდე, აბიტურიენტობის პერიოდს მოუმზადებელი შევხვდი. პროფესიის არჩევანში არ ვიყავი ჩამოყალიბებული. დედა ფარმაცევტი მყავს და ამიტომ, სხვა ვარიანტიც არ მქონდა, მოვემზადე და ჩავირიცხე.

**– მამა, გია ტაბიძე, საკმაოდ კოლორიტული და ცნობილი „პიკასოს ბიჭია" ქუთაისში. შენ რომ დღეს ამ სფეროში ხარ, მამის გავლენა იყო?**

– რასაკვირველია, მამის გავლენა იყო ის, რომ დღეს მე „კომედი შოუს" მსახიობი ვარ. წარმოიდგინეთ, ბავშვობიდან ვესწრებოდი „პიკასოს ბიჭების" გამოსვლებს, მათ ქეიფებს, შეკრებებს და დღეს რომ იუმორთან შეხება მაქვს, არაა გასაკვირი. თან, დღეს, მამის ძმაკაცების, კოლორიტი „პიკასოს ბიჭების" გვერდით ვდგავარ და ეს უფრო მეტი პასუხისმგებლობაა ჩემთვის. ახლა, ისინი ჩემი მეგობრებიც არიან და გამოდის, რომ მამა-შვილს ერთი სამეგობრო წრე გვყავს *(იცინის)*. სხვათა შორის, მამას მოსწონს, დღეს მე რომ იუმორისტულ სამყაროში ვარ. სულ ვფიქრობ – „ჭამე, ნოდარის" მერე, ეს ნოდარი რატომ აიტაცა ხალხმა. ამაზე კარგი პერსონაჟებიც ხომ ყოფილა-მეთქი, მაგრამ პასუხი არ მაქვს. თუმცა, ნოდარი რომ მე ვარ, მიხარია *(იცინის)*. ქუჩაში რომ მივდივარ, მომაძახებენ ხოლმე – „ჭამე, ნოდარიო" და ვხვდები, ამით გამოხატავენ სიყვარულს არა გიგას, არამედ იმ დაჩაგრული და უბედური ნოდარის მიმართ, ვისაც მე ვთამაშობ *(იცინის)*. ვაღიარებ, გავხდი პოპულარული, მაგრამ ჩემში არაფერი შეცვლილა, ისევ ისეთი ვარ, როგორიც წლების წინ ვიყავი. თუმცა, უფრო თავშეკავებული გავხდი და მიწევს რაღაც-რაღაცეებზე თვალის დახუჭვა.

**– მაინც, რაზე გიწევს თვალის დახუჭვა?**

– აბა, ადრე რომ ვინმეს ქუჩაში ჩემთვის დაეძახა – „ჭამე, ნოდარიო", მე ვიცი, რასაც ვაჭმევდი: არ ასცდებოდა მუშტი. ახლა კი ვუღიმი და ჩემს გზაზე მივდივარ *(იცინის)*.

**– „ჭამე, ნოდარიზე" გამახსენდა, გურმანი თუ ხარ? ჭამა გიყვარს?**

– კი, ჭამა მიყვარს და ამ მხრივ დაძალება და თავში წამორტყმა, ნამდვილად არ მჭირდება *(იცინის)*. ზოგადად, კომფორტი მიყვარს და ცნობადი სახე რომ ვარ, ესეც მომწონს. სულ ვამბობ, არ მინდა, ყველა ოცნება ამიხდეს, რადგან თუ ყველა ოცნება ახდა, ცხოვრება აზრს დაკარგავს-მეთქი, თუმცა გამოგიტყდებით და, ერთი ოცნება კი მინდა მალე ამიხდეს. ძალიან მინდა ბევრ ქვეყანაში მოგზაურობა და ვეცდები ეს, ამ ზაფხულიდან დავიწყო.

**– ალბათ, მოგზაურობა საყვარელ ადამიანთან ერთად გინდა?**

– იმისთვის, რომ იმოგზაურო და სიამოვნება მიიღო, სულაც არ არის საჭირო, გვერდით საყვარელი ადამიანიც გყავდეს. მარტოც, მშვენივრად ვიმოგზაურებ. რაღაც-რაღაცეების გაგებაში, შესაძლოა, იმ საყვარელმა ადამიანმა ხელიც კი შემიშალოს *(იცინის)*.

**– ბევრმა არ იცის, რომ შენ არა მარტო მსახიობი და ფარმაცევტი, არამედ საქართველოს ორგზის ჩემპიონიც ხარ მკლავჭიდში. ეს შენი გარეგნობიდანაც კარგად ჩანს.**

## მრთი გოგონა მომწონს და შეყვარების ეტაპზე ვარ

– ქუთაისში დავიწყე ვარჯიში, დაახლოებით, ხუთი წელი დავდიოდი და ველარ წარმოედგინა სპორტის გარეშე ჩემი ცხოვრება. მკლავჭიდელი ვიყავი და საქართველოს ორგზის ჩემპიონიც გავხდი. თუმცა, ტრავმა მივიღე და ამან განაპირობა, რომ აღარ გავაგრძელე ასპარეზობა. თუმცა, ვარჯიშით დღესაც ვვარჯიშობ. სხვათა შორის, პირად ურთიერთიერთობებში, ხშირად დამხმარებია ჩემი მკლავ-მუშტი *(იცინის)*.

**– ანუ, შენი მუშტი მტერს მოხვდა?**

– კი, კი, ნამდვილად ასეა *(იცინის)*. ჩხუბისთავი არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ჩხუბში მონაწილეობა ხშირად მიწევდა და ქუჩურ დაპირისპირებებში, ისე ვიქნევდი ჩემს ნავარჯიშევ მკლავებს, ეს უნდა გენახათ *(იცინის.)* ასე რომ, ქუჩურ გარჩევებში ხშირად მიწევდა ჩხუბი, თუმცა, დასისხლიანებული არ დავდიოდი. ამაში ნავარჯიშები სხეული მშველოდა. არ დამავიწყდება, ერთ მეგობარ გოგონასთან ერთად მოვდიოდი ქუჩაში. ორმა ნასვამმა ტიპმა შეურაცხყოფა მიაყენა. რომ „ამასხა" და გავარდი, ისე დავბეგვე ორივე, ძლივს აითრიეს წელი. მართალია, ეს კარგი საქციელი არ არის, მაგრამ ვერ ვიტან, ასეთ უტაქტობებს და რა ვქნა?

**– ყველა აღიარებს, რომ საკმაოდ სიმპათიური ბიჭი ხარ. პირად ცხოვრებაში როგორაა საქმე? შეყვარებული ხარ?**

– პირად ცხოვრებაში სიმშვიდეა, ერთი გოგონა მომწონს და შეყვარების ეტაპზე ვარ *(იცინის)*. ისე კი, საშინელი შეყვარებული ვარ. თუ ვინმე მიყვარს, ემოციობა მიორმაგდება, მტკივა, განვიცდი და მიხარია ორმაგად. ანუ თუ მიყვარს გოგო, დაძაბული და გაორმაგებული ვარ. მართალია, ხშირად არ ვარ ასეთი გაორმაგებული, მაგრამ ჩემი თავი დავიჭირე: რომ თუ ემოციობა გამიმძაფრდა, ესე იგი, მიყვარს. რომანტიკულიც ვარ, მაგრამ არც გოგონას ფანჯრებთან მიმღერია ფილით ხელში და არც მისი სადარბაზოს კედლებზე გამიკეთებია ფერადი წარწერები. მიყვარს და სიამოვნებას მანიჭებს, საყვარელი გოგონასთვის ისეთი სიურპრიზის გაკეთება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენ ორმა ვიცით და ამას სხვა ვერ გაიგებს, თუნდაც, მისი დაქალები. ამას, მხოლოდ, მისთვის და ჩემთვის ვაკეთებ.

**– სოციალურ ქსელში ორმაგი გვარით – ტაბიძით და ორლოვით ხარ დაფიქსირებული. ტაბიძე გასაგებია, მაგრამ ორლოვი ვისი გვარია?**

– ბაბუა – მამის მამა, მყავდა ორლოვი. სიტუაცია რომ დაიძაბა 90-იან წლებში რუსეთ-საქართველოს შორის, ბაბუამ გადაწყვიტა, რუსულ გვარზე უარი ეთქვა და დედის გვარზე – ტაბიძეზე გადავიდა.

**– ესე იგი, შენში რუსული გენეტიკაც დევს.**

– დიახ, ასეა. სხვათა შორის, ძალიან მომწონს გვარი ორლოვი, თან ორიგინალურიც მეჩვენება. დარეგისტრირებული არ ვარ ორლოვად. ვფიქრობ, არ არის ეს გვარი ჩემი მხრიდან დასაკარგი და მინდა, სულ მალე ოფიციალურად დავეწერო ტაბიძე-ორლოვად.

**ნონა ლათეშიძე**

# როგორ აღმოჩნდნენ ნარკორეალიზატორების მფარველები მილიციის მაღალჩინოსნები და რატომ ყიდდნენ თბილისში „მიშიაკით“ გამდიდრებულ წამალს

***პუბლიკაციის ზოგიერთი გმირის ვინაობა შეცვლილია და მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

### ორმაგი მკვლელობა

1980 წლის 11 მაისს, ზემო ვერაზე, 19 წლის ახალგაზრდები – კოტე ვასაძე და ირაკლი ტუღუში დაკრძალეს. ისინი ძმაკაცები იყვნენ, ერთი სკოლა დაამთავრეს და პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ. მათი გარდაცვალების მიზეზი იყო ნარკოტიკების გადამეტებული დოზის მიღება, რაც ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა. ვასაძე ქიმიის პროფესორის ვაჟი იყო, დედ-მამით ობოლ ტუღუშს კი ბებია ზრდიდა და ცნობილი რეციდივისტის, ვანო ტუღუშის ძმისშვილი იყო. 34 წლის ვანო ტუღუში, მეტსახელად „ელვა,“ ციხიდან იყო გაქცეული და მასზე ძებნა ჰქონდათ გამოცხადებული. მან გვიან გაიგო ძმისშვილის დაღუპვის ამბავი და დასაფლავებას ვერ ჩამოუსწრო. ელვა 17 მაისს ჩამოვიდა თბილისში და ჯერ ირაკლის საფლავზე ავიდა და ყვავილები აიტანა, შემდეგ კი დაღუპულების ძმაკაცს, გურამ კვაჭაძეს ეწვია სახლში და მისგან შეიტყო, რომ ბიჭები ვინმე ანზორ ხულიას წამლით იყვნენ გარდაცვლილები. ხულია ვერაზე ცხოვრობდა, ერთ-ერთი „იტალიური ეზოს” სარდაფში და წამალსაც იქვე ყიდდა. წამოსვლის წინ გურამ კვაჭაძემ ელვას უთხრა:

– ძია ვანო, ამბობენ, რომ ხულია წამალში „მიშიაკს“ (თაგვის წამალი) ურევს წონის გასაორმაგებლადო.

– შენ რა იცი?

– რა და, ერთი ვიქტორაა, მოსიძე. იმანაც ის წამალი გაიჩხირა, რაც კოტემ და ირაკლიმ და ისიც კვდებოდა, მაგრამ, მამამისი ექიმია, თანაც, ვიქტორას ეს სახლში დაემართა და მამამისმა სიკვდილს გადაარჩინა. სწორედ მამამისს აღმოუჩენია ვიქტორას სისხლის ანალიზში „მიშიაკი” და იმან თქვა.

ელვამ პროფესორ ნოდარ მოსიძისგან გაიგო, რომ წამალში მართლაც იყო თაგვის წამალი გარეული. მადლობა გადაუხადა მას და ანზორ ხულიას მიადგა სარდაფში. ხულია ელვას არ იცნობდა და სახლში შეშვება არ უნდოდა, მაგრამ ვანო ძალით შეიჭრა მასთან, შუბლზე ნაგანი მიადო და უთხრა:

– წამალში მიშიაკს რატომ ურევ, შე ნაბოზარო! შენი წამლით ორი ბიჭი დაიღუპა და ერთი ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

ხულია თავდაპირველად უარყოფდა ყველაფერს, მაგრამ, როდესაც ის ელვამ გააშიშვლა და გააუთოვა, ხულიამ „მიშიაკის” ფაქტიც აღიარა და ელვას უთხრა, რომ წამლით მას ვინმე ჰუსეინ ვაჰიდ-ზადე ამარაგებდა.

– ეგ ვიღაა? – ჰკითხა ელვამ ხულიას.

– მეიდანში ცხოვრობს. ნაძალადარია და „ძაღლებთანაა” შეკრული. მგონი, მას „ძაღლები” ამარაგებენ წამლით. ამხსენი, რა, ხომ ყველაფერი გითხარი? – უთხრა ხულიამ ელვას.

ელვამ ანზორ ხულიას თოკი დანით გადაუჭრა და დანა იქვე დადო, ხულიამ კი დანას ხელი წამოავლო და ელვას მოუქნია. ელვამ განევა მოასწრო, შემდეგ წამლის ზარიგას მეორედ მოქნეული დანიანი ხელი დაუჭირა, თავისსავე დანაზე წამოაგო და ადგილზევე მოკლა. ორი დღის შემდეგ ელვა ჰუსეინ ვაჰიდზადეს სახლთან დახვდა, რომ გაეტაცებინა და მისთვის ფული წაერთმია, თან, წამლის შემომტანების ვინაობა გაეგო, მაგრამ, ყოფილი მილიციელი შეიარაღებული აღმოჩნდა და ჯიბიდან „მაკაროვის” სისტემის პისტოლეტი ამოაცურა. ელვას სხვა გზა არ დარჩენოდა, ვაჰიდ-ზადეს ნაგანიდან სროლა დაასწრო და ტყვია გულში მოარტყა. მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, მილიციამ ივარაუდა, რომ ორივე მკვლელობა რეციდივისტ ვანო ტუღუშის, იგივე ელვას ჩადენილი იყო და მისი ძებნა გააორმაგეს. მილიცია დაფაცურდა და მთელი აგენტურული ქსელი ფეხზე დააყენა. ყველაზე მეტად კი ხულიასა და ვაჰიდ-ზადეს მფარველები შეშფოთდნენ. ისინი მილიციის მაღალჩინოსნები იყვნენ და ელვას ლიკვიდაციის ბრძანება გასცეს...



### არასასურველი მიმართულება

თავდაპირველად ხულიასა და ვაჰიდ-ზადეს მკვლელობებს ცალ-ცალკე იძიებდნენ, მაგრამ, შემდეგ ისინი გააერთიანეს და მაიორ ილო მახარაძეს გადასცეს. მაიორი მახარაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობდა და პატიოსანი ადამიანის სახელი ჰქონდა. მან საქმის საფუძვლიანად გამოძიებას მიჰყო ხელი და იმაზე მეტი რამ

## „ელვამ“ ხულია გააშიშვლა, გაბანრა და გააუთოვა

გაარკვია, ვიდრე ეს მილიციის ზოგიერთ მაღალჩინოსანს სურდა. მახარაძემ დაადგინა, რომ ხულიას ვაჰიდ-ზადე ამარაგებდა ნარკოტიკებით, რომელსაც, თავის მხრივ, რესპუბლიკის გარეთ, კონკრეტულად კი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჰქონდა კავშირები, რომელიც რუსეთის ფედერაციაში შედიოდა. მაიორ მახარაძეს თავის საგამოძიებო ჯგუფში გამოცდილი და პატიოსანი თანამშრომლები ჰყავდა გაერთიანებული, რომლებსაც ბოლომდე ენდობოდა, ამიტომ, მათ არაფერს უმალავდა და ყველაფერს ბოლომდე ამბობდა. მიუხედავად ამისა, ნარკორეალიზატორების მფარველმა მილიციის მაღალჩინოსნებმა, რომლებსაც მილიციის პოლკოვნიკი აპოლონ გეწაძე მეთაურობდა, მაინც მოახერხეს კაპიტან ვარლამ კეშელავას გადაბირება, რომელიც მახარაძის ჯგუფში მუშაობდა. კეშელავას ფული გადაუხადეს, ბინასაც შეჰპირდნენ და დაწინაურებასაც, ის კი მათ გამოძიების გასაიდუმლოებულ დეტალებს აცნობდა. აპოლონ გეწაძემ თავისი თანამზრახველები კონსპირაციულ ბინაში შეკრიბა, კეშელავას მიერ მიწოდებული მასალები გააცნო და უთხრა:

– მახარაძე უნდა ჩამოვაშოროთ გამოძიებას, თორემ, ჩვენამდეც მოაღწევს და ვერ გადავრჩებით. ის ნაბოზარი ელვა კი დროზე ჩააძაღლონ. ის რომ არა, ჩვენი საქმე საფრთხის წინაშე არ დადგებოდა.

თანამოაზრეები გეწაძეს დაეთანხმნენ, პოლკოვნიკმა კირაკოზოვმა კი უთხრა:

– მართალი ხარ, მახარაძე დროზე თუ არ მოვაშორეთ ამ საქმეს და გამოძიების ჩვენთვის არასასურველი მიმართულება არ შევაცვლევინეთ, ჩვენი საქმე ცუდად იქნება. ხოლო, რაც შეეხება ელვას ლიკვიდაციას, ჩვენმა ჩეჩენინგუშმა მეგობრებმა აბდულ იბრაგიმოვი გამოგზავნეს საქართველოში და ვანო ტუღუშს ის მიხედავს.

– ეგ ვიღაა? – ჰკითხა კირაკოზოვს გეწაძემ?

– ცნობილი პრისტუპნიკია, ძებნილი. სინამდვილეში კი მილიციის კაცია და ბინძურ საქმეებს აკეთებინებენ. მოკლედ, ელვას ის მოძებნის და მოკლავს...

ერთი კვირის შემდეგ მაიორი ილო მახარაძე დააწინაურეს, გამოძიებას ჩამოაშორეს და სამუშაოდ სოხუმში გადაიყვანეს. თბილისში კი აბდულ იბრაგიმოვი, მეტსახელად „ბასმაჩი“ ჩამოვიდა, რომელსაც ძებნილი ელვა უნდა ეპოვა და მოეკლა.

### წითელი დროშის ორდენი

აბდულ იბრაგიმოვი 3 ივლისს ჩამოვიდა თბილისში, ერთ-ერთ არალეგალურ ბინაში ჩასახლდა და ელვას ძებნას შეუდგა. ის მძარცველი იყო და ორი ინკასატორის მკვლელობისთვის დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, თუმცა, ქალაქ გროზნოს „კაპეზედან“ გაიქცა. მკვლელობების გარდა, 37 წლის იბრაგიმოვს კიდევ ორი მცირეწლოვანი გოგონას გაუპატიურებაში ედებოდა ბრალი. ბასმაჩი ელვას პირადად არ იცნობდა, მაგრამ, მასზე ბევრი რამ სმენოდა. ტუღუშიც მძარცველი იყო, თუმცა, იბრაგიმოვისგან განსხვავებით „სუფთად” მუშაობდა და არავის აუპატიურებდა. ბასმაჩმა ვინმე შამილ ციხელაშვილს სთხოვა, რომ ელვას ადგილსამყოფელი დაედგინა და მასთან შეეხვედრებინა. ციხელაშვილი პანკისელი იყო, შავებში ტრიალებდა, თბილისში ცხოვრობდა და ელვას კარგად იცნობდა. შამილმა ბასმაჩს ჰკითხა:

– ელვა რაში გჭირდება?

– რომ გავიცნო და საქმე შევთავაზო. ორივე პაზეგში ვართ და, მგონი, ფული არ გვაწყენს. მე კი ერთი ძალიან სარფიანი საქმე ვიცი.

შამილმა ელვას ბასმაჩის სიტყვები გადასცა, ტუღუშმა კი მიუგო:

– ზეგ მივალ მასთან, ერთად წავიდეთ.

1980 წლის 15 ივლისს ბასმაჩი და ელვა ერთმანეთს საბურთალოზე, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში შეხვდნენ, ერთმანეთი გაიცნეს და იბრაგიმოვმა მას სოხუმში, შემნახველი სალაროს ინკასატორების გაძარცვა შესთავაზა. სინამდვილეში კი ბასმაჩს ელვა თბილისიდან უნდა გაეტყუებინა და, გზაში ან თავად უნდა მოეკლა, ან – მილიციას, რომელიც წინასწარ ჩაუსაფრდებოდა. ტუღუში ჭკვიანი კაცი იყო და ბასმაჩის პატიოსნებაში ეჭვი შეეპარა, თუმცა, მისთვის უარი არ უთქვამს:

– თანახმა ვარ. ერთმანეთს სოხუმში შევხვდებით 20 ივლისს.

იბრაგიმოვი სიტუაციის ასეთ განვითარებას არ ელოდა, მაგრამ, სხვა გზა არ ჰქონდა და ელვას დაეთანხმა. ბასმაჩმა ყველაფერი კირაკოზოვს გადასცა, მან კი 20 ივლისს სოხუმში ჩასაფრების ბრძანება გასცა და თავისი ერთგული ხალხის მობილიზაცია მოახდინა. 20 ივლისს, საღამოს 18 საათსა და 50 წუთზე, მილიციის ოპერატიულ რაზმს სოხუმში გადაყვანილმა ილო მახარაძის თანამშრომლებმა დაასწრეს და ბასმაჩი აიყვანეს, ელვა კი ვერ მოიხელთეს, რომელიც ყველაფერს მიხვდა და მიიმალა. საქმე ის იყო, რომ, ვარლამ კეშელავა სინამდვილეში კვლავ მახარაძის ერთგული იყო და ნარკორეალიზატორების მფარველებს მხოლოდ იმიტომ დათანხმდა თანამშრომლობაზე, რომ მათი გეგმები შეეტყო და მახარაძისთვის მიეწოდებინა. ბასმაჩმა იმავე დღეს დაწერა აღიარებითი ჩვენება, სადაც პოლკოვნიკი კირაკოზოვი იყო ნახსენები. მახარაძემ პატაკი დაწერა მინისტრის სახელზე და ნარკორეალიზატორთა მფარველების დაპატიმრება მოითხოვა. თუმცა, 1980 წლის 22 ივლისს, გეწაძე, კირაკოზოვი და კიდევ მათი ორი თანამოაზრე, წყნეთისკენ მიმავალ გზაზე, ავტოავარიაში დაიღუპნენ. იბრაგიმოვი ციხის საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს, ელვა რუსეთში გაიქცა და კარგა ხანს იქ იმალებოდა. 1993 წელს კი საქართველოში დაბრუნდა და ამჟამადაც სამშობლოში ცხოვრობს.

ილო მახარაძეს პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს, თბილისში დააბრუნეს, წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს, თუმცა, ნარკოტიკების საქმე აღარ განახლებულა, ის დახურეს...

**ნიკა ლაშაური**

# რატომ აუპატიურებდა მოძალადე მამაკაცი მუნჯ ახალგაზრდას და რით აშანტაჟებდა მას

ოპერატიული ინფორმაცია 19 წლის კახა კ-შვილთან ძალადობრივი სექსუალური კავშირის შესახებ, პოლიციის განყოფილებაში დაზარალებულის დედის, 56 წლის მარიამ ბ-ელისგან შევიდა. ქალი სექსუალურ ძალადობაში თანასოფლელს, 60 წლის მალხაზ გ-ძეს ადანაშაულებდა და აცხადებდა, რომ ის მუქარითა და შანტაჟით აიძულებდა მასთან სექსუალური კავშირის დამყარებას ჯერ დედას, შემდეგ კი – მის შვილს, რომელიც ფიზიკურად უნარშეზღუდული იყო. სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. დაიკითხნენ დაზარალებული ახალგაზრდა და ის მეზობლები, რომლებსაც მარტოხელა დედა-შვილთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ. მათ დაადასტურეს მარიამ ბ-ელის განაცხადი და ისიც განმარტეს, რომ ამ ფაქტის შესახებ მათთვის კარგად იყო ცნობილი და თავად აიძულეს ქალი, რომ, ძალადობის შესახებ პოლიციაში განეცხადებინა.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი მარიამი და მისი შვილი სოფლის განაპირას, საძოვრებთან არსებულ ბარაკში, მარტონი ცხოვრობდნენ. დედა-შვილს მატერიალურად ძალიან უჭირდა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მარიამი მარტო ზრდიდა ბიჭს, რომელიც გონებრივად და ფიზიკურად უნარშეზღუდული იყო. დედა ძირითადად მეზობლების შემოწირულობებით არჩენდა შვილს. როდესაც კახა კ-შვილი წამოიზარდა, თავადაც ეხმარებოდა დედას. ბიჭი მუნჯი იყო, მაგრამ ფიზიკურად დიდი ძალა ჰქონდა, 16 წლის ასაკიდან სოფლის მოსახლეობისთვის კარგი და იაფი მუშახელი იყო. დედა-შვილს ყველა საქმეს ანდობდნენ – დაწყებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთი, შემოდგომაზე შეშის მოტანითა და დაჭრით დამთავრებული. იმ ადამიანთა შორის, ვინც დედა-შვილს მუშახელად იყენებდა, იყო წარსულში კრიმინალური ქმედებებისთვის ნასამართლევი მალხაზ გ-ძეც. სოფელში ის არ უყვარდათ, მაგრამ, იმის გამო, რომ ფერმა ჰქონდა და მოსახლეობის დასაქმება შეეძლო, მასთან ურთიერთობა მაინც ყველას უწევდა. მათ შორის აღმოჩნდნენ დედა და მისი მუნჯი შვილი, რომელსაც მალხაზ გ-ძე სოფლის საქმეში ხშირად იყენებდა.

**მოძალადე მამაკაცმა, ქალი პოლიციაში რომ არ წასულიყო, ერთი კვირა ოთახში დაგმული ამყოფა**

საქმის მასალებით დადგინდა, რომ მარიამ ბ-ელმა ფერმერს წინასწარ, სამკურნალოდ, გამოართვა 500 ლარი და მის დაფარვას ხუთ თვეში დაჰპირდა. იმის გამო, რომ ქალი მამაკაცს ფულს ვეღარ უხდიდა, საკუთარი შრომით ფარავდა ვალს. ერთ დღეს მარიამ ბ-ელი ცუდად გახდა და ფიზიკური შრომის გაგრძელება ვეღარ შეძლო, ამიტომ, გადაწყვიტეს, რომ მალხაზ გ-ძესთან ვალის დასაფარად მისი შვილი – კახა კ-შვილი იმუშავებდა, მაგრამ, სამი კვირის მერე ბიჭი სამუშაოდ აღარ წავიდა. დედა ხან მოფერებით, ხან კი მუქარითა და ჩხუბით ცდილობდა, რომ შვილი მევალესთან მუშაობაზე დაეთანხმებინა, მაგრამ, უშედეგოდ. საცხოვრებელი ბარაკიდან ვითომდა სამუშაოდ წასული ბიჭი მთელი დღე სოფელში ისე იკარგებოდა, რომ ვეღარ პოულობდნენ. იმავე პერიოდში, მალხაზ გ-ძე რამდენჯერმე დაადგა ბარაკში თავზე დედა-შვილს და ვალის დაბრუნება მოითხოვა. გაჭირვებულებს თანხის გადახდა არ შეეძლოთ. მალხაზ გ-ძემ ქალი ჯერ სცემა, შემდეგ კი მასზე ძალის გამოყენებით დაამყარა სექსუალური კავშირი. მოგვიანებით დაზარალებულმა ქალმა პოლიციასთან განმარტა, რომ მამაკაცი მასთან რეგულარულად ამყარებდა სქესობრივ კავშირს და თან ეუბნებოდა, ასე ვალს გიქვითავო. ამის შესახებ მალე მეზობლებიც ალაპარაკდნენ, თუმცა, მარიამ ბ-ელი ამას არ ადასტურებდა და ამბობდა, რომ მამაკაცი მის ბარაკში ფულის დაბრუნების მოთხოვნით დადიოდა.

ერთ-ერთმა მოწმემ გამოძიებასთან მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა: „მარიამი და მისი შვილი ჩვენი მეზობლები არიან. ჩვენი ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი ადრე კოლმეურნეობის საკუთრება იყო. მერე კორპუსი დაინგრა და მისგან ბარაკებიღა დარჩა, სადაც სულ სამი ოჯახი ვცხოვრობთ. მალხაზ გ-ძეს მარიამთან მოსულს ხშირად ვხედავდი, რამდენჯერმე კი მარიამი სასტიკად ნაცემი ვნახე – სახე სულ დალურჯებული ჰქონდა. ერთხელ გამიმხილა, მალხაზმა მცემა, ვალს ვერ ვუბრუნებო. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ამყრებდა მამაკაცი მასთან სადისტურად სექსუალურ კავშირს, მაგრამ, ამ საქმეში არ ჩავრეულვარ. ერთ დღეს მათი ოთახიდან საშინელი ხმაური და მტვრების ხმა მომესმა. ახლოს მივედი და ფანჯრიდან დავინახე, რომ ოთახში სამნი იყვნენ: მარიამი, მალხაზი და კახა. როგორც მერე გავიგე, მარიამი სახლში არ ყოფილა, მოულოდნელად დაბრუნებულა და თავზე დასდგომია მალხაზ გ-ძეს, რომელიც მის შვილთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა."

გამოძიებას ჩვენება მისცეს დაზარალებული დედა-შვილის სხვა მეზობლებმაც. მათი განცხადებით, დედამ საკუთარი თვალით ნახა, როგორ აუპატიურებდა მოძალადე მამაკაცი მის ვაჟს. როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, მამაკაცის სქესობრივ კავშირს ხან დედასთან და ხან მის შვილთან რეგულარული ხასიათი ჰქონდა. მეზობლების განცხადებით, მალხაზ გ-ძე აშანტაჟებდა დედას და შვილს, რომ, თუ ამის შესახებ ვინმე რამეს გაიგებდა, მათ სულ გაყრიდა იმ ბარაკებიდან, რადგან, უკანონოდ ჰქონდათ დაკავებული. მას შემდეგ, რაც ქალი მეზობლებმა დაარწმუნეს, რომ, ჯობდა, ამის შესახებ პოლიციაში განეცხადებინა, მარიამ ბ-ელმა ეს უთხრა მალხაზ გ-ძეს, რომელმაც ქალი სასტიკად სცემა, შემდეგ კი დააბა და ერთი კვირა სახლში გამოკეტა, რომ ის პოლიციაში არ მისულიყო. ბოლოს მამაკაცი უკვე ქალს აყურებინებდა, თუ როგორ აუპატიურებდა მის შვილს. ერთი კვირის შემდეგ ქალმა მოახერხა, თავი დაეღწია ტყვეობისთვის და მომხდარი სასტიკი დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებს აცნობა.

ოპერატიულმა სამსახურმა მალხაზ გ-ძე იმავე დღეს დააკავა. ის თავიდან არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და აცხადებდა, რომ ქალი მას შანტაჟს უწყობდა. სასამართლო პროცესზე ბრალდებულის დაცვამ წარადგინა მოწმეები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ დედა-შვილი ადრეც იყო შემჩნეული ამორალურ ქმედებებში და, რომ მალხაზ გ-ძე მათზე სექსუალურ კავშირს ძალის გამოყენებით კი არა, ნებაყოფლობით ამყარებდა, თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა მათი პოზიცია. სხვა მოწმეთა ჩვენებებით ასევე, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც 19 წლის ახალგაზრდას ჩაუტარდა და სხვა მტკიცებულებებით, დადასტურდა ის მძიმე ბრალდება, რასაც დაზარალებული მარიამ ბ-ელი მოძალადე მალხაზ გ-ძეს უყენებდა. სასამართლომ მალხაზ გ-ძე დამნაშავედ ცნო ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 10 თებერვალი

1258 – მონღოლთა ჯარებმა, ქართველთა წინამძღოლობით (დავით ულუს მეთაურობით) აიღეს ქალაქი ბაღდადი. გაუქმდა არაბთა სახალიფო.

1635 – დაარსდა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია.

### 11 თებერვალი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 660 – ლეგენდის მიხედვით, ამ დღეს პირველმა იმპერატორმა ჩიმუმ დააარსა იაპონიის სახელმწიფო.

1809 – რობერტ ფულტონმა დააპატენტა თბომავალი.

1922 – კანადელმა ქიმიკოსმა ფრედერიკ ბანტინგმა აღმოაჩინა ინსულინი.

1970 – იაპონია მეოთხე ქვეყანა გახდა, რომელმაც ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა კოსმოსში.

### 12 თებერვალი

1561 – დაარსდა ქალაქი სანტიაგო – ჩილეს დედაქალაქი.

1955 – მიიღეს ბაიკონურის კოსმოდრომის მშენებლობის გადაწყვეტილება.

### 13 თებერვალი

1668 – ესპანეთმა ცნო პორტუგალიის დამოუკიდებლობა, რომელიც მას 1640 წელს გამოეყო.

1917 – ინგლისის პარლამენტმა ქალებს უფლება მისცა, ტაქსის მძღოლებად დაეწყოთ მუშაობა.

1960 – საფრანგეთმა გამოსცადა თავისი პირველი ატომური ბომბი.

1975 – კვიპროსი გაიყო ორ – ბერძნულ და თურქულ ნაწილებად.

### 14 თებერვალი

1918 – ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნები გადავიდნენ „ახალ სტილზე“ – 31 იანვრის შემდეგ დადგა პირდაპირ 14 თებერვალი.

1956 – გაიხსნა სკკპ მეოცე ყრილობა, სადაც ხრუშჩოვმა დაგმო სტალინის „პიროვნების კულტი“.

1984 – ამ დღეს ელტონ ჯონმა იქორწინა ქალზე – რენეტა ბაუელზე ისინი ერთმანეთს დაშორდნენ 1988 წელს.

### 15 თებერვალი

1113 – რომის პაპმა აკურთხა პირველი რაინდული ორდენი (წმიდა იოანეს სახელობის ჰოსპიტალიერთა ორდენი, რომელიც უფრო ცნობილი იყო მალტის ორდენის სახელწოდებით).

1925 – ლონდონის ზოოპარკში ცხოველებისთვის დაამონტაჟეს ელექტროგანათება, რათა „გაეუმჯობესებინათ მათი განწყობილება ხშირი ნისლების დროს“.

1947 – საბჭოთა კავშირის მთავრობის პირდაპირი განკარგულებით აიკრძალა ქორწინება საბჭოთა მოქალაქესა და უცხოელს შორის.

1965 – კანადის პარლამენტმა დაამტკიცა ქვეყნის ახალი დროშა (ნეკერჩხლის ფოთოლი).

1989 – დასრულდა საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან.

### 16 თებერვალი

1923 – ეგვიპტეში ჰოვარდ კარტერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ტუტანჰამონის აკლდამის შესასვლელი (მის გათხრას ერთი წელი დასჭირდა).

1937 – ამერიკელმა ქიმიკოსმა უოლეს ჰიუმ კაროზესმა დააპატენტა ნეილონი.

1968 – ქალაქ ჰეილვილში (ალაბამა) გაიხსნა პირველი სასწრაფო მაშველთა სამსახური – 911.

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, ფილტვის კიბო რა ასაკში შეიძლება დაემართოს ცხოველს?**

**პასუხი:** ფილტვის კიბო უფრო ხშირად ასაკოვან ძაღლებში ვითარდება, რომლიც გამოწვეულია მეტასტაზების მოხვედრით ფილტვის ქსოვილში. მაგალითად, სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, ძაღლებში იშვიათად გვხვდება ფილტვის პირველადი სიმსივნეები.

**კითხვა: ჩემი ძაღლი ბოლო დროს ხშირად ახველებს. გაციებული არ არის, ვერც უხასიათობას ვატყობ. იქნებ მითხრათ, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს ყველაფერი?**

**პასუხი:** ხველის მიზეზი შეიძლება, იყოს როგორც სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, ასევე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. თუმცა, ძირითად მიზეზად, ალბათ, მაინც შეიძლება ჩაითვალოს ზემო სასუნთქი გზების პათოლოგიები ლარინგიტი, ლარინგო-ფარინგიტი, ტრაქეიტი, ტრაქეის სიმშრალე – კოლაფსი. ქვემო სასუნთქი გზების დაავადებები და ხველა დამახასიათებელია მწვავე და ქრონიკული ბრონქიტისთვის, ბრონქო-პნევმონიისა და პნევმონიისთვის. ლარინგიტისა და ლარინგო-ფარინგიტისთვის დამახასიათებელია ხველება, სისუსტე, მადის დაქვეითება, რეგიონალური ლიმფური კვანძების გადიდება, აფონია, ანუ ხმის დაკარგვა. აღნიშნული დაავადება შეიძლება, გამოწვეული იყოს სხვადასხვა სახის ინფექციური აგენტებით. ესენია: ადენოვირუსული ინფექცია და ტრაქეის მექანიკური გაღიზიანება. მაგალითად, უცხო სხეულის მოხვედრით, ხანგრძლივი ყეფით, ცივი საკვების ან წყლის მიღებით, მოჭერილი საყელოთი და ასე შემდეგ. ჩემი რჩევა იქნება, ძაღლი ვეტერინარს უჩვენოთ, რომელიც დასვამს ზუსტ დიაგნოზს. ცხოველის დათვალიერების გარეშე კი ამ კითხვაზე 100-პროცენტიანი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

**კითხვა: მაინტერესებს, ცოფთან დაკავშირებით ინფორმაცია. აცრა მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი თუ ცხოველი გვიკბენს, თუ გაკაწვრის დროსაც საჭიროა?**

**პასუხი:** ცოფი ხელწამოსაკრავი თემა ნამდვილად არ არის. მხოლოდ კბენის შემთხვევაში კი არა, აცრის გაკეთება გაკაწვრის შემთხვევაშიც საჭიროა. ვინც საჭიროების დროს უყურადღებოდ ტოვებს ცხოველის ნაკბენს, ხშირად სავალალო შედეგით სრულდება ეს მისთვის. ამიტომ, თუ შემთხვევით, ცხოველი კბილს გაგკრავთ, ან გიკბენთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც შესაბამის მკურნალობას ჩაგიტარებთ. გახსოვდეთ, ცოფი მსოფლიო მნიშვნელობის დაავადებაა, რომლის აღმძვრელის წყაროდ შინაური და გარეული ცხოველი ითვლება. კბენის დროს ვირუსი ხვდება ქსოვილში, საიდანაც ცენტრალურ ნერვულ სისტემაში გადადის პერიფერიული ნერვების საშუალებით. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 12 დღიდან ერთ წლამდე, მაგრამ ძირითადად, მისი ხანგრძლივობა 4-6 კვირაა. აღნიშნული პერიოდი მცირდება ვირუსის მაღალი კონცენტრაციის დროს და თავსა და კისერზე კბენის დროს.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორი პირობები უნდა შევუქმნა აგავას, რომ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** აგავას განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება. ის ზამთრის დაბალ ტემპერატურასაც კი უძლებს, მთავარია, მშრალ ადგილას არ გედგათ. როდესაც მცენარე ზრდის პერიოდში იქნება, რეგულარულად უნდა მორწყათ. ზამთარში ყურადღება მიაქციეთ, რომ მიწა მთლიანად არ გამოუშრეს. მორწყვიდან მორწყვამდე კი მიწას შეშრობა უნდა აცადოთ.

**კითხვა: როგორ მოვუარო ადიანტუმს, რომ მალე გაიზარდოს და როგორ მივცე სასურველი ფორმა?**

**პასუხი:** ადიანტუმისთვის ფორმის მიცემა ძალიან იოლია. თუ გსურთ, რომ სიმაღლეში მალე გაიზარდოს, ტენი არ უნდა მოაკლოთ. თუ მისი ფორმა აღარ მოგეწონებათ, შეგიძლიათ, გაკრიჭოთ, ან, ყველა რტო ძირში მოაჭრათ. ახალი ყლორტები მალე ამოუვა. გირჩევთ, რომ ეს გაზაფხულზე გააკეთოთ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ალოეს ხშირად მორწყვა?**

**პასუხი:** ალოეს მიწა ზაფხულში ტენიანი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ზედმეტი წყალი არ მოგივიდეთ – შეიძლება, ამით მცენარე დაზიანდეს. მჭიდროდ ჩარიგებულ ფოთლებს წყალი არ მიაკაროთ. ორ კვირაში ერთხელ მიაწოდეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქი, ზამთარში კი უფრო იშვიათად სჭირდება წყალი, თუმცა, მიწის გამოშრობაც არ არის სასურველი. ამ დროს მას დამატებითი კვებაც არ სჭირდება.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ მოქმედებს ბრუგმანსიაზე ტემპერატურა და მზე?**

**პასუხი:** თუ ბრუგმანსიას მიწა ტენიანი ექნება, ზაფხულის მცხუნვარე მზე ვერაფერს ავნებს. მას სინათლე უყვარს და, გირჩევთ, ნათელ სასტუმრო ოთახში მოათავსოთ. მთელი წლის განმავლობაში იდეალურია 16-25 გრადუსი, თუმცა, ზამთარში 4 გრადუსსაც აიტანს.

**კითხვა: ბინაში მაქვს კამპანულა, რომელსაც სოკოვანი დაავადება შეეყარა. იქნებ, მირჩიოთ, როგორ დავეხმარო?**

**პასუხი:** ზამთარში კამპანულა აუცილებლად ადვილად გასანიავებელ და მშრალ ადგილას უნდა დადგათ. ზამთრის „ძილის" წინ ის აუცილებლად უნდა გაასუფთაოთ. ასევე, საჭიროა დამჭკნარი ყვავილების მოშორება – ამით მცენარეს ყვავილობასაც გაუხანგრძლივებთ. ეცადეთ, წყალი ფოთლებს არ მოხვდეს, რომ არ დაულპეს.

**კითხვა: ჩემს ცეროპეგიას ღეროები ძალიან გაეზარდა. ხომ არ აჯობებს, ქოთანი შევუცვალო?**

**პასუხი:** ქოთნის შეცვლა არ არის საჭირო, უბრალოდ, ისეთ ადგილას უნდა მოათავსოთ, რომ ღეროებს გაზრდაში ხელი არ შეუშალოს. მისთვის შესაფერისი ადგილია ჩამოსაკიდი კალათა ან თარო, სადაც მზე კარგად აცხუნებს. ამ მცენარეს პირდაპირი შუქი არ მოაკლოთ, თორემ, ცუდი და მეჩხერი ფოთლები ექნება.

**კითხვა: რა სიხშირით უნდა მოვრწყათ ციპერუსი?**

**პასუხი:** ამ მცენარის ფესვები მუდამ ტენიანი უნდა იყოს. მოზრდილ მცენარეს ზაფხულში ბევრი წყალი სჭირდება, ამიტომ, ქოთანი ღრმა, წყლიან ჯამში ჩადგით, საიდანაც მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. მზეზე მყოფ მცენარეს მაღალი სინესტე სჭირდება, რათა ფოთლის წვეროები არ გაუხმეს.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ვაზ 2107", 25 წლის. მაინტერესებს, რამდენს უნდა წვავდეს ას კილომეტრზე? ასევე, ზამთრისა და ზაფხულის წვას შორის არის თუ არა რაიმე სხვაობა?**

**პასუხი:** ასე, ერთმნიშვნელოვნად, ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რამდენი ლიტრი საწვავი შეიძლება, დაწვას თქვენმა ავტომობილმა ას კილომეტრზე. ამაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს – გააჩნია, მართვის რეჟიმს და იმ ადგილებს, სადაც მოძრაობა გიწევთ. ამას ემატება ასაკი, შესაბამისად, დეტალების ცვეთა, რომელიც საწვავის მომატებას აუცილებლად გამოიწვევს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ ავტომობილს ყოველ ას კილომეტრზე შეიძლება, დააწვევინოთ როგორც 9, ასევე 15 ლიტრი საწვავი. რაც შეეხება სეზონურ წვას, ის, რა თქმა უნდა, იცვლება. ზამთარში ავტომობილი უფრო მეტ საწვავს მოიხმარს, ვიდრე ზაფხულში, რადგან ტემპერატურის იმ კონდიციას, როცა მინიმალური საწვავი სჭირდება, ის გვიან აღწევს, ანუ გვიან თბება.

**კითხვა: გთხოვთ, დამიხასიათოთ ახალი „აუდი ა 4" 2.0 ან 3.0 აღჭურვილი ძრავებით. რომელი ჯობია, უფრო სწორად, საქართველოს გზების პირობებში – რომელი უფრო გამძლეა? როგორი სავალი ნაწილი აქვს და გამძლე თუა? ხომ არ ჯდება ამორტიზატორები სწრაფად? ან მის გადაცემათა კოლოფს („ტიპტრონიკს") რამე პრობლემა ხომ არ ექმნება? რამდენად ეკონომიური და სწრაფია და რა სუსტი მხარეები აქვს ორივეს?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

**პასუხი**: თქვენ, ალბათ, 2005-2008 წლის მოდელებზე საუბრობთ. ალბათ, ძრავების მოცულობა ძალიან ბევრ კითხვაზე გცემთ თავისთავად პასუხს.

2.0-იანი ძრავათი აღჭურვილი მოდელები მუშაობენ როგორც ბენზინის, ისე დიზელის სისტემაზე, ხოლო 3.0-ანი დიზელის სისტემაზე. კარგი იქნებოდა, კონკრეტულად გეთქვათ, რა ტიპის ძრავაზეა საუბარი. ამიტომ, ჩვენ ამ ძრავებზე ზოგად მონაცემებს შემოგთავაზებთ. რაც შეეხება სიმძლავრესა და სისწრაფეს 2.0 „ტედეი" ბენზინზე მომუშავე ძრავა გამოიმუშავებს, 138 ცხენის ძალას და მისი მაქსიმალური სიჩქარე 211 კილომეტრია საათში. 3.0-იანი „ტედეი" ძრავა კი 230 ცხენის ძალას გამოიმუშავებს და მისი მაქსიმალური სიჩქარეა 246 კილომეტრი საათში. გარდა ამისა, არსებობს „ტე ეფესაი", „დეტეემ ედიშენ" და სხვა ტიპის 2.0-იანი ძრავები, რომლებსაც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მონაცემები აქვს. რაც შეეხება ამორტიზაციის სისტემას და სავალი ნაწილის გამძლეობას, ზოგადად „აუდის" მარკაზე გეტყვით, რომ ის ნაკლებად ადაპტირებულია ქართულ რეალობაზე, ანუ, არათანაბარ გზის საფარზე და სხვა. მისი დაკიდების სისტემა ძალიან ბევრი დეტალისგან შედგება, რათა უკეთესი მანევრი უზრუნველყოს. ეს კი საქართველოში ძალიან ბევრ თავსატეხს აჩენს იმ შემთხვევაშიც, თუ ავტომობილის რომელიმე პატარა ნაწილი მაინც გაფუჭდა. „ტიპტრონიკი" არის ავტომატური მართვის კოლოფის დანამატი, რომელიც შეიქმნა მათთვის, ვინც ამ ტიპის კოლოფისგან უფრო მეტს ითხოვდა, მაგრამ არც მექანიკა იზიდავდა. „ტიპტრონიკს" ძალიან სერიოზული მოფრთხილება სჭირდება, რადგან პრობლემები ხშირად აქვს, ანუ ხშირად ფუჭდება და აღდგენა საკმაოდ ძვირი ჯდება.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: ჩემს მეზობლად არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ მის ნაკვეთთან მისასვლელი გზა თვითნებურად მიიერთა და გზის ხარჯზე გააფართოვა თავისი ნაკვეთი, ახლა კი მე მთხოვს, ჩემი ნაკვეთიდან მივცე გზა, რადგან, მეუბნება, რომ სხვა გზა არ აქვს და კანონით ეკუთვნის ჩემს ნაკვეთზე გზის გატარება. გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა მეზობელს, მოცემულ შემთხვევაში, ჩემთვის გზის მიცემის მოთხოვნის უფლება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, თქვენ არ ხართ ვალდებული, მისცეთ ასეთ თავნება მეზობელს გზა.

**კითხვა: ავაშენე საცხოვრებელი სახლი. მშენებლობის დასრულების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სახლის მცირე ნაწილი მეზობლის ნაკვეთშია გადასული, რაც მანამდე არ ვიცოდი. მეზობელი მთხოვს, დავანგრიო სახლი, რომლის შენებაც უკვე დასრულებული მაქვს; წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ განახორციელებს ჩემი სახლის მის ნაკვეთზე არსებული ნაწილის დემონტაჟს. გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა მას ჩემი სახლის თუნდაც მის ნაკვეთზე არსებული ნაწილის დანგრევის უფლება და როგორ უნდა დარეგულირდეს მოცემული შემთხვევა სამართლებრივად?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა საკუთარი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა. ამასთან, საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია, გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად, წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი. შესაბამისად, თქვენს მეზობელს თუ არ განუცხადებია წინასწარ ან შეტყობისთანავე თქვენთვის საზღვრის დარღვევის შესახებ, მას არ აქვს უფლება, განახორციელოს თუნდაც მის ნაკვეთში არსებული თქვენი სახლის ნაწილის დემონტაჟი, მაგრამ, ამასთანავე, თქვენ ვალდებული ხართ, ყოველწლიურად იხადოთ ფულადი კომპენსაცია.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შედეგები მოჰყვება დამქირავებელი პირისთვის, თუ გამქირავებელი გაყიდის ბინას, რომელიც გაქირავებული აქვს. არის თუ არა ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებული, აუცილებლად დატოვოს ბინა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, თუ პირი შეიძენს გაქირავებულ ბინას, მაშინ ის იკავებს გამქირავებლის ადგილს. შესაბამისად, თუ არსებობს ქირავნობის ხელშეკრულება, ურთიერთობები ახალ მესაკუთრესთან დარეგულირდება ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**კითხვა: სესხად მაქვს გაცემული თანხა, რომელზეც არ არსებობს წერილობითი დოკუმენტი. ვალს მევალეც აღიარებს ზეპირ საუბრებში. გთხოვთ, მაცნობოთ, არის თუ არა საკმარისი ვალის დასადასტურებლად მევალის ზეპირი აღიარება?**



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> ანატოლ ფრანსი

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, ანუ, ვალის არსებობის აღიარება, აუცილებელია აღიარება გაფორმდეს წერილობითი ფორმით. თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების, ანუ, გადახდის საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ, ამ შემთხვევაში, ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

სენაკის სოფელი
ჩვენი ზღაპარი ხარზე
პატარა ძაღლი
წიაღისეულის ადგილი
სოფიკო „ჩვენ ეზოში“
ქართ. ფილმი მეშახტეებზე
თერძის იარაღი
აისი, ცისკარი
რამაზ ჩხიკვაძე “ქინქრაქაში“
ჩიტი (ძვ.)
კუჭის პრობლემა
წრის ნაწილი
გასეირნება ქალაქგარეთ
ერთად ანუ?
ჩვენი მგოსანი
თოვლი და.....
....გურგულია
ბერძენი გოლიათი
სხეული
სამიზნის ცენტრი
ზოგი მარგებელია
უნგრელი კომპოზიტორი
გველის მჭამელი
წავედით! ძვ.თბილისურად
ბრძენი „სალამურაში“
სარქველი
ტიბეტური ხარი
რაჭაშია
ძვ.მომღერალი (......) რიდი
„სახელი“ ინტერნეტში
ჩვენი მხატვრული ფილმი „ქალაქი (.......)“
კომიკოსი (......) ნილსენი
პატარა არჩილი
ევროპის ქვეყანა
ოპტიკური მინა
ქალის სახელი
თუნდაც ივრითი
ციმბირის ქალაქი
ვორერამდეა
ზღვარი ანუ?
ეკლესიის მუშაკი
ჯოხი ძველქართულად
კორეის ფული
ქართული გაზეთი
ხორცი
ფანჯარაც აქვს
პუშკინის ბრძნეული
(.......) ჭყონია
საბჭოელი მზვერავი
(......) შოუ
უკრაინის პარლამენტი
ხალხური სიბრძნე
(......)-ჭორა
(......) გაბუნია
მერიის შენობა
რუსი ნიკოლოზი
(......) აბაშიძე
საკლასო ინვენტარი
სამკურნალო მცენარე
წვერის სალებავი
შავი ზღვის კურორტი
გაზი
დიდი ხევი ამერიკაშია
ცხრილის შემადგენელი ნაწილი
სიმონა დოლიძე არის
ჯორჯია (.....) ლაინი
მუცლის გამობერილობა
მწერალი (.....) აბაშიძე
ნაკეცებიანი კაბა
ჩაკეტილი ქუჩა
რჩეული საზოგადოება
(.....) ელიავა
ჩინური ფული
ჯავახიშვილის სასწავლებელი
გოგენის საყვარელი კუნძული
(......) ფოცხიშვილი, პოეტი
ძვ.ქართველი ფეხბურთელი
ის, რაც მე მეკუთვნის
ე.წ. „ჭრელი მთები“ აზიაში
ქალაქი კუნძულ კორსიკაზე
პატარა
ჩილელი პოეტი პაბლო....
მთიელთა სოფელი
მცირე ფასის
განთიადი
ვარდობისთვე
ფეხბურთის მატჩის ნახევარი



| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | 3 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 2 | 1 | 2 | | | | 1 | | | | | | | |
| | | | | | | | | 7 | | 1 | | | 3 | 2 | 1 | | | | | 1 | 2 | 1 | 2 | | 1 | | 7 | | | | | | | |
| | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | 7 | | 1 | | 4 | | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | | | | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | | 1 | | 7 | | 2 | 3 | 4 | |
| | 2 | 5 | 9 | 11 | 14 | 13 | | 1 | 3 | 8 | 4 | 8 | 4 | 2 | 2 | 2 | | | 2 | 1 | 2 | 4 | 8 | 3 | 8 | 3 | 1 | 2 | 13 | 14 | 11 | 9 | 5 | 2 |
| 4 | 2 | 2 | 2 | 1 | 4 | 2 | 17 | 4 | 12 | 3 | 12 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 12 | 3 | 12 | 4 | 17 | 2 | 4 | 1 | 2 | 2 | 2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 3 |
| | | | | | | 2 | 2 |
| | | | | | 1 | 1 | 2 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | | | 2 | 3 | 1 |
| | | | | | | 2 | 2 |
| | | | | | 3 | 3 | 3 |
| | | | | 4 | 2 | 2 | 4 |
| | | | 5 | 1 | 1 | 3 | 5 |
| | | 4 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 |
| | | | 2 | 3 | 1 | 1 | 2 |
| | | | 2 | 6 | 2 | 2 | 6 |
| | | | | 2 | 8 | 3 | 8 |
| | 1 | 5 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 |
| | | | | 17 | 3 | 5 | 2 |
| 3 | 3 | 1 | 4 | 4 | 1 | 3 | 2 |
| | | | | 5 | 3 | 5 | 2 |
| | | | | 4 | 2 | 2 | 4 |
| | | | | | | 9 | 9 |
| | | | | | | 10 | 10 |
| | | | | | | 11 | 11 |
| | | | | | | 12 | 12 |
| | | | | 5 | 5 | 5 | 5 |
| | | | | 5 | 4 | 4 | 5 |
| | | | | 4 | 4 | 4 | 4 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | | 3 | 2 | 2 | 3 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 2 |
| 3 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 |
| | | | | 6 | 6 | 6 | 6 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 5 | | 4 | 7 | 1 | | 3 |
| | 2 | 9 | 3 | | 1 | | 8 | |
| | 1 | | 9 | | | 4 | | 2 |
| 6 | | 7 | 8 | | 9 | | 4 | 1 |
| | 3 | | | 5 | 6 | 2 | | 9 |
| 2 | | 4 | | 7 | | 8 | | |
| | 8 | 1 | 6 | | 4 | 5 | | 7 |
| 9 | | 2 | | 1 | | | 3 | 4 |
| 5 | | | 7 | | 2 | | 1 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 7 | | | | 1 | |
| 4 | | | | | 2 | 8 | | 5 |
| 2 | | 5 | 1 | 3 | | | 7 | |
| | | | | 6 | | 5 | | |
| 8 | | 7 | 3 | | | 6 | | 9 |
| | 9 | | 5 | | 7 | | | |
| 5 | | | | 7 | | | 9 | |
| | 4 | | | | 3 | 1 | | |
| | 1 | 3 | | 2 | | 7 | | 8 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. მისავალკუთხედის ფორმით დაიწყეთ არიელის ხატვა
2. ჩახატეთ თვალები და წარბები
3. შემდეგ – ცხვირ-პირი
4. მიახატეთ ტანი
5. შემდეგ – თმა
6. „კუდის“ არ დაგავიწყდეთ
7. დაასრულეთ ნახატი
8. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## დათვალე ფუტკრები



## გლეხი და გველი

### (იგავ-არაკი)

ზამთარში გლეხმა სიცივით გათოშილი გველი ნახა, შეეცოდა და უბეში ჩაისვა. გველმა, როგორც კი გათბა და ღონე მიეცა, თავისი კეთილისმყოფელი დაკბინა

თუ კაცი ბუნებით ბოროტია, რაგინდ სიკეთეც არ უნდა უყო, თავის ბოროტებას მაინც არ მოიშლისო.

## რიცხვრებუსი

,,,7, 10, ,8, ,,2



# რით ხიბლავთ ადამიანებს

*ძირითადად კი საპირისპირო სქესს? საინტერესოა, შეესაბამება თუ არა თქვენი წარმოდგენა საკუთარ თავზე რეალობას.*

*გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს.*

**1. რის მიღება გსურთ პარტნიორისგან?**

ა) მხურვალე სიყვარულის;
ბ) კომფორტისა და კეთილდღეობის;
გ) ძვირფასი საჩუქრების.

**2. იმისათვის, რომ პარტნიორი გააოგნოთ:**

ა) სხეულზე ვიზრუნებ განსაკუთრებულად;
ბ) ძვირფასად ჩავიცვამ;
გ) შევეცდები, ვიყო სექსუალური.

**3. ადამიანში გიზიდავთ:**

ა) მისი სექსუალური გამოცდილება;
ბ) მატერიალური მდგომარეობა;
გ) გარეგნობა.

**4. თქვენ რითი იზიდავთ საპირისპირო სქესს?**

ა) შარმით, იუმორით, ხალისით;
ბ) გარეგნობით;
გ) ჭკუით.

**5. სასიყვარულო ღამის აუცილებელი ატრიბუტებია:**

ა) სექსუალური, ძვირფასი თეთრეული;
ბ) რომანტიკული ვახშამი;
გ) რომანტიკული გარემო, სანთლები, არომატები.

**6. საყვარელ ადამიანთან რა თემაზე ისურვებდით საუბარს?**

ა) ლიტერატურაზე, კინოზე;
ბ) მის ყოფილ შეყვარებულებზე;
გ) თქვენს ურთიერთობებზე.

**7. პარტნიორი გიყვებათ ანეკდოტს, რომელიც უკვე იცით...**

ა) ისე მოვიქცევი, თითქოს პირველად მოვისმინე;
ბ) შევაწყვეტინებ;



გ) თავად მოვუყვები ამ ანეკდოტს ბოლომდე.

**8. გიყვართ გემრიელად ჭამა?**

ა) ხანდახან;
ბ) არა, არ მიყვარს;
გ) ჩემი საყვარელი კერძია პიცა და შემწვარი კარტოფილი.

**9. როცა იწყებს ლაპარაკს თავის უსიამოვნებებზე სამსახურში...**

ა) ინტერესით ვუსმენ;
ბ) ვცდილობ, იქაურობას გავეცალო;
გ) საშინლად მოვიწყენ.

**10. თქვენი აზრით, სექსი არის...**

ა) ყველაზე სასიამოვნო საქმე;
ბ) არც ისე მნიშვნელოვანი რამ;
გ) მამაკაცისთვის სასიამოვნო გასართობი.

**11. რა ფერის თეთრეულს ანიჭებთ უპირატესობას?**

ა) წითელს;
ბ) თეთრს;
გ) შავს.

**12. გაღელვებთ, რას ლაპარაკობენ ახლობლები თქვენზე?**

ა) აბსოლუტურად სულერთია;
ბ) კი, ძალიან მაღელვებს;
გ) ცოტათი მანერვიულებს.

*თუ თქვენს პასუხებში სჭარბობს „ა" ვარიანტი: თქვენზე ადამიანები ჭკუას კარგავენ. გადასარევად იცით, როგორ გამოიყენოთ თქვენი პლუსები. ჭკვიანიც ხართ და მომხიბვლელიც. ვინ გაუძლებს ასეთ ტანდემს?!*

*თუ პასუხების უმრავლესობა არის „ბ" ვარიანტი: სიყვარული დიდად არ გაღელვებთ. თუმცა, შესაძლოა ჯერ არ გამოჩენილა თქვენს ცხოვრებაში ადამიანი, რომელიც თქვენში ამ გრძნობას გააღვივებდა. ცოტა მეტი თავისუფლება გამოიჩინეთ ურთიერთობაში, მით უფრო, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან.*

*თუ პასუხების უმრავლესობაა „გ" ვარიანტი: საოცრება ხართ იმ ადამიანისთვის, რომელიც მართლა გიყვართ. ძალიან სექსუალური, ძლიერი და საინტერესო ხართ, მაგრამ ყველასთან არ იხსნებით. პირიქით, საზოგადოებაში ზედმეტად თავდაჭერილიც კი ბრძანდებით. ზოგჯერ ეს ურთიერთობებში პრობლემებს გიქმნით.*

## „ცხელი ყინული"

ზამთრის ოლიმპიადებს ხშირად ახლავს სერიოზული კურიოზები, თოვლით მდიდარ ქვეყნებშიც კი.

95 500 000 ლიტრი წყალი გადააქციეს თოვლად ვანკუვერში, როცა ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ. თოვლის დასამზადებელი სპეციალური ქვემეხები დღე და ღამე შეუსვენებლად მუშაობდნენ.

1928 წელს ქალაქ სანკტ-მორიცაში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სამი დღის განმავლობაში პლუს ოცდახუთი გრადუსი იყო და ციგურებით სრიალში შეჯიბრება რამდენჯერმე გადაიდო. სხვათა შორის, ვანკუვერშიც, ოლიმპიადის დროს ხშირად იყო ტემპერატურა პლუს 10 გრადუსი, რაც კანადისთვის საკმაოდ უჩვეულოა.

1964 წელს ინსბრუკის ოლიმპიურ თამაშებზე თოვლი არ მოვიდა. ოლიმპიადა რომ არ ჩაშლილიყო, მთებში საგანგებოდ მოჭრეს და ქალაქში ჩამოიტანეს 20 000 კვადრატული მეტრი თოვლი.

1976 წელს მონრეალის ოლიმპიური თამაშები გახსნილი წესიერად არც იყო, რომ კოკისპირულმა წვიმამ ოლიმპიური ცეცხლი პირდაპირ ცენტრალურ სტადიონზე ჩააქრო.

რვა სპორტსმენი ქალიდან ექვსმა სითბური ტრამვა მიიღო და გული პირდაპირ ფინიშზე წაუვიდათ – ამსტერდამში ზამთარს ოლიმპიურ თამაშებზე 1928 წელს, თხილამურებით 800-მეტრიანი ტრასის გარბენისას.

ხელოვნური ყინული ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად გამოიყენეს ინსბრუკში 1964 წელს.

ყველაზე დასამახსოვრებელი, თავისი უცნაურობებით იყო ზამთრის ოლიმპიური თამაშები ლეიკ-პლესიდში 1980 წელს. ჯერ ერთი, რომ სპორტსმენების დასაბინავებლად მცირეწლოვან დამნაშავეთათვის აგებული ბარაკები გამოიყენეს და მეორე – ისე დაცხა, რომ თოვლი დადნა და ოლიმპიადა ორ დღეში დასრულდა.

სამხრეთ ამერიკა, აფრიკა და ანტარქტიდა – აი, ის სამი ქვეყანა, სადაც ოლიმპიური თამაშები არასდროს ჩატარებულა.

## იმპერიები და კოლონიები...

მეოცე საუკუნის დასაწყისი გამორჩეულია იმით, რომ იმ პერიოდისთვის არსებულმა ყველა იმპერიამ ნელ-ნელა უარი თქვა თავის კოლონიებზე.

თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე ნეაპოლის სამეფოს რამდენიმე კოლონია ჰქონდა: სარდინია, სიცილია, ლომბარდია, პარმა.

ყველაზე დიდ იმპერიებს შორის ლიდერობენ ბრიტანეთისა და დიდი მონღოლეთის, ასევე რუსეთის იმპერიები. რუსეთი მესამე ადგილზეა ტერიტორიების ფართობით.



ბრაზილიის ფართობი 8 514 877 კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა – 192 572 039 ადამიანია. როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობის რაოდენობით, ბრაზილია სიდიდით მეხუთეა მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, 1822 წლამდე ბრაზილია პორტუგალიის, მასზე 100-ჯერ პატარა ქვეყნის კოლონიად ითვლებოდა (პორტუგალიის ფართობი მხოლოდ 92 391 კვადრატული კილომეტრია).

**გვერდი მოამზადა ელენე წულუკიძემ**

# სინდისის კარნახით

## უილიამ აირიში

ლარის უზომოდ უყვარდა მამა. სიტყვები არ სჭირდებოდა იმის მისახვედრად, რას გრძნობდა, ან განიცდიდა მშობელი. პლაჟიდან დაბრუნებული მაშინვე მიხვდა, რომ სახლში, მათ ლაჟვარდოვანი სანაპიროს ფეშენებელურ აგარაკზე, რაღაც უბედურება მოხდა. მისტერ ვიკსი სასტუმრო ოთახში, სავარძელზე იჯდა და საკუთარ ხელებს ჩაშტერებოდა.

– მამა! – ფრთხილად დაუძახა ლარიმ.

კაცს მისთვის არ შეუხედავს, ისე დაიწყო ლაპარაკი.

– მე ის მოვკალი... ჩემი ცოლი, დორისი. ამ ხელებით დავახრჩვე. მღალატობდა. ერთმანეთს აქ, ამ სახლშიც კი ხვდებოდნენ. ამიტომაც დავახრჩვე.

ლარი მასთან მივიდა და მხარზე დაადო ხელი.

– ვიცოდი იმ ტიპის არსებობის შესახებ, მაგრამ ვდუმდი. დორისი ხომ შენი ცოლი იყო. ახლა რა უნდა ვქნათ?

– პოლიციაში წავალ და ყველაფერს ვაღიარებ, – ამოიოხრა მისტერ ვიკსმა.

ლარი შეხტა.

– არავითარ შემთხვევაში. ამას არ დავუშვებ. შენ არ დაგაპატიმრებენ. მე ვიზრუნებ ამაზე.

– კი, მაგრამ როგორ?

– აქეთ რომ მოდიოდი, ვინმემ განახა?

– მგონი, არა.

– სასწრაფოდ გაემგზავრე და კლუბში მიდი. მთელი საღამო იქ იყავი და ერთხელ სახლშიც დარეკე. მოგვიკითხე ისე, რომ იქ მყოფებმა ეს გაიგონ. დარეკე, იმხიარულე. ერთი სიტყვით, დაამახსოვრე თავი ადამიანებს. გვამზე მე ვიზრუნებ და მოვიშორებ. ყველაფერი კარგად იქნება, მამა.

– კი, მაგრამ ლარი, შენ რა შუაში ხარ. სინდისი არ მომცემს საშუალებას, ამ ამბავში გაგხვიო, ჩემო ბიჭო, არ შემიძლია.

– მამა, ჩემთვის გაცილებით აუტანელი შენი ციხეში ყოფნა იქნება ქურდებსა და ავაზაკებს შორის. ჩქარა წადი, დროს ნუ კარგავ და შეიქმენი ალიბი.

დედინაცვალი ლარიზე მხოლოდ ათი წლით უფროსი იყო, მაგრამ ეს კიდევ არ გახლდათ დიდი უბედურება. ახალგაზრდა, ქერა ლამაზმანი ქმარს ქორწინების პირველივე წლიდან ღალატობდა. ვიკსს ცოლად ფულისა და კეთილდღეობის გამო გაჰყვა. თუმცა, ლარის ის მაინც არ სძულდა. ახალგაზრდა კაცს მხოლოდ სიყვარული შეეძლო და მთელი გულით უყვარდა მამა. დორისი ლოგინზე გარდიგარდმო იწვა. ყელზე თითების კვალი აჩნდა. სხეულს უკვე მოესწრო გაშეშება, მაგრამ ძალიან მძიმე არ იყო. შევძლებ. მე გავაკეთებ ამას, მე შევძლებ. თანაც ისე გავაკეთებ, რომ პასუხი მთავარმა დამნაშავემ აგოს, იმ კაცმა, რომელთანაც დორისი დროს ატარებდა. სწორედ ის არის დამნაშავე და არა მამა. საზიზღარი ნაძირალა. რატომ გააბა რომანი გათხოვილ ქალთან? ლარიმ გვამი და ოთახი კარგად დაათვალიერა. უსისხლოდ ჩადენილ მკვლელობას თავისი უპირატესობები ჰქონდა. ლარი დაფიქრდა. ისევ ქვემოთ ჩავიდა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

– ალო, სასტუმრო „პინედისთან" დამაკავშირეთ და მისტერ გორდონს სთხოვეთ... დიახ, მისტერ გორდონ, მისის ვიკსის დავალებით გირეკავთ, რესტორნის მეტროდოტელი ვარ. მისის ვიკსს ნიუ-იორკიდან მეგობრები ეწვივენენ და გთხოვთ, ორ საათში მანქანით მიაკითხოთ რესტორანში, რომელიც ფიჭვნართანაა. იცით, ხომ?

– დიახ, დიახ. მისის ვიკსს უთხარით, რომ ვიპოვი რესტორანს.

„იპოვი, რა თქმა უნდა," – გაიფიქრა ლარიმ, – „პირველად ხომ არ მიდიხარ იქ? რამდენიმეჯერ მინახავხარ ჩემს დედინაცვალთან ერთად. გაზღვევინებ ყველაფრისთვის."

გვამი ფრთხილად ჩამოიტანა მეორე სართულიდან. შუა ოთახში გაფენილ დიდ ხალიჩაზე დააწვინა და შეახვია მასში. ასე შეძლებდა მისი სახლიდან გატანას ისე, რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, თუ ცნობისმოყვარე მეზობლები კითხავდნენ, ეტყოდა, რომ ხალიჩაზე ღვინო დაეღვარა და ქიმწმენდაში მიაქვს. ასეც მოიქცა. საბედნიეროდ, ისეთი დრო იყო, დასასვენებლად ჩამოსული ადამიანები ან პლაჟზე უყურებდნენ ჩამავალ მზეს, ან რესტორნებში ვახშმობდნენ. ლარიმ დორისის ოთახიდან, ერთი სამაჯური აიღო, რომელსაც ზედ ქალის სახელი და ინიციალები ჰქონდა ამოტვიფრული. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა. ერთი-ორმა მეზობელმა დაინახა, როგორ ჩადო დახვეული ხალიჩა „პიკაპის" ძარაში, მაგრამ ამაში რა იყო გასაკვირი. მხოლოდ ის, რომ ხალიჩა გასარეცხად გვიან საღამოს მიჰქონდა?! მანქანა ნელა მიუახლოვდა ფიჭვნარს და ისე გაჩერდა, რომ ლარის გზაზე მომავალი მანქანა შეემჩნია. დანიშნულ დროს ისიც გამოჩნდა. მანქანა ფიჭვნარის სიღრმეში, მოფარებულ ადგილას გაჩერდა, სადაც ყოველთვის აჩერებდა ხოლმე და ლოდინი დაიწყო. ლარიმ ეს ყველაფერი გათვალა. ისიც ზუსტად იცოდა, როდის ევსებოდა მოთმინების ფიალა და არც შემცდარა. დორისის საყვარელმა რამდენჯერმე გაბმით მისცა სიგნალი. ეს მათი ნიშანი იყო. მერე მანქანიდან გადავიდა და რესტორნისკენ გაემართა, რომელიც საკმაოდ მოშორებით აღმოჩნდა იმ ადგილიდან. ლარი „პიკაპიდან" გადმოვიდა. ხალიჩაში გახვეული გვამი მანქანიდან ჩამოიღო, ხალიჩა შემოხსნა და ნელა წაათრია დორისის საყვარლის მანქანამდე. გვამი უკანა სავარძელზე მოათავსა, სამაჯურიც იქვე მიაგდო და თავისი მანქანისკენ სირბილით წავიდა. ხალიჩა აღარც გახსენებია. „პიკაპი" მთელი სისწრაფით მოსწყდა ადგილს და წინ გავარდა. გზაჯვარედინზე პოლიციელმა გააჩერა.

– ახალგაზრდავ, სად გეჩქარებათ?

– ბოდიში, დამნაშავე ვარ. უნდა დამირეკონ და მინდა, სახლში დროზე მივიდე, – თქვა ლარიმ და მაშინვე ინანა.

სახლს რომ მიუახლოვდა, კოტეჯი განათებული დახვდა, არადა, კარგად ახსოვდა, შუქი გამოსვლისას გამორთო. მამა ისევ სასტუმრო ოთახში იყო და მას ელოდებოდა.

– რატომ არ ხარ კლუბში? მამა, ასე ადრე რატომ დაბრუნდი?

– არ შემიძლია. უნდა წავიდე პოლიციაში. რა უყავი გვამი?

– არ მკითხო. უამრავი შეცდომა დავუშვი. ხალიჩა ტყეში დამრჩა. პოლიციელს ვუთხარი, რომ სატელეფონო ზარს ველოდებოდი – შენ კი მოულოდნელად უნდა დაგერეკა. მეზობლებმაც დამინახეს ხალიჩას მანქანაში რომ ვდებდი. წავიდეთ, მეც გამოგყვები.

– გამომყევი, მაგრამ იცოდე, მთელ დანაშაულს მხოლოდ ჩემს თავზე ვიღებ, არ მინდა, შენც დაგღუპო.

ლარიმ უსიტყვოდ დაუქნია თავი.

პოლიციის განყოფილებაში შესამჩნევი ჩოჩქოლი იყო. ლარიმ მამა გარეთ დატოვა და შიგნით ჯერ თვითონ შევიდა. სერჟანტმა თავი ასწია და შეხედა.

– რამე მოხდა?

– დიახ, განცხადება უნდა გავაკეთო. ლარი ვიკსი ვარ და დორის ვიკსის თაობაზე მოვედი. ის მამაჩემის მეორე ცოლი იყო.

სერჟანტმა მოულოდნელად თანაგრძნობით დაუქნია თავი.

– მესმის, მისი გაუჩინარების თაობაზე უნდა გვაცნობოთ?

– დიახ, – ლარიმ მექანიკურად დაუქნია თავი. სერჟანტმა წინ სამაჯური დაუდო.

– ეს მისი ხომ არ არის?

– დიახ, – ლარი ნელ-ნელა მოეგო გონს და ხვდებოდა, რომ რაღაც წარმოუდგენელი ხდებოდა, – მამამ აჩუქა. ზედ მისი სახელია ამოტვიფრული.

– ჰო, ამ ინიციალებით ამოვიცანით. მისი თანამგზავრის ვინაობას კი ჯერაც ვადგენთ. თუ მანქანის პატრონი ის არის.

– კი, მაგრამ. რა მოხდა?

– საშინელი ავარია. ნახევარი საათის წინ მამაკაცმა, რომელიც თქვენს დედინაცვალთან ერთად იყო მანქანაში და საჭესთანაც, სავარაუდოდ ის იჯდა, მართვა დაკარგა და წინ მიმავალ სატვირთო ავტომობილს მთელი ძალით შეეჯახა, მერე კი ხევში გადავარდა. მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. გვიან ჩავაქრეთ, როცა მივედით, გვამები თითქმის დანახშირებული დაგვხვდა. სატვირთო მანქანის მძღოლმა თქვა, ჩამქრალი ფარებით მოდიოდნენო. ეტყობა, იმ ტიპმა ბევრი დალია. თანაგიგრძნობთ.

– ნება მომეცით, ეს საშინელი ამბავი მამაჩემს თავად ვუთხრა. ის გარეთ მელოდება, – ჩაილაპარაკა ლარიმ, რომელსაც კიდევ არ სჯეროდა სიტუაციის ამგვარი შემობრუნების.

სერჟანტმა ისევ თანაგრძნობით დაუქნია თავი.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-5(684)**

გიორგი დილით სამსახურში მიდიოდა, ღამეს კი საკმაოდ მოუწყობელ პალატაში ათევდა. სამი დღე და ღამე ისე გავიდა, დიმიტრისთან არათუ მტერი, მნახველიც კი არავინ მოსულა. მეოთხე დღეს გიორგი



პროფესორთან მივიდა და უთხრა, ჩემს ღამისთევებს აზრი არ აქვს, ფიზიკურადაც აღარ შემიძლია. მირჩევნია, სამსახურის შემდეგ მოვიდე და რამდენიმე საათს დავრჩეო. ქებაძე დაეთანხმა. წასვლის წინ გიორგი მზიასა და სანიტარს მოელაპარაკა და, დაღლილი, მაგრამ, გულდამშვიდებული გავიდა კლინიკიდან.

შეშინებული მზია დიმიტრის პრაქტიკულად აღარ ტოვებდა მარტოს. იყო თუ არ იყო საჭირო, თავთან ეჯდა და მზად იყო, დაუპატიჟებელ სტუმართან ხელჩართული ბრძოლის გასამართავად. ჯანიანი სანიტარი ქალი კი ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში შემოდიოდა და მზიას ეკითხებოდა, ხომ მშვიდობააო.

დიმიტრი თავიდან არ აქცევდა ყურადღებას თავის გარშემო შექმნილ უცნაურ სიტუაციას, მაგრამ, მერე და მერე შენიშნა მზიას დაძაბულობა და ჰკითხა, რა ხდებაო.

– არაფერი, ბატონო დიმიტრი. ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ რეანიმაციაში მედპერსონალის მეტს არავის აქვს შემოსვლის უფლება! რა ხდება, ვერ გავიგე, ვისაც არ ეზარება, ყველამ თქვენს საწოლს უნდა დაარტყას კრუგი! ერთი კიდევ შემოუცდეს ვინმეს ფეხი, ნახავს, რა ჩიტსაც დაიჭერს! – დაიმუქრა მზია და თავის სათაყვანო პაციენტს შიშველ დუნდულაზე გამეტებით დაარჭო ნემსი.

– ვაი! – შეჰყვირა დიმიტრიმ, – რა იყო, ქალო, ჩემზე იყრი ჯავრს? – და გამწარებულმა დაიზილა ნანემსარი.

– მაპატიე, ბატონო დიმიტრი, მაგრამ, ისე ვარ გაცოფებული, ძალა ველარ მოვზომე, – შეწუხდა მზია და, ის იყო, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ დერეფანში ჩოჩქოლი შეიქნა. შეშფოთებულმა ექთანმა მიატოვა უკანალგაშიშვლებული ავადმყოფი და ძუნძულით გაიქცა კარისკენ, რათა გაეგო, რა ხდებოდა, რომ, ამ დროს, რეანიმაციის კარი ვიღაცამ ფეხით შემოანგრია და მთელი ხმით იყვირა:

– მაჩვენეთ, სად წევს ის ახვარი, ჩემი თვალით უნდა ვნახო, როგორ ამოსდის სული, მე მაგის დედაც!..

აგრესიულ უცნობს მთელი განყოფილება ეცა და წუთში გააკავეს, მაგრამ, ის მაინც მთელი ხმით ღრიალებდა:

– მოკვდი, შე ნაბიჭვარო! მეშინოდა, შენზე ადრე მე არ ამომხდომოდა სული, მაგრამ, ღმერთი მაღალია, იცის, პირველი ვინ უნდა მოაშოროს ადამიანებს; თუმცა, შენ ისეთი ჩათლახი ხარ, იქაც რამე გოთვერნობას ჩაიდენ და იქიდანაც აგიკრავენ გუდა-ნაბადს. მოკვდი, შენი დედაც! ჩაძაღლდი და დაასვენე ეს ქვეყანა, შე ახვარო!

რამდენიმე წუთში პატრულიც მოვიდა, უცნობ მამაკაცს ხელბორკილი დაადეს და პალატიდან გაიყვანეს. აღელვებული მედპერსონალი ერთმანეთს ეკითხებოდა, ყველა აქ ვიყავით და ისე როგორ შემოგვეპარა, რომ ვერავინ შევამჩნიეთო. ამ არეულობაში ავადმყოფი არავის გახსენებია. უცნაური ხრიალი რომ მოესმათ, ყველა ერთად გაჩუმდა და საწოლისკენ გაქცეულ მზიას გააყოლეს თვალი.

– მიშველეთ, ირაკლი ექიმო! – იყვირა ექთანმა. შეშინებულმა ქებაძემ ძლივს მოიყვანა დიმიტრი გონს.

ცოტა ხნის შემდეგ პროფესორმა პოლიციაში დარეკა და სთხოვა, თუ შეიძლება, დაკავებულის დაკითხვას დავესწრებიო. ქებაძე ძალიან აღელვებული იყო. რაც ეს ავადმყოფი დააწვინა თავის კლინიკაში, დაძაბულობა და უსიამოვნება არ ელეოდა, მაგრამ, დაკითხვაზე დასწრება ძალიან უნდოდა. წასვლის წინ დიმიტრისთან შეიარა, მზიას სათანადო მითითებები დაუტოვა, სხვა ავადმყოფებიც მოინახულა და პოლიციის განყოფილებაში წავიდა.

მის კლინიკაში დაკავებულ მამაკაცს პროფესორი ირაკლი ქებაძე ცხოვრებაში პირველად ხედავდა.

ორმა პოლიციელმა ოთახში შემოიყვანა, უფრო სწორად, შემოიტანა დაკავებული, რომელიც ქაღალდივით იყო გაფითრებული და ფეხზე ძლივს იდგა.

– ვინ ხართ და რა გინდოდათ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– მე გუგა ვარ, იმ ახვარის ყოფილი მეგობარი. ჩვენ ერთად გავიზარდეთ და მაგრა ვძმაკაცობდით, მაგრამ, ერთხელაც, ეს ნაბიჭვარი მოვიდა და, სწორედ იმ დღეს, როდესაც ყველაზე ბედნიერ კაცად მიმაჩნდა თავი, სულში ჩამაფურთხა, მე კი ვერაფრით გავუწიე წინააღმდეგობა. მას შემდეგ ამერია ცხოვრება და მსოფლიოში ყველაზე უბედურ კაცად ვიქეცი. ამდენი წელია, ამ მომენტს ველი და ამას გავუშვებდი ხელიდან?! თანაც, მეშინოდა, ვაითუ, ვერ მოვასწრო-მეთქი.

– რა მომენტი ვერ გაუშვით?

– რომ მივსულიყავი და ნიშნი მომეგო – მე ცოცხალი ვარ, ჯერ კიდევ ფეხზე ვდგავარ, შენ კი კვდები-მეთქი. მინდოდა, როგორც მან ჩამაფურთხა სულში, მეც ისევე მოვქცეოდი, ოღონდ, მარტო სულში კი არა, სახეშიც მიმეფურთხებინა და მეთქვა, რომ, დიდი ხანია, ერთით ერთია, თანაც, თვითონ მომცა ამის შანსი, მაგრამ, თქვენ არ მაცალეთ და, ალბათ, ველარასოდეს ვეტყვი, რადგან, არც მე მიწერია დიდი დღე.



ერდო ჯგუფი
როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიშა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მალაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..................................
მარიკა 599 24 28 31

– რატომ, ნარკოტიკის გამო? თქვენ ხომ ახლაც „წამლის“ ზემოქმედების ქვეშ ხართ! – „უიაზვა“ პოლიციელმა, – ხომ იცით, რომ ამის გამო კარგა ხანს მოგიწევთ ციხის კედლებში ყურყუტი?

– ჩემი განარკომანებაც მაგ ნაბიჭვრის ბრალია, მაგრამ, ყველაფერზე მალე აგებს პასუხს. რადგან ასეთ მდგომარეობაში ვნახე, ახლა სიკვდილისაც აღარ მეშინია. ის კი არა, შეიძლება, უფრო სახალისოც კი იყოს, ერთად თუ გავუყვებით ჯოჯოხეთის გზას...

– კი, მაგრამ, ასეთი რა გჭირთ? – დაინტერესდა გამომძიებელი.

– მეტი რაღა უნდა მჭირდეს? ღვიძლი, პრაქტიკულად, აღარ მაქვს... თან, სიმართლე გითხრათ, აღარც მინდა სიცოცხლე – ასეთ ყოფას რა აზრი აქვს?! მოვკვდები და სანთელს არავინ ამინთებს, ჭიქა ღვინოს არავინ წამიქცევს საფლავზე – ვის რაში ვჭირდები უშვილძირო, ხელიდან წასული არაკაცი?!. ისე ჩამაგდებენ მიწაში, ცრემლი არავის გადმოუვარდება... ის კი არა, ალბათ, საფლავამდეც არავინ მიმაცილებს...

## დაკითხვა

გუგას წინასწარი ორთვიანი მიუსაჯეს და ბრალად ნარკოტიკების მოხმარება და მკვლელობის მცდელობა დასდეს. საბოლოოდ რას მიუსჯიდნენ, მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ გახდებოდა ცნობილი.

დაკითხვაზე შეყვანილი გუგა „წამლის“ ზემოქმედების ქვეშ აღარ იყო, თუმცა, ისე იქცეოდა, გამომძიებელს ეჭვი გაუჩნდა, ვინმემ გარედან ხომ არ შეუგზავნა ნარკოტიკიო. მაგრამ, ეს გამოირიცხა, რადგან, ჯერ ერთი, მის მოსაკითხავადაც კი არავინ მისულა, თანაც, იზოლატორშიც და ციხეშიც ისეთი სიმკაცრე იყო, თანამშრომლებიდან ვერავინ გაბედავდა ასეთ რისკზე წასვლას.

ირაკლი ქებაძე დაძაბული იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ყოველი ღერის შემდეგ მუჭით იყრიდა პირში ვალიდოლის აბებს. ამ ხნის კაცი იყო და მსგავს სიტუაციაში არასდროს აღმოჩენილა. საერთოდ, ყოველთვის შორს იყო პოლიციისგან და, მით უმეტეს, გამოძიებისგან. ახალგაზრდობაც ისე გაატარა, ციხისა და დამნაშავეების შესახებ წიგნებიდან ან დეტექტიური ჟანრის ფილმებიდან თუ იცოდა რამე და, რატომღაც, ეგონა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ წიგნებისა და ფილმებისთვის იყო მოგონილი, ან, სადღაც სხვაგან, ისე შორს ხდებოდა, რომ თვითონ არასოდეს მოუწევდა მსგავს სიტუაციებთან შეხება.

გუგა რომ შემოიყვანეს დაკითხვის ოთახში, მის შემხედვარე პროფესორს გული გაუხდა ცუდად და გამომძიებელი იძულებული გახდა, ეთქვა, თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, დაკითხვას თქვენ გარეშე ჩავატარებო, მაგრამ, ექიმი თავს მოერია და უარი თქვა. იცოდა, რომ აქ მეორედ ველარაფრით ველარ მოვიდოდა და, რადგან უკვე იჯდა იმ ცოდვით სავსე ოთახში, გადაწყვიტა, ბოლომდე გაეძლო. თან, სიმართლეც უნდა ითქვას: ცუდად ყოფნისა და მღელვარების მიუხედავად, აშკარად გრძნობდა, რომ მასაც მოერია ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე – გულის სიღრმეში ინტერესი თუ ცნობისმოყვარეობა კლავდა, ვინ იყო ეს ხელიდან წასული კაცი, რა საქმე და რა საერთო ჰქონდა მის, ერთი შეხედვით, რესპექტაბელურ პაციენტთან.



გამომძიებელს ირაკლი ქებაძის დაკითხვაზე დასწრება, მოწმის სტატუსის გარდა, სხვა მიზნითაც უნდოდა: ის გამოცდილი ექიმი იყო და გუგას ფსიქოლოგიური შეფასება აინტერესებდა, რადგან, თავად გამომძიებელსაც ეპარებოდა ეჭვი, რომ გუგა ლამის მომაკვდავი პაციენტის მოსაკლავად შეიპარა რეანიმაციულ პალატაში. უთხრა კიდეც ქებაძეს, სანამ ეჭვმიტანილს შემოიყვანდნენ – აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოსო. ექიმსაც ეჭვი ჰქონდა, რომ პალატაში გუგას შეჭრა უფრო ისტერიკა იყო, ვიდრე მკვლელობის მიზანი და ამაში მაშინ დარწმუნდა, როდესაც სპეციალურ ოთახში შეიყვანეს და უზარმაზარი მინის იქით, გრძელი მაგიდის ერთ თავში, უკვე დაწყნარებული ბრალდებული დასვეს. ირაკლი ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, რამდენადაც მათ შორის არსებული მინა და მანძილი მისცემდა ამის საშუალებას, მისი თვალები დაენახა, კარგად დაჰკვირვებოდა სახეზე და მისი ფსიქოტიპი ამოეცნო.

„გუგა სანებლიძე, დაბადებული 1969 წელს, თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი. ჩაირიცხა ასპირანტურაში და დისერტაციაც თითქმის მზად ჰქონდა, მაგრამ, მოულოდნელად, ყველაფერს თავი მიანება და სახლიდან წავიდა. თითქმის ერთი წლის განმავლობაში არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი, მერე კი გამოჩნდა, მაგრამ, წარმატებული და იმედის მომცემი ასპირანტის ნაცვლად, იმედგაცრუებულ და დამწუხრებულ მშობლებს ჩაძირული ნარკომანი და ცხოვრებაზე გამწარებული და ხელჩაქნეული შვილი შერჩათ ხელში. მიზეზს დღემდე არავინ ამხელს, თუმცა, გამოჟონილი ინფორმაციით, ამ ყველაფრის მიზეზი ქალია”... – გამომძიებელი ნელა, თითოეული სიტყვის გამოკვეთით კითხულობდა მოპოვებულ ინფორმაციას და ყოველი ფრაზის შემდეგ თვალებში შეჰყურებდა მის მოპირდაპირე მხარეს მჯდარ გაფითრებულ ეჭვმიტანილს, რომელიც თვალებგაფართოებული შესცქეროდა მას და ისე უსმენდა, ძნელი მისახვედრი იყო, რისი ეშინოდა – რამე არ გამოეჰპარვოდა თუ, გამომძიებელს ის არ ეთქვა, რისი გაგონებისაც მას ყველაზე მეტად ეშინოდა.

სიტყვა „ქალის“ ხსენებაზე გუგა ისე შეკრთა, სუნთქვაც კი შეეკრა და ისედაც გაფითრებული სახე მთლად მიტკლისფერი გაუხდა.

– კარგად გიმუშავიათ, ბატონო გამომძიებელო, ოღონდ, ჩემთვის რომ გეკითხათ, ამ ყველაფერს თვითონ გეტყოდით და ამდენი წვალება აღარ დაგჭირდებოდათ, – დაფარული სიმშვიდით შეაწყვეტინა გუგამ.

ირაკლი ქებაძე დაჟინებით მისჩერებოდა შუშის მიღმიდან და, პირველი, რაც მან იგრძნო და გაიფიქრა, ის იყო, რომ ეჭვმიტანილის სკამზე არ იჯდა ვიღაც ვიგინდარა და პოტენციური მკვლელი. მართალია, მისი შემხედვარე ადამიანისთვის ეს ძნელად დასაჯერებელი და თითქმის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ, ექიმმა თავისი შეუმცდარი პროფესიული ინტუიციით, გუგას ხმის ტემბრითაც კი იგრძნო, რომ მის წინ იჯდა არა ყველაფერ ცუდზე წამსვლელი ნაძირალა, არამედ, ყოფილი მამაკაცი, ყოფილი წესიერი ადამიანი, რომლის ცხოვრებაშიც, ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, ყოველივე კარგი – „ყოფილის“ კატეგორიაში იყო გადასული. ეს იყო უბედური კაცი, ფსკერზე დაშვებული, არარაობად ქცეული არსება, რომლის ხმასა და გამომეტყველებაშიც, მხოლოდ ახლა, როცა წამლის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა, თითქოს გამოჟონა ძველმა, მივიწყებულმა და თითქმის სამუდამოდ დაკარგულმა საკუთარი ღირსების შეგრძნებამ. ის შეძლებისდაგვარად გამართული იჯდა და სევდიანი, ჩამქრალი თვალებით შესცქეროდა გამომძიებელს. ეს იყო ბედს დამორჩილებული ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ უმოწყალოდ დაწიხლა და მერე დაუნდობლად მიაგდო გვერდზე, რომ გამვლელ-გამომვლელს მასზე ფეხი შეეწმინდა. გამვლელ-გამომვლელი უამრავზე უამრავი იყო, ფეხის შეწმენდის მსურველი კი – გაცილებით მეტი. რაღაც მომენტში ირაკლი ქებაძემ მის სხეულზე თითქოს ნაფეხურებიც კი დაინახა და შეშინებულმა თავი გაიქნია, რომ ეს მოლანდება მოეშორებინა..

გამომძიებელს გაუკვირდა ეჭვმიტანილის მშვიდი ტონი, მაგრამ, იფიქრა, შემთხვევით ვისარგებლებო და ჩაეკითხა:



ღუნა და თქვა:

– მკითხეთ, ყველაფერზე გიპასუხებთ, ოღონდ, ქალი არ ახსენოთ.

– კარგი, შევეცდები, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ვფიქრობ, მოგვიწევს ამ თემაზე საუბარი.

– არა-მეთქი! ეს თემა სამუდამოდ დახურულია. იმ ქალის სახელს აქ ვერავინ ახსენებს. თუ ისევ ასე გააგრძელებთ, საერთოდ არაფერზე აღარ გიპასუხებთ!

– არ მიპასუხებ და ისევ შენთვის იქნება ცუდი.

– ყველაფერს მეტყვი?

– ყველაფერს, რაც გაინტერესებთ.

– მაშინ, იმ ქალის შესახებ მიამბე.

– ვინ ქალის? – თითქოს გამოფხიზლდა გუგა.

– აი, წელან რომ გითხარი. გამოჟონილი ინფორმაციით, შენი განარკომანების მიზეზი ქალი ყოფილა, თორემ, მანამდე თითით საჩვენებელი, უწესიერესი, ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა იყავი, მაგრამ, ვიღაც გოგოს გამო...

– გაჩუმდი! – არაადამიანური ხმით იღრიალა გუგამ, სკამიდან წამოიწია, მაგიდას მუშტებით დაეყრდნო და გამომძიებლისკენ გადაიხარა, – არ გაბედო! არ გაბედო იმის ხსენება! ის შენი „ვიღაც გოგო“ არ არის! მეტად აღარ გაიმეორო, თორემ, საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ! მე რაც გინდათ, ის მიყავით, რაც გინდათ, მკითხეთ, ის კი თქვენი განსჯის საგანი არ არის, გასაგებია? – ყალყზე დამდგარ გუგას სახეზე არაადამიანური ტკივილი და მრისხანება ერთად ჰქონდა აღბეჭდილი და მთელი სხეული ერთ დიდ, მოჭიმულ ზამბარას მიუგავდა. მის ყვირილზე დაკითხვის ოთახში დაცვის ორი თანამშრომელი შევარდა, მაგრამ, გამომძიებელმა ხელის აწევით შეაჩერა.

– კარგი, დაწყნარდი. ბოდიშს გიხდი, თუ რამე ზედმეტი მომივიდა, – უკან დახევა არჩია გამომძიებელმა და ოთახში წყლის შეტანა მოითხოვა.

გუგამ სულმოუთქმელად გადაკრა ერთი ჭიქა წყალი და შედარებით დაწყნარებული დაუბრუნდა თავის სკამს.

– მზად ხარ? განვაგრძოთ?

გუგამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და სიგარეტი ითხოვა. გამომძიებელმა თვითონ მოუკიდა თავის სიგარეტს და მიაწოდა. გუგამ ორი-სამი ნაფაზით ჩაიყვანა სიგარეტი ფილტრამდე, მერე თავი ჩა-

**განცხადება**

იყიდება ღვინის კასრები (მუხის, 225-ლიტრიანი; საფრანგეთიდან ჩამოტანილი) და ღვინის სხვა მოწყობილობები, შეღავათიან ფასებში.

**ტელ.: 599-13-07-65, ლუკა.**

– ვიცი, მაგრამ, მაინც ასე იქნება.

– კარგი. დიდი ხანია, იცნობ დიმიტრი ჩაჩავას?

– ბავშვობიდან.

– კარგი ურთიერთობა გქონდათ?

– ძმაკაცები ვიყავით.

– რატომ შეწყდა თქვენი მეგობრობა?

– დიმიტრიმ კაცობას უღალატა.

– რაში გამოიხატებოდა ეს ღალატი?

– ამას არ ვიტყვი. ეს მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება.

– მერე როგორ გაგრძელდა თქვენი ურთიერთობა?

– არანაირად, – გუგამ პაუზა გააკეთა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, – ურთიერთობა არანაირად აღარ გაგრძელებულა, უბრალოდ, ცხოვრება გაგრძელდა. უფრო სწორად, დიმიტრისთვის – ცხოვრება, ჩემთვის – არსებობა.

– ანუ? – ჩაეკითხა გამომძიებელი.

– ანუ, დიმიტრის ჰყავდა ცოლი, შვილები, ჰქონდა სამსახური, სხვათა შორის, ფულიც არ აკლდა, მე კი სასოწარკვეთილებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და ნამდვილ არარაობად ვიქეცი – ნარკოტიკში ვიპოვე შვება. არც არავინ აღმოჩნდა ისეთი, ხელი შეეშალა ამ საქმეში და, მეც, კი არ დავეშვი, გავწექი ფსკერზე. ჩემი მშობლებიც ამაზე დარდს გადაჰყვნენ, მაგრამ, ამანაც არ მიშველა, არ გამომაფხიზლა. უკვე ყველა და ყველაფერი ფეხებზე მეკიდა, უპირველეს ყოვლისა კი – საკუთარი თავი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ფეხებზე მეკიდა, თან, საშინლად მძულდა, მეზიზღებოდა, რადგან, ვგრძნობდი, რომ, ყველაფერი, რაც მოხდა, ჩემი სისუსტის ბრალი იყო... – გუგას ხელები აუკანკალდა და ისევ სიგარეტი მოითხოვა.

გამომძიებელმა ისევ თავის სიგარეტს მოუკიდა და მიაწოდა. ორიოდე წუთი ხმა არც ერთს არ ამოუღია. გამომძიებელი უყურებდა ამ ოდესღაც სიმპათიურ, ჯერ კიდევ არცთუ ხნიერ კაცს და გრძნობდა, როგორ ეცვლებოდა მის მიმართ განწყობა ცუდიდან კარგისკენ.

– პირველად როდის გასინჯე ნარკოტიკი?

– სწორედ იმ პერიოდში, როცა სასოწარკვეთილებისგან თავის მოკვლას ვაპირებდი.

– ვინმეს მიაკითხე „წამლისთვის“?

– არავისთვის არ მიმიკითხავს. უბანში თითქმის ყოველი მეორე იკეთებდა და ერთმანეთმა შემომთავაზა – შენს დარდებს ეს უშველისო.

– მერე?

– რა – „მერე“? როგორც უშველა, თვითონ ხედავთ... – გუგამ ოფლით დაცვარული შუბლი ხელით მოიწმინდა და მოუსვენრად აწრიალდა, – ისევ დამეწყო...

– რა დაგეწყო? – უცებ ვერ მიხვდა გამომძიებელი.

– ლომკა დამეწყო, ძმაო და მეტს ვერაფერზე ვეღარ გიპასუხებ, ხვალისთვის გადავდოთ, თუ ხვალამდე გონს მოვედი...

გუგა გაიყვანეს. გამომძიებელი ექიმთან მივიდა:

– რას იტყვით, ბატონო პროფესორო?

– ჯერჯერობით ვერაფერს, გარდა იმისა, რომ საშინელმა სიბრალულმა შემიპყრო და, კიდევ, შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა, რომ ეს კაცი რეანიმაციაში ჩემი პაციენტის მოსაკლავად არ შესულა – ეს არ არის მკვლელის ტიპაჟი. თუმცა, უფრო დარწმუნებით, დაკითხვის დასრულების შემდეგ შემეძლება დასკვნის გამოტანა.

– მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა გამომძიებელი.

* * *

... დაკითხვა სამი დღის შემდეგ გაგრძელდა. ირაკლი ქებაძე ისევ მინის მიღმიდან ადევნებდა თვალს ამ პროცესს.

გუგა კიდევ უფრო გაფითრებული და დასუსტებული ჩანდა. ხელები უკანკალებდა, მთელი სხეული უთრთოდა და, თითქოს ვიღაცას რაღაცაზე ეთანხმებაო, პერიოდულად უცნაურად აკანტურებდა თავს.

გამომძიებელმა თანაშემწეს ყავა და სიგარეტი შემოატანინა და პატიმარს მაგიდაზე დაუწყო. გუგამ გაოცებით შეხედა და ირონიულად გაიცინა:

– რა ხდება, ბატონო გამომძიებელო, ქველმოქმედების აქცია გაქვთ ციხეში, ამ ყველაფრით ჩემი მოთაფვლა გინდათ თუ, უბრალოდ, გეცოდებით, რადგან, ხედავთ, რომ ჩემი დღეები დათვლილია?

– დალიე და მოწიე. საკანში ყავას არ მოგართმევენ. პასუხისთვის მზად რომ იქნები, მითხარი, – უპასუხა გამომძიებელმა და ოთახში გაიარ-გამოიარა, რომ ყავის დალევის დროს პატიმარს უხერხულობა არ ეგრძნო.

გუგამ ხარბად დალია ქაფქაფა ყავა და ნეტარებისგან ამოიკვნესა. მერე ზედიზედ სამი ღერი მოწია. გამომძიებელმა საფერფლე იქვე მდგარ პატარა ურნაში ჩაცალა და ისევ გუგას წინ დადო. ეს უფრო იმისთვის გააკეთა, რომ, ერთგვარად, კონტაქტი დაემყარებინა პატიმართან და, რაღაც დონეზე, მისი კეთილგანწყობა თუ ნდობა მოეპოვებინა.

გუგა გაოცებით ადევნებდა თვალს გამომძიებლის საქციელს და უცებ სიცილი აუტყდა.

– რა გაცინებს? – უხერხულობა იგრძნო გამომძიებელმა.

– არ გინდათ, ბატონო გამომძიებელო, ძალიანაც ნუ მოინდომებთ, თორემ, შევეჩ-

ვევი პატივისცემას და, საკანშიც რომ მოვითხოვ და არ შემისრულებენ თხოვნას, მეწყინება. ჰოდა, რომ მეწყინება, მერე სხვანაირად მოვიქცევი... – გუგა ცოტა ხანს გაჩერდა და ისევ გაეცინა, – მე მეგონა, ცემით მომკლავდნენ, ესენი კი ისე დამტრიალებენ, თავი ხუთვარსკვლავიან რესტორანში მგონია...

– დავიწყოთ? – შეაწყვეტინა მონოლოგი გამომძიებელმა.

– დავიწყოთ, – დაეთანხმა ოდნავ გამხნევებული და ხასიათზე მოსული გუგა.

– უფრო სწორად, განვაგრძოთ, – გამომძიებელმა შეუვალი სახე მიიღო, რადგან, ამ სიტუაციაში გუგას ფამილარობა არანაირად არ აწყობდა, – შენ თქვი, რომ ნარკოტიკი უბანში მოგაწოდეს და იმ დღის მერე დაიწყო ყველაფერი.

– არა, ბატონო გამომძიებელო, იმ დღის მერე კი არ დაიწყო, საბოლოოდ და სამუდამოდ დამთავრდა ყველაფერი.

– რა ყველაფერი? – ისევ ვერ მიხვდა გამომძიებელი.

– რა და, ცხოვრება, ბატონო გამომძიებელო, ცხოვრება დამთავრდა. მე იმ დღეს ფიზიკურადაც მოვკვდი და სულიერადაც, თუმცა, დღეს, ოცი წლის შემდეგაც კი, თქვენ წინ ვზივარ და გესაუბრებით. მაგრამ, მერწმუნეთ, მე ახლა მკვდარი ვარ, უფრო სწორად, გვამი ვარ, მოლაპარაკე გვამი...

– დიმიტრი ჩაჩავას აღარ შეხვედრიხარ?

– აღარ. თხუთმეტი წელი ისე გავიდა, ქუჩაშიც კი არ შემხვედრია, თუმცა, რამდენიმე წელი მეც არ ვიყავი საქართველოში.

– სად იყავი?

– რა ვიცი, ძირითადად რუსეთში დავხეტიალობდი, მერე კი ისევ აქეთ გამომიწია გულმა – ეტყობა, სადაც მეტად იტანჯები, იქ გირჩევნია ყოფნა.

– თავს რით ირჩენდი?

– ნელ-ნელა ყველაფერი გავიტანე სახლიდან. მერე კი ნულზე დავჯექი. სწორედ ამ პერიოდში შემხვდა დიმიტრი ქუჩაში: მაგარ კაიფში ვიყავი. სიგარეტი მომინდა და არ მქონდა. დავინახე, ფირმა მანქანა გაჩერდა და ვიღაც ტიპი გადმოვიდა იქიდან, ხელში სიგარეტის კოლოფი ეჭირა. პირდაპირ მივადექი და ერთი ღერი ვთხოვე. ცხვირაბზუებით შემომხედა, მაგრამ, სიგარეტი მაინც მომცა და მომიკიდა კიდეც. მადლობას რომ ვეუბნებოდი, მხოლოდ მაშინ შევხედე და, დიმიტრი არ შემრჩა ხელში?! მოვიკითხე. თვითონაც მიცნო. რომ გითხრათ, გაუხარდა-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ, არ შეიმჩნია და თვითონაც მომიკითხა – თავად როგორ ხარო. ვუთხარი, როგორც ვიყავი, თუმცა, რა თქმა უნდოდა, ეგრევე მეტყობოდა ყველაფერი. რა ჰქონდა მიზნად, არ ვიცი, მაგრამ, სამსახური შემომთავაზა, ოღონდ, იმ პირობით, წამალს თუ შევეშვებოდი. წესით, თავმოყვარე კაცს ასეთ შემოთავაზებაზე უარი უნდა ეთქვა, მაგრამ, რადგან აღარც თავმოყვარეობა გამაჩნდა და აღარც კაცი ვიყავი, მაშინვე დავთანხმდი. თან, გულის სიღრმეში, ალბათ, იმის იმედი მქონდა, უფრო სწორად, იმედის



პაწაწინა ნაპერწკალი, რომ, მასთან ახლოს ყოფნით, ოდესმე მაინც ჩამივარდებოდა ხელში შურისძიების მომენტი.

– როდიდან დაიწყე მასთან მუშაობა და რა თანამდებობაზე?

– მეორე დღიდან, ოღონდ, არანაირი თანამდებობა არ მქონია. თვითონ მოიგონა ეს თანამდებობა – თავის თანაშემწედ დამნიშნა და თანამშრომელთა ზედამხედველობა დამავალა, ანუ, ყურადღება უნდა მიმექცია, რომ ყველას წესიერად გაეკეთებინა თავისი საქმე. ხელფასიც ნორმალური დამინიშნა, მაგრამ, მანამდე კლინიკაში დამაწვინა და მკურნალობის ერთი კურსი იქ ჩამიტარეს.

– როგორ ფიქრობ, რატომ მოიქცა ასე?

– ეს მეც ვკითხე. მიპასუხა, შენთან დამნაშავე ვარ და, მინდა, გამოვისყიდოო.

– რაში იყო დამნაშავე?

– ეს მხოლოდ ჩვენ ორის საქმეა. ამის შესახებ არაფერს გეტყვით და ტყუილად თავს ნუ შეიწუხებთ კითხვების დასმით, – გუგამ აკანკალებული ხელით მოუკიდა სიგარეტს და ხარბად მოწია.

– მერე რა მოხდა?

– ისეთი არაფერი. მასთან დავიწყე მუშაობა. ორჯერ თუ სამჯერ ვიწექი კლინიკაში. მკურნალობის შემდეგ რაღაც პერიოდი ვიკავებდი თავს, მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ჭაობში ვეშვებოდი და ვალს ვალზე ვიმატებდი. რომ ველარ გავისტუმრე, თანხა ფირმის სეიფიდან მოვიპარე. ვიფიქრე, ხელფასიდან ნელ-ნელა შევავსებ-მეთქი, მაგრამ, არ გამომივიდა. ბოლოს კი ეს ამბავი დიმიტრიმ გაიგო და არ მაპატია. ჯერ ყველაფერი დამაყვედრა, მერე თანამშრომლების თვალწინ გამაბანძა და ბოლოს ბინა გამაყიდვინა, რომ ვალი დამეფარა. ასე დავრჩი ქუჩაში.

– ახლა სად ცხოვრობ?

– ნათესავს აქვს ერთი ოთახი იტალიურ ეზოში და იქ ვარ. იმას მაინც დაკეტილი ჰქონდა და შევეცოდე. თან, ძალიან სარემონტოა და, როცა ფხიზელი ვარ, ცოტა-ცოტას ხელს შევავლებ ხოლმე – მეხერხება ასეთი რამეები. მოკლედ, ქირის ნაცვლად, წესრიგში მომყავს იქაურობა.

– დიმიტრის რატომ მიუვარდი საავადმყოფოში?

– არ მივუვარდი. გავიგე, კვდებაო და, მინდოდა, სიკვდილის წინ მისთვის თვალებში ჩამეხედა.

– მისი მოკვლა არ გქონდა განზრახული?

– მაგდენი ვაჟკაცობა რომ მქონოდა, ამ ოცი წლის წინ მოვიკლავდი თავს, მაგრამ, ლაჩარი გამოვდექი. ახლა მის მოკვლას რაღა აზრი აქვს. პირიქით, მინდა, ცოტა ხანს კიდევ იცოცხლოს, ოღონდ, ისე, რომ ბოლო დღეები და თვეები წამებაში გაატაროს, მე კი ამას ვუყურო.

– რეანიმაციის პალატიდან პატრულმა რომ გამოგიყვანა, უთხარი, მინდოდა, დიმიტრისთვის მეთქვა, უკვე დიდი ხანია, ერთით ერთია და ანგარიშის გასწორების შანსი თვითონ მომცაო. რას გულისხმობდი?

– ოო... ეგ ის თემაა, რომელსაც ვერასდროს ვერავინ ვერ გაიგებს. მაგრამ, ეს სიბრაზით ვუთხარი. სინამდვილეში კი, ერთით ერთი კი არა... ამ ამბის ანგარიშის დადგენა შეუძლებელია, რადგან, ეს იყო ორი არაკაცის არაკაცური გარიგება თუ პირობა – არც კი ვიცი, რა დავარქვა. დიმიტრი ნაძირალაა და ნაძირლობა შემომთავაზა. მაგრამ, მეც ნაძირალა ვარ და, ეს შემოთავაზება არათუ მივიღე, შევასრულე კიდეც – მინდოდა ნიშნი მომეგო, მაგრამ, მას კი არა, საკუთარ თავს მოვუგე ნიშნი, თუმცა, იხტიბარი არ გავიტეხე და, მინდოდა, მისთვის მეთქვა, რომ ბოლოს მაინც დავამარცხე.

– რაში დაამარცხე?

– ყველაფერში. მეტს აღარაფერს გეტყვით ამის შესახებ.

– შიდსი მჭირსო, თქვი იმ დღეს. ეს მართალია?

– ზუსტად არ ვიცი, მგონი ვირუსმატარებელი ვარ.

– ეს, რამდენადაც ვიცი, ერთი და იგივე არ არის.

– ერთი და იგივეა, – გუგამ ახალ სიგარეტს მოუკიდა, – როცა გადადება შეგიძლია, განსხვავებას ვერ ვხედავ.

– ვინმეს გადასდე? – დაინტერესდა გამომძიებელი.

– არ ვიცი და ეგ მტანჯავს ყველაზე მეტად.

– შენ ვისგან აიკიდე?

– ეგ რომ ვიცოდე!.. მაგრამ, ჩემს შემთხვევაში დიაგნოზი ადვილი დასასმელია – ნახმარი შპრიცით! წადი და ამტკიცე, ტყუილიაო...

– და, კიდევ ერთი კითხვა: დიმიტრი ჩაჩავას სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი?

– არა, მორალური. თუმცა, ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ დანაშაულზე პასუხისმგებლობას არც ერთი ქვეყნის და არც ერთი ეპოქის კანონმდებლობას არ გაუთვალისწინებია და არც ახლა ითვალისწინებს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-5(684)

## გრძნობა და გონება

გიგიმ ბუხარში შეშა შეუკეთა და იქვე, პატარა სკამზე მოკალათდა. ზუკა, მოშორებით, ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე იყო წამოწოლილი და თვალებმილულულს არ ეტყობოდა, ეძინა თუ ელვიძა. გიგიმ რამდენჯერმე გახედა, მერე ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი.

– ქალები ყველანი ერთნაირები არიან, დავრწმუნდი. სულერთია, გინდა ბარბის გარეგნობის იყოს, გინდაც უპირატესობას ჯინსსა და ფართხუნა სვიტერს ანიჭებდეს, მაინც იდენტურად აზროვნებენ და მოქმედებენ. არაფრად ულირთ არც ურთიერთობა, არც სიყვარული. მოკლედ, ველარ გაიგებ, ღირს მათ გვერდით ცხოვრება, თუ არა.

– ამას ჩემს გასაგონად ამბობ? ტყუილად ირჯები.

– შენ რა შუაში ხარ? ჩემთვის ვლაპარაკობ, ჩემს გასაგონად. სულ ვფიქრობ, ისეთი რა ვაწყენინე ნინის, რომ ასე მსჯის.

– იქნებ არც გსჯის. რატომ გგონია, რომ სხვა კაცთან ურთიერთობა შენს გასამწარებლად წამოიწყო. რატომღაც, ძალიან მეპარება ეჭვი ამაში.

– სულ იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ძალიან ვუყვარვარ და ჩემს იქით ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ახლა რა გამოვიდა?! ცხოვრებაც წარმოიდგინა და კიდევ ბევრი სხვა რამეც. მე კი მაინც ცუდი ტიპი გამოვედი. ეს უსამართლობა არ არის?

ზუკამ ამოიოხრა:

– რა კარგად ვიყავი, სანამ პირს გააღებდი. აქაურობა ძალიან მომწონს. შეშის ტკაცუნი ბუხარში მამშვიდებს და თავს ისე უბედურად აღარ ვგრძნობ. სიამოვნებით დავრჩებოდი და ვიცხოვრებდი ამ სახლში, ყველას და ყველაფრისგან მოშორებით.

– ამას ახლა ამბობ, მაგრამ ერთ თვესაც ვერ გაძლებდი. თანამედროვე ადამიანები მეტისმეტად დამოკიდებულები გავხდით ცივილიზაციაზე, კომფორტზე. მე უკვე მაღიზიანებს ბოლის სუნი და ჭიდან წყლის ამოღებაზე ხომ, საერთოდ, ვცოფდები.

– კარგი, რა. პირიქით, უნდა გიხაროდეს, რომ ცოტა ხნით უჩვეულო სამყაროში აღმოჩნდი.

– მე რომანტიკოსი არ ვარ, სისხლსავსე ცხოვრება მიყვარს. წლები მიდის. სიბერეშიც მეყოფა ბუხართან ჯდომა და ნაცრის ქექვა. აქაც შენს გამო ვარ და სული კბილით მიჭირავს.

– რატომ? ხომ მშვიდად ხარ?

– მშვიდად? ამისთანა სიმშვიდე არ მომწონს და არც მინდა – უკმაყოფილოდ დაიღრიჯა გიგი – დასალევი კიდევ დაგვრჩა?

– დაგვრჩებოდა. მე თითქმის არ ვსვამ და შენ მაგდენს ვერ დალევდი. სამზარეულოში არ იყო არაყი?

– ალბათ. ადგომა და გამოტანა მეზარება. თან ერთჯერადი ჭიქებიც გაგვითავდა.

– ჭიქების მეტი რა არის სამზარეულოში?!

– ბიჭო, მერე იმ ჭიქებს გარეცხვა არ უნდა? ჭიდან ამოღებული წყლით გავრეცხო, თუ გასარეცხი დავტოვო?! ეგეთი უსინდისოც კი არ ვარ?! ჰო, მართლა, როცა წავალთ, ნაგავი არ უნდა დაგვრჩეს, საკმაოდ ბლომად დაგროვდა. გასაღებს რომ მივუტან იმ ბიჭს, ხომ უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი წესრიგში დავტოვე.

– ნუ მახსენებ, რომ უნდა წავიდეთ აქედან, – ამოიოხრა ზუკამ, – მით უფრო, რომ ჯერ ვერაფერი მოვიფიქრე. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ უნდა მოვიქცე.

გიგიმ ცეცხლის საჩხრეკით ალმოდებული შეშის ნაჭერი შეასწორა და თითქოს ზუკას ნათქვამი საერთოდ არ გაეგონოს, ჩაილაპარაკა:

– უჰ, ერთი ფინური აბანო დაგვეხატავდა.

– რა?

– ფინური აბანო-მეთქი. დიდი სიამოვნებაა, ფიქრებისგანაც კი გწმენს და თითქოს ახლიდან იბადები. მით უმეტეს, ცუდი ფიქრებისგან.

– ჩემს ბოსტანში კენჭებს ნუ ისვრი. პირობა ხომ მომეცი, ლიზაზე და მასთან ჩემს ურთიერთობაზე არ დამელაპარაკებოდი.

– შენ რომ გინდა, ამაზე გელაპარაკო? ვერ მომატყუებ, თვალებზე გატყობ. მე კი, ნინიზე ლაპარაკი მინდა.

– ვილაპარაკოთ, მერე... აღარ გინახავს?

– შენი გადამკიდე რას ვნახავდი? ძიძასავით დაგდევ უკან. აჰა, ახლაც აქ გიზივარ.

– მაყვედრი?

– არა. ფაქტს გიდასტურებ. თუმცა, ვაღიარებ, რომ ერთი-ორი დღე აქ ყოფნა მართლა კარგია. თოვლი, სუფთა ჰაერი, ხის სურნელი.

– ჰო, ძალიან მაგარია. ქალი რომ ვყოფილიყავი, საყვარელ მამაკაცს ვთხოვდი, ასეთი სახლი ეყიდა ჩემთვის და სრულიად ბედნიერი ვიქნებოდი. არც ინტერნეტი, არც სხვა საცდური.

– მთაშიც კი ვერ იპოვი ისეთ ქალს, აქ ცხოვრებით რომ ბედნიერი და კმაყოფილი იქნება. ადგილობრივი შინაბერაც კი გამოიდებს თავს.

– ვითომ? რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული. ნინითი და ლიზათი მსჯელობ?

– თუნდაც. თავიდან რა გითხარი? – ყველა ქალი ერთნაირია-მეთქი. ჰოდა, მაგ ყველაში ადგილობრივებიც შედიან.

ზუკამ თავი გააქნია.

– ვიღაც მაინც იქნება ბუნებრივი და ნატურალური.

– ბუნებრივი და ნატურალური?! – გიგი გაინაზა, – ფსიქოლოგები რომ ურჩევენ ხოლმე ფეშენ-გადაცემებში: „იყავი ის, რაც ხარ!” – სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. საკმარისია, ქალის ცხოვრებაში საინტერესო მამაკაცი გამოჩნდეს, რომ ეგრევე თამაშს იწყებს. ზოგი ნიჭიერად, ზოგიც უნიჭოდ. ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი არსია – სქესთა შორის ურთიერთობა რომ დგება დღის წესრიგში, სიტყვა „უბრალო” აბსოლუტურად უადგილო ხდება. არც ერთი ქალი არ შეეგუება იმას, რომ უბრალოება დააბრალონ. პირიქით, ტყავიდან ძვრებიან, რომ საკუთარი განსაკუთრებულობა დაგვიმტკიცონ.

– ახერხებენ კიდეც, – მოულოდნელად დაეთანხმა ზუკა, – ლიზამ დამიმტკიცა, რომ განსაკუთრებულია. თუმცა, უჩვეულო არაფერი გაუკეთებია.

– თავისი როლი შესანიშნავად ითამაშა, ისევე, როგორც ნინიმ, – კვერი დაუკრა გიგიმ.

– არ მესმის, თამაშს რას ეძახი. ვფიქრობ, ნინიც და ლიზაც აბსოლუტურად ინდივიდუალური ადამიანები, პიროვნებები არიან. უბრალოდ, ჩვენი სურვილები მათ სურვილებს არ დაემთხვა. ამაში მათ ბრალი არ მიუძღვით.

გიგიმ ირონიულად გაიღიმა.

– რა უცნაური ვინმე ხარ. ისევ საკუთარ თავს ადანაშაულებ, მასთან რომ არაფერი გამოგივიდა. აღარ გახსოვს, როგორ დაგემუქრა?

– ჰქონდა მიზეზი და დამემუქრა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი ადამიანია. პირიქით, თამაში რომ აღარ უნდოდა, არჩევანი ქმრის სასარგებლოდ გააკეთა. დარწმუნებულია, რომ მასთან უკეთესად იქნება. როგორ გავამტყუნო? რა გამიკეთებია მისთვის? – არაფერი. ჩვენი ხანმოკლე ურთიერთობის განმავლობაში ერთი ძვირფასი, ღირსეული საჩუქარიც კი ვერ ვუყიდე.

გიგიმ ხელები გაშალა.

– არა, რა, სულ გაგიჟდი. რად უნდოდა ცხოვრებით განებივრებულ ქალს შენი უბადრუკი საჩუქრები?

– რატომ არ უნდოდა? შენ რა, ვერ ხვდები, რას ვგულისხმობ? ლიზამ ჩემში ის რაინ-



დი ვერ დაინახა, რომლის გვერდითაც თავს უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნობდა. ვერ მიხვდა, რით ვიქნებოდი მე მის ქმარზე უკეთესი. ვერაფერი შევთავაზე, გესმის შენ?

– არა, არ მესმის და ვერც გავიგებ, – გაბრაზდა გიგი, – როგორი სულელი ხარ, თუ ფიქრობ, რომ ლიზას ოცნება თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდია, ან როდესმე ყოფილა. ჰყავს უკვე დამფინანსებელი და თავს დედოფლად გრძნობს. თანაც ისე, რომ მეფე არ სჭირდება.

– რამდენიც უნდა მელაპარაკო და ტვინი მიბურღო, მე მაინც ვრწმუნდები, რომ მართალი ვარ. ლიზამ სხვანაირი უნდა მნახოს, სხვა ზუკა უნდა დაინახოს ჩემში.

– შენ თვითგვემისკენ გაქვს მიდრეკილება. ამას უკვე ველარაფერს ვუშველი. უფრო სერიოზული დახმარება გჭირდება. მაგალითად, ფსიქოთერაპევტის.

– არ მჭირდება. არც გიჟი ვარ და არც ნერვული აშლილობის ზღვარზე ვდგავარ. შენთვის კი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. სწორი გადაწყვეტილება იყო, ჩემი აქ წამოყვანა.

გიგიმ ამოიოხრა.

– ეჰ, შედეგი მაინც ვერ დავდე ისეთი, როგორიც მინდოდა და რა გამოვიდა?!

ზუკამ გაიცინა.

– გამოვიდა ის, რაც უნდა გამოსულიყო. შენთან ვალში ვარ. თუ გინდა, მივალ ნინისთან და ვეტყვი, როგორ ძალიან გიყვარს.

– გმადლობ, მაგრამ საჭირო არ არის. როგორმე მე თავად მივხედავ საკუთარ პრობლემას, თუ ეს საერთოდ არის პრობლემა. შენი ეგ ღიმილი და გახალისება კი სერიოზულად მაფრთხობს.

– ნუ გეშინია, სისულელეს აღარ გავაკეთებ, – ისევ გაიღიმა ზუკამ.

– ანუ...

– ანუ, ლიზას ქმართან მისვლა დღის წესრიგში აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. ის კაცი არ არის დამნაშავე.

– ჰმ, დამნაშავე როგორ იქნება, როცა შენსავით, ისიც მსხვერპლია.

– მე არ მივიჩნევ საკუთარ თავს მსხვერპლად, – მხრები აიჩეჩა ზუკამ.

– არ მინდა, საპირისპიროს მტკიცება დავიწყო. აზრი არა აქვს, – ხელი ჩაიქნია გიგიმ – ეჰ, რაც არის, არის. მოდი, დავლიოთ. გავრეცხავ ჭიქებსაც. ნაბახუსევზე აღარ გამიჭირდება. გინდა, მოგიყვე ნინისთან როგორ იყო?

ზუკას განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოუხატავს, მაგრამ გიგისთვის ამას ნაკლებად ჰქონდა მნიშვნელობა.

– მოკლედ, ნინიმ თავისი უბრალოებით გამაოგნა და მიმიზიდა. დაღლილი ვიყავი გადაპრანჭული, ტუჩებგაბუსხული გოგოებით. ჰოდა, უცებ ნინი „გაიჩითა" ჯინსებში, კედებში და მამამისის სვიტერში. მოკლედ შეკრეჭილი თმითა და უზომოდ ბავშვური. მაშინ დავიჯერე, რომ ჩემი „კლონირების თეორია" სისულელე იყო.

– „კლონირების თეორია" რაღაა? – განცვიფრებისგან პირი დააღო ზუკამ.

– იყო დრო, როცა სერიოზულად ვმუშაობდი მაგ თემაზე. არ დაკვირვებიხარ, ადამიანები თავისნაირებს როგორ ამრავლებენ? პოპულარულ-წარმატებულებს ვგულისხმობ. თითქოს პატარ-პატარა კლონები ჩნდებიან, მათი უღიმლამო აჩრდილები. ნინი აშკარად გამოირჩეოდა ამ აჩრდილებს შორის და ვიფიქრე – აი, ვიპოვე ის ერთადერთი და ჩემთვის დაბადებული-მეთქი. იცი, როგორი ბუნებრივი და პირველყოფილი სილამაზე იყო? არაფერი განსაკუთრებული, არანაირი პარამეტრები და სამოცი ოთხმოცზე, მაგრამ გული წაიღო. ეგრევე შემიყვარდა, მაგრამ მერე... ეჰ, ჩემი ნინიც მალევე შეიცვალა და სამწუხაროდ, უარესობისკენ.

– იქნებ, შენ შეიცვალე?

– შეიძლება, არ უარვყოფ, მაგრამ ნინი... ვერ ვხვდები, რატომ გახდა ყველასნაირი.

– მაგრამ შენ ის მაინც გიყვარს, ხომ ასეა? აუცილებელი იყო, მისი დაკარგვის საფრთხე გეგრძნო, რომ ამას მიმხვდარიყავი?

– ჰო, ეგ ჩემთვისაც უსიამოვნო სიურპრიზი იყო.

ზუკამ თვალები მოჭუტა და უკვე სამზარეულოსკენ მიმავალ გიგის მიაძახა:

– იქნებ ესეც დროებითია. გიფიქრია ამაზე?

გიგი შემობრუნდა და მეგობარს ფიქრიანი მზერა მიაპყრო.



– რას გულისხმობ?

– გინდა, ნინი შეგირიგდეს? მართლა გინდა?

– ჰო. მინდა. ეჭვი გეპარება? რატომ?

– იმიტომ, რომ არ გითქვამს, მისი ცოლად შერთვა გინდა, თუ არა.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

– უდიდესი. ნინიმ თუ არ დაინახა, რომ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალე, აზრი არა აქვს შენს მცდელობებს.

– რა გინდა, ამით თქვა? ბეჭედი ვუყიდო და პირდაპირ ხელი ვთხოვო?

– დაახლოებით. მითხარი, მზად ხარ ამისთვის?

– არ ვიცი.

– ხედავ? მაგაშია საქმე. ჰოდა, გირჩევ, კარგად დაფიქრდე. წარმოიდგინე, რომ ნინი შენი ცოლია, ერთად ცხოვრობთ, შვილები გიჩნდებათ. შენ მათზე ზრუნავ...

გიგი გაფითრდა.

– გეყოფა. ნამდვილი სადისტი ხარ.

– პირიქით. მე იმას გეუბნები, რაც შენ არჩევნის გაკეთებაში დაგეხმარება. თუ საოცრება მოხდა და შეგირიგდა, იგივე შეცდომა აღარ უნდა დაუშვა.

– დავლიოთ, – მოკლედ მოჭრა გიგიმ და არყის შემოსატანად გავიდა.

* * *

– ნინიმ ლამის იყვირა. გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა და პირზე გაშლილი ხელისგული აიფარა.

– ვაიმე, ახლა რა უნდა ქნა?

– მოვიფიქრე უკვე. თუ გაბედავს და კიდევ ეცდება ჩემს სახლთან გამოჩენას, ლევანს ვეტყვი.

– გაგიჟდი? რას ეტყვი?

ლიზამ ირონიულად ჩაიცინა.

– რას და გიჟია-მეთქი, განვაცხადებ. ჩემი კლიენტი იყო და მას შემდეგ სულ ცდილობს, დამიახლოვდეს-მეთქი, გგონია, არ დამიჯერებს?

– შენ კი დააჯერებ, მაგრამ მაინც ძალიან ცუდი და უხერხული სიტუაციაა.

– ვინ ამბობს, რომ კარგად არის საქმე. იდიოტი, როგორი სულელი ყოფილა. ეს რომ სხვას შემთხვეოდა, სიცილით მოვკვდებოდი. მაგრამ, მანქანასთან რომ დავინახე, ლამის ცუდად გავხდი.

ნინიმ ამოიოხრა.

– ლიზ, მე ხომ არ შევხვდე და დაველაპარაკო? შენ ხომ არ იცი, რას მოიმოქმედებს.

– რა უნდა მოიმოქმედოს, მგონი, მაგრად შეეშინდა. ყოველ შემთხვევაში, დაფიქრდება.

– მე შენს ადგილას ასე მშვიდად ვერ ვიქნებოდი.

– არც ვარ, მობილურიც მაგიტომ გამოვრთე. ყოველთვის ყველაფერი ისე იყო, როგორც მე მინდოდა. გავგიჟდები, სიტუაციის კონტროლი რომ დავკარგო.

– ამიტომაც გეუბნები, მე ვნახავ-მეთქი. დაველაპარაკები და გავიგებ – რას ფიქრობს, რას აპირებს.

– გეტყვის? – ლიზა დაფიქრდა.

– ვეცდები, ვათქმევინო.

– არა. არ მინდა, ამ ამბავში გაგხვიო. თუმცა, მგონი, ცუდი არ იქნებოდა. მართლა დაელაპარაკები?

– ჰო. რა პრობლემაა?

– მაშინ კარგად მოვიფიქროთ, დავგეგმოთ და ისე, კარგი?

– კარგი. როცა მეტყვი და როგორც მეტყვი.

– ჯანდაბა. ორსულად არ ვიყო, მაგას ვუჩვენებდი, როგორ უნდა ჩემი შეწუხება და პრობლემების შექმნა.

– ორსულად რომ ხარ, სწორედ მაგან შექმნა პრობლემა. ლიზა, მართლა ზუკასგან ხარ ორსულად? – მორიდებით ჰკითხა ნინიმ და უხერხულობისგან გაწითლდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-5(684)**

– დიახ, ჯიქი. ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს თავის წრეში და თუ დროებით გავუშვებთ, შეიძლება, ბეჭედი მოიტანოს.

– ჯიქს ხომ მინიმუმ თხუთმეტწლიანი სროკი ელოდება და რომ გავუშვათ, აუცილებლად გაგვექცევა.

– ვცადოთ.

– მოიყვანე ჩემთან და დაველაპარაკოთ, – უთხრა მინისტრმა მოადგილეს და ნერვიულად გაიარ-გამოიარა კაბინეტში.

მინისტრთან რომ ჯიქი მიიყვანეს, გენერალმა ცნობილ ავტორიტეტს ყველაფერი მოუყვა და ჰკითხა:

– შეძლებ ჩვენს დახმარებას?

– ყოველ შემთხვევაში, შევეცდები. ამისთვის კი აუცილებელია, გამიშვათ და ხვოსტი არ გამომაყოლოთ, უპასუხა მინისტრს ჯიქმა.

– რომ გაგიშვათ და გაიქცე? მაშინ ისე გამოვა, ვაის გაყრას ვცდილობდით და ვაი და ვუი ერთად მივიღეთ.

– არ გავიქცევი. პატიოსან ქურდულ სიტყვას გაძლევთ, რომ თუ არ მოვკვდი, ჩემი ფეხით დავბრუნდები უკან.

ჯიქი გაუშვეს და მან სამ დღეში ბრილიანტის ბეჭედი მოიტანა, ქურდი, რა თქმა უნდა, არ გაუმჟღავნებია და იმავე დღეს საკანში დააბრუნეს. ჯიქის საქმის გამოძიება გაგრძელდა და საბოლოო ჯამში, მას ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ვინც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ ჯიქს რომ პატიოსანი ქურდული სიტყვა გაეტეხა, თუნდაც ძაღლებისთვის მიცემული, მის ავტორიტეტს ჩრდილი მიადგებოდა. ახლა წარმოვიდგინოთ, რას მოიმოქმედებდა ახალი პლეადის სკაიპელი ქურდი ასეთ სიტუაციაში. რა თქმა უნდა, ის სიტყვას გატეხდა და სიმართლე რომ ვთქვათ, მის სიტყვას არც არავინ ენდობოდა, მით უმეტეს, ძალოვნები, რომლებმაც ჩემზე კარგად იციან, თუ რა ლაფშია გასვრილი ზოგიერთი ჩვენი ძმა...

ჩემი სიტყვები, რა თქმა უნდა, ყველა ახალი პლეადის ქურდს არ ეხება და ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა მასეთი იყოს. ასეთ შემთხვევაში, ქურდული სამყარო უკვე კარგა ხნის გადაშენებული იქნებოდა. მე, უბრალოდ, მწვავე გულისტკივილს გამოვთქვამ მიმდინარე პროცესების გამო და ყოველმხრივ ვცდილობ, ეს პროცესი შევაჩერო. ღრმად ვარ დარწმუნებული, ასეთი რამ შესაძლებელია. არც სახელმწიფოს უნდა სჭირდებოდეს არეულ-დარეული და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთთან დაპირისპირებული ქურდული სისტემა. იმას კი ნურავინ დაიჯერებს, რომ ქურდული სისტემის მოსპობა შესაძლებელია. ასეთი რამ არ მოხდება და დამახინჯებულად მაინც შემორჩება. ამას კი შეიძლება, ხალხისა და სახელმწიფოსთვის ბევრად მძიმე შედეგები მოჰყვეს.

მე არ მეგულება სტალინზე მეტად გათვითცნობიერებული და ქურდულ ცხოვრებაში გარკვეული პოლიტიკოსი, სახელმწიფოს მეთაური და მასაც კი არ უცდია ქურდების, როგორც კლასის განადგურება. პირიქით, სტალინმა ის სახელმწიფო სისტემაში ჩართო და ამან გაამართლა კიდეც. სახელმწიფო სისტემაში ჩართვა, მათ სტრუქტურულ ჩართვას კი არ გულისხმობს, არამედ არსებობის საშუალებას. თუმცა, მას კანონი უპირისპირდებოდა და არა უკანონობა, როგორც ამჟამად. სტალინის დროსაც კი არ ყოფილა 223 პრიმა მუხლი და მხოლოდ სიტყვიერი აღიარების გამო, რომ პიროვნება ქურდია, ციხეში არ სვამდნენ. სწორედ, ასეთი პროვოკაციული მუხლის გამო ვარ ახლა პაბეგში და სხვა ჩემი კოლეგები კი ციხეებში სხედან, თუმცა, მათ უკვე მოხდილი აქვთ თავიანთი სასჯელი.

კომუნისტების დროსაც კი, რომელსაც შავბნელ ეპოქას უწოდებენ და ჩემი აზრით, ძალიან არასამართლიანად, სროკმოხდილ პატიმარს არ ავიწროვებდნენ და სულის მოთქმის საშუალებას აძლევდნენ. დღეს კი, ვითომ აყვავებული დემოკრატიისა და სახალხო ხელისუფლების პირობებში, ციხიდან გამოსულ ადამიანს ნახევარ საათში უკან აბრუნებენ. მე არ ვამბობ, რომ ქურდები უცოდველი, ფრთიანი ანგელოზები ვართ, მაგრამ მე ხშირად ისეთ ადამიანს გავუსამართლებივარ და გავუშვივარ ციხეში, ვისი დანაშაულის დამტკიცებასაც სასამართლო არ სჭირდებოდა – ციხეს კი არა, კედელთან მიყენებას და დახვრეტას იმსახურებდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი – ხშირად ცხვარს მგელი ასამართლებსო... მე, რა თქმა უნდა, უცოდველი ცხვარი არ ვარ, მაგრამ სახელმწიფოს მგლური კანონების მსხვერპლი ვარ და იძულებული გამხადეს, პაბეგში წავსულიყავი და დავმალულიყავი.



პაბეგიცაა და პაბეგიც. კომუნისტების დროს არაერთხელ ვყოფილვარ პაბეგში და რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მაშინ ბევრად ადვილი იყო დამალვა, ვიდრე დღეს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ დახურულ სისტემაში ვცხოვრობდით, დღეს კი ბევრად ადვილია თავისუფალი გადაადგილება, მაშინ ხალხის ხელშეწყობით ვსარგებლობდით. ამჟამად კი დამსმენები მომრავლდნენ. ამას წინათ, ბეწვზე გადავურჩი დაპატიმრებას და ციხეში შებრუნებას. ერთ საღამოს ყელში ამომივიდა სახლში ჯდომა. ამიტომ ჩავიცვი, მუქი სათვალე გავიკეთე და გარეთ გამოვედი. ჯერ რუსთაველზე გავიარ-გამოვიარე, შემდეგ ელბაქიძის დაღმართს დავუყევი, ხიდზე გადავედი და პლეხანოვზე გავიტასავე. მთაწმინდის და რუსთაველის შემდეგ, ჩემი უსაყვარლესი ადგილი გაჩახჩახებული და ერთი შეხედვით ლამაზი ჩანდა, მაგრამ მე არ მომეწონა. ძველი პლეხანოვი ჩემთვის და ალბათ, ჩემი თაობის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, ბევრად უფრო საყვარელი და მშობლიური იყო. მით უმეტეს, რომ დღესდღეობით ეს ადგილი თითქმის მთლიანად არაქართველებზეა გაყიდული და ჩამოსულებმა იქ ძირითადად კაფე-რესტორნები გახსნეს. იმ საღამოს სწორედ ერთ-ერთ მათგანში შევედი. მაგიდას მივუჯექი, სათვალე მოვიხსენი და ადგილობრივი კერძი შევუკვეთე. მიმტანმა შეკვეთა ათ წუთში მომიტანა, მაგრამ შევატყვე, რომ მითვალთვალებდა, მანამდე კი ყურადღებით მაკვირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მიმტანი არაქართველი იყო, გავიფიქრე: „ნუთუ მიცნო?“ საქმე ისაა, რომ ჩემი, როგორც ძებნილის ფოტოები, მთელ ქვეყანაშია გაკრული დღემდე და იმ ნაბიჭვარმა, როგორც ეტყობა, სადღაც ნახა და მიცნო. ეს ყველაფერი რომ გავიაზრე, იქიდან თავის დაღწევაზე დავიწყე ფიქრი, თან მიმტანს ვუყურებდი. მან ტელეფონი ამოიღო და ჩემთვის სურათის გადაღება სცადა, მაგრამ მე ზურგი შევაქციე, მაგიდიდან ავდექი და სამზარეულოსკენ ავიღე გეზი, რადგან იქიდან „სკვაზნოი“ გასასვლელი იყო და ბავშვობაში არაერთხელ მისარგებლია იმით. მიმტანი მიხვდა, რომ ვითესებოდი და, სავარაუდოდ, პოლიციის ნომერი აკრიფა მობილურზე. მცველს კი ჩემზე ხელით მიუთითა და თავის მშობლიურ ენაზე რაღაც უთხრა. მცველი ჩემკენ დაიძრა. მე მას სამზარეულოში შევასწარი, კედელს ამოვეფარე და დაველოდე. მცველმა როგორც კი ფეხი შემოდგა, ყბაში აპერკოტი ამოვკარი, იქვე მივთიშე და „სკვაზნოით“ ვისარგებლე. პატარა ჩიხებით ისევ პლეხანოვზე გამოვედი, ტაქსიში ჩავჯექი და იმ დაწესებულებას რომ ჩავუარე, საიდანაც სულ რაღაც ხუთიოდე წუთის წინ გამოვიქეცი, უამრავ პოლიციელს მოვკარი თვალი. სიმართლეს ვიტყვი, ისე გავმწარდი იმ არამკითხე, ჩამოთრეული არაქართველის საქციელით, რომ ვიფიქრე, ამ დღეებში დავუსადკავებ და ტრაკში მაინც მივაჭერ-მეთქი, მაგრამ ხელი ავიღე ამ საქციელზე და აღარ გავრისკე. არა და, ის ნაბიჭვარი ნამდვილად იმსახურებდა დასჯას. ამ შემთხვევიდან ერთ-ერთი დასკვნა ისაა, რომ საქართველოში ჩამოთრეულე-

ბი, რომელთა შორის, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ისტორიული მტრები არიან, აქ, თავს ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ და ამიტომ იქცევიან ასე. კიდევ ერთი დასკვნა ისაა, რომ თავი რომ დავანებოთ ქურდულ პალაჟენიას, ყველა მასტის ურჯულომ და ვიგინდარამ მოიკიდა აქ ფეხი და ქართველების დაჩაგვრა-დამონებას და გადაშენებას ცდილობენ.

საბჭოთა ქურდული სამყარო, თავისი არსით, ინტერნაციონალური იყო და არ მინდა, ვინმემ იფიქროს, ერისკაცობას ჩემულობ. თუმცა, ჩემს ჯიშსა და ჯილაგზე არასდროს მითქვამს უარი. მე, უბრალოდ, სალი აზრი მამოძრავებს და ვამბობ, თუკი ასე გაგრძელდა, ყველას ბოლო მოგვეღება და არც ქურდებს გაგვახარებენ, არც პოლიციელებს, არც მხატვრებს და არც არავის... ყველას ერთად გადაგვაშენებენ და თავში ხელის ცემა გვიანი იქნება. ვატყობ, პოლიტიკაში გადავიჭერი. ჯობია, ისევ ქურდულ სამყაროს დავუბრუნდე, მაგრამ ერთს დავამატებ და ვიტყვი, რომ ქართველების თანამედროვე დევიზი არა ქურდებთან ბრძოლა და მათი განადგურება უნდა იყოს, არამედ გაერთიანება და ერთი დროშის ქვეშ დადგომა ერისა და ქვეყნის გადასარჩენად, მოყვრის ნიღბით მოსული მოსისხლე მტრების შევიწროება და მათი უკან გაბრუნება.

ქართველი ქურდები არასდროს ერის წინააღმდეგ არ წასულან და საქართველოს საზიანოდ არასდროს არაფერი ჩაუდენიათ. პირიქით, ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, ერთბაშად შემცირდა დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში და ამით ვცდილობდით, ეროვნულ ტალღაზე მომართული ხალხისთვის ხელი არ შეგვეშალა. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდი შეხვედრა შედგა ეროვნული მოძრაობის ლიდერებსა და იმ პერიოდში საქართველოში მყოფ ქართველ ქურდებს შორის. ამ შეხვედრაზე ერთგვარად შეთანხმდნენ კიდეც, რომ მიტინგებზე ქურდებსა და ქურდულ სამყაროზე აუგს არავინ იტყოდა. სამაგიეროდ, ზონებსა და ციხეებში ქურდები გაუწევდნენ მფარველობას ეროვნული მოძრაობის დაპატიმრებულ აქტივისტებს. გარდა ამისა, ჩვენ, ქურდებმა საკმაოდ სოლიდური თანხა შევიტანეთ ეროვნული მოძრაობის ობშჩიაკში და ამ საქმეში ჩვენი წვლილიცაა. იმ პერიოდს საკმაოდ მრავალი წელი გვაშორებს და ერთი ამბავი უნდა მოვყვე. მაგრამ, წინასწარ ვაცხადებ, რომ ამის შესახებ ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა არაფერი იცოდნენ, ყველაფერი ჩვენი ინიციატივით გავაკეთეთ.

ერთ დღეს ბერძენასთან ერთი ჩვენი ნაცნობი მოვიდა. ბერძენა, ციხიდან ახალი გამოსული იყო და ფორმალურად, ის კაცი ბერძენას სანახავად იყო მოსული. სინამდვილეში კი, მას სხვა მიზანი ამოძრავებდა და ლაპარაკის დროს შემოაცურა:

– ძმებო! ეს ბოზები ძალიან გვავიწროვებენ და თუ დროზე არ ვილონეთ რამე, შეიძლება, მერე გვიანაც კი იყოს.

ბერძენამ მე შემომხედა და მხრები აიჩეჩა, შემდეგ სტუმარს მიუბრუნდა და უთხრა:

– ვერაფერი გავიგე. ერთი გაგვიიასნე, რას ამბობ.

– რას, ჩემო ბერძენა, და ოსეთსა და აფხაზეთში ეს ჩათლახი „კაგებე“ ადგილობრივ სეპარატისტებს იარაღს აძლევს და რამე რომ მოხდეს, ისე ჩაგვხოცავენ, როგორც ალყაში მოქცეულ ნადირს მონადირეები. ამიტომ, ჩვენც იარაღზე დავიწყეთ ჩალიჩი. საჭირო ხალხი გამოვნახეთ და იარაღიც გაიჩითა, მაგრამ მაყუთი ჯერ ვერ ვიშოვეთ, პოსლეზე არ იძლევიან, დრო კი არ ითმენს. არ შეგვიძლიათ, რომ იმ ხალხს დაელაპარაკოთ, იარაღი პოსლეზე მოგვცენ და ფულს ორ თვეში ჩავაბარებთ.



– რამდენია გადასახდელი? – ჰკითხა ბერძენამ.

– ასი ათასი მანეთი.

– ცოტა არაა. ეტყობა, დიდი პარტიაა შეკვეთილი. ვინ არის ის ხალხი? – ჰკითხა ბერძენამ და პასუხი რომ მიიღო, უთხრა:

– წინასწარ ვერაფერს შეგპირდები, მაგრამ ვიჩალიჩებთ.

– და, ერთიც, ბერძენ. მე თქვენთან არავის მოვუგზავნივარ და ჩემი ინიციატივით მოვედი. ჩვენმა მდიდრებმა ამის შესახებ არაფერი იციან და ეს ბაზარი ჩვენს შორის უნდა მოკვდეს. ახლა კი წავედი და ორ დღეში პასუხისთვის გამოგივლი.

ნაცნობი წავიდა. ბერძენამ კი მკითხა:

– რას იტყვი?

– რა უნდა ვთქვა, – მივუგე ბერძენას, – არც ქურდების პოლიტიკაში ჩარევა ივარგებს და არც ეროვნული ლიდერების განაწყენება. იარაღის ბარიგებს რომ ჩვენ დავეკონტაქტოთ, პოლიტიკაში ჩარევა გამოგვივა და რა იცი, მომავალში როგორ დაგვიხვდება წინ.

– აბა, რა ვქნათ. გამოდის, რომ მაყუთი ჩვენ უნდა გადავიხადოთ?

– ასე ჯობია.

– წინააღმდეგი არც მე ვარ, მაგრამ ამდენი მაყუთი საიდან?

– ერთი ნაკოლი მაქვს და შენს გამოსვლას ველოდებოდი, რომ გვეჩალიჩა.

– თქვი, რა საქმეა, – მითხრა ბერძენამ.

– რა და, გლდანში ერთი ბარიგა ცხოვრობს, ვალოდია. ანაშას ყიდის და მე მგონი, ჩუმ-ჩუმად სეპარატისტებსაც ეხმარება ცხინვალში.

– შენ რა იცი? – მკითხა ბერძენამ.

– სრულიად შემთხვევით გავიგე. ჩემი მეზობელი რომაა, ოსი თამარა, მაგას ავადმყოფი დედა ჰყავს ცხინვალში და რამდენიმე დღის წინ ჩამოიყვანა. მაგან მითხრა სწორედ, ვალოდია ვნახე ცხინვალში ვიღაც თოფიან კაცებთან ერთადო. თოფით კი ახლა სეპარატისტები და მათი მხარდამჭერები დადიან.

– თამარა საიდანღა იცნობს ვალოდიას?

– ვალოდია ხეთაგუროვების სიძეა, ჩემ გვერდით ეზოში რომ ცხოვრობენ. იცის, რომ ვიცნობ და იმიტომ მითხრა.

– ახლა გასაგებია. დავზომბოთ, მაგის ბარიგა და სეპარატისტი დედაც... მაგრამ, მაყუთი ექნება?

– დარწმუნებული ვარ, რომ კი.

– ასი ათასი?

– არც ბევრად ნაკლები.

– კი მაგრამ, ასე უცერენი რატომ ხარ? პირველად ვხედავ, რომ ასე ალალბედზე მიდიოდე საქმეზე.

ბერძენა მართალი იყო, მაგრამ ქურდული ინტუიცია მკარნახობდა, რომ ვალოდიას ბლომად მაყუთი უნდა ჰქონოდა სახლში და არც შევმცდარვარ. მისი ბაითიდან ასი ათასზე მეტი გამოვიტანეთ. გარდა ამისა, ოქროც გამოვაყოლეთ ხელს და ამ ყველაფერმა დიდი კუში შეადგინა. როცა ჩვენი ახლობელი დაგვიკავშირდა, იარაღის ამბავის გასაგებად, ასი ათასი ხელში ჩავუთვალეთ და ვუთხარით:

– აი, ძმაო, ეს ჩვენგან, გადაიხადეთ და იარაღი დაითრიეთ. მაგრამ, ერთი თხოვნა გვაქვს, ამის შესახებ ნურავის ეტყვით.

– დიდი მადლობა. ვის ვეტყვით? ჯიგრები ხართ ქურდები და ხელისუფლებაში რომ მოვალთ, პატივისცემა ჩვენზე იყოს.

ერთი სიტყვით, ეროვნულ მოძრაობაში ჩვენი წვლილი მე და ბერძენამაც შევიტანეთ, თუმცა, როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ჩვენ რუსეთში ვიმყოფებოდით, ხოლო უკან რომ დავბრუნდით, უკვე განდევნილები იყვნენ და სიტუაცია ისე იყო არეული, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა.

მავანი, ალბათ, ბრალსაც კი დაგვდებს და იტყვის, თუკი საკუთარ თავს ნეპმანელ ქურდებად მიიჩნევდით, მაშინ პოლიტიკაში რატომღა ჩაერიეთო. ასეთების გასაგონად ვიტყვი, რომ ჩვენ პოლიტიკაში კი არ ჩავრეულვ-


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



ართ, ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს იარაღი შეუძინეთ, რომ ფიზიკურ გადარჩენაში დავხმარებოდით. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვთვლიდით და ამის გამო ვერავინ ვერ წამოგვიყენებს პრეტენზიას და რომც სცადოს, საკადრის პასუხსაც მიიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქურდი ვარ, დიდი ილიას განსაზღვრებას – მამული, ენა და სარწმუნოება, აბსოლუტურად ვიზიარებ და თუკი სამშობლო არ მექნა, რწმენას დავკარგავ და ჩემს ენაზე ვერ ვილაპარაკებ, მხოლოდ ქურდობა რა თავში სახლელად მინდა... ქურდობა, თუნდაც ნეპმანელი, ჩემთვის კრიმინალური სტატუსია და არ ვამბობ, რომ კრიმინალობა ადამიანის უმაღლესი მდგომარეობაა. მაგრამ, ამ სფეროთი მე ჩემს ეროვნულ ხასიათსა და ნიჭს გამოვხატავ და ვფიქრობ, რომ არცთუ ისე ურიგოდ.

როგორც არაერთხელ მითქვამს, ადრეული ბავშვობიდან ქურდულად ვცხოვრობ და არაქურდული საქციელი არასოდეს ჩამიდენია. მაგრამ, ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი თანამემამულისთვის დახმარების ხელი გამეწვდინა და არავისთვის დამეჩაგვრინებინა, მით უმეტეს, სხვა ეროვნების წარმომადგენლისთვის. მე თუ მხოლოდ სამართლიანობას ვიცავდი და ჩემი თანამემამულეებისთვის მცირე გამონაკლისს ვუშვებდი, ხუჭუჭა ნამდვილი ნაციონალისტი იყო. მას აშკარად არ ეხატებოდა გულზე არაქართველები და მათი კლასიფიკაციის საკუთარი კრიტერიუმები გააჩნდა. ახლა არ დავიწყებ იმის ჩამოთვლას, თუ ვინ რომელ ადგილზე იდგა, მაგრამ ზურიკო ყიფიანი ყოველთვის ქართველს ანიჭებდა უპირატესობას და მათ სადარაჯოზე იდგა. ჩვენ ბევრი არაქართველი მეგობარიც გვყავდა, მაგრამ ხუჭუჭა მათზე მეტად მაინც ქართველებს ანიჭებდა უპირატესობას და ამას მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვების პერიფრაზით ხსნიდა და ამბობდა: „ღირსეული ქართველები ომში იღუპებოდნენ, ულირსები კი ცოცხლები რჩებოდნენ. მაგრამ სწორედ ის ულირსები შობდნენ ღირსეულებს და თუკი ვინმე დამიმტკიცებს, რომ მიხეილ ჯავახიშვილზე ჭკვიანია, მაშინ უარს ვიტყვი ჩემს სიტყვებსა და საქციელზე და პოზიციას შევიცვლი“. ხუჭუჭასთან დავა და მასზე გამარჯვება ძალიან რთული საქმე იყო. ამიტომ, რამდენიც არ ვეცადეთ, მე და ყბედალომ ის ვერ გადავარწმუნეთ და ის დღემდე ასეთად დარჩა.

ერთხელ მე, ხუჭუჭა და ყბედალო გორაზე ვიყავით, ვაბოლებდით და ვლაპარაკობდით. ყბედალომ თვალი ჩამიკრა, ნელ-ნელა სასურველი თემა შემოაგდო და ხუჭუჭას ჰკითხა:

– ქართველი პიდარასტი უფრო კარგი ტიპია, თუ არაქართველი არაპიდარასტი?

ხუჭუჭას გაეცინა და ყბედალოს ირონიული მზერა ესროლა. შემდეგ თვალი ჩამიკრა და თქვა:

– მარტივად აგიხსნი მაგაზე რასაც ვფიქრობ, – მშვიდად მიუგო ხუჭუჭამ, – მაგალითად, სოლოლაკელი გარიკა რომაა, ხომ კარგი ტიპია?

– კი და ქურდობა უნდა, – თავდაჯერებულად მიუგო ყბედალომ.

– ენდობი?

– კი.

– გინდა, დაგიმტკიცო, რომ ჩათლახია, ხოლო მისი პიდარასტი მეზობელი მალხაზა კი ბევრად უფრო კარგი ტიპია? – უთხრა ყბედალოს ხუჭუჭამ.

პიდარასტის კაი ტიპთან შედარებამ ყბედალო ძალიან გაალიზიანა. მართალია, ჩვენ ძმაკაცები ვიყავით და ერთმანეთთან ისეთ რამეებს ვამბობდით, რასაც სხვას არ ვეტყოდით და არ ვაპატიებდით, მაგრამ მალხაზას გარიკასთან შედარებამ ყბედალო აღაშფოთა და ხუჭუჭას უთხრა:

– ატრაკებ. ვითომ არ გაგვიგონია, რაც თქვი. ხომ იცი, რომ ასეთ ბაზარს არავინ გაპატიებს და პასუხს მოგთხოვენ?

– პასუხი არასწორი საქციელისთვის მოითხოვონ, ხოლო, თუ გინდა, ჩემი სიტყვები დაგიმტკიცო, რასაც გეტყვი, ის გააკეთე.

– მიდი, თქვი.

– გარიკა ახლა სახლში იქნება და სანამ მასწავლებელთან წავა, დაურეკე და სთხოვე, ხვალამდე ორმოცდაათი მანეთი გასესხოს. უთხარი, რომ ოჯახისთვის გინდა და აუცილებლად დაუბრუნებ.

– შენ რა, ფიქრობ, უარს მეტყვის და ამით დამიმტკიცებ მაგის ცუდ ტიპობას? იქნებ მართლა არ ჰქონდეს მაყუთი?

– უარს რომ გეტყვის ფულზე, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, მაგრამ ამაში არაა საქმე. წამოდით, ჩავიდეთ ქვევით და პოლკოვნიკასთან რომ ტელეფონი კიდია, იქიდან დარეკე. აი, ორკაპიკიანი.

ჩვენ ტელეფონისკენ დავეშვით, ყბედალომ სოლოლაკელი გარიკას ნომერი აკრიფა და გარიკამ უპასუხა:

– ალო.

– გარიკ, ძმაო, ყბედალო ვარ.

– ვაა, ყბედალო-ჯან, ბრატ, როგორ ხარ, სად დაიკარგე, ხომ მშვიდობაა. როგორ მომენატრე, – აკაკანდა გარიკა.

– კი, მშვიდობაა. უბრალოდ, შენთან ერთი თხოვნა მაქვს.

თხოვნის გაგონებაზე გარიკამ პაუზა გააკეთა. ლაპარაკის ხალისი მოაკლდა, მაგრამ ნაძალადევად მიუგო:

– გისმენ, ყბედალო-ჯან, თუ რამე შემიძლია, უარს როგორ გეტყვი.

– გარიკ, ძმაო, ხვალ საღამომდე ოჯახისთვის ძალიან მჭირდება ორმოცდაათი მანეთი და თუ შენ არ გაქვს, იქნებ, სადმე

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ს | | ნ | | ჯ | ვ | ა | რ | ი | | | | | | |
| დ | ე | მ | ო | ს | ი | | რ | | დ | | | | | | |
| | პ | ე | ნ | ა | ლ | ტ | ი | | ი | | | | | | |
| წ | ა | მ | ე | ბ | ა | | ს | ტ | ო | პ | | | | | |
| | რ | ო | ტ | ა | | ა | ტ | ა | მ | ი | | | | | |
| | ა | რ | ი | ნ | | ნ | ო | ნ | ა | | | | | | |
| | ტ | ა | | ი | ლ | ე | კ | ი | | ბ | ა | კ | ა | რ | ა |
| პ | ი | ნ | ა | | | ი | რ | ა | ნ | ე | ლ | ი | | უ | |
| | ს | დ | ა | ს | უ | | ა | | ო | | ა | ნ | ი | ს | ი |
| | ტ | უ | რ | ა | | ა | ტ | ი | ტ | | ლ | ო | რ | ი | |
| ს | ი | მ | ო | ნ | ე | თ | ი | | ა | | ი | | ო | | ა |
| კ | | ი | ნ | ე | თ | ა | | ს | | ქ | | ა | კ | ი | მ |
| ვ | | | ი | ლ | ე | ს | | პ | ა | ს | ა | დ | ე | ნ | ა |
| ი | დ | ო | | ე | რ | ი | | ი | თ | ე | რ | ა | ზ | ა | ლ |
| ნ | | კ | უ | ბ | ი | | უ | რ | ო | | ა | მ | ი | რ | ა |
| ჩ | | ე | | ე | | კ | ლ | ა | ს | ე | ლ | ი | | კ | |
| ა | ზ | ი | ე | ლ | ი | | ა | ლ | ი | ბ | ი | | ა | | გ |
| | ბ | | მ | ი | ლ | ა | ნ | ი | | ა | | ა | რ | ქ | ე |
| ნ | ი | ვ | ა | | ა | ნ | უ | | | რ | ო | ნ | ი | ნ | ი |
| | გ | | ნ | ა | კ | ა | დ | უ | ლ | ი | | ი | | ა | |
| ა | ნ | ძ | ა | | ი | ტ | ე | რ | ა | | ო | მ | ა | რ | ი |
| | ე | | ც | ი | დ | ა | | ა | რ | ა | ხ | ა | მ | ი | ა |
| ა | ვ | ლ | ი | | ა | | | ნ | ა | ლ | ი | | ტ | | ფ |
| | ი | | ა | პ | რ | ი | ლ | ი | | ა | მ | პ | ი | რ | ი |



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 1 | 5 | 3 | 6 | 8 | 9 | 2 |
| 3 | 8 | 9 | 1 | 2 | 7 | 4 | 5 | 6 |
| 2 | 5 | 6 | 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 3 |
| 9 | 2 | 5 | 7 | 4 | 3 | 6 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 7 | 8 | 9 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 8 | 4 | 3 | 6 | 5 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 5 | 3 | 8 | 2 | 6 | 4 | 9 | 1 | 7 |
| 1 | 9 | 2 | 3 | 7 | 8 | 5 | 6 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 1 | 5 | 2 | 3 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 6 | 8 | 9 | 1 | 5 | 7 | 4 |
| 4 | 5 | 9 | 2 | 6 | 7 | 3 | 8 | 1 |
| 8 | 1 | 7 | 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 6 |
| 7 | 6 | 2 | 9 | 1 | 4 | 8 | 3 | 5 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 7 | 8 | 1 | 9 | 2 |
| 9 | 8 | 1 | 3 | 2 | 5 | 6 | 4 | 7 |
| 2 | 9 | 5 | 4 | 3 | 6 | 7 | 1 | 8 |
| 6 | 7 | 4 | 1 | 8 | 9 | 2 | 5 | 3 |
| 1 | 3 | 8 | 7 | 5 | 2 | 4 | 6 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მღრღნელები. 2. აზარტი. 3. გრეისი მონაკოს პრინცის – რენეს მეუღლე გახდა. 4. კალამბური. 5. პანამა. 6. ექსპედიცია მარსზე სიცოცხლის აღმოსაჩენად მოეწყო. 7. ოქროს თევზებს. 8. ჭიპი. 9. იცვამენ შავს – გლოვის აღსანიშნავად. 10. ქაღალდის ფული.**

მასესხებინო. ძმობას გეფიცები, რომ ხვალ საღამოს უეჭველად დაგიბრუნებ.

– არა, ყბედალო-ჯან, ნაღდად არა მაქვს, თორემ ჩემი თავი შემოგევლოს. მეც ზეზკა-პეიკა ვარ.

მე და ხუჭუჭა გასუსულები ვუსმენდით ყბედალოს და გარიკას დიალოგს. უარის თქმაზე ირონიულად გამეცინა, ყბედალომ კი იხტიბარი არ გაიტეხა და გარიკას უთხრა:

– გარიკ, ძმაო, თუ რამე მაყუთი ჩაიგდე ხელში, იქნებ მომაწოდო. სახლში ვიქნები და არ დაგეზაროს, რაა...

– არა, ყბედალო-ჯან, რა დამეზაროს. თუ რამეს დავითრევ, აუცილებლად მოგიტან. აბა, დო ვსტრეჩი, – მიუგო გარიკამ ყბედალოს და ყურმილი დაკიდა. ხუჭუჭამ კი უთხრა:

– ხომ გითხარი, უარს გეტყვის-მეთქი?

– იქნებ, მართლა არ ჰქონდა?

– კარგი. ახლა მეორე ეტაპზე გადავიდეთ და ნახავთ, რაც მოხდება.

– რა უნდა ვქნათ? – ვკითხე ხუჭუჭას.

– ახლა გარიკა ინგლისურის მასწავლებელთან მიდის. ემზადება, მოსკოვში დიპლომატიურზე უნდა ჩაბარება და არა ქურდობა, როგორც თქვენ გატყუებთ. აი, ამ პადიეზდში შედით და უთვალთვალეთ. მე კი მალე მოვალ, – გვითხრა ხუჭუჭამ და გარიკას სადარბაზოსკენ დაიძრა, ჩვენ პირდაპირ.

ხუჭუჭა სადარბაზოში შევიდა და სამიოდე წუთში, მას შემდეგ, რაც იქიდან გარიკა გამოვიდა და ჭონქაძის ქუჩას ჩაუყვა, ხუჭუჭაც გამოჩნდა, ჩვენთან მოვიდა და გვითხრა:

– წამოდით, გარიკას შუსტრად გზა მოვუჭრათ და ლერმონტოვის ქუჩაზე დავხვდეთ.

– რატომ, არ იტყვი, რაშია საქმე?

– რაშია და გარიკას პადიეზდში ორას ორმოცდაათი მანეთი დავუგდე. მან აიღო და ახლა მასწავლებელთან მიდის. ვითომ შემთხვევით შევხვდებით და რომ ჰკითხავ, ფული ხომ არ გიჩალიჩიაო, შენ თვითონ ნახავ, რას გიპასუხებს.

ჩვენ გარიკას გზა მოვუჭერით და ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში დავხვდით. მან შორიდანვე დაგვინახა, აღტაცებული პოზა მიიღო, სათითაოდ გადაგვკოცნა და მოგვიკითხა, ბოლოს კი ყბედალოს უთხრა:

– ყბედალო-ჯან, მამაჩემსაც დავურეკე სამსახურში მაყუთზე და ორ ჩემს ახლობელსაც, მაგრამ არავის ჰქონდა. იზვინი, რა, თუ რამე ვიჩალიჩე, აუცილებლად მოგიტან. ახლა კი, იზვინი, მეჩქარება. აბა, კარგად, ძმებო!

გარიკა სწრაფი ნაბიჯებით გაგვეცალა და ეზოში შევიდა, სადაც მასწავლებელი ცხოვრობდა. ყბედალო გაფითრდა და გაკიდება დააპირა, მაგრამ ხუჭუჭამ გააჩერა და უთხრა:

– თავი დაანებე, არაფერი უთხრა!

– რა არ ვუთხრა, მაგისი ახვარი დედაც... ბოლო-ბოლო ორას ორმოცდაათი მანეთი ჩაიგზიბა.

– მაგას მე მივხედავ. ახლა კი წამოდი და დაგიმტკიცებ, რომ პედარასტი მალხაზა მაგაზე ბევრად კარგი ტიპია.

– არაა საჭირო, – ხელი ჩაიქნია ყბედალომ, – მალხაზას დედაც და იქ გარიკასიც... მაგრამ, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ყველა ქართველი ჯობია, თუნდაც ყველაზე ცუდი, ყველაზე კარგ არაქართველს.

– მე ეგ არც მითქვამს. მე, უბრალოდ, ქართველების მხარეს ვარ და მიხეილ ჯავახიშვილის ფრაზას ნუღარ გამამეორებინებთ.

ხუჭუჭას არასდროს უღალატია თავისი პრინციპებისთვის, ბოლომდე მათი ერთგული დარჩა და მხოლოდ მაშინ განირავდა ქართველს, ისიც ბოლომდე არა, როდესაც მეორე მხარესაც ქართველი იდგა. ქართველისა და არაქართველის დაპირისპირებისას კი, სადაც საქმეში ხუჭუჭა ერეოდა, ქართველი არასდროს დაჩაგრულა...



ცოდვა გამხელილი ჯობია, და გულახდილად ვიტყვი, არაერთხელ მინატრია ციხესა თუ ზონაში ხუჭუჭა ჩემს გვერდით ყოფილიყო. არა იმიტომ, რომ ეს პირადად მე მჭირდებოდა, არამედ შექმნილ სიტუაციაში სწორედ ხუჭუჭა იყო საჭირო მდგომარეობის გასანეიტრალებლად და ქართველის დასაცავად. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ თავად მე არ შემიძლია, ან არ შემეძლო ვინმეს, მით უმეტეს, ქართველის დაცვა, მაგრამ ხუჭუჭას სიტუაციის შემობრუნება, წახდენილი საქმის გამოკეთება ძალუძს. ამას კი განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება.

ერთხელ, ირკუტსკის საეტაპო ციხეში ვიჯექი და კოლონიაში გაგზავნას ველოდებოდი. უკვე წინასწარ ვიცოდი, სადაც უნდა წავეყვანეთ და ლაგერში ქსივაც გაიგზავნა, მაგრამ ეტაპი იგვიანებდა. ისეც ხდებოდა, რომ განაწილების ადგილში ერთი, ზოგჯერ კი ორი თვის დაგვიანებითაც გიშვებდნენ. ეტაპის მოლოდინში ვარ და ამ დროს ციხეში ოცდახუთი წლის ქართველი ბიჭი მოიყვანეს. მას თედო ერქვა, ათი წელი ჰქონდა მისჯილი და მანქანის აკუმულატორის ქურდობისთვის იყო გასამართლებული, რაც ყველა ნორმებით, ნონსენსი იყო. ათ წელს მანქანის ქურდობისთვის არ უსჯიდნენ რეციდივისტებსაც კი. პირველად სროკზე წასულს ხომ ოფიციალურად, მაქსიმუმ, ერთი წელი ეკუთვნოდა, უმეტეს შემთხვევაში კი, პირობითი პატიმრობით კმაყოფილდებოდნენ. ათი წელი, რა თქმა უნდა, ფანტასტიკა იყო და აშკარად, სხვა, რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. მართალია, თბილისელი იყო და რუსულიც იცოდა, მაგრამ ბლატნოობის არაფერი ეტყობოდა. ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგ უნდა მიმართულიყო, რადგან, რბილად რომ ვთქვათ, ასეთ გაუგებრობაში მოჰყვა. საკანში რომ შემოიყვანეს და შევხედე, მივხვდი, არიფი იყო და არც ცდილობდა, ვინმესთვის შავად მოეჩვენებინა თავი. როდესაც გავიგეთ, თუ რის გამო იჯდა და თანაც, ათი წლით, ვიფიქრეთ, უკბილოდ ხუმრობდა, მაგრამ გვითხრა:

– არა. მართლა აკუმულატორი მოვიპარე და ათი წელი მომისაჯეს.

ჩვენს საკანში ერთი არაქართველი, თბილისელი ქურდი იჯდა, რომელსაც რუბენა ერქვა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ის თითქმის ოცი წელიწადი არ იყო თბილისში ნამყოფი, რადგან მიყოლებით იჯდა და ავტორიტეტიც უფრო ამის გამო მოიპოვა. სროკზე კი ინდაურის მოპარვის გამო წავიდა და ოცი წელი ვერ ახერხებდა გამოსვლას. მომპარაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, რუბენა არც ერუდირებული იყო და მაინცდამაინც არც გამართული ლაპარაკი ეხერხებოდა. უბრალოდ, ციხეში ჯდომის დიდი სტაჟი ჰქონდა და რომ იტყვიან, რაღაც-რაღაცეები დამახსოვრებული ჰქონდა... ქურდიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ზონაში ქურდის მკვლელი მოკლა. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი კოლეგა და თანაქალაქელი რუბენა მაინცდამაინც არ მეხატებოდა გულზე და არც ის იკლავდა თავს ჩემზე გულშემატკივრობით. ჩემს ადგილზე რომ ხუჭუჭა ყოფილიყო, რუბენას აუცილებლად რაღაცას გაუჩალიჩებდა და რომ იტყვიან, მოუყომარებდა კიდეც. მე კი ასეთი ინტრიგები არც მიყვარდა და არც მეხერხებოდა. ამიტომ, რუბენასთან ზომიერ დამოკიდებულებას ვინარჩუნებდი. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ რუბენას პატარა მიზეზი სჭირდებოდა და არავითარ შემთხვევაში, არ დამინდობდა. თუმცა, არც რუბენას და არც სხვას არ მივანიჭებდი ასეთ ბედნიერებას და უხეშად რომ ვთქვათ, ფეხებსაც ვერავინ მომჭამდა. რუბენა კი, ეტყობოდა, რომ ვერ ისვენებდა და ჩემს გასამწარებელ საშუალებებს ეძებდა. თედო რომ მოიყვანეს, შეატყო, რომ ამ ბიჭის მიმართ სიმპათიით განვეწყვე და საქმეს შეუდგა... თედომ რომ გვითხრა, ათი წელი აკუმულატორის ქურდობისთვის მომისაჯესო, რუბენამ ალმაცერად შეხედა ბიჭს და ჰკითხა:

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ მივხვდეთ, რა მისია გვაკისრია დედამიწაზე, რომ ცხოვრებაში მეტ წარმატებას მივაღწიოთ და ბედნიერი ოჯახი დავგეგმოთ

**დღეს ბევრს საუბრობენ კარმაზე, თუმცა ცოტამ თუ იცის რეალურად, მისი დანიშნულების შესახებ. როგორც ასტროლოგი ბატონი დავით ბუტიკაშვილი ამბობს, სწორედ ჩვენ შეგვიძლია, გავისტუმროთ წინაპართა კარმული ვალები და ასე ავიცილოთ ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები, წინაღობები თუ უსიამოვნო მოვლენები. არის თუ არა კარმაზე დამოკიდებული ადამიანის წარმატება-წარუმატებლობა და ჯანმრთელობა, როგორ შევძლოთ მისი კორექცია და რამდენად მოქმედებს ზოგადად, ის ადამიანის ნაყოფიერებაზე, ამაზე ბატონი დავითი გვესაუბრება.**

**დავით ბუტიკაშვილი**: ხშირად, ადამიანები უფრთხიან გაერკვნენ საკუთარ კარმაში. ჰგონიათ, რომ კარმა, მძიმე მოვალეობაა, რომლის შესრულებაც აუცილებელია მათი მხრიდან. პირადად მე, უამრავი ადამიანის ცხოვრებას ვაკვირდები ასტროლოგიურად, უამრავი ბიოგრაფია მაქვს დამუშავებულ-გამოკვლეული და ვხედავ, ყველაზე წარმატებულმა ადამიანმა ბედნიერად იმიტომ იცხოვრა, რომ თავის კარმას ასრულებდა. სანსკრიტიდან რომ გადმოვთარგმნოთ, კარმა – სიტყვასიტყვით ნიშნავს ქმედებას. ეს ისეთი რამაა, გინდა თუ არა, მას ცხოვრება მაინც გასრულებინებს. მთავარია, თავად ადამიანის დამოკიდებულება კარმისადმი. თუ ადამიანი საკუთარ კარმას ეჭიდავება, გარწმუნებთ, ეს ბრძოლა წამგებიანია. ასეთი ადამიანი, უბრალოდ, ზედმეტად ირთულებს ცხოვრებას. კარმასთან ჭიდაობით ადამიანი ძალიან დიდ ენერგიას ხარჯავს და ჯობია, ეს ენერგია საკუთარი თავის რეალიზებისთვის გამოიყენოს. ანუ, ჩემი რჩევაა, მისდიეთ თქვენს კარმას და აუცილებლად მიხვდებით, რა დროს რა უნდა მოიმოქმედოთ.

**– როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი რა კარმული მისია აკისრია მას დედამიწაზე და რომ, აუცილებელია ცხოვრებაში რაიმეს შეცვლა უკეთესი მომავლისთვის?**

– არის შემთხვევები, როცა ადამიანის ცხოვრებაში ხდება რაიმე გარდატეხა, აი, სწორედ, ამ დროს გრძნობს ის თავის კარმულ მისიას ყველაზე კარგად დედამიწაზე. ანუ, ადამიანის ცხოვრება სავსეა სიძნელეებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდება პრობლემები, ერთ დონეზე დგება ყველაფერი და ერთ დღეს, ყველაფერი მის გარშემო იცვლება. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანმა სიძნელეებთან ბრძოლაში, რაღაც კულმინაციას მიაღწია – ისეთი სურვილები გამოიწვია ამ ყოველივემ მასში, რომ უკვე აღარ უჭირს ცხოვრებას წარმატებულად მოერგოს. სწორედ, ამ სიძნელეებთან ბრძოლის შემდეგ იწყება ადამიანისთვის წარმატების პერიოდი და ეს ყველას ცხოვრებაში ხდება. რაც უფრო ადრე გაიაზრებთ საკუთარ კარმას, მით უფრო მალე გაივლით კარმულ გამოცდებს ნებაყოფლობით და მალევე დაადგებით წარმატების გზას.



**კარმის გამოსწორებით შეძენილი მძიმე დაავადებისგან განკურნება, რეალურად შესაძლებელია**

**– რა არის ადამიანის კარმული რეალიზაციის გზა?**

– ადამიანის კარმული რეალიზაციის გზა, ეს ადამიანის ცხოვრების ყველაზე სრულყოფილი რეალიზაციის გზაა. ასტროლოგიურად, არსებობს კარმის სამი სახე, კერძოდ, ძირითადი კარმული გზა, რომელზეც მიგვითითებს დაღმავალი და აღმავალი კარმული კვანძები. ანუ, ეს არის მთვარის ორბიტის წერტილები, სადაც მთვარის ორბიტა გადაკვეთს დედამიწის წერტილებს. დაღმავალი კარმული კვანძი გვიჩვენებს, რა განვითარებული თვისებებით შემოვიდა ადამიანი ამ ცხოვრებაში, აღმავალი კი – ცხოვრების გზაზე, რა თვისებები უნდა განავითაროს. ანუ, ეს არის ადამიანის ფსიქოლოგიური ტრანსფორმირების გზა – რა უნდა ისწავლოს, რაზე გაამახვილოს ყურადღება, რა თვისებები უნდა გაამახვილოს და ასე შემდეგ. თავად თუ შეეწინააღმდეგება ამ ყველაფერს, ცხოვრება მაინც დააყენებს არჩევანის წინაშე და აიძულებს, განავითაროს ეს თვისებები. მაგრამ, თუ ნებაყოფლობით დაადგება ამ გზას, მაშინ ცხოვრება ხელს შეუწყობს, რომ გზაზე წინააღმდეგობა არ შეხვდეს. არსებობს ასევე, კარმის მეორე მხარე – კარმული ვალები, რომელსაც შავი მთვარე განაგებს. შავი მთვარე, ადამიანის პირად ჰოროსკოპში მიუთითებს იმ დარღვევებზე, რომელიც მას წინა ცხოვრების, ანუ რეინკარნაციის შედეგად გადმოჰყვა დედამიწაზე. ამჟამინდელ ცხოვრებაში კი ვალდებულია ადამიანი, რაც წინა ცხოვრებაში დააშავა, გამოასწოროს და აინაზღაუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას იძულებით გააკეთებინებენ. სხვათა შორის, ვისაც შავი მთვარე აქვს სასწორის ზოდიაქოში, კატეგორიულად ეკრძალება ოჯახის დანგრევა. მისი კარმა მოითხოვს, რომ დედამიწაზე, მან აუცილებლად მოიხადოს მოვალეობა ოჯახის წინაშე. თუ ამას არ გაითვალისწინებს, მისი ცხოვრება სიძნელეებით იქნება აღსავსე. ანუ, შავი მთვარე კარმული ვალების გასტუმრების სფეროა. არსებობს, ასევე, კარმული ჯილდოებიც, რადგან კარმა არა მარტო დატვირთვა, არამედ ერთგვარი ჯილდოცაა. წინა ცხოვრებაში ხომ ადამიანი მარტო ცუდს კი არა, კარგ საქციელსაც სჩადის. ამ კარმულ ჯილდოებზე ასტროლოგიაში, სელენა ანუ თეთრი მთვარე მიუთითებს. ეს არის მთვარის ორბიტაზე, ყველაზე ახლო წერტილი დედამიწასთან. თეთრი მთვარე ადამიანის პირად ჰოროსკოპში, იმ ჯოლდოებზე მიუთითებს, რომელიც მან წინა ცხოვრებაში დაიმსახურა და ახლანდელ ცხოვრებაშიც წარმატებული იქნება. თუ თეთრი მთვარე ადამიანს კუროს ზოდიაქოში აქვს, ის ფინანსურად წარმატებული იქნება და არასდროს გაუჭირდება ამ მხრივ. ვისაც ის ქალწულის ზოდიაქოში აქვს, ღრმა სიბერემდე ჯანმრთელი იქნება, რადგან წინა ცხოვრებაში ბევრს დაეხმარა და ასე შემდეგ.

**– ამბობენ, თუ ადამიანი ფიზიკური დეფექტით იბადება, ან ჯანმრთელობის მხრივ შემდეგ უჩნდება სერიოზული პრობლემა, ეს წინაპართა კარმული დავალიანების ბრალიაო. რეალურად ასეა?**

– წინაპართა მხრიდან გადმოცემულ მძიმე კარმულ ვალებზე მიუთითებს, თუ ადამიანის პირად ჰოროსკოპში შავი მთვარე კირჩხიბის ზოდიაქოშია. ასეთი ადამიანი ამჟამინდელ ცხოვრებაში, თუ მშობლებზე არ ზრუნავს, ღალატობს ტრადიციებს, მაშინ ის ისჯება, წინაპრების მიერ გადმოცემული კარმული ვალებით. მაგალითად, მე ვიცნობდი ადამიანს, რომლის წინაპარიც სასულიერო პირი გახლდათ, შესცოდა და განერიდა ეკლესიას. მისი შთამომავლობა მუდმივად კარმულ დარტყმებს იღებდა. სანამ მათ გვარში, ერთ-ერთი ახალგაზრდა, ბერი არ გახდა. ამის შემდეგ მათი ცხოვრება გამოსწორდა. რაც შეეხება ფიზიკური დეფექტით დაბადებას, ეს მშობელთა კარმას უკავშირდება. ანუ, თუ მშობელს მძიმე კარმა აქვს, არ დაეხმარა ავადმყოფებსა და გაჭირვებულებს, შვილის ფიზიკური დეფექტის სახით მათ კარმა სასჯელს უგზავნის.

**– ამის თავიდან აცილება შეუძლებელია?**

– თუ ადამიანმა თავისი პირადი ჰოროსკოპი იცის, შეუძლია, მსგავსი პრობლემები თავიდან აიცილოს, თუნდაც იმით, რომ დაიწყოს ქველმოქმედება, მცირედით მაინც დაეხმაროს ავადმყოფებს. ამით ის წინაპართა კარმულ ვალებსაც იხდის და შთამომავალსაც იხსნის მძიმე დაავადებებისგან.

**– კარმის გამოსწორებით, შეძენილი მძიმე დაავადებისგან განკურნება შესაძლებელია?**

– თავისუფლად. მე მაგალითებს მოგიყვანთ: თუ ქალს შავი მთვარე აქვს ლომის ზოდიაქოში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ შვილი არ ეყოლება. ასეთმა ქალმა აუცილებლად უნდა გამოავლინოს ქველმოქმედება და დაეხმაროს გაჭირვებულ ბავშვებს. ასევე, თუ სხვის შვილს აიყვანს და მას გაზრდის, ანუ სხვის შვილზე მზრუნველობას გამოიჩენს, აუცილებლად დაჯილდოვდება საკუთარი შვილითაც – დიდი შანსია, საკუთარი შვილიც ეყოლოს. ასეთი, უამრავი მაგალითი ვიცი პირადად მე და ბევრს ვიცნობ. კარმა, არ არის განაჩენი, კარმა გზაა. ასე რომ, ნებისმიერი დაავადებისგან განკურნება შესაძლებელია, თუ გეცოდინებათ საკუთარი კარმის სწორად მართვა და წინაპართა კარმული ვალების გასტუმრების რეალური გზა.

**– ესე იგი, წინაპრების დაზიანებული კარმის გამოსწორება და ამით საკუთარი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეგვიძლია?**

– რა თქმა უნდა. ასტროლოგია, არ არის ფატალური მეცნიერება. ასტროლოგია, ინსტრუმენტია. ყველა ადამიანისთვის პირადი ჰოროსკოპი საკუთარი ცხოვრების მართვის ინსტრუმენტი, მასწავლებელი და გზამკვლევია. თუ ასტროლოგიურ კანონებს დაიცავთ, ადვილად შეძლებთ საკუთარი ცხოვრების მართვას. ადრე, მეფეს უფლისწული რომ უჩნდებოდა, მას უპირველესად, პირად ჰოროსკოპს უდგენდნენ და ამით უიოლებდნენ მომავალ ცხოვრებას, ასწავლიდნენ საკუთარი კარმის რეალიზაციას და ამას დიდი ყურადღება ექცეოდა. ეს ყველასთვის არ იყო ხელმისაწვდომი. დღეს კი ეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გააკეთოს და საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ წარმართოს. მაგალითად, ტიბეტური ასტროლოგიით, შესაძლებელია, დადგინდეს, სანამ ადამიანი დედამიწაზე მოვიდოდა, მანამადე რა სივრცეში არსებობდა და რა ენერგიებს ფლობდა. ამის მიხედვით ხვდებიან, კონკრეტული ადამიანი რა ძალის და ენერგიის მატარებელია დედამიწაზე. ეს ცოდნა კი, უძველესი დროიდან მოდის და მისი უგულვებელყოფა, უბრალოდ, არ შეიძლება.

**ნონა დათეშიძე**

**მომღერალი გია სურამელაშვილი იანვრის ბოლოს 45 წლის გახდა და მეგობრებისა და სხვა სტუმრების გარემოცვაში, ეს თარიღი გრანდიოზულად აღნიშნა. როგორც თავად თქვა, ძალიან ლამაზი საღამო მოუწყო რესტორანმა და ამით, ყველა კმაყოფილი დარჩა. ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ მას ასაკი ვერაფერს აკლებს. პირიქით, თაყვანისმცემლები კიდევ უფრო მოუმრავლდა. რა გეგმები აქვს, როგორ ცხოვრობს და როგორია მისთვის ბაბუის ამპლუა, ამასაც და სხვა დანარჩენსაც ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რამ ჩააგდო გია სურამელაშვილი დეპრესიაში და ვინ შეზღუდა მისი თავისუფლება 4 თვით

**– გია, „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობას დღევანდელი გადასახედიდან ნანობ, თუ პირიქით?**

– სიმართლე გითხრა, „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობის მიღება არც მინდოდა, მაგრამ, ნოემ 2 თვის განმავლობაში იმდენი ქნა, მაინც დამითანხმა. მაშინ კი ვნანობდი, მონაწილეობას რომ ვიღებდი, რადგან ძალიან მეზარებოდა რეპეტიციებზე სიარული. ძალიან არ მიყვარს ჩაკეტილი სივრცე, ვერ ვიტან. ახლა კი მენატრება ის სიტუაცია. თან, „ცეკვავენ ვარსკვლავების" რეპეტიციების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, საყვარელ ადამიანს დავშორდი. ცივ შამპანურებს კი ვსვამდი იმ პერიოდში, მაგრამ გულს მაინც არ მიგრილებდა. მართალა ძალიან დიდ დეპრესიაში ვიყავი და ცეკვის სურვილი საერთოდ არ მქონდა. რაც მართალი, მართალია, ყველანაირად ხელს მიწყობდნენ პროექტის დროს და მეხმარებოდნენ, განსაკუთრებით ჩემი მეწყვილე. როგორ იტანდნენ ჩემს გამოხტომებს, არ ვიცი, მაგრამ ასე იყო. ალბათ, ძალიან „ზვეზდა" ვარ. ფაქტი იყო, რომ უნდა მეცეკვა, მეც ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად. მართლა ისტერიკა მემართებოდა, იმდენად არ მქონდა ცეკვის ნერვი.

**– პროექტის მერე რა ხდებოდა შენს ცხოვრებაში?**

– კონტრაქტის თანახმად, არც ერთ პროექტში წასვლის უფლება არ მქონდა 4 თვის განმავლობაში. ხომ იცი, რეიტინგული მომღერალი ვარ, ყველას ვუყვარვარ და ყველას უნდოდა ჩემი ჩაწერა და გადაღება. რა უნდა მექნა, უარს ვეუბნებოდი მათ და თან, ვუხსნიდი ამის მიზეზს. ძალიან არ მიყვარს ჩარჩოში ჩაჯდომა, თავისუფალი ადამიანი ვარ და მშლუდავდა ის 4 თვე. მე ხომ ცოტა გიჟი ვარ, რა ვქნა.

**– ალბათ, ერთ-ერთი სიგიჟე ისიც იყო, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭის ყრის შესახებ ჭორი რომ ააგორე.**

– სხვათა შორის, ეგ ჭორი მე არ ამიგორებია. ერთ-ერთმა შენმა კოლეგამ მკითხა, არჩევნებში მონაწილეობა არ გინდაო? რატომაც არა, ჩემი მეგობრებიც მაგას მეუბნებიან, იმდენ ადამიანს უყვარხარ, კენჭი რომ იყარო, ნამდვილად პრეზიდენტი გახდებიო. ოღონდ ამ ყველაფერს ლადაში ვუყვებოდი და არა ინტერვიუსთვის, თან გადათიშული მთვრალი ვიყავი. ამის თქმა იყო და უცბად, ყველა ტელევიზია მომასკდა. ისეთი ნევროზი მქონდა ამის გამო, გადავირიე. ალბათ, ესეც კარგი პიარი გამოვიდა ჩემთვის. არ იცი, რა ხდებოდა, ჩემი ტელეფონი არ ჩერდებოდა. ყველას უნდოდა ამ ამბის გადამოწმება. ვერ გაერკვნენ, მართალი იყო თუ ჭორი.



**საოცარი დაბადების დღე გადამიხადეს, გადაჭედილი იყო რესტორანი. 240 კაცი იჯდა, 280 უკან გავუშვით, ადგილი რომ აღარ იყო**

**– ამასობაში ბაბუა გახდი. როგორი შეგრძნებაა?**

– საოცარი და ცოტა წარმოუდგენელი შეგრძნებაა. ისეთი საყვარელი შვილიშვილი მყავს, გვიჟდები მასზე. მართალია, ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, ბევრ დროს ვერ ვუთმობ, მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მაშინვე მისი ნახვა მინდა. ერთი შვილი მყავს და წარმოიდგინე, როგორ მეყვარება მისი შვილი.

**– რაც შეეხება კონცერტებს, თუ გაქვს დაგეგმილი.**

**მართალია, ხმისჩამწერ სტუდიამდე ვერ მივაღწიე, მაგრამ სამაგიეროდ, დღე და ღამე ტელევიზიაში, პრესაში და რადიოში ვარ. მოკლედ, უთოც რომ ჩართო, იქაც გიოა**

– თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში ბელგიაში მაქვს კონცერტი დაგეგმილი.

**– ყოველ საღამოს რესტორანში მღერი და ბევრი ადამიანი დადის შენს მოსასმენად.**

– ძალიან მოთხოვნადი მომღერალი ვარ, ან როდის არ ვიყავი რო?! 45 წლის გავხდი ახლახან, ამბობენ დაბერდაო. მაგრამ, ხალხს მაინც ვუყვარვარ და ჩემს სიმღერებს დიდი სიამოვნებით უსმენენ. რესტორანში კი ვარ ყოველ საღამოს, მაგრამ სხვა კონცერტებიც მაქვს დაგეგმილი. ისეთი დაკავებული ვარ, ვერ გადმოგცემ. ალბათ, ამის ბრალიც არის, რომ უკვე დიდი ხანია, ახალი სიმღერა არ ჩამიწერია. არადა, თვეში 2-3 სიმღერას ვწერდი. მე თუ ეს დამემართებოდა და ამდენი ხანი სიმღერას არ ჩავწერდი, ვერ წარმოვიდგენდი. ალბათ, ეს მაინც გადაღლილობის, გასტროლებისა და ბევრი კონცერტის ბრალია. მართალია ხმისჩამწერ სტუდიამდე ვერ მივაღწიე, მაგრამ სამაგიეროდ, დღე და ღამე ტელევიზიაში, პრესაში და რადიოში ვარ. მოკლედ, უთოც რომ ჩართო იქაც გიოა. ახლა რატომღაც გიოს მეძახიან, ეს სახელი უფრო მოსწონთ ჩემზე.

**– ახლახან ინტერნეტსივრცეში კიდევ ერთხელ გაჟღერდა შენი სახელი. ნანუკა ჟორჟოლიანმა თქვა, მისი ერთ-ერთი გადაცემის რეიტინგთან დაკავშირებით. ამ ქვეყანაში გია სურამელაშვილი 2-ჯერ მეტ რეიტინგს დაწერდაო. ამ ყველაფერზე შენი რეაქცია როგორი იყო?**

– „ნანუკას შოუ" თუ გადავიჩრდილე, ეს მათი პრობლემაა და არა ჩემი. ასეთ რაღაცეებს რომ წერენ საიტებზე, მე არ მეუბნებიან და ამის გამო ხასიათს არ მიფუჭებენ. ესეც შემთხვევით გავიგე, როცა ჟურნალისტმა კომენტარისთვის დამირეკა. ალბათ, თვითონ „ნანუკას შოუს" არ აქვს რეიტინგი და მე რა შუაში ვარ? როგორც წესი, პროვოკაციებს არ ვეგები. ჟურნალისტებთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს და ყველა მიყვარს. არასდროს მიგრძნია შენი კოლეგებისგან ცუდი დამოკიდებულება. ახლა რა მოხდა, მართლა არ ვიცი.

**– ხშირად საუბრობენ შენს ძვირფასეულობაზე, რომელსაც ყოველთვის თან ატარებ.**

– არ ვიცი, რატომ გამოიწვია ამან ასეთი ამბავი. ოქროები, ბრილიანტები და დახეული შარვლები ყოველთვის მიყვარდა. კარგი რა, 2-3 ბრილიანტის ბეჭედი ყველას აქვს სახლში, მე თუ 40 მაქვს, რა მოხდა მერე? – კოლექციონერი ვარ თუ მაგნატი. ჩემმა მეგობრებმა იციან, ოქრო და ბრილიანტი რომ მიყვარს და სუნამოს მაგივრად, ვინც შეძლებულია, სამკაულს მჩუქნის. მაგალითად, ახლახან გიორგი წერეთელმა მაჩუქა ძალიან ლამაზი ბეჭედი.

**– 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გრანდიოზული დაბადების დღე გადაიხადე, სადაც უამრავმა სტუმრმა მოიყარა თავი. სამკაულები, ალბათ, დაბადების დღეზეც მოგართვეს საჩუქრად და შენი კოლექცია კიდევ უფრო გამრავალფეროვნდებოდა.**

– საკმაოდ ბევრი სამკაული მივიღე საჩუქრად. ძალიან ლამაზი საღამო იყო და ყველა კმაყოფილი დარჩა. გადაჭედილი იყო რესტორანი. 240 კაცი იჯდა, 280 უკან გავუშვით, ადგილი რომ აღარ იყო. ეს ყველაფერი კი ჩემი მენეჯერის, მარინა კაშიას დამსახურებაა. სტუმრებისთვის კარგი განწყობა შემოსვლისთანავე დაიწყო. რესტორნის ჰოლში ფოტოსესია მოეწყო, თან მონიტორზე ჩემი კლიპი გადიოდა. მილოცავდნენ და მოკლედ, ძალიან მაგარი იყო.

**მარიკა ხიდურელი**

**„იმიჯ-ცენტრის“ მოდელი ნუკა ყარალაშვილი ცოტა ხნის წინ რომიდან დაბრუნდა, სადაც წარმატებულად გამოდიოდა რომის „ფეშენ-ვიქზე“. ნუკა დიდი ხანია, სამოდელი სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ მოდელია, რომელიც უკვე წლებია, ქართველ მოდელებს ევროპისა და აზიის ქვეყნების პრესტიჟულ სააგენტოებში გზავნის სამუშაოდ, სადაც ისინი ცნობილი დიზაინერების, ბრენდების ჩვენებებში, შოუ-რუმებში იღებენ მონაწილეობას და სხვადასხვა გამოცემისთვის იღებენ ფოტოებს. ნუკა სამომავლოდ, შესაძლოა, აზიაში გაემგზავროს სამუშაოდ, ან, ისევ ევროპის რომელიმე ქვეყანაში დაბრუნდეს – ამაზე უკვე ზრუნავს „იმიჯ-ცენტრი“. რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, როგორც ნუკა ამბობს, ამ მხრივ მის ცხოვრებაში სიმშვიდეა – შეყვარებული არ ჰყავს, რადგან, მხოლოდ საქმესა და სწავლაზეა კონცენტრირებული.**

# ვინ მოიტაცა რომის „ფეშენ-ვიქიდან“ ნუკა ყარალაშვილი და როგორ მოხვდა მისი ფოტოები იტალიური „ვოგისა“ და „ელ ოფისიელის“ ოფიციალურ გვერდებზე

**ნუკა ყარალაშვილი**: მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში, განსაკუთრებით კი მილანში, საკმაოდ დიდი კონკურენციაა, მაინც მოვახერხე თავის დამკვიდრება და, უკვე ორი წელია, წარმატებულად ვმუშაობ. ხშირ შემთხვევაში მილანში პირდაპირ სამუშაოდ ჩავდივარ და არა ქასთინგებზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, მაგრამ, მიკვირს კიდეც, რადგან, მილანში ბევრი ლამაზი მოდელია. ალბათ, ამ შემთხვევაში ხასიათიც მნიშვნელოვანია – ისეთი ხასიათი მაქვს, კარგად ვეწყობი იტალიელებს. კომუნიკაბელური ვარ, ხალისიანი და, რაც მთავარია, დისკომფორტს არავის ვუქმნი. გარდა ამისა, არ ვარ 15 წლის გამოუცდელი მოდელი და, ალბათ, ესეც მოსწონთ. მონდომება ერთია, მაგრამ, ალბათ, გამართლებაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**– საინტერესოა ის პერიოდი, როდესაც პირველად ჩახვედი მილანში და ყველაფრის ნულიდან დაწყება მოგიწია.**

– მანამდე მალაიზიაში ვიყავი კონკურსზე, მაგრამ, იქ არ მჭირდებოდა რამისთვის ჩემით მიგნება და მოგნება, რადგან, პრინცესასავით ვცხოვრობდი. მილანში კი უცებ კონკიას ისტორია დაიწყო: რუკით, მეტროთი, კითხვა-კითხვით. თუმცა, თავიდან აბსოლუტურად ყველას ყველაფერს ვეკითხებოდი: ეს სად არის, ის სად არის... ყველაფერს ვამოწმებდი, რომ ბევრი არ მევლო. შემდეგ ამასაც მივეჩვიე – მილანში მეორე ჩასვლისას უკვე რუკის გარეშე დავდიოდი, აქეთ ვასწავლიდი ხალხს, სად რა იყო. მილანი ისეთი ქალაქია, ძალიან შეგიყვარდება, თავს არ გრძნობ უცხო ქალაქში. გარდა ამისა, ბევრი მეგობარი შევიძინე. თან – საქმე, თან – გართობა, მოკლედ, კარგად ვატარებდი დროს.



**– რომელი იყო შენთვის ყველაზე გამორჩეული სამუშაო?**

– რომის „ფეშენ ვიქი“. მილანში რომ ჩავედი, ბევრ ბრენდთან დავდიოდი ქასთინგებზე: „ალექსანდრე მაქქვინთან“, „რობერტო კავალისთან,“ „ჯასთ კავალისთან,“ „დონა კარანთან“, „ემილიო პუჩითან“. ვიღაცას შეუძლია, თქვას: „კავალისთან“ ვმუშაობდიო, მაგრამ, გააჩნია მასთან რაზე მუშაობდი. შეიძლება, მასთან „შოუ-რუმზე“ მუშაობდე და, შეიძლება, მის ჩვენებაშიც გქონდეს მონაწილეობა მიღებული – ეს სხვადასხვაა. საქართველოში ხშირად ერევათ ასეთი რაღაცეები. პირადად მე, „კავალისთან“ „შოუ-რუმზეც“ ვიყავი, გადაღებებშიც მივიღე მონაწილეობა. ძალიან საინტერესო იყო „ჯასთ კავალის“ „ლუქბუქისთვის“ კაპრზე გადაღებები. შემდეგ უკვე „კავალის“ შოუ-რუმზე დამამტკიცეს, სადაც სექტემბერში უნდა წავსულიყავი, მაგრამ, უნივერსიტეტის ბოლო წელი მეწყებოდა და, მერჩივნა, საქართველოში დავრჩენილიყავი. „კავალისთან“, „ანტონიო მარასთან,“ ასევე, „დონა კარანთან“ არაერთხელ მიმუშავია. თბილისში რომ ვიყავი, მწერდნენ – „კავალი“ გეძახის და ჩამოდიო. „დონა კარანთან“, „შოუ-რუმზე“ თითქმის ათი დღე ვიმუშავე. მასთან მუშაობა ძალიან დიდი სტრესია, რადგან, საშინელი სიმკაცრეა, თუმცა, ჩემთვის ეს არაფერია. ასევე, ძალიან საინტერესო იყო „რაფაელა კურიელის“ ჩვენება. ორი წლის წინ ძალიან მოვეწონე, ამირჩია და ჩავედი რომში, მაგრამ, სამწუხაროდ, ტანსაცმელი დიდი მომივიდა. შემდეგი ჩვენება ჰქონდა მილანთან ახლოს, პატარა ქალაქში – კომო ულამაზესი ადგილია. ამ შემთხვევაში, ტანსაცმელი მომერგო, რადგან, ჩემს ტანზე გადააკეთა.



**– ახლა მომიყევი რომის „ფეშენ-ვიქის“ შესახებ, სადაც ძალიან წარმატებულად გამოხვედი.**

– ჩვენი სააგენტოს, „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელს, ია კიწმარიშვილს, ჩემი ფოტოები გაგზავნილი აქვს სხვადასხვა სააგენტოში. ცოტა ხნის წინ რომის ერთ-ერთი სააგენტოდან მოსწერეს ქალბატონ იას, რომ ჩავსულიყავი რომის „ფეშენ-ვიქზე“. ძალიან გამიხარდა. ჩავედი რომში, სადაც სასტუმროს ტიპის სახლში ვცხოვრობდი სხვა გოგონებთან ერთად. ზოგი ისე წავიდა, არც ერთ ჩვენებაში არ მიუღია მონაწილეობა. მე კი გამიმართლა: ხუთ დიზაინერს მოვეწონე და ოთხ ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა – მეხუთეზე ვერ გამოვედი, რადგან, ჩვენმა ბუქერმა წამოგვიყვანა, ასე ვთქვათ, ჩვენების დაწყებამდე მოგვიტაცა. სამაგიეროდ, ოთხ ძალიან წარმატებულ, ცნობილ დიზაინერთან გამოვედი. ერთი იყო ჯადა კურტი – ოტ-კუტიური, მეორე – ეზმე ვიე, რომელიც დამწყები მოდელიორია, მესამე – გრეტა ბოლდინი და მეოთხე – ლუიჯი ბორბონე.

**მანამდე მალაიზიაში ვიყავი კონკურსზე, მაგრამ, იქ არ მჭირდებოდა რამისთვის ჩემით მიგნება და მოგნება, რადგან, პრინცესასავით ვცხოვრობდი**

ეზმე ვიეს გარდა, ყველა ოტ-კუტიური იყო. რაც მთავარია, ჯადა კურტის ჩვენება მე გავხსენი და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ეს, ალბათ, ჩემზე ნაკლებად იყო დამოკიდებული, უფრო კაბის გამო მოხდა. მაგრამ ეს კაბა ხომ მე ჩამაცვეს! ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო, თან, რომის „ფეშენ ვიქში“ პირველად მივიღე მონაწილეობა. იქ ბევრი მოდელი ჩადის, მაგრამ, ქასთინგებზე რას იზამ, აგირჩევენ თუ არა – ეს კიდევ სხვა რამეა. დღეს საქართველოში ხშირად აპიარებენ: ეს მოდელი წავიდა მილანში, პარიზში... ჩემს სააგენტოსაც შეიძლებოდა, გაეკეთებინა პიარი: „ქართველი მოდელი მიიწვიეს რომის „ფეშენ-ვიქზე“ – მაგრამ, ასე არ გააკეთეს, რადგან, მერე რა, რომ მიგიწვიეს? მთავარია, იქ რას გააკეთებ.



**– და შენც, ალბათ, საკმაოდ მობილიზებული წახვედი.**

– ის ვიყავი, რაც ვარ. წავიღე ჩემი ბუქი და ვცდილობდი, სულ ფორმაში ვყოფილიყავი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, მაქსიმუმ, შეიძლებოდა, გამოგეყენებინა ტუში და ტუჩის საცხი. ტანსაცმელი კი უნდა გცმოდა შავი, ისეთი, რაც ფეხს, ტანს გამოგიჩენდა. მეც ვცდილობდი, მათი მოთხოვნები დამეკმაყოფილებინა და შედეგი სახეზეა. ჯადა კურტის ქასთინგი საკმაოდ რთული იყო. ძალიან ბევრი გოგონა მოვიდა. გამოვიდა ჯადას ასისტენტი, დახედა ფოტოებს და თქვა: „თქვენ წადით, თქვენ წადით”... – გოგონებისთვის არც კი შეუხედავს, ისე გაცხრილა. დავრჩით რამდენიმე გოგონა. მე შესასვლელთან ვიდექი: იქნებ, დამინახოს და, ან „ჰო” მითხრას, ან – „არა-მეთქი”. თხუთმეტიდან სულ ოთხი გოგონა უნდა აერჩიათ. სამი რომ აირჩიეს, ამ დროს, გამოვიდა ჯადა, შემომხედა და მითხრა – შენ გამოდიო. მერე დაიწყო: „შენ წადი, შენ წადი” და, მე მეუბნება – შენ დარჩიო. ორი საათი ველოდე ჩემი „ფითინგი” როდის დაიწყებოდა. ჩამაცვა ვარდისფერი საცურაო კოსტიუმი, ოღონდ, ნაქსოვი, თვლებით, ულამაზესი და, ზემოდან ჰქონდა შემოცმული „ტიულის“ ვარდისფერი მოსასხამი. ძალიან მოეწონა ჩემს ტანზე; მეორეც ჩამაცვა – ისიც მოეწონა. უნდოდა, მე დამეხურა ჩვენება საქორწილო კაბით, მაგრამ, გრძელი მომივიდა.

**– შენი გამოსვლა მინახავს „ფეშენ-ვიქებზე,” ნამდვილი პროფესიონალი ხარ. იქ თუ იყო შენი მისამართით კომპლიმენტები?**

– მახსოვს, ლუიჯი ბორბონეს ჩვენებიდან რომ გამოვედი, ორი ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრეს: „ბელისიმა!” – თან, ხომ იცი, ასეთ ჩვენებაზე ქუჩიდან ვერავინ შემოვა. ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა. ჩვენებიდან ფოტოები დაიბეჭდა იტალიურ „ვოგსა“ და „ელ ოფისიელში“. თავიდან ეს ფოტოები ვნახე „ინსტაგრამის“ მათ გვერდზე, შემდეგ – საიტებზე და, რაც მთავარია, სწორედ ჩემი ფოტოები დადეს. ყველა გოგონას ფოტო არ იყო, ათიდან, დაახლოებით, სამი ფოტო დადეს და, მე რომელი დიზაინერის ფოტოებიც ვნახე, ყველგან იყო ჩემი ფოტო. ეს, რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან საამაყო და სასიხარულოა.

**ნათია უტიაშვილი**



## პირველი ქართული ეკიპაჟი ამერიკულ რალიზე

10 თებერვალს პირველი ქართული ეკიპაჟი ამერიკულ რალიზე მონაწილეობის მისაღებად შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. მევლუდ მელაძე და ოვანეს კოგოსოვი ის მრბოლელები არიან, რომლებიც ამერიკის კონტინენტზე მოსინჯავენ საკუთარ ძალებს და კონკურენციას გაუწევენ ისეთ ლეგენდარულ რალისტებს, როგორებიც არიან კენ ბლოკი, ტრევის პასტრანა და სხვები.

რალი ამერიკის ეტაპი, სახელწოდებით „100 აკრ ვუდ რალი“ 21-22 თებერვალს, მისურის შტატში, მოხრეშილზედაპირიან გზის საფარზე გაიმართება. მსგავსი გზის საფარი ავტოსპორტში ერთ-ერთი ყველაზე რთულია და მართვის მაღალ ოსტატობას მოითხოვს. ამ დრომდე რალის ამ ეტაპზე 57 სპორტსმენია დარეგისტრირებული. ქართული ეკიპაჟი მონაწილეობას წინა წამყვანი თვლით აღჭურვილი ავტომობილების კლასში მიიღებს. ამერიკის რალიზე პირველი ქართული ეკიპაჟის მონაწილეობის გენერალური სპონსორია „აჭარაბეთი“; სპონსორები: „ლუკოილი,“ „რეინოლი“, „ჰუსქვარნა,“ „ვიურტი.“




**მევლუდ მელაძე**: ჩვენს ეკიპაჟს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდით აღმოსავლეთ ევროპის თასზე, საიდანაც ერთხელაც არ დავბრუნებულვართ საპრიზო ადგილის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის რთულ პირობებში ვიყავით – არ გვყავდა შესაბამისი ავტომობილი, არ გვქონდა შესაბამისი სერვისი. თვითონ ვიყავით ჩვენი ავტომობილის პილოტებიც, შტურმანებიც, მექანიკოსებიც და მენეჯერებიც. წინასწარ შემიძლია, ვთქვა, რომ ეს ვოიაჟიც სავსე იქნება თავგადასავლებით. ალბათ, მსოფლიოში ვერ მოძებნით ეკიპაჟს, რომელიც სპორტული ავტომობილით მიდის შეჯიბრების ადგილამდე, როგორც ეს ჩვენ გვიწევს, თან, მაშინ, როცა რამდენიმე ათასი მილია გასავლელი.




## კონკურსი „მისტერ ვალენტინი 2014" 5 წლისაა

**დასკვნითი საღამო გაიმართება 13 თებერვალს, „დიდუბე-პლაზაში“.**

***იდეის ავტორი*** – გია ჯაჯანიძე, კონკურსის დირექტორი – კახი ხაბეიშვილი, ორგანიზატორი – თათა ლემონჯავა.




***ჟიურის წევრები არიან:*** კრისტი ყიფშიძე, დალი ქიტალაძე, აჩიკო მეფარიძე, შოთიკო ბოჭორიშვილი, თამარ პოპიაშვილი, ნინა წკრიალაშვილი, ოთო ფედირკინი, ლიზა ვადაჭკორია, ნინო ნადირაძე-კუზანოვი, ქეთი მოსიძე, დავით მანიჟაშვილი, ბრენდ „გიზის“ დამფუძნებელი – გიზი ჭავჭანიძე, „მისტერ ვალენტინი 2013-ის" გამარჯვებული – ბერდია თოფურია.

***საინფორმაციო მხარდამჭერი*** – ტელეკომპანია „იმედი“.



***პ რ ი ზ ე ბ ს გადასცემენ***: „კუზანოვდენტი“, „ქოლორსოფლაინი“ „აინ გლობალ ჯორჯია“, „ერგოლაინი“, სალონი „ფაილაინი,“ კლუბი „ტრიუმფი“, „სარაჯიშვილი“, „ბაგრატიონი“, „ორიფლეიმი“, „ბესტ მოდელი“, მაღაზია „ფეისი“, გამომცემლობა „მინიატურა“, „ნიუ ლუქ მოდელსი“.

***ფოტოგრაფი*** – გუგა კერესელიძე.

***დიზაინერები***: ნატა ბერიძე და ანა ნადარეიშვილი.



19 წლის ნანიკო ხაჩიურს ორი კვირის წინ დაუდგინდა უმძიმესი დიაგნოზი – მწვავე ლეიკემია. მას სასწრაფოდ ესაჭიროება ძვლის ტვინის გადანერგვა.

ნანიკო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია. გოგონა კონფლიქტის ზონის, გორის რაიონის სოფელ ქორდში ცხოვრობს. სოციალურად დაუცველ ოჯახს არ გააჩნია თანხა, რომელიც ნანიკოს მკურნალობისა და სასწრაფო ოპერაციისთვის არის აუცილებელი.

**დაეხმარეთ ნანიკო ხაჩიურს!**

**გადაარჩინეთ ახალგაზრდა გოგონას სიცოცხლე!**

**მობილური ტელეფონი: 0901 700-091 (ნებისმიერი ქსელიდან).**

**საბანკო ანგარიში: GE59BG0000000777989800.**

**პირადი ნომერი: 59001092358.**

## „ზამთრის მელოდიები"

***დიდი წარმატება ხვდა წილად საქველმოქმედო ფესტივალს „ზამთრის მელოდიები," რომელიც ჩატარდა სტუდია „გვირილას" და ასოციაცია „ჯადოსნური ხმების" ორგანიზებით. საქველმოქმედო ფესტივალის მხარდამჭერი იყო კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯია." ფესტივალის გახსნა მოხდა თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე, გაგრძელდა მთაწმინდის პარკში, ხოლო ფესტივალის დახურვა შედგა გორის დრამატული თეატრის სცენაზე. პროექტის შედეგად მოხდა ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.***




**ნინო ჩიხლაძე *(პროექტის ავტორი):*** კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენს საბავშვო, საქველმოქმედო, ინტეგრაციული შინაარსის პროექტების მიმართ, სწორედ კომპანიის თანადგომით გაეწიათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია-დახმარება. დიდი მადლობა მათ.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ ბავშვები ქალბატონი ნინელი ჭანკვეტაძის ფონდიდან: „ჩემი სახლი." ისინი ჩაირიცხნენ სტუდია „გვირილაში" და თავიანთ თანატოლებთან ერთად ალამაზებდნენ ამ ფესტივალს. მათ ჩაცმულობაზე იზრუნა სტუდია „გვირილამ" და ასოციაცია „ჯადოსნურმა ხმებმა."

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**დიდ მოურავს ყველა ისტორიული წყარო ახასიათებს, როგორც უზადო მხედართმთავრს და აღიარებს მის ნიჭსა და უნარს. საინტერესოა გიორგი სააკაძისა და მისი სიძის – ქართლის მეფე ლუარსაბ მეორის ურთიერთობა, კერძოდ, რატომ გაიმეტა მეფემ საკუთარი ცოლისძმა სასიკვდილოდ. ისტორიკოსი, პროფესორი ვაჟა კიკნაძე მიიჩნევს, რომ ეს საკითხი საკმაოდ ზერელედაა შესწავლილი ჩვენს ისტორიაში და საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს.**

# რატომ არ ენდობოდა დიდ მოურავს შაჰ-აბასი და რის გამო გაექცა გიორგი სააკაძე მასთან თავის სიძეს – ლუარსაბ მეფეს

**ვაჟა კიკნაძე**: საკითხი, თუ რატომ გაიმეტა ლუარსაბ მეორემ გიორგი სააკაძე სასიკვდილოდ, საკმაოდ ზერელედაა შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. არსებობს ასეთი საკმაოდ საეჭვო დასკვნა, რომ დიდი თავადები, რომლებიც გარს ეხვივნენ ახალგაზრდა მეფეს, გიორგის მტრობდნენ მისი სოციალური წარმოშობის გამო და მეფეს შთააგონებდნენ, მოეშორებინა მოურავი, რაც ადვილად დაიჯერა სულსწრაფმა ლუარსაბმა და მისი ბედიც გადაწყვიტა. თუმცა, ყველაფერი ასე მარტივად არ უნდა ყოფილიყო.

დავიწყოთ იმით, თუ როგორ მოხდა მეფისა და გიორგი სააკაძის დამოყვრება: იმ დროს, როდესაც ლუარსაბი 20-21 წლის გახლდათ, გიორგი სააკაძე, რომელიც უკვე განთქმული იყო თავისი ორგანიზატორული ნიჭითა და ენერგიით, ცდილობს, დაუმოყვრდეს მეფეს. ეს დეტალი აშკარად იკვეთება: ის აწყობს დიდ ლხინს, პატიჟებს ლუარსაბ მეორეს და სუფრაზე მწდედ უნიშნავს საკუთარ დას, რომელიც განთქმული იყო სილამაზით. მეფე მოიხიბლა ამ ქალით და ძალიან მალე მისი ხელიც სთხოვა მხედართმთავარს. სწორედ აქ ჩანს, რომ მთლად მარტივად არ არის საქმე: ერთი მხრივ, სააკაძე, თითქოს უარს ეუბნება მეფეს ამ ქორწინებაზე, ამავე დროს კი, მისივე ნათესავის, იოსებ სააკაძის (თბილელი), მისი პიროვნების განმადიდებელი პოემის – „დიდმოურავიანის“ ავტორისა და სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის ცნობით, სააკაძე ემუქრება ლუარსაბს: თუ უპატიოდ დამიგდებს დას და ცოლად არ მოიყვანს, არ ვაცოცხლებო. ამასთან, ლუარსაბის დედას, რომელიც ამ ქორწინების წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ლუარსაბი დადიანის ასულ მარიამს შეირთავდა, დიდი მოურავი უთვლის: „თქვენი შვილი ჩემს დასა მთხოვს, მე არ ვაძლევ ჩემის ნებით, არა ვლირვარ, დაუშალე, გამორჩევის კარგის მცნებით“ („დიდმოურავიანი“). აქ სააკაძე აშკარად არ არის გულახდილი. ნაკლებ სარწმუნოა, თითქოს გიორგის მართლა მიაჩნდა, რომ „არა ღირდა“, რადგან, იმავე ნაწარმოებში იგი სიამაყით ამბობს: ვეჭვ, ზოგ თავადსაც მოსწადდეს ჩემებრი აზნაურობაო. გიორგის ეს სიტყვები, ჩემი აზრით, იმას ემსახურება, რომ მან არგუმენტი მოუშალოს დედოფალს; იმის ნაცვლად, რომ დედა-დედოფალს დაჟინებით მოსთხოვოს, ლუარსაბმა აუცილებლად იქორწინოს ჩემს დაზეო, პირიქით, თავს ისაწყლებს – სათქვენოდ არა ვლირვარო. სააკაძის ამ სიტყვების არაგულწრფელობას ერთი ფაქტიც ადასტურებს: სულ ცოტა ხანში ის ხელშეკრულებას დებს იმერთა მეფე გიორგისთან, რომ მისმა ძემ ცოლად შეირთოს სააკაძის ერთ-ერთი ასული. მართალია, ეს ქორწინება შემდგომ არ შემდგარა მიზეზთა გამო, მაგრამ, ფაქტია, თუ გიორგი სააკაძეს ერთი მეფის ღირსად არ მიაჩნდა თავი, მაშინ, სხვა მეფესთან დამოყვრებაზეც არ შეადგენდა ამ ხასიათის ხელშეკრულებას.

ასე არაგულწრფელად და ანგარებით შემდგარი ქორწინება საკმაოდ ტრაგიკული გამოდგა ორივე მხარისთვის, პირველ ყოვლისა კი – თვითონ ახალგაზრდა მეფისთვის.



**როდესაც შაჰმა გამოგზავნა ჯარი და მარტყოფის ცნობილი აჯანყება მოხდა, მან ჯარი არა სააკაძეს, არამედ, გასპარსებულ სომეხს, ყარჩიღა-ხანს ჩააბარა**

**– რატომ?**

– მეფისა და სააკაძის დის დაქორწინებიდან არ გადის ნახევარი წელიწადი და, სრულიად მოულოდნელად, ლუარსაბმა დაადგინა, სააკაძისთვის მამული ჩამოერთმიათ და სიკვდილით დაესაჯათ. ეს დადგენილება დაუსწრებლად, სააკაძისგან ფარულად იქნა გამოტანილი, რადგან, მეფემ იცოდა, რომ საჯარო წესით ის ვერ გაუმკლავდებოდა დიდ მოურავს. სასამართლომდეც რომ მისულიყო საქმე, გიორგი სააკაძე რამეს მოიფიქრებდა და თავს არავის დაასჯევინებდა, მით უფრო, რომ მას ყველგან ბევრი მომხრე ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ მეფემ ის წავკისში დაიბარა, სადაც დაგეგმილი იყო გიორგის გაუსამართლებლად მოკვლა. გიორგი სააკაძეს თავისი მომხრეებისა და მოენეების მთელი ქსელი ჰქონდა თბილისის გარნიზონსა და მეფის კარზე. ერთ-ერთმა მათგანმა, ბააკა ხერხეულიძემ, მართლაც გასცა ლუარსაბის ჩანაფიქრი და გიორგის აცნობა ყველაფერი. სწორედ ამის შემდეგ გადაიხვეწა სააკაძე სპარსეთში, შაჰ-აბასთან.

**– რატომ მაინცდამაინც შაჰ-აბასთან?**

– პირადად ჩემთვის ეს ძნელად ასახსნელია. ვინც გიორგი სააკაძის პიროვნების განდიდებას ცდილობს, ამბობს, რომ, ჯერ ერთი, მას სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდა და, მეორე, მას შაჰის ხელით სურდა საქართველოს გაერთიანება. ჩემი აზრით, ორივე ეს დებულება მცდარია იმიტომ, რომ სააკაძემ თავისი ოჯახი გაგზავნა იმერეთის მეფესთან, რომელთანაც თვითონაც თავისუფლად შეეძლო გადასვლა, ეს ერთი; მეორე – შაჰის ხელით გაერთიანებული საქართველო როგორი წარმოასდგენია, მე არ მესმის. როგორც ჩანს, გიორგი სააკაძე წავიდა იმიტომ, რომ მას სურდა, შური ეძია მეფეზე და ამას შეძლებდა მხოლოდ შაჰის ხელით. ამ ვარაუდს ბევრი წყარო ადასტურებს.

**– თვითონ ლუარსაბმა რატომ გაიმეტა სასიკვდილოდ სააკაძე?**

– უნდა აღვნიშნო, რომ, ყველა წყაროს მიხედვით, ლუარსაბ მეორე სიმამაცით, სილამაზით, ახოვანებით გამოირჩეოდა და, როცა საჭირო გახდა ქრისტიანობისთვის თავგანწირვა, მან უყოყმანოდ გადაწყვიტა, თავი დაედო საკუთარი რწმენისთვის და არაფრით არ მიიღო ისლამი, საიდანაც კეთდება დასკვნა, რომ ლუარსაბი არ იყო ადვილად დასარწმუნებელი და გადასაბირებელი კაცი, თორემ, სხვაგვარად მოიქცეოდა. აქედან გამომდინარე, ჩნდება აზრი, რომ არც სააკაძესთან დაკავშირებით იყო ასე მარტივად საქმე, რომ თავადებმა რაღაც უთხრეს, მან მაშინვე დაიჯერა ეს და მეფემ სააკაძე სასიკვდილოდ გაიმეტა. იბადება კითხვა: მაინც, რა ედებოდა გიორგი სააკაძეს ბრალად, რომ, ჰუმანურმა, ახალგაზრდა მეფემ მას ასეთი სასტიკი განაჩენი გამოუტანა?

თვით სააკაძის პიროვნების მეცნიერულად შემსწავლელი და მეხოტბე პროფესორი გივი ჯამბურია აღიარებს, რომ ფეოდალურ სამყაროში ასეთ განაჩენს (ამოწყვეტა ან მოკვლა და მამულის ჩამორთმევა) მხოლოდ სახელმწიფოს ან მეფის ღალატისთვის უსჯიდნენო. გავიხსენოთ იგივე ბააკა ხერხეულიძის მაგალითი, რომლის საქციელიც მეფის ღალატი იყო. ლუარსაბმა ის სააკაძისთვის ენის მიტანის გამო სიკვდილით კი არ დასაჯა, არამედ, მხოლოდ ცხვირი მოაჭრა. მაშ, მეფის მეუღლის ძმას რა დანაშაული მიუძღოდა ისეთი, რომ მას ასეთი საშინელი სასჯელი მიუსადაგეს. მალე მეფე სააკაძის დასაც გაშორდა. ვფიქრობ, აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ „განჩინების წიგნს,“ რომელიც გიორგი სააკაძესა და ქაიხოსრო ჯავახიშვილს შორის სასამართლოს შემდეგ შეიქმნა. ამ „განჩინებაში“ ძალიან საინტერესო მომენტია კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით. დასკვნაში სააკაძე ასეთ რამეს ამბობს: ჩემს ოჯახში, როგორც შვილი გავზარდე ვინმე ბერუკა (ჩანს, გვრად ჯავახიშვილი), რომელიც ძალიან ბევრჯერ დავიხსენი ტყვეობიდან და მისთვის ყველაფერი გაზიარებული მქონდა, როგორც ჩემი ოჯახის წევრისთვისო. მომავალში მათ შორის განხეთქილება ჩნდება. სააკაძე ვარაუდობს, რომ, როგორც ჩანს, ბერუკას არ ესიამოვნა, რომ ის ქაიხოსრო ჯავახიშვილის მოყვარე გახდა. ამის შემდეგ კი დიდი მოურავი ძალიან საინტერესო რამეს ამბობს: ჩვენი უთანხმოების შემდეგ, ბერუკა ჩემგან გაიქცა, „გადრამიბრუნდა, ლუარსაბთან ბეზღობა დამიწყო, ჩემი მწყალობელი ბატონი გამიწყრომა და ამ ალაგიდამა ცოლით და შვილით დამკარგა, სასაფლაო და მონასტერი დამაკარგვინა და რჯულიდან შემცვალაო,” ანუ, ფაქტობრივად, გიორგი პირდაპირ აღიარებს, ვინ იყო იმ ყველაფრის მიზეზი, რაც მას გადახდა; მეფესთან უთანხმოების მიზეზად მოურავი დიდ თავადებს კი არა, მის ოჯახში გაზრდილ ბერუკა ჯავახიშვილს ასახელებს.

**– რა შეიძლება ეთქვა მეფისთვის ახალგაზრდა ბერუკა ჯავახიშვილს ისეთი, რასაც ლუარსაბი დაიჯერებდა და სააკაძის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილებას მიიღებდა?**

– ამ დროს სპარსეთის კარზე ძალიან ბევრი გადახვეწილი ქართველი იყო, მათ შორის – გიორგი სააკაძის ძმა, ზოგიერთი მისი ნათესავი და არაკანონიერი ბატონიშვილები, რომელთაც შაჰი ამზადებდა ლუარსაბის შესაცვლელად საქართველოს ტახტზე. როგორც ჩანს, გიორგიმ მათთან დაიჭირა კავშირი, რაც

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

# „თუ მთაწმინდის ტაძარს დახურავთ, აიღეთ და მეც თავი მომკვეთეთ“

***უწმიდესისა და უნეტარესის, ეფრემ მეორის ცხოვრებაზე გვესაუბრება არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი***

1960 წელს მეუფე ეფრემი კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. უწმიდესი ეფრემი 12 წლის განმავლობაში მართავდა საქართველოს ეკლესიას. ურთულესი პერიოდი იყო. თითქოს პოლიტიკურად დათბა, მაგრამ, ეკლესიების დევნა განახლდა და გაძლიერდა. ნიკიტა ხრუშჩოვმა ტელევიზიით განაცხადა, მე უკანასკნელ მღვდელს ეკრანიდან გაჩვენებთ და ის იქნება ბოლო სასულიერო პირი ჩვენს ცხოვრებაშიო. ისიც დასძინა, წინასწარ ვიცი, ან ქართველი, ან უკრაინელი იქნება ის მღვდელიო. ასეთ რთულ დროს უწმიდესმა ეფრემმა ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა.

ყველგან იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, აკადემიები, სემინარიები. რეგიონებში თითო ან ორი ტაძარი მოქმედებდა. თბილისში ასეთი იყო წმიდა ბარბარეს ტაძარი, დიდუბის ღვთისმშობლის, ალექსანდრე ნეველის, ქაშუეთის, სიონისა და მთაწმინდის ტაძრები (სულ 7 ტაძარი). ერთ-ერთი უნდა დაეხურა საბჭოთა მთავრობას. არჩევანი მთაწმინდაზე შეაჩერეს. ადრე მამადავითის ტაძარი არასდროს დახურულა. მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატმა პირდაპირ მოსთხოვა უწმიდეს ეფრემს მისი დახურვა.

პატრიარქმა ნაჯახი გაახვია გაზეთში და „ცეკაში“ მივიდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გივი ჯავახიშვილს გაუკვირდა, მის კაბინეტში ნაჯახით შემოსული პატრიარქი რომ დაინახა.

– ეს რა არის, ბატონო ეფრემ? – ჰკითხა პატრიარქს (ხაზგასმით „ბატონობით” მიმართავდა).

– ეს ნაჯახი გახლავთ; თუ მთაწმიდის ტაძარს დახურავთ, აიღეთ და მეც თავი მომკვეთეთ. თუ თქვენ არ მომკვეთთ, თავს თავად მოვიკლავ და მთელი მსოფლიო გაიგებს, როგორი ჯალათები ხართ.

დაიბნენ, შეეშინდათ, უწმიდეს ეფრემს მართლა არ შეესრულებინა დანაპირები. კი გამოცხადდა, მთაწმინდის ტაძარი დაიხურაო, მაგრამ, ერთი წუთითაც არ შეჩერებულა წირვა-ლოცვა.

ცნობილია ასეთი ფაქტიც: სომხეთის პატრიარქი ვაზგენი სოხუმში ყიდულობდა მიწებს სომხებისათვის. უწმიდესმა ეფრემმა წერილი მისწერა: ძალიან კარგია, რომ ზრუნავ სომხებზე, მაგრამ, უმჯობესი იქნებოდა, მათთვის მიწები სომხეთში გამოგეყოთ, იქ ხომ ბევრი დაუსახლებელი ადგილიაო. ერთ კვირაში დაიბარეს რწმუნებულის აპარატში და მკაცრად უთხრეს: შენ ვინ გეკითხება, ვინ ვის სად უყიდის მიწასო?!



აფხაზეთში სხვა ეროვნების ხალხის ჩასახლების პოლიტიკა კარგა ხანი, დღის წესრიგში იყო. ამას აღწერდა ქართველი მოღვაწე თედო სახოკია თავის „მოგზაურობანში“. შედეგი ჩვენ უკვე ვნახეთ.

უწმიდესი ეფრემისგან გმირობის ტოლფასი იყო, რომ მან „ახალი აღთქმა“ 5 000 ეგზემპლარად დაბეჭდა. მაშინ ქადაგებაც კი საშიში იყო, არამცთუ სახარების დაბეჭდვაზე ფიქრი. მოლაპარაკებას ცდილობდნენ, თვალს დავხუჭავთ, ოღონდ 500 ეგზემპლარზე მეტი არ დაიბეჭდოსო. უწმიდესს უთქვამს, 500 წიგნი ვის ეყოფა, დიდი მრევლი მყავსო. ამ კამათში გივი ჯავახიშვილს მაგიდაზე ხელი დაურტყამს: რა გააწყალეთ, ბატონო ეფრემ, გული, ვთქვით 500, ესე იგი 500 დაიბეჭდებაო.

უწმიდესი ეფრემი წამომდგარა:

– შენ ვის უყვირი, ორიათასწლიანი ეკლესიის მეთაურს? მე შენ აღარ დაგელაპარაკებიო, – ამ სიტყვებით გამოსულა კაბინეტიდან. ჩინოვნიკი უკან დაედევნა. პატრიარქი არ დაელაპარაკა. შემდეგში სამჯერ სთხოვა აუდიენცია. სამჯერვე უარი უთხრა. ერთხელ მაინც რომ მიელო, შეიძლება, 500 არა, მაგრამ, 1 000 დაბეჭდილიყო. პროტესტით კი იმას მიაღწია, რომ 5 000 დაიბეჭდა.

საოცრება იყო ისიც, რომ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ყველგან იხურებოდა სემინარიები, 1963 წელს უწმიდესმა ეფრემმა გახსნა ორწლიანი სალვთისმეტყველო-სამოძღვრო სასწავლებელი, რომელიც შემდეგში სემინარიად გადაკეთდა. სასწავლებლის პირველი რექტორი იყო სრულიად საქართველოს დღევანდელი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე.

### შენახული შაურიანი

ეფრემ მეორე უაღრესად თავმდაბალი პიროვნება იყო. ლესელიძის ქუჩაზე უყვარდა სეირნობა. მაშინ პატრიარქს ვერც კი ცნობდნენ.

იმ პერიოდში სიონის კიბე სხვანაირი იყო. ერთი მათხოვარი იჯდა ხოლმე, რომელიც ძალიან უყვარდა უწმიდეს ეფრემს. ჩაუვლიდა და ჩამოუჯდებოდა გვერდით, ესაუბრებოდა. ერთხელ, გამოიარა ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც ვერც კი წარმოიდგინა, რომ, შეიძლებოდა, მათხოვრის გვერდით მჯდომი პატრიარქი ყოფილიყო და „მოწყალება გაიღო“ – შაურიანი ჩაუგდო ხელში. პატრიარქი მთელი სიცოცხლე ინახავდა იმ შაურიანს, ამბობდა: სწორედ ეს არის, რაც ჩემი ოფლით მოვიპოვე ჩემი სიცოცხლის მანძილზეო.

ერთხელ ორი რუსი მღვდელმთავარი ჩამოვიდა საქართველოში, პატრიარქის ნახვა უნდოდათ. შევიდნენ ტაძარში. უწმიდესი ეფრემ მეორე მოკრძალებით იყო ჩამომჯდარი; უბრალო კაბა ემოსა და ჭაღარა თმა სადად ჰქონდა შეკრული. რუსი მღვდელმთავრები დიდებულად შემოსილები გახლდნენ. შემობრუნდნენ და დაინახეს ეფრემ მეორე. დაუძახეს:

– ეი, მორჩილო!

– მე არ ვარ მორჩილი, – უპასუხა ეფრემმა მშვიდად.

– აბა, ვინ ხარ, მღვდელი?

– არა, არც მღვდელი... უფრო მაღლა.

– იერომონახი?

– არა, უფრო მაღლა.

– არქიმანდრიტი?

– არა.

– ეპისკოპოსი?! – გაოცება დაეტყოთ სტუმრებს.

– კიდევ მაღლა.

– პატრიარქი?! – აღმოხდათ და იმ წუთში მუხლი მოიყარეს უწმიდესი ეფრემ მეორის წინაშე.

***

უყვარდა თქმა: ადამიანს ორი ყური იმიტომ აქვს, ერთით ისმინოს, მეორით – აისხლიტოსო. ყურებს შორის კი ღმერთმა ტვინი ჩაგვიდო, რომ გავარჩიოთ, რა უნდა შევუშვათ და რა დავტოვოთ გონებაშიო.

ავადმყოფობის ჟამს შვიდგზის ზეთისცხება შეუსრულა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. თითქოს ძალა მიეცა, ფეხზე დადგა, რამდენიმე ხანს იცოცხლა კიდევ... აღესრულა ბრწყინვალე შვიდეულში.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# რამ დააბრუნა გია ყრიალაშვილის შვილი წარსულში და ვინ გადაატანინა მას ყველაზე მძიმე დღეები

(მე-18 გვერდიდან)

ძალას მივაგენი, მეც დავიწყე მუშაობა, ნელ-ნელა ყველაფერი აეწყო. დღეს ისე ვცხოვრობთ, როგორც ქართული ოჯახების უმეტესობა. ჩემი ძმა – გიორგი 20 წლისაა, ჯერ მესამე კურსის სტუდენტია. მასაც კომპიუტერი უყვარს, ოცნებობს, რომ შექმნას კომპიუტერული თამაშები და გრაფიკა. გიორგი რაგბის თამაშობს, მეც ვთამაშობდი კალათბურთს, პროფესიული მიღწევებიც მქონდა. მაგრამ, 2005 წელს, როცა სტუდენტი გავხდი სპორტს თავი დავანებე.

**– ბოლო პერიოდში გამოჩენილმა კადრებმა ალბათ, თავიდან გაგიახლათ ტკივილი.**

– ძალიან ავფორიაქდი. იმ ღამეს, როცა ეს კადრები ტელევიზიით გავიდა, მე ბაზაზე ვიყავი. მეორე დღეს გავიგე ყველაფერი. როცა ეს კადრები ვნახე, ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა ჩემზე. თითქოს საკუთარი თვალით ვნახე, როგორ გაიცა ბრძანება, მამაჩემის მოსაკლავად. ამ კადრებმა ის დღეები გამახსენა, რაც ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო, წარსულში დამაბრუნა, მაგრამ, მე მეამაყება, რომ მამაჩემის შვილი ვარ. იმ დროსაც კი, როცა ძალიან მიჭირდა ფსიქოლოგიურად, კარგად ვიცოდი, ვინ იყო მამაჩემი. ის კაცი იყო – ამათ კი კაცების ძალიან ეშინოდათ. რაც არ უნდა ცუდი ეთქვათ პოლიტიკურ წრეებს მამაჩემზე, მაინც იმათზე მაღლა ვიდექი. იმიტომ რომ, გია კრიალაშვილის შვილი ვიყავი და თავი არასდროს დამიწევია – პირიქით, მაღლა მქონდა აწეული. მამა დღემდე მასწავლის ცხოვრებას. მისი ისტორიები, მონაყოლი მეხმარება, როგორი გადაწყვეტილება მივიღო კრიტიკულ მომენტში. დღესაც ბევრჯერ „მიკითხავს” მისთვის: რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ის უშიშარი კაცი იყო, გადაყოლილი ახლობლებზე, მეგობრებზე. სულ მინდა, რომ თვისებებით მას ვგავდე. გარეგნულად ორივე ძმა მას ვგავართ. მეც, მის მსგავსად, ადრე ვმელოტდები. გიორგი ფიზიკურად არის დიდი მამასავით. სადაც არ იციან, ვისი შვილი ვარ და გაიგებენ, გვარად კრიალაშვილი ვარ, ხშირად მეკითხებიან: გიას შვილი ხომ არ ხარო? ეს ძალიან მსიამოვნებს, თუმცა გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის ეს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა და ყოველ ნაბიჯზე მაფრთხილებს. მისი სახელი და გვარი არ დავრჩრდილო.

**– ყველაზე ხშირად მამას წარსულიდან რა გახსენებთ?**

– ძალიან ბევრი რამ. დღე არ გავა, რაღაცამ მისი თავი არ გაგვახსენოს. ბოლო წლებში უკრაინაში ცხოვრობდა. 2004 წლიდან, როცა სამხედრო საქმეს თავი დაანება, იქ კომერციული საქმიანობა წამოიწყო. როცა თბილისში ჩამოდიოდა, მე და ჩემი ძმა სად აღარ დავყავდით ხოლმე. ძირითადად, კარტინგებზე ვთხოვდით წაყვანას ასტრაპარკში. მამას ძალიან უყვარდა პრეფერანსი, სულ თამაშობდა მეგობრებთან ერთად. მეც დავიწყე პრეფერანსის თამაში, ჯერ ისე ვერ დავოსტატდი, როგორც მამა, მაგრამ ყველაფერი წინაა ***(იცინის).*** დედა ეს წლები განსაკუთრებულად ინახავს ყველა ნივთს, რაც მამასთან არის დაკავშირებული – მის ჯილდოებს, ფირფიტებს, ფოტოებს, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენს, სამხედრო ფორმას, რომლიც მე და ჩემს ძმას ბავშვობაში ძალიან ბევრჯერ მოგვირგია.

**თამუნა სამადაშვილი**

**„კომედი შოუს" მომხიბვლელ მსახიობს, 25 წლის, ეკა აბშილავას არც ექსპერიმენტების ეშინია, ბავშვობის ოცნებებიც აიხდინა და არც ის სწყინს, როცა ქუჩაში ნდომით თვალს აყოლებენ. ის ძალიან თბილი და გულახდილი რესპონდენტია. უყვარს საქმე, რომელსაც აკეთებს და მიაჩნია, რომ იღბლიანია. ხოლო, თუ რატომ მოირგო მან „ნაშის" იმიჯი, ვინ ურთავს სადარბაზოს კიბეებს ვარდის ფურცლებით და როგორი ბიზნესვუმენი იქნება, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# რამდენი ჭიქის „ჩარტყმის" შემდეგ ეცვლება განწყობა ეკა აბშილავას და რის კეთებაში ათენებდა ის ღამეებს

**ეკა აბშილავა**: გოგონები ბავშვობაში ოცნებობენ, რომ გავიზრდები პედაგოგი გამოვალ, ექიმი ვიქნები ან დედიკოსავით ადვოკატიო. მე კი სულ ვოცნებობდი, რომ გავიზრდები მსახიობი გამოვალ-მეთქი და გავხდი კიდეც. ცეკვა, სიმღერა და მაიმუნობა მიყვარდა. სასახლეში დავდიოდი მხატვრულ კითხვაზე. თეატრალურში პირველივე წელს მოვხვდი და ვამბობდი, ათი წელი რომ ვერ ჩამებარებინა, მაინც აქ მოვიდოდი-მეთქი. იღბლიანი ვარ, რადგან ბავშვობიდან ყველაფერში მიმართლებს. თუმცა, იღბალთან ერთად, შრომისმოყვარეც ვარ. მთელ ჩემს ენერგიას იმაში ვდებ, რასაც ვაკეთებ. „გორდაში" ვცეკვავდი, მერე „ერისიონში" გადავედი და დღემდე ვნანობ, ცეკვას თავი რომ დავანებე, თუმცა „თავდაყირას" სტუდიაში ბავშვებს ცეკვას ვასწავლი და ჩემს სურვილს იქ ვიკლავ. მუსიკა რომ მესმის, ვცმუკავ ***(იცინის).*** ტელევიზიაშიც, მოვედი თუ არა, ქასთინგი გავიარე და ამიყვანეს. ასე რომ, ბედი მწყალობს.

**– ხშირად გიხდება მამაკაცური ხასიათის როლის შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ქალური ხარ. მამაკაცის ტყავში „შეძრომა" რთული არ არის?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, მამაკაცური „საწყისები" ჩემშიც ზის და ვაჟკაცური შეძახილებიც კარგად გამომდის ***(იცინის).*** აი, თუ ცოტა „ჩავარტყი" სასმელი, მერე უფრო იხსნება მამაკაცი ჩემში ***(იცინის).*** რასაკვირველია, ორ ჭიქას ვგულისხმობ, თორემ მეტი არც მჭირდება, ხასიათზე მოსასვლელად. გამოგიტყვებით და არც სიმთვრალე მაქვს გამოცდილი და შესაბამისად, არც ის ვიცი, როგორი „პახმელია" მექნებოდა. ღამის ცხოვრება ძალიან მიყვარს, მაგრამ ამისთვის დრო არ მრჩება. კვირაში ერთი-ორჯერ თუ გავიპარები ხოლმე მეგობრებთან ერთად.



**მამაკაცური „საწყისები" ჩემშიც ზის და ვაჟკაცური შეძახილებიც კარგად გამომდის**

**– ალბათ, პოპულარობამ თაყვანისმცემელთა რიცხვიც გაზარდა. თუ არიან შენ გარშემო ორიგინალობით გამორჩეული შენით მოხიბლული მამაკაცები და თუ განებივრებენ უცნაური სიურპრიზებით?**

– რასაკვირველია, რაც ცნობადი გავხდი, მას შემდეგ თაყვანისმცემელთა რაოდენობაც გაიზარდა. არავინ თქვას, პოპულარობა დამღლელია, გადავიღალე ამდენი ყურადღებით და კომპლიმენტებითო. მე მომწონს, როცა კომპლიმენტს მეუბნებიან, მცნობენ და სიყვარულს და სითბოს გამოხატავენ ჩემ მიმართ უცხო ადამიანები. ეს მომაბეზრებელი ვერ იქნება, უბრალოდ, სოციალურმა ქსელმა დამღალა. იმდენი მთხოვს „ფეისბუქში" დამამატეო, ველარ ვიმატებ, ველარც პასუხებს ვწერ და სწყინთ. თქვენი ჟურნალის დახმარებით ვეუბნები მათ, რომ „ფეისბუქის" ძალიან ცუდი მომხმარებელი ვარ, უამრავი წერილი მხვდება და მერწმუნეთ, მათ წაკითხვას ვერც კი ვახერხებ. ასე რომ, არ მეზარება პასუხის გაცემა, უბრალოდ, ვერ ვკითხულობ ამდენ მონაწერს. არ დამავიწყდება, ბათუმში, ბულვარში სკამზე ვიჯექი. უცებ მოვარდა ერთი ბიჭი და ემოციურად დაიწყო სიმღერა – ეს შენ მოგიძღვენი და ექსპრომტად გიმღერიო. ყველა ჩვენ გვიყურებდა ***(იცინის).*** ამ ადამიანმა თავისი გრძნობა გამოხატა და როგორ შეიძლება მას გავუბრაზდე ან რაიმე ცუდი ვთქვა?! ერთხელ კი სახლის კიბეები ყვავილების ფურცლებით მორთული დამხვდა. მანქანის მინაზე კი ხშირად მხვდება წარწერები: „ეკა მიყვარხარ!".

**– ამდენი მამაკაცი რომ გეტრფის, შენ თუ გყავს ამორჩეული მათგან ერთ-ერთი? თუ ვერავინ შეძლო შენი გულის მოგება?**

– შეყვარებული არ ვარ. არც გულცივი ვარ, მაგრამ ძალიან ბევრი ფიქრი ვიცი, სანამ ადამიანზე ვიტყვი მიყვარს-მეთქი. ჰოდა, ახლა ფიქრის პროცესში ვარ ***(იცინის).*** იცით, შეყვარებული რომ ვარ, სხვანაირი განწყობა მაქვს, სახლიდან „ფრენით" გამოვდივარ ***(იცინის).*** არ დამავიწყდება, ჩემს ორ დაქალთან ერთად, კიკეთში ვისვენებდი. სტუდენტები ვიყავით და არც არავინ მიცნობდა. მოკლედ, მე, მაშომ და თათიამ გადავწყვიტეთ „გვემაიმუნა". ხომ წარმოგიდგენიათ, სამი გოგოს მიმართ, ბიჭების მხრიდან რა დაინტერსება წამოვიდოდა? ჰოდა, მოვიფიქრეთ, ვითომ მე ვიყავი უკრაინიდან ჩამოსული და ქართული არ მესმოდა. ბიჭები რომ მელაპარაკებოდნენ, მაშო მითარგმნიდა. ერთი ტიპი კი იმ დონემდე მივიდა, მაშოს ეხვეწებოდა ქართულად, თბილისში გამატანეთ ეს უკრაინელი „ნაშა" სასტუმროშიო ***(იცინის).*** ქუჩაშიც რომ მივდივარ და ზურგს უკან მესმის: „ვა, რა მაგარი ნაშააო", – არ ვბრაზდები. ვფიქრობ, ეს კომპლიმენტია-მეთქი და არ მწყინს.

**ღამის ცხოვრება ძალიან მიყვარს, მაგრამ ამისთვის დრო არ მრჩება. კვირაში ერთი-ორჯერ თუ გავიპარები**

**– ეკა, თმის სტილს და ფერს ხშირად იცვლი. საკუთარ თავზე ექსპერიმენტები გიყვარს?**

– ექსპერიმენტები ძალიან მიყვარს და არ მეშინია. თმა შევიჭერი, შევიღებე, დავიგრძელე, დავიხვიე, ქიმია გავიკეთე. იმდენი ვაწვალე, ვხუმრობ, ერთ დღეს მგონი, თავზე თმის ღერი აღარ შემრჩება-მეთქი ***(იცინის).***

**– გიყურებ და ვფიქრობ, სასურველი საცოლე ხარ. თან მეგრელი ქალები კარგი კულინარები და დიასახლისებიც არიან. არ მეთანხმები?**

– საჭმელების კეთება კი ვიცი, მაგრამ ამ მხრივ, მთლად მეგრელი ვარ-მეთქი, ვერ გეტყვით ***(იცინის).*** რომ გითხრათ, სახლში გავრბივარ, ხელებს ვიკაპიწებ, ცომს ვზელ და მეგრულ ხაჭაპურებს ვაცხობ-მეთქი, მოგატყუებთ. თუმცა, როცა მჭირდება, ვაკეთებ. სახლში გამზადებულ საჭმელს დედა მახვედრებს და ამ მხრივ არ მიხდება ექსპერიმენტების ჩატარება ***(იცინის).*** ადრე, როცა დედა მუშაობდა, მიწევდა საჭმლის კეთება და ეს პროცესი მსიამოვნებდა. ახლა კი, მე რომ მივდივარ და ის მახვედრებს გამზადებულს, ეს უფრო მომწონს. საჭმლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მეგრელი ქალის ხასიათი კი მაქვს. აქტიურიც ვარ და არც ერთი წუთის უქმად დაკარგვა არ მიყვარს.

**– ანუ, კაპასი მეგრელი არ ხარ?**

– კაპასი მეგრელი, იცით, ვისთან ვარ? ჩემს დასთან ***(იცინის).*** თუმცა, კამათის დროს, სულ ვცდილობ, ვაკონტროლო სიტუაცია, ადამიანს გული არ ვატკინო და მერე საბოდიშოდ არ გავიხადო საქმე. ასევე, წინასწარ ვგრძნობ, როდის მიახლოვდება დეპრსია და შევუძახებ ხოლმე ჩემს თავს: აბა, ეკა, რა დროს დეპრესიაა!

**– ვიცი, რომ საკმაოდ კარგი ხელი გაქვს და შესანიშნავ აქსესუარებს აკეთებ. ხომ არ ფიქრობ მომავალში ამ კუთხით ბიზნესის წამოწყებას?**

– ჯერ კიდევ ბავშვობიდან მიტაცებდა აქსესუარების კეთება. სკოლაშიც არ დავდიოდი, ბებიამ ქარგვა რომ მასწავლა. ნელ-ნელა დავხვეწე და ბოლოს „მულამში" ჩავარდი. დღე და ღამე ვიჯექი და ვქარგავდი. ახლა, საკმაოდ ბევრი ნაქარგი მაქვს გამოფენილი სახლში და ალბათ, ერთ დღესაც გამოფენაზე დაგპატიჟებთ. კარგად ვქსოვ, ვკერავ, ბისერებზეც ვმუშაობ. უამრავი აქსესუარი ყუთებში მიწყვია, ჩანთებსაც ვკერავ. ღამის მაისურებს ისე ვჭრი, ვკერავ და ვაფორმებ ბისერებით, ეს უნდა ნახოთ. მოკლედ, ოქროს ხელი მაქვს ***(იცინის).*** იდეა მქონდა, გამეხსნა პატარა „ბუტიკი" და იქ გამეყიდა ჩემი ნამუშევრები, მაგრამ ტელევიზიაში რომ მოვხვდი, ამ იდეის რეალიზებამ დროში გადაიწია. ახლა გასართობად ვქსოვ და ვკერავ, ადრე კი, მიზანი მქონდა და ამას საათობით ჩავკირკიტებდი, ღამეებს ვათენებდი.

**– ესე იგი, მომავალში, შესაძლოა დიზაინერი ეკა აფშილავა მოგვევლინოს?**

– დიზაინერი ცოტა ხმამაღალი ნათქვამია ჩემზე, თუმცა არაფერია გამორიცხული. სხვათა შორის, რომ ვფიქრობ, კარგი ბიზნესვუმენი ვიქნებოდი. ფულის ფასიც ვიცი და ყადრიც. საქმის კონტროლი და „გადარბენები" მიყვარს. ყველაფერს მოვასწრებ-მოვაწესრიგებდი. ბოლო დროს ვფიქრობ, ჩემი სტუდია გავხსნა, პედაგოგობა მოვირგო და ბავშვებს ქარგვა და ქსოვა ვასწავლო.

**ნონა დათეშიძე**

**ის, რომ 25 წლის ზურა გორგაძე დღე და ღამე „გადარბენებშია", იმის დასტურია, რომ მიზანდასახული და შრომისმოყვარე ადამიანია. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, როცა შევიტყვე, ზურა, არც მეტი არც ნაკლები, რვა ადგილას მუშაობსო. თუმცა, როგორც თავად აღიარებს, მიუხედავად იმისა, რომ ადრეც ჩანდა ტელეეკრანზე, მისი ხმა ისმის რადიოდან და დგას სცენაზეც, ცნობადი სახე მაინც ტელეკომპანია „კავკასიის" გადაცემა „თქვენი დროს" წყალობით გახდა. ეს ის გადაცემაა, სადაც ყოველ სამუშაო დღეს – 4-დან 6 საათამდე, პირდაპირ ეთერში, თავის თანაწამყვან, ლელა ნინუასთან ერთად, თავს კომფორტულად, მშვიდად და მხიარულად გრძნობს.**



„თქვენი დრო" მიმყავს და „ჩემი დრო" არ მრჩება

# როგორ ახერხებს რვა ადგილას მუშაობას ზურა გორგაძე და როდის „აწვება" ის ცხოვრებას რქებით

**ზურა გორგაძე**: ჩემი სატელევიზიო კარიერა თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო. მართალია, თელავის თეატრში ვიწყებდი სამსახიობო კარიერას, მაგრამ ყველაფერი ისე ვერ აეწყო, როგორც დაგეგმილი იყო. სწორედ, ამ პერიოდში მქონდა შემოთავაზება „რეალ-ტვ-დან" შემეცნებით-გასართობ გადაცემის წამყვანობაზე. გავიარე ქასთინგი და დავიწყე მუშაობა. შემდეგ, მე და მსახიობ ნინო მუმლაძეს მიგვყავდა გადაცემა „დღის რეცეპტი". პრინციპში, ასე „გემრიელად" დაიწყო ჩემი სატელევიზიო კარიერა *(იცინის).*

**– „გემრიელი" დილიდან, „კავკასიის" აქტიურ შუადღის „თქვენს დროში" როგორ მოხვდი?**

– „გემრიელი" დილიდან აქტიურ შუადღემდე, ანუ „თქვენს დრომდე" იყო დიდი პაუზა. თუმცა, რადიოს წამყვანიც ვარ, ტელევიზიებში სერიალებს ვახმოვანებ და ასე რომ, სამსახურის გარეშე არ დავრჩენილვარ. დღეს კი რვა სამსახური მაქვს და თქვენ წარმოიდგინეთ, თითოეულში იმხელა ენერგიას ვდებ, სახლში გადაქანცული მივდივარ. გახმოვანებაც კარგია, რადიო-წამყვანობაც, სცენაზე დგომაც, მაგრამ ტელევიზია სხვა საქმეა. ზოგადად, მიყვარს კამერიდან ადამიანებთან კონტაქტი და ამას დღეს „თქვენი დროს" წყალობით ვახერხებ. სულ ვამბობ, არ მოველოდი, ასეთი ლამაზი სტუდია თუ გვექნებოდა, ასეთ დიდ დაინტერესებას გამოიწვევდა და ამდენ მაყურებელს თუ მოიზიდავდა ეს გადაცემა-მეთქი. ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ ადრე ეკრანზე ვჩანდი, „თქვენი დროს" წყალობით, ცნობადი გავხდი *(იცინის).* ეს ის გადაცემაა, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობ, თავისუფალი ვარ, სასიამოვნო გარემოში საყვარელ სტუმრებს ვმასპინძლობ ჩემს თანაწამყვან, ლელა ნინუასთან ერთად და უბრალოდ, ბედნიერი ვარ. ეს ის საქმეა, რომელიც მიყვარს და დიდი სიამოვნებით ვაკეთებ. ყოველდღე, პირდაპირ ეთერში, თავისუფალ გარემოში რომ გიწევს ყოფნა, იქ სასაცილო, დაუგეგმავ ფაქტებსაც ვერ აცდები. ამას წინათ, დაგვიანებით მოვიდა სტუმარი. პროდიუსერმა, სანამ სარეკლამო ჭრა იყო, მეორე კორპუსში გადაიტანა „ფლეშკა", სადაც სტუმრის სიმღერები იყო ჩაწერილი. სანამ ის უკან დაბრუნდა, რეკლამამ გაიარა და გავაგრძელეთ პირდაპირ ეთერში სტუმართან ერთად საუბარი. გაცხარებულ დებატებში ვართ და გავიხედე, კიბეზე ბრახა-ბრუხით ჩამორბის ჩვენი პროდიუსერი, შემოვარდა ეთერში და ყვირის, ვერ ვიპოვე ის სიმღერაო. თვალებით ვანიშნებ, პირდაპირ ეთერში ვართ-მეთქი და თან მეცინება. მაგრამ, ამას ხომ ვერ ამოჭრიდნენ? *(იცინის)* ასე რომ, ასეთი დაუგეგმავი სიტუაციები და კურიოზები პირდაპირ ეთერში „მოსულა". ერთხელ კი, შუა გადაცემის დროს აღმოვაჩინე, რომ ჩემი ტელეფონი მაგიდაზე დევს. გამცრა, ახლა თუ დარეკა, სად გინდა, გავიქცემეთქი. კიდევ კარგი, დუმდა. ეტყობა, მოეწონა გადაცემა და ჩუმათ გვისმენდა *(იცინის).*

**– გამოდის, რომ სამსახიობო კარიერას ტელევიზია არჩიე?**

– სხვათა შორის, დღესაც ვდგავარ სცენაზე და ვემზადები პრემიერისთვის. სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავიწყე მუშაობა. იდგმება სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა" და მე ნაკაშიძის მთავარი როლი მაქვს. მგონი, კარგად მოვირგე ეს როლი და როგორი ნაკაშიძე ვიქნები თქვენ გადაწყვიტეთ *(იცინის).* მსახიობობა ტელევიზიაში, პირდაპირი ეთერის წაყვანაში ძალიან მშველის. მსახიობებს, ხომ, ზოგადად, იმპროვიზაციის უნარი აქვთ. ეს კი აუცილებელიც კია კამერის წინ. თუმცა, კამერის წინ „ნაიგრიშები" არ მოსულა. ის, ყალბ თამაშებს ვერ იტანს, ამიტომ, არ უნდა გადაამლაშო.

**– მითხარი, რვა ადგილას ვმუშაობო. ეს ცოტა არ იყოს დასაქმების რეკორდული მაჩვენებელია ერთი ადამიანისთვის, მით უმეტეს, დღევანდელ პირობებში. წარმომიდგენია, როგორი გიჟური „გადარბენები" გაქვს მთელი დღის განმავლობაში.**

– დიახ, რვა ოფიციალური სამსახური მაქვს და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ „გადარბენებში" ვარ *(იცინის).* ხშირად მეკითხებიან, როგორ გყოფნის დროო. დრო კი მყოფნის, მაგრამ, მეგობრები მყავს განაწყენებული, რადგან მათთან დროის გატარებას ვერ ვახერხებ. დღის ბოლო ჩემთვის, ღამის 2-3 საათია. დილით კი, ადრე ვდგები. ძილიც ხომ მინდა? თუმცა, ფაქტობრივად, უძილო ვარ და ეჭვი მაქვს, ცოტა ხანში მკურნალობა დამჭირდება *(იცინის).* ასე რომ, „თქვენი დრო" მიმყავს და „ჩემი დრო" არ მრჩება. მაგრამ, რა ვქნა, ეს სამსახურები მჭირდება – მიყვარს, სიამოვნებით მივრბივარ და ყველგან კარგი ადამიანები მხვდებიან, თან ფინანსური ფაქტორიც არის. ისიც მეხმარება, რომ მიზანდასახული ვარ. თუ მივხვდი, ადამიანებს ვჭირდები და იქ აუცილებელი ვარ – „რქებით მივაწვები", ბოლომდე გადავყვები, არ დავზოგავ ენერგიას. მაგრამ, სადაც ზედმეტად ვიგრძნობ თავს, იქ ვერ გავჩერდები. თან, ზოდიაქოთი მორიელი ვარ და დამიჯერეთ, ტიპური ადამიანი მორიელი ვარ.

**დღის ბოლო ჩემთვის, ღამის 2-3 საათია. დილით კი, ადრე ვდგები, ფაქტობრივად, ძილის გარეშე ვარ და ეჭვი მაქვს, ცოტა ხანში, მკურნალობა დამჭირდება**

**– ეს რას ნიშნავს?**

– ეს ნიშნავს იმას, რომ ხანდახან ძალიან ფეთქებადი ვარ და მწარეთაც ვიკბინები *(იცინის).* თუმცა, ძირითადად, ვარ ძალიან დიპლომატიური, მშვიდი და გაწონასწორებული, მაგრამ, თუ ყელში ამომივიდა ადამიანი, აი, მერე მორიელივით ვიკბინები, თანაც თავისი შხამებით.

**– თუმცა, მორიელის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები ამბიციურებიც არიან ბუნებით და ცოტა ცივებიც. ამ მხრივ როგორაა საქმე?**

– დიახ, არიან ამბიციურები და ცოტა ცივებიც! ალბათ, ჩემი ზოდიაქოს ბრალია, რომ შეიძლება, მიყვარდეს ადამიანი და მისდამი სითბო ვერ გამოვხატო. სხვათა შორის, მორიელები პუნქტუალურებიც არიან. მეც ასეთი ვიყავი, მაგრამ ახლა აღარ ვარ, რადგან ცხოვრებამ და გარემოებებმა „გამაფუჭა" *(იცინის).*

**– რახან სიყვარულს შევეხეთ, მითხარი, პირად ცხოვრებაში რა ხდება? შეყვარებული ხარ?**

– პირად ცხოვრებაში, პატარ-პატარა „ფლირტაობები" მაქვს, მაგრამ საქმის გადამკიდე, დიდი პაუზები გამომდის სერიოზულ სიყვარულში. ახლა ცოტა გამიგრძელდა ეს პაუზა და ვფიქრობ, ზამთარი გადავიტანო და გაზაფხულზე გავაქტიურდე *(იცინის).* აი, როცა ეს გრძნობა „შემომაწვება", ის დამალაგებინებს დღის განრიგს, დამამშვიდებს, სითბოთი და მეტი ენერგიით ამავსებს.

**– მერე, ასეთი მსუბუქი „ფლირტაობით", გაზაფხულის დადგომამდეც ხომ შეიძლება, დიდი სიყვარული დაიწყოს?**

– რასაკვირველია, თავიდან, სწორედ მსუბუქი „ფლირტაობიდან" იწყება გრძნობა და გადადის დიდ სიყვარულში. სულ ვწუწუნებ, რა უბედურებაა, მგონი, საკუთარი თავი არ მიყვარს, ამდენს ვმუშაობ და სიყვარულისთვის ვერ ვიცლი-მეთქი *(იცინის).* ვფიქრობ, იღბლიანი ადამიანი ვარ, გამიმართლა პროფესიული თვალსაზრისით და ალბათ, არც პირად ცხოვრებაში გამწირავს ბედი. თუმცა, დღეს, ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერი ვარ.

**ნონა დათეშიძე**

# ბრძნული აზრები

**სიუნ ძი**: როცა კარგს ხედავ, პატივისცემით მოეპყარი მას და შეამოწმე, გაქვს თუ არა შენც იგივე ხარისხი. როცა ცუდს ხედავ, ზიზღით შეხედე მას და შეამოწმე, გაქვს თუ არა შენც იგივე შეცდომები.

**ლაროშფუკო**: ჭკუა დროდადრო იმაშიც გვემსახურება, რომ გაბედულად ვაკეთოთ სიბრიყვე.

**პუბლიუსი**: ბევრის მპატიებელი ძლიერი, უფრო ძლიერი ხდება.

**ბრეხტი**: ცხოვრობენ არა იმიტომ, რომ ემოციები განიცადონ, არამედ ცხოვრობენ და განიცდიან ემოციებს.

**მანდელა**: როდესაც თავისუფლებისკენ მიმავალი გალავნისკენ მივდიოდი, ვიცოდი, რომ მთელ ჩემს ბრაზსა და სიძულვილს უკან თუ არ მოვიტოვებდი, მთელ ცხოვრებას ციხეში გავატარებდი.

**კამიუ**: თუ ადამიანი საკუთარ სურვილებს ვერ ფლობს, ის ვერაფერს ფლობს.

**ლაბრიუერი**: სხვისი უბედურების შემყურეს თითქოს გრცხვენია, რომ ბედნიერი ხარ.

**პეტრარკა**: რაც მეტია სიძუნწე, მით მეტია სიმკაცრეც.

**ფრანსი**: ბრძნულ უგრძნობლობას მე ყოველთვის ვამჯობინებდი უგუნურებას გრძნობებში.

**სოფოკლე**: კარგია, ისწავლო მათგან, ვინც საქმეზე ლაპარაკობს.

**რუსო**: თავშეკავებულობა და შრომა ადამიანის ორი ჭეშმარიტი ექიმია. შრომა ამწვავებს მის მადას, ხოლო თავშეკავებულობა ხელს უშლის მის ბოროტად გამოყენებას.

**მონტენი**: სიმართლეს იმდენად ვამბობ, რამდენადაც ვბედავ, ოღონდ, რაც უფრო ასაკოვანი ვხდები, მით უფრო იშვიათად ვბედავ ამას.

**ბიანტი**: ძალა ადამიანს ბუნებით ეძლევა, ნიჭი – სულით, ხოლო ქონება – უბრალო შემთხვევითობით.

**დარვინი**: მონანიებისა და მოვალეობის გრძნობით სინდისის შთაგონება განასხვავებს ადამიანს ცხოველისგან.

**შამფორი**: ადამიანები ორ ნაწილად იყოფიან: ერთს, უფრო მცირეს, აქვს სადილი, მაგრამ მადა – არა; მეორეს, უფრო დიდს, დიდებული მადა აქვს, მაგრამ სადილი არ აქვს.

**ფიშერი**: ხასიათი ადამიანს უდიდეს შესაძლებლობებს ანიჭებს.

**მაკიაველი**: ადამიანი უფრო ადვილად აწყენინებს იმას, ვინც უყვარს, ვიდრე იმას, ვისი შიშიც აქვს.

**ლიხტენბერგი**: ყოველ ადამიანში არის რაღაც ყველა ადამიანიდან.

**თაგორი**: ადამიანი მხეცზე უარესია, როდესაც ის მხეცია.

**ვოლტერი**: უზომოდ პატარა ადამიანებს უზომოდ დიდი სიამაყე ახასიათებს.

**კონსტანტინე**: ადამიანმა თავის გარეგნობას ისეთივე ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც თავის სულს.

**შილერი**: ადამიანის ნებისყოფა მისი ბედნიერებაა.

**ფოიერბახი**: თუ გსურს, შეიცნო ადამიანი, შეიყვარე ის.

**სანტაიანა**: ერთადერთი ღირსება ადამიანისა, ალბათ, მისივე უნარია, რომ თავის დაფასება შეძლოს.

**ბუნინი**: ქალების სიძლიერის მთავარი იარაღი მათი სისუსტეა.

**მელიხანი**: მამაკაცს ქალი მზერით უყვარს და სმენით სძულს.

# თუ გაემოიცნობთ

1. 1484 წელს პაპ ინოკენტი მერვის ბრძანებით, ისინი მონასტრებიდან განდევნეს და გაანადგურეს. თუმცა, მათ ბევრგან დღესაც შეხვდებით. **დაასახელეთ პაპის ბრძანების მსხვერპლნი.**

2. შუა საუკუნეების პორტუგალიაში, ესპანეთსა და პროვანსში, გავრცელებული იყო ძვლის კოჭებით თამაში. იმ სიტყვით, რომელიც მაშინ ამ თამაშს ერქვა, დღეს ყველა თამაშის განუყოფელი ნაწილი გამოიხატება. **დაასახელეთ სიტყვა.**

3. 1956 წელს გამოვიდა პირველი საფოსტო მარკა, რომელზეც გამოსახული იყო ამერიკელი კინოვარსკვლავი გრეის კელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალბატონი ამერიკელი იყო, მარკა მონაკოში გამოვიდა. **რატომ?**

4. ერთი გერმანელი გრაფი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობდა, ისე ცუდად ლაპარაკობდა ფრანგულად, რომ მისი ყოველი ფრაზა ორაზროვანი გამოდიოდა. **დაასახელეთ მისი გვარი, თუ ის ერთ-ერთ ლიტერატურულ ხერხს გამოსახავს.**

5. **დაასახელეთ ქვეყანა,** რომლის მოსახლეობა 1501 წელს ესპანელებმა თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს, მის სახელს კი, სრულიად დაუმსახურებლად, სამოსის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს უწოდებენ.

6. მარსისკენ გაშვებული ამერიკული კოსმოსური სადგურის – „ვიკინგის" მსუბუქი დაჯდომის სამუხრუჭე აპარატი წყალბადზე მუშაობდა და არა ნავთობის რომელიმე პროდუქტზე, რადგან ნახშირბადშემცველი საწვავი კვლევას ხელს შეუშლიდა. **რატომ?**

7. ისინი იაპონელებმა 400 წლის წინათ მოაშენეს, ევროპაში კი 200 წლის წინ შევიდა, როდესაც მადამ პომპადურს აჩუქეს. ახლა მათგან ყველაზე მეტად ცნობილია: მარაოსებრი, კომეტა და ნიმფა. **რას ვუწოდებთ ჩვენ მათ?**

8. მეთვრამეტე საუკუნის ევროპაში გამოიცა ღვთისმეტყველ რაინჰარდის ნაშრომი – გამოკვლევა თემაზე, ჰქონდა თუ არა ადამს ის, რაც დაამტკიცებდა, რომ ღვთისგან იყო იგი შექმნილი თუ ქალმა შვა. **დაასახელეთ, რა.**

9. ამ დროს სხეულს ზოგან წითლად იხატავენ, ზოგან ტალახით ითხუპნიან, ზოგან ტანსაცმელს ბალახით იფარავენ, ზოგან კი დიდ ნაჭერში ეხვევიან. **რას აკეთებენ ჩვენთან?**

10. ჩინელებმა მსოფლიოს მრავალი შესანიშნავი გამოგონება მისცეს. ერთ-ერთი მათგანია „ფეიტიან", რომელიც სიტყვასიტყვით „მფრინავ მონეტას" ნიშნავს. **დაასახელეთ, რა გამოგონება.**

*პასუხები იხილეთ 66-ე გვერდზე*

# გამოჩენილი პოლიტიკოსების, მხედართმთავრების ეპიტაფიები

*ადამი – ბიბლიური პერსონაჟი*

სამასი წლის წინათ, მეჩვიდმეტე საუკუნეში, საფრანგეთის აკადემიის წევრმა ლე რუამ დიდი წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „წარწერა ადამის საფლავის ქვაზე", რომელიც აღმოაჩინეს კუნძულ ცეილონზე. დისერტაცია შემორჩენილი არ არის და არავინ იცის, როგორ მიაკვლია მეცნიერმა ადამის საფლავის ქვას ან რა საბუთი მოეძებნებოდა, რომ ის მაინცდამაინც ადამს მიეკუთვნებოდა, ან მერე სად გაქრა, ბიბლიის მიხედვით, ასეა ცნობილი „და იქმნეს ყოველნი დღენი ადამისანი, რომელთა ცხოვნდა ცხრაას ორმოცდაათ წელს და მოკუდა".

ეპიტაფია დაახლოებით ასეა ამოკითხული: „ადამ – მონა უფლისა და მეუფე ევასი. ღმერთო, შეუნდე".

*დესპოუტერი იანი – ფლამანდიელი გრამატიკოსი*

„მე კარგად ვიცოდი გრამატიკა და შემწევდა უნარი, მებრუნებინა სხვადასხვა არსებითი სახელი, მაგრამ სამარეში ვერ შევძელი, ერთხელ მაინც გადავბრუნებულიყავი".

*ლეონიდი – სპარტას მეფე, აკლდამაზე აღმართულ ლომის ქანდაკებას აწერია:*

„ნადირთა შორის მე ვარ უმძლავრესი, ხოლო კაცთა შორის უმძლავრესია, ვისაც მე თვითონ აქ ვდარაჯობ".

*ალექსანდრე მაკედონელი – ძველი მსოფლიოს უდიდესი მხედართმთავარი*

„ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა მთელი მსოფლიო".

*ისააკ ნიუტონი – ინგლისელი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი*

„ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს ისააკ ნიუტონს მოკვდავად, მაშინ, როცა დრო, ბუნება და ზეცა მოწმობს მის უკვდავებას".

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მფd3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– დედი, მე საიდან გავჩნდი?
– წერომ მოგიყვანა, შვილო....




– ახალი წლის საჩუქრები მართლა თოვლის ბაბუს მოაქვს?
– კი შვილო...
– აბა, მამა რაღ გვინდა?!

***

სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლი კართან შეეგება:
– საყვარელო, ბევრი სტუმარი მოგვივიდა და სკამები აღარ გვყოფნის. შედი, რა ჩვენს მეზობელთან და, იქ დაჯექი, სანამ ესენი წავლენ...

***

– მოდი, სადმე შევიდეთ...
– ჩუმად იყავი, ჯერ შენ პატარა ხარ...

***

სტუდენტების სიზმარი გამოცდების წინ: „ათასი ბილეთი და ერთი ღამე".

***

ყველა ქვეყანაში კანონების მიხედვით ცხოვრობენ, მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ ანდაზებითა და აფორიზმებით...

***

– სახანძრო გისმენთ!
– სასწრაფოდ მოდით, სახლი ცეცხლის ალშია! მისამართი....
– ვა, სიდედრი?! აბა, ჩემს სახლში არასდროს მოხვიდე, თვალით არ დამენახოო?!

***

გამოცდა ლოგიკურ აზროვნებაში:
– ვერტმფრენით 1 000 ცალი აგური გადააქვთ, გადმოვარდა ერთი, რამდენი დარჩა?
– 999.
– სწორია. როგორ შეიძლება, მაცივარში სამი მოქმედებით შევსვათ კურდღელი?
– ვაღებთ მაცივრის კარს, ვსვამთ კურდღელს და ვხურავთ.
– ყოჩაღ. როგორ შეიძლება ოთხი მოქმედებით მაცივარში ციყვი შევსვათ?
– ვაღებთ მაცივარს, გამოგვყავს კურდღელი, ვსვამთ ციყვს და ვხურავთ მაცივრის კარს.
– მართალია. აბა, ახლა მიპასუხე: ცხოველთა მეფეს დაბადების დღე აქვს. ყველა ცხოველი მივიდა, გარდა ერთისა. რომელმა არ მიულოცა?
– ციყვმა, ის ხომ მაცივარშია...
– ყოჩაღ. შეუძლია თუ არა მოხუც ქალს ჭაობზე გადასვლა, რომელშიც ნიანგები ცხოვრობენ.
– რა თქმა უნდა, ნიანგები ხომ ლომის დაბადების დღეზე არიან!
– მაგრამ, მოხუცი ჭაობზე გადასვლის დროს მაინც დაიღუპა. როგორ?
– დაიხრჩო?
– აი, ახლა კი არ ხარ მართალი – ვერტმფრენიდან ჩამოვარდნილი აგური დაეცა თავში.

***

– გუშინ ტყეში ვიყავი და მთელი კალათა სოკო დავკრიფე სიდედრისთვის.
– მერე, კარგად იცი სოკოს ცნობა? შემთხვევით, რომელიმე შხამიანი რომ აღმოჩნდეს?
– რას ჰქვია – შემთხვევით?!

***

– მაყვალა დეიდ, ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი გააქ რამე?
– რა გტკივა, მიტო?
– ჯერ არაფერი, მაგრამ, მშობელთა კრებაზე მამა წავიდა და...

***

ოჯახი დასაძინებლად დაწვა. მეორე ოთახიდან ცოლ-ქმარს 3 წლის გოგონას




ხმა ესმის.
– მა, ორ ქალთან წოლილხარ როდესმე?
შეძრწუნებული ცოლ-ქმარი დაიძაბა, ბოლოს, როგორც იქნა, კაცმა ამოიღო ხმა.
– არა, შვილო...
– მაშინ, მოვდივარ...

## ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

სვიმონ ქართლის მეფეს იმერეთის შემოერთება ეწადა. შეჰყარა მხედრობა და დაიძრა ლიხისკენ. კორბოულის მთის ძირში ერთი სოფლელი დედაკაცი მივიდა მასთან და შეეხვეწა:
– ერთი შვილი მყავს, მეფევ-ბატონო, წაიყვანე და იმსახურეო.
იუკადრისა მეფემ ქალის სამსახური:
– დედაკაცო, მე კაცითა მთვრალი ვარ, კაცი არ მეჭირებაო.
თუმცა, სოლომონი ისე დამარცხდა, რომ უკან დაბრუნებულს „ერთი კაცი აღარ ახლდა". იმ ქალმა, დაინახა თუ არა მარტოდ მომავალი მეფე, მიეახლა და ჰკადრა:
– მეუფეო, ვეჭვობ, მაშინ რომ კაცითა მთვრალი იყავ, გამოგნელებიაო.

***

ფოთში ქართლელს საწყენი უთხრეს, ქუთაისში მიხვდა, გორში ეწყინა და თბილისში გული მოუვიდაო, – თქვა აკაკიმ.

***

ერთ ლხინში აკაკის სადღეგრძელოს სვამდნენ და თამადამ ლომი უწოდა. მგოსანმა სიცილით თქვა:
– თუ მართლა ლომი ვარ, კრილოვის „მომაკვდავი ლომი" უნდა ვიყო, რადგან, ამ ბოლო დროს, ვირებმა ძალიან დამაყარეს წიხლებიო.

***

ერთი ვინმე კარგ გუნებაზე იყო სადილად და „მიმინო მყვანდას" მღეროდა. იმდენი იმღერა ეს „მყვანდა-მიყვარდა", რომ ყველას თავი მოაბეზრა და ყველაზე უფრო – აკაკის.
– არ გეტყობა, რომ მიმინო გყოლოდეს... მაშინ ამდენი მწყერები აღარ გეყოლებოდაო! – უთხრა პოეტმა.

***

რევოლუციამდე კორნელი კეკელიძე რაღაც პერიოდი დეკანოზი ყოფილა. რევოლუციის შემდეგ, როდესაც სამეცნიერო საქმიანობას მოჰკიდა ხელი, უნივერსიტეტში დეკანად დაინიშნა. შალვა ნუცუბიძეს უთქვამს:
– შენ რა გიჭირს? რევოლუციამ მხოლოდ ორი ასო – „ოზ" დაგაკარგვინა: დეკანოზი იყავი და დეკანი გახდიო.

***

ერთხელ გალაკტიონი რესტორანში შეკვეთას ელოდებოდა. ბოლოს ოფიციანტს შეახსენა. ოფიციანტმა მიუგო:




– დამაცა, შე კაცო! შენისთანა მილიონია და მე ერთი ვარ!
პოეტმა ჩაიცინა და არაფერი უპასუხა.

# რა ოინი მოუწყო ლევან თედიაშვილმა მოქეიფე კახელებს

რომ არა დიდი სპორტი, ის შეიძლება, კარგი მსახიობი გამოსულიყო, რაც ბრწყინვალედ დაამტკიცა ფილმში „ხარება და გოგია“ (მედუქნე). ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო.

როგორც იცით, ფილმში ძირითადად სპორტსმენები ვმონაწილეობდით, მოჭიდავეები და ველოსპორტის ჯადოქარი, უსაყვარლესი ვაჟკაცი ომარ ფხაკაძე (ხარება). გოგიას როლი შესანიშნავად მოირგო დიდმა მოჭიდავემ და კოლორიტულმა პიროვნებამ ლევან თედიაშვილმა.

იმ ეპიზოდს ვიღებთ, ხარებას ძმა რომ უნდა მოვიტაცოთ ციხიდან.

შესვენება გამოცხადდა.

– პური ხო უნდა ვჭამოთ, მამაძაღლი! – შემოგვძახა თედიაშვილმა.

– რა თქმა უნდა, ყველანი მომშეულები ვართ, – დავუკარით კვერი.

– აბა, ერთი კარგი სამწვადე ვიცი, ჩემი ახლობელია გამგე, – კვლავ გააქტიურდა ლევანი.

დრო რომ არ დაგვეკარგა გახდა-ჩაცმაში, ეგრევე, ჩვენი ჩოხებით, ხანჯლებითა და მაუზერებით ჩავცვივდით ორ მანქანაში და იმ სამწვადეს მივადექით. ჭამა-სმა კახეთში არ ეშლებათ და სამწვადეში იქაური დარდიმანდები ქეიფობდნენ რამდენიმე მაგიდასთან.

მუდამ მოუსვენარმა ლევანმა რაღაც ჩაიფიქრა „თათარიახნად“. წაგვიძღვა წინ და შევლაგდით დარბაზში.

იქ მყოფები ჩვენს დანახვაზე ცოტათი შეჩქვიფდნენ, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ გადაღების ხალხი ვიყავით! გაოცება




ვინ აცალა, ლევანმა „მაუზერი“ ამოიღო და დასჭყივლა:

– ახლა კი დაგაჯდათ სიკვდილის ბუზი! აიტ! – დასცხო კიდევაც მათი მიმართულებით „ხალასტოი“ ტყვიები.

სროლაო?! აირია მონასტერი. ვინ დახლის ქვეშ შეძვრა, ვინ მაგიდის ქვეშ, ატყდა ერთი გნიასი...

– კაცო, არ დაგვხოცოთ, კაცო! ქრისტიანები არა ხართ? – აბღავლდნენ „ვაჟკაცი“ მოქეიფეები, სადღეგრძელოში რომ ყველა გმირობაზე დებდა თავს. ოღონდ არ დაგვხოცოთ და სულ აღარ ვჭამთ მწვადსა! – ყვირის ერთი მაგიდის ქვემოდან.

– საერთოდ, მარხვაზე დავჯდებით! – ყვირიან მეორე მაგიდის ქვემოდან.

– სუფრა გაგვიშალეთ, თორემ მოვიდა თქვენი აღსასრული! – არ წყნარდება ლევანი, – თქვე მუქთამჭამელო ბობოლებო, თქვენი დედა კი ვატირე! – და დასცხო ისევ ტყვიები.

„ხალასტოი“ ტყვიებით, რა თქმა უნდა, არავინ დაჭრილა, მაგრამ ხმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია და ისე შეშინდნენ – ენა ჩაუვარდათ.

ლევანის ახლობელმა სამწვადეს „ხაზეინმა“ სასწრაფოდ გააშლევინა სუფრა ჩვენთვის, გვარიანად შეშინებულმა.

– აიტ! კვლავ დასჭყივლა ლევანმა და აქ მოხდა სასწაული... სამწვადის უფროსმა ხმაზე იცნო თედიაშვილი. დამალვა-დაფარვას რა აზრი ჰქონდა და რომ მოტვინა, რაც მოხდა, სულით კახელმა „ხაზეინმა“ ჩვენი მისამართით ისეთი კახური „მრავალსართულიანი“ გინებები დაახვავა, ყურში არ შეიშვებოდა.

– ესაა, ბიჭო, ახლობელი?! – ვიცინოდით დანაყრებულები, – ასე უნდა გვაგინოს ახლობელმა?!

– ახლობელმა ახლა უნდა გიჩვენოთ თქვენა! – გაიქაჩა „მეპატრონე“ და წამოვიდა და რა წამოვიდა პურმარილი.

გადაიდო გადაღება მეორე დღისთვის...

**მსოფლიოს ჩემპიონ მიშა სალაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(72-ე გვერდიდან)

# რატომ არ ენდობოდა დიდ მოურავს შაჰ-აბასი და რის გამო გაექცა გიორგი სააკაძე მასთან თავის სიძეს – ლუარსაბ მეფეს

ყველაზე დიდი დარტყმა იყო ლუარსაბისთვის. რა თქმა უნდა, მეფემ მტკივნეულად აღიქვა ის ფაქტი, რომ გიორგი თან მისი მოყვარეა, თან კავშირი აქვს შაჰის იმ წრესთან, რომელიც ყოველდღე მზად არის მის მოსასპობად და ტახტზე მის შესაცვლელად. როგორც ჩანს, აი, ეს აცნობა ბერუკამ მეფეს. მას, როგორც სააკაძის ოჯახის ყოფილ წევრს, შეუძლებელია, გამოჰპარვოდა, თუ რა კავშირები ჰქონდა გიორგის შაჰის კართან.

**– მაშ, როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ გადამყვეტ მომენტში შაჰსაც გადაუდგა გიორგი სააკაძე და შვილი გაწირა?**

– თითქმის ყველა წყარო წერს, რომ, როდესაც შაჰმა გამოგზავნა ჯარი და მარტყოფის ცნობილი აჯანყება მოხდა, შაჰმა ჯარი არა სააკაძეს, არამედ, გასპარსებულ სომეხს, ყარჩიღა-ხანს ჩააბარა. ერთ-ერთი ევროპელი მისიონერის ცნობით, შაჰს დიდი მოურავისთვის უთქვამს: როგორც კი საქართველოში შევალთ, მაშინვე დაგნიშნავ მთავარსარდლადო. ბუნებრივია, ეს ცუდად ენიშნა გიორგის. ამიტომ, საქართველოში ჩამოსული, ლოჭინის ხევთან შეჩერდა ვითომ სანადიროდ, სინამდვილეში კი, გამუდმებით ელოდა შაჰის შიკრიკს, რომელიც ამ გზით მოიტანდა ბრძანებას ირანის მმართველისგან. მართლაც, რამდენიმე დღეში გამოჩნდა შიკრიკი, რომელსაც მოჰქონდა ცნობა: ჯერ ქართლი გააწყვეტინეთ სააკაძეს, შემდეგ მასაც თავი მოჰკვეთეთო. ყველა ქართული და უცხოური წყაროსა და თვით „დიდმოურავიანის“ ცნობით, გიორგიმ შიკრიკი განგმირა, წერილი კი გააქრო. მხოლოდ ამის შემდეგ მიაყენა მართლაც არნახული ზარალი შაჰს სააკაძემ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მისი საშინელი რისხვა შაჰის მიმართ გამოიწვია ამ წერილმა და არა მხოლოდ იმან, რომ ის მობრუნდა საქართველოსკენ... ასე რომ, ის მნიშვნელოვანი არგუმენტი, რამაც მარტყოფის აჯანყებაში მიაღებინა მონაწილეობა სააკაძეს, შაჰის „ფირმანი“ ანუ ბრძანება იყო.

**– რატომ გაიმეტა შაჰმა გიორგი სააკაძე?**

– შაჰი არასდროს ენდობოდა სააკაძის მსგავს პიროვნებებს, თუმცა, აფასებდა მის მხედართმთავრულ ტალანტს. გიორგი უდავოდ ნიჭიერი, კარგი მებრძოლი და მხედართმთავარი იყო, მაგრამ, მას გაქნილი შაჰ-აბას პირველი ბოლომდე არ ენდობოდა იმიტომ, რომ, ის სწრაფად გადავიდა მის მხარეს და შაჰ-აბასის თხოვნის გარეშე მიიღო ისლამი, გაწირა საკუთარი მეფე და, ამასთან ერთად, მუდმივად უკიჟინებდა ირანის მბრძანებელს, სანამ ლუარსაბს არ მოკლავ, ქართლი არ დაისვენებსო. ერთი მხრივ, შაჰისთვის კარგი იყო, რომ სააკაძე ადვილად დაემორჩილა, მეორე მხრივ კი, სწორედ ამის გამო არ ენდო მას – საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც მე დამინდობსო. მისი შვილიც ამიტომ დაიტოვა მძევლად. აქვე აღვნიშნავ, რომ მძევლად ამ პერიოდის თითქმის ყველა ქართველი მეფის ძეებს მოუხდათ ყოფნა. მათგან ზოგიერთი სასტიკად აწამეს და სიცოცხლესაც გამოასალმეს. ასე რომ, ასეთი რამ მაშინ მიღებული იყო. მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში გიორგი სააკაძის მსგავსი ძლიერი პიროვნებები ყველაზე მეტად საშიში შაჰისთვის იყვნენ. ვერაგმა აბას პირველმა საკუთარი ოჯახის წევრებიც არ დაინდო და, გასაგებია, რომ გიორგის არ დაინდობდა...

ასე რომ, ვფიქრობ, მარტივი ახსნაა ის, რომ ცუდმა თავადებმა გიორგი მხოლოდ შურის გამო დააბეზღეს, სულსწრაფმა ლუარსაბ მეორემ კი იგი მაშინვე გაწირა.

**ეკა სალაღაია**


მის საქართველო
Miss Georgia
2013
www.missgeorgia.ge
ანა გარიზაშვილი
ანა ზურაშვილი
ანი ლეთოდიანი
ანი ზარიძე
დარიო მურუსიძე
ელენა მარიამიძე
ელენე წიკლაური
ელენე გაგნიძე
ელენე გამყრელიძე
ქეთი ნოზაძე
ქეთი სვანიშვილი
ლიკა რიგვავა
მაკა გიგაური
მარი არზამაზოვა
მარიამ ბოჭორიშვილი
მარიამ ილურიძე
მარიამ მათიაშვილი
მარიამ შერმაზანაშვილი
მარიამ ცაგარეიშვილი
ნატა დემეტრაშვილი
ნათია როზომაშვილი
ნიკა აბაიშვილი
ნინი ბიბილაშვილი
თაკო ნასყიდაშვილი
თამარ უგრეხელიძე
თეა ქარცივაძე
თამთა რუხაძე
თეკლა ჯაჯანაშვილი
www.missgeorgia.ge
TOYOTA
მარიონელა
kikala studio
arena
TINATIN MAGALASHVILI
MSG MARKETING
ADSS PRINT
HUAWEI
MUSIC BOX
MYVIDEO.GE
LUXURY
GHN
EGO
Pink
outdoor.ge
ANGEL
allMovies.ge



გვ. 12

როგორია დუდა სანაძის ამერიკული ცხოვრება და რა შეფასებას აკეთებს ქართველ კალათბურთელზე სანდიეგოს გუნდის მწვრთნელი



გვ. 69

რამ ჩააგდო გია სურამელაშვილი დეპრესიაში და ვინ შეზღუდა მისი თავისუფლება 4 თვით



გვ. 47

როგორ გახდა მკლავჭიდში საქართველოს ორგზის ჩემპიონი გიგა ტაბიძე კომიკური პერსონაჟი და რატომ არ ღიზიანდება ის ქუჩაში „ჭამე, ნოდარის“ დაძახებაზე



გვ. 74

რამდენი ჭიქის „ჩარტყმის“ შემდეგ ეცვლება განწყობა ეკა აბშილავას და რის კეთებაში ათენებდა ის ღამეებს

ISSN 1987-569X

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №6 (685) * 10–16 თებერვალი * ფასი 1,50 ლარი